


# მასწავლებლის წიგნი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

თბილისი 2011

ავტორები: მაია მელიქიძე
ნინო გორდელაძე

რედაქტორები: ირმა ტაველიძე
თინათინ ცერაძე

მხატვარი: მაკა ჯეზირაშვილი

დიზაინერ - დამკაბადონებლები: თეონა კერესელიძე
თამარ დევდარიანი

დაიბეჭდა შპს „მვპ”- ში.

© საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2011
© მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი
NATIONAL CURRICULUM AND ASSESSMENT CENTRE

# ქართული ენის სახელმძღვანელო არაქართულენოვანებისათვის

## მასწავლებლის წიგნი

## სარჩევი


შესავალი

1. I დონის სახელმძღვანელოს კომპონენტები
2. I დონის სახელმძღვანელოს სტრუქტურა
   - ა. მოსწავლის წიგნი
   - ბ. სამუშაო რვეული
   - გ. მასწავლებლის წიგნი
   - დ. მასწავლებლის წიგნის აქტივობების სტრუქტურა
3. საყურადღებო შენიშვნები მასწავლებლებისთვის
4. I დონის სახელმძღვანელოს მეთოდოლოგია
   - ა. მეთოდიკურ-პედაგოგიური პრინციპები
   - ბ. დიდაქტიკური პრიორიტეტები
5. ტიპურ სავარჯიშოთა აღწერილობა
6. მიზნებისა და შინაარსის რუკა
7. პირველი ნაბიჯები
   - ა. გაცნობა
   - ბ. სკოლა ტყეში
   - ც. გემი ზღვაში
   - დ. პეიზაჟი
8. დილა მშვიდობისა!
9. ეს ჩემი ოჯახია!
10. სკოლაში მივდივარ!
11. ტყის ამბები
12. მე მიყვარს ბუნება
13. ბებიას სამზარეულოში
14. ზღაპრების სამყაროში
15. მოსწავლეთა შეფასება
16. გამოყენებული ლიტერატურა
17. მასალა საკითხავი აქტივობებისათვის
18. სურათები ლექსიკური და ფონოლოგიური აქტივობებისთვის

სახელმძღვანელოს სერია "ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის" შედგება ექვსი დონისაგან, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებითი საფეხურის ქართულის, როგორც მეორე ენის ექვსდონიან საგნობრივ პროგრამას.
სახელმძღვანელოს სერიის მთავარი ამოცანაა, მასწავლებელსა და მოსწავლეებს შესთავაზოს ისეთი სასწავლო მასალა, რომელიც უზრუნველყოფს I-VI დონეების სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილებას. სტანდარტის მოთხოვნებში ცენტრალური ადგილი კომუნიკაციურ კომპეტენციას უკავია. შესაბამისად, წარმოდგენილი სახელმძღვანელო თავისი შინაარსითა და მეთოდიკური აპარატით მიმართულია კომუნიკაციური უნარების - მოსმენის, კითხვის, ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარებისაკენ. ეს დაეხმარება ჩვენს მოსწავლეებს, იმგვარად დაეუფლონ სახელმწიფო ენას, რომ მომავალში შეძლონ მისი ფუნქციურად გამოყენება პირად ცხოვრებასა თუ პროფესიულ საქმიანობაში.

ქართული ენის სახელმძღვანელოს I დონე განკუთვნილია არაქართულენოვანი სკოლების დაწყებითი საფეხურის იმ მოსწავლეებისათვის, რომლებმაც საერთოდ არ იციან ქართული.

სახელმძღვანელო შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:




- **მოსწავლის წიგნი** - შედგება 8 თემისაგან. თითოეული თემა დაახლოებით 3-4 კვირის განმავლობაში ისწავლება; გამონაკლისს წარმოადგენს პირველი თემა, რომლის სწავლებისათვის დაახლოებით 3 თვეა საჭირო. მოსწავლის წიგნს ბოლოში ერთვის დასურათებული ლექსიკონი.




- **სამუშაო რვეული** - შეიცავს მრავალფეროვან სავარჯიშოებს და ხელს უწყობს იმ მასალის ათვისებას, რომელიც მოსწავლის წიგნით ისწავლება;

- **აუდიოდისკი (CD)** - შეიცავს მოსასმენი ტექსტების აუდიოჩანაწერებს;

- **ვიდეოდისკი (DVD)** - კომპიუტერული თამაშები, რომლებიც მოსწავლეს სთავაზობს დამატებით გასართობ აქტივობებს წიგნით შეძენილი ცოდნისა და უნარების განსამტკიცებლად;




- **მასწავლებლის წიგნი** - მასწავლებლის გზამკვლევი, რომელიც დეტალურად აღწერს, თუ როგორ უნდა წარიმართოს სასწავლო პროცესი.

- **სურათებისა და ბარათების ნაკრები** - მასწავლებლისათვის განკუთვნილი აუცილებელი სასწავლო რესურსი, რომელზე დაყრდნობითაც სრულდება მასწავლებლის წიგნში აღწერილი მრავალი აქტივობა;

- **მოძრავი ანბანი** - აუცილებელი კომპონენტი კითხვის უნარის ასათვისებლად;

## ა) მოსწავლის წიგნი

მოსწავლის წიგნი 8 თემატური ერთეულისგან შედგება. ესენია:

1 პირველი ნაბიჯები

2 დილა მშვიდობისა!

3 ეს ჩემი ოჯახია!

4 სკოლაში მივდივარ!

5 ტყის ამბები

6 მე მიყვარს ბუნება

7 ბებიას სამზარეულოში




8 ზღაპრების სამყაროში

**“პირველი ნაბიჯები”** - მისი ძირითადი ამოცანაა, პირველი ნაბიჯები გადაადგმევინოს მოსწავლეებს ქართული ენის სამყაროში. იგი სტრუქტურით განსხვავდება დანარჩენი 7 თემისაგან - შედგება 4 ქვეთავისაგან, რომელთაგან თითოეულს მოსწავლის წიგნში სამი განშლა ანუ 6 გვერდი ეთმობა. “პირველი ნაბიჯები” დაახლოებით სამი თვის განმავლობაში ისწავლება.

**II-VIII თემატური ერთეულები** - მათ საერთო სტრუქტურა აქვთ. მოსწავლის წიგნში თემატური ერთეულები 4 განშლაზე ანუ 8 გვერდზე ნაწილდება. თითოეულ გვერდს კონკრეტული ფუნქცია აქვს:

- **1-ელ და მე-2 გვერდებზე** იშლება განვლილი და ახალი ენობრივი მასალის ამსახველი თემატური პოსტერი/თემის ძირითადი სურათი. მასზე დაყრდნობით, მასწავლებელი ამეორებინებს მოსწავლეებს განვლილ მასალას და ამზადებს მათ ახალი თემის ასათვისებლად. თემის დასრულებისას, როცა მოსწავლეს უკვე შესწავლილი აქვს პოსტერზე ასახული ყველა ელემენტის ქართული დასახელებები, პოსტერი ინტერაქციის მნიშვნელოვან წყაროდ გადაიქცევა;
- **მე-3 გვერდის** პრიორიტეტია მოსმენა-გაგების უნარის განვითარება და ლექსიკური მარაგის გამდიდრება;
- **მე-4 გვერდზე** მოცემულია საანბანო პერიოდის საკითხავი სავარჯიშოები;
- **მე-5 გვერდის მთავარი ამოცანაა** მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება ენო-

ბრივ საკითხებზე (თვალსაჩინოებების გამოყენებით);

- **მე-6 გვერდი** - ამ გვერდის მთავარი დიდაქტიკური ფუნქციაა მოსწავლის ზეპირ ინტერაქციაში ჩაბმა და ენობრივი ცოდნის განმტკიცება;
- **მე-7 გვერდზე**, მეოთხის მსგავსად, მოცემულია საანბანო პერიოდის საკითხავი სავარჯიშოები;
- **მე-8 გვერდი**ს ფუნქციაა, მისცეს მოსწავლეებს შეძენილი ენობრივი ცოდნის განმტკიცების, პრაქტიკულად გამოყენებისა და საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირების საშუალება.

**ბ) სამუშაო რვეული -** სამუშაო რვეული თითოეული თემატური ერთეულისათვის მრავლად შეიცავს ისეთი ტიპის აქტივობებს, რომლებიც მოითხოვს ჩაწერას, გახაზვას, დახატვას, გაფერადებას და სხვ. წიგნისგან განსხვავებით, მასში გვერდების რაოდენობა არ არის მკაცრად განსაზღვრული.

**გ) მასწავლებლის წიგნი**

მასწავლებლის წიგნის შემადგენელი ნაწილებია:

- შესავალი ნაწილი, რომელშიც აღწერილია სახელმძღვანელოს შემადგენელი კომპონენტები და სახელმძღვანელოს მეთოდოლოგიური კონცეფცია;
- იმ ტიპურ სავარჯიშოთა დეტალური აღწერილობა, რომლებიც ხშირად გამოიყენება მასწავლებლის წიგნში;
- თემატური ერთეულების მიზნებისა და შინაარსის რუკა;
- წიგნის შესაბამისი რვა თემატური ერთეული, რომლებშიც დეტალურად და თანამიმდევრულად არის აღწერილი ყველა აქტივობა. ამ აქტივობებშივეა შეტანილი მოსასმენი ტექსტებიც;
- სიტყვები საკითხავი აქტივობებისათვის, რომელიც გამოიყენება კითხვის მთლიანობითი მეთოდისათვის (იხ. ქვემოთ, 5. ბ);
- სურათები ფონოლოგიური და ლექსიკური სავაჯიშოებისათვის.

დ)მასწავლებლის წიგნში აღწერილი აქტივობის სტრუქტურა

**აქტივობა 8 [1]. მოსმენა-გაგება, ინტერაქცია, მოტორიკა[2]**

1. track [3]სრულდება **წიგნის მესამე დავალება[4] -** მოსწავლეები აკვირდებიან სურათებს; ისმენენ ტექსტს და ამოიცნობენ, ვინ ვინ არის. **ტექსტი:[5] ა)** *მაქვს დიდი წითელი ბურთი, ვინ ვარ? გ) მაქვს დიდი მწვანე ბურთი, ვინ ვარ?*

2. [6] სრულდება რვ. სავ.; №74. მოისმინე და გააფერადე. მოსწავლეებს კარნახობთ სათამაშოების ფერებს; **კარნახობთ ტექსტს:[7]** *გიას აქვს დიდი წითელი ბურთი, ლიას აქვს ყვითელი ბუშტი, იას აქვს ლურჯი ყვავილი, დათოს აქვს პატარა მწვანე ბურთი.*

| |
|---|
| 1. აქტივობის ნომერი |
| 2. მითითება უნარებზე, რომლებსაც ავითარებს ეს აქტივობა. |
| 3. მითითება აუდიოჩანაწერზე, რომელიც უნდა ჩაურთოს მასწავლებელმა მოსწავლეებს; |
| 4. მითითება მოსწავლის წიგნის იმ დავალებაზე, რომელიც უნდა შესრულდეს; |
| 5. აუდიოტექსტზე ჩაწერილი მოსასმენი ტექსტის ტრანსკრიფცია მასწავლებლისთვის; |
| 6. მითითება სამუშაო რვეულის იმ სავარჯიშოზე, რომელიც უნდა შესრულდეს; |
| 7. მითითება ტექსტზე, რომლის ჩანაწერიც არ არსებობს და მასწავლებელი კარნახობს მოსწავლეებს. |

## საყურადღებო შენიშვნები მასწავლებელთათვის

**აუცილებელია, მასწავლებლებმა გაითვალისწინონ შემდეგი:**

- **მოსწავლეთა სურათები და სახელები** - პირველ თვეებში, სასწავლო რესურსის სახით, მუდმივად დაგჭირდებათ მოსწავლეთა სურათები; აგრეთვე ბარათებზე დიდი ასოებით (5-6 სმ) დაწერილი მოსწავლეების სახელები (ორ ეგზემპლარად).
- **მოძრავი თამაშები** - მასწავლებლის წიგნში, გარკვეული სიხშირით, ჩართულია მოძრავი თამაშები, რომლებსაც ორმაგი ფუნქცია აქვს: განტვირთვა და ენობრივი მასალის განსხვავებულ კონტექსტში გამოყენება. პირველკლასელთათვის ფიზიკური მოძრაობის საგაკვეთილო პროცესში ჩართვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და მათთან მუშაობისას მოძრავი აქტივობები აუცილებლად უნდა გამოიყენოთ (განსაკუთრებით, პირველ სემესტრში). ამის ნაკლები საჭიროება აქვთ მეორე-მესამეკლასელებს. ამდენად, მათთან მუშაობისას მასწავლებელს შეუძლია წიგნში შეთავაზებული მოძრავი თამაშები გამოტოვოს.
- **მასწავლებელმა აუცილებლად უნდა დაიცვას წიგნში მოცემულ აქტივობათა თანამიმდევრულობა** - თითოეული მათგანი ლოგიკური ჯაჭვის ერთ რგოლს წარმოადგენს, რომელიც წინა აქტივობას ეფუძნება და მომდევნო აქტივობისათვის ამზადებს მოსწავლეს. ამდენად, შეთავაზებული გზიდან გადახვევა არ არის რეკომენდებული. მართალია, სწავლების გზა გაკვალულია, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მასწავლებელი პასიურად უნდა გაჰყვეს მას. პირიქით, ძალიან ბევრია დამოკიდებული მასწავლებლის ოსტატობასა და შემოქმედებითობაზე; კერძოდ, იმაზე, თუ როგორ „გააცოცხლებს“ იგი კლასში აქტივობას, როგორ წარმართავს აქტივობის ეტაპებს, რამდენად შეძლებს მოსწავლეთა ჩაბმას საგაკვეთილო პროცესში, როგორ გადაჭრის ამა თუ იმ აქტივობის შესრულებისას წარმოქმნილ პრობლემას, რამდენად მოახერხებს მოსწავლეთა ძლიერი მხარეების წინ წამოწევას, სუსტი მხარეების დაძლევას და სხვ.
- **მასწავლებლის წიგნში არ არის მითითებული აქტივობათა ხანგრძლივობა.** საქმე ისაა, რომ აქტივობის ხანგრძლივობა ძალიან ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული; კერძოდ, იმაზე, თუ რომელი კლასის (I, II, III, IV) მოსწავლეებთან მუშაობს მასწავლებელი, როგორია მოსწავლისა და მასწავლებლის გამოცდილება, რაზე აკეთებს მასწავლებელი აქცენტს საგაკვეთილო პროცესში, რა დრო დასჭირდებათ მოსწავლეებს აქტივობის შესასრულებლად, როდის ტარდება გაკვეთილი - დილას თუ სასწავლო დღის ბოლოს და მრავალი სხვა. მთავარია, მასწავლებელი თანამიმდევრულად გაჰყვეს აქტივობებს და თითოეულს დაუთმოს ის დრო, რაც დასჭირდებათ მოსწავლეებს მის შესასრულებლად.
- **თანამშრომლობა მშობლიური ენის მასწავლებელთან** - მოსწავლეებს გაცილებით უკეთესი შედეგები ექნებათ, თუ მშობლიური ენის მასწავლებელი მშობლიურ ენაზე შეასრულებინებს მოსწავლეებს იმ ფონოლოგიურ სავარჯიშოებს, რომლებიც მასწავლებლის წიგნშია აღწერილი. ფონოლოგიური უნარი გამჭოლი ხასიათისაა და მის განვითარებაზე ზრუნვა სხვადასხვა ენაში საუკეთესო შედეგების მომცემი იქნება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მშობლიური ენისა და ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელთა თანამშრომლობა.
- **წერა-კითხვის სწავლება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში** - პირველი დონის სახელმძღვანელო შეიძლება შევიდეს როგორც პირველ, ისე მეორე, მესამე და მეოთხე კლასებში. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ წერა-კითხვის სწავლება პირველკლასელებთან განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს. ამის შესაბამისად, I დონის სახელმძღვანელო გამოყოფს სამ პერიოდს. პირველი პერიოდი წინასაანბანოა, მეორე და მესამე პერიოდი კი საანბანოს ეკუთვნის. მათ შორის განსხვავებას ქმნის წერა, რომელიც პირველკლასელებისათვის მესამე პერიოდიდან იწყება. რაც შეეხება ზედა კლასების - მეორე, მესამე, მეოთხე კლასის მოსწავლეებს, მათთან მუშაობისას მასწავლებელი საანბანო პერიოდში ოდნავ შეცვლის მიდგომებს. ერთი მხრივ, იგი საანბანო პერიოდშივე დააწყებინებს მოსწავლეებს ასოების, სიტყვების, წინადადებების წერას და ამისთვის გამოიყენებს შესაბამისი კლასის მოსწავლეთათვის განკუთვნილ რვეულებს; მეორე მხრივ, კითხვის უნარის გასავითარებლად იგი გამოიყენებს დამატებით ტექსტებს (დეტალური აღწერილობა იხ. ქვემოთ. დიდაქტიკური პრიორიტეტები, წერა-კითხვა).
- **ფონოლოგიური უნარები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში -** იგივე შენიშვნა ეხება ფონოლოგიურ სავარჯიშოებს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ პირველკლასელებისთვისაა განკუთვნილი, თუმცა მათი გამოყენება რეკომენდებულია ზედა კლასებშიც - იმ მოსწავლეებისათვის, რომელთაც კითხვაში აქვთ პრობლემები.

## I დონის სახელმძღვანელოს მეთოდოლოგია

### ა) მეთოდიკურ-პედაგოგიური პრინციპები

ინსტიტუციურ გარემოში ენის წარმატებული სწავლა/სწავლება დიდწილად მეთოდიკის გამართულობაზეა დამოკიდებული; მით უფრო მაშინ, როცა საქმე ეხება დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს. ჩვენი სახელმძღვანელოს მეთოდოლოგია[1] ეფუძნება არაერთ მნიშვნელოვან პედაგოგიურ-მეთოდიკურ პრინციპს, რომელიც მის გამართულობასა და ეფექტიანობას უზრუნველყოფს.

### გამოვყოფთ რამდენიმე პრინციპს:

- **ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება**

სახელმძღვანელო უპირატესობას ანიჭებს და იყენებს სწავლების ისეთ სტრატეგიებს, რომლებიც სრულად მიესადაგება მოზარდების გონებრივი განვითარების კანონზომიერებებს, მათი აზროვნების კონკრეტულ-ხატოვან და მოქმედებით ბუნებას. ეს სტრატეგიებია:

- **თვალსაჩინო მეთოდი** - აქტივობებში უხვად გამოიყენება ილუსტრაციები, სქემები, დემონსტრაცია, კომპიუტერული თამაშები, რეალური საგნები, ნახატები;
- **მულტისენსორული მეთოდი** - აქტივობები, რომლებიც ააქტიურებს სენსორულ-კინესთეტურ-მოტორულ სისტემებს, როგორებიცაა: ხატვა, გაფერადება, გამოჭრა, დაწებება, ლოტოთი თამაში, რიტმული მოძრაობები, სიმღერა, განსახიერებები მიმიკა-ჟესტიკულაციით, როლური თამაში, სმენითი და ხედვითი მეხსიერების განმავითარებელი აქტივობები და სხვა.

ამ მეთოდების გამოყენებით, სახელმძღვანელო მოსწავლეებს სთავაზობს შემეცნებითი ხასიათის აქტივობებსაც, რომლებიც ააქტიურებს ისეთ კომპლექსურ კოგნიტურ ოპერაციებს, როგორებიცაა: დაჯგუფება-დახარისხება, შედარება, კატეგორიზაცია, წარმოსახვა.

- **ენობრივი მასალის მრავალმხრივი და საფუძვლიანი დამუშავება**

ენობრივ-კომუნიკაციური უნარ-ჩვევების დაუფლება ძალზე ხანგრძლივი პროცესია და ბევრ ვარჯიშს მოითხოვს. ამ პროცესის ხელშესაწყობად მეთოდიკური აპარატი სხვადასხვა სტრატეგიას მიმართავს, კერძოდ:

- ერთი თემატური ერთეულის ფარგლებში განსხვავებული უნარების (მოსმენის, კითხვის, ინტერაქციის, წერისა და შესაბამისი ქვეუნარების - კატეგორიზაციის, დამახსოვრების და სხვ.) განვითარებაზე მუშაობისას გამოიყენება ერთი და იგივე ენობრივი მასალა, რაც აადვილებს მის ათვისებას;
- უნარების ათვისებისა და განმტკიცების ფაზებისათვის გათვალისწინებულია მრავალფეროვანი აქტივობები;
- თითოეული თემატური ერთეულის ბოლოს მოსწავლისათვის შეთავაზებულია პროექტი, რომლის განხორციელებისას ან პრეზენტაციისას იგი ნასწავლ ენობრივ მასალას გამოიყენებს;
- თემატურ ერთეულებს შორის გაბმულია შინაარსობრივი ხიდები: ყოველ მომდევნო თემატურ ერთეულში გადადის წინა ერთეულის ენობრივი მასალაც. ამგვარად, ენის სწავლება სპირალური პროგრესიის გზით მიდის: ახალი თემატური ერთეული ემსახურება არა მარტო ახალი მასალის ათვისებას, არამედ ძველის განმტკიცებასაც.
- ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება და თითოეული მოსწავლის წინსვლის ხელშეწყობა

მოსწავლეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გონებრივი და ფსიქო-ემოციური წყობით, ცხოვრებისეული გამოცდილებით, ინტერესთა სფეროთი, მიდრეკილებებით, აზროვნების სტილით, ათვისების რიტმით, სასწავლო პროფილით. იმისათვის, რომ თითოეულ მოსწავლეს მიეცეს განვითარების თანაბარი შესაძლებლობა, სახელმძღვანელო მათ სთავაზობს მრავალფეროვან აქტივობათა ფართო სპექტრს. თითოეული უნარის განმავითარებელ აქტივობათა ნაკრები სხვადასხვა სირთულის სავარჯიშოებისაგან შედგება და იძლევა დიფერენცირებული სწავლების საშუალებას. მასწავლებლის წიგნი მასწავლებელს სთავაზობს რჩევებს დიფერენცირებული სწავლების ხელშესაწყობად.

---

1 მეთოდი და მეთოდოლოგია - ჩვენს სახელმძღვანელოში ტერმინი „მეთოდი“ აღნიშნავს სწავლების კონკრეტული ტექნიკებისა თუ ხერხების ერთობლიობას, რომლის მიზანია, გამოიწვიოს მოსწავლეში კონკრეტული ქცევა ან კონკრეტული აქტივობა. მაგ., აქტიური მეთოდი გულისხმობს ყველა ხერხს, რომელსაც მასწავლებელი გამოიყენებს მოსწავლეთა ყურადღებისა და ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით; მეთოდოლოგია კი გულისხმობს მეთოდებისა და მიდგომების მწყობრ მთლიანობას, რომელიც წარმოშობს კონკრეტულ და ორიგინალურ სასწავლო კურსს.

მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და ადრეულ ასაკში ენის სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით, სახელმძღვანელოს სერიის სხვადასხვა დონეზე დიდაქტიკური პრიორიტეტები განსხვავებულადაა განაწილებული.

ცხრილის სახით წარმოვადგენთ I დონის დიდაქტიკური პრიორიტეტების განაწილებას **5-6 წლის ასაკის მოსწავლეთათვის** განკუთვნილ წინასაანბანო და ორად გაყოფილ საანბანო პერიოდში. მუქი ფერით პრიორიტეტები აღინიშნება:

**ცხრილი 1.**

| **დიდაქტიკური პრიორიტეტები** | I პერიოდი სწავლების პირველი სამი თვე | II პერიოდი სწავლების მეოთხე-მეექვსე თვეები | III პერიოდი სწავლების მეექვსე თვიდან |
|---|---|---|---|
| *მოსმენა - ზეპირმეტყველება* | | | |
| ფონეტიკური უნარები | | | |
| მოსმენა-ამოცნობა - გაგება | | | |
| მოსმენა-გააზრება | | | |
| ფონოლოგიური უნარები | | | |
| რეპროდუცირება, ლექსიკური მარაგის გაზრდა-გამდიდრება | | | |
| კითხვებზე რეაგირება, მოკლე პასუხი | | | |
| მარტივი ინტერაქცია | | | |
| მონოლოგური მეტყველება | | | |
| *კითხვა- წერა* | | | |
| ასო-ბგერითი მიმართებები (აგრეთვე მიმართებები გრაფიკულ და აკუსტიკურ ხატებს შორის) | | | |
| სიტყვის ორთოგრაფიული ხატის ამოცნობა, ასოების გამონაწევრება | | | |
| სიტყვების, მოკლე წინადადებების გაშიფვრა-წაკითხვა | | | |
| კითხვის მოქნილობა | | | |
| კითხვა-გაგება | | | |
| კითხვა - გააზრება -გაანალიზება | | | |
| ნატიფი მოტორიკა | | | |
| ბადიანი რვეულის სივრცითი მიმართებები | | | |
| ასოების წერა | | | |
| სიტყვების გამოწერა, წინადადებების გადაწერა | | | |
| ტექსტების შედგენა | | | |

**ცხრილი 2.**
ენის ფლობის პირველ დონეზე დიდაქტიკური პრიორიტეტები განსხვავებულადაა განაწილებული დაწყებითი საფეხურის 7 წლისა და 7 წელზე უფროსი ასაკის მოსწავლეთათვის. მუქი ფერით პრიორიტეტები აღინიშნება:

| **დიდაქტიკური პრიორიტეტები** | I პერიოდი სწავლების პირველი სამი თვე | II პერიოდი სწავლების მეოთხე-მეექვსე თვეები |
|---|---|---|
| *მოსმენა - ზეპირმეტყველება* | | |
| ფონეტიკური უნარები | | |
| მოსმენა-ამოცნობა - გაგება | | |
| მოსმენა-გააზრება | | |
| ფონოლოგიური უნარები | | |
| რეპროდუცირება, ლექსიკური მარაგის გაზრდა-გამდიდრება | | |
| კითხვებზე რეაგირება, მოკლე პასუხი | | |
| მარტივი ინტერაქცია | | |
| მონოლოგური მეტყველება | | |
| ასო-ბგერითი მიმართებები (აგრეთვე მიმართებები გრაფიკულ და აკუსტიკურ ხატებს შორის) | | |
| სიტყვის ორთოგრაფიული ხატის ამოცნობა, ასოების გამონაწევრება | | |
| სიტყვების, მოკლე წინადადებების გაშიფვრა-წაკითხვა | | |
| კითხვის მოქნილობა | | |
| კითხვა-გაგება | | |
| კითხვა - გააზრება -გაანალიზება | | |
| ნატიფი მოტორიკა | | |
| ბადიანი რვეულის სივრცითი მიმართებები | | |
| ასოების წერა | | |
| სიტყვების გამოწერა, წინადადებების გადაწერა | | |
| ტექსტების შედგენა | | |

I დონის სახელმძღვანელოში ენის ათვისების მთავარ არხს მოსმენა წარმოადგენს. მეთოდიკური აპარატი და სასწავლო მასალა მიმართულია შემდეგი უნარების განვითარებისაკენ:

**მოსმენა და ზეპირი მეტყველება**

- **ფონეტიკური უნარები** - ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბგერების აღქმისა და გამოთქმის უნარი; სმენის გამახვილება სპეციფიკურ ბგერებზე აუცილებელია გაგების უნარისა და სწორი გამოთქმის ჩამოსაყალიბებლად; საშუალებები - კონკრეტული ფონეტიკური სავარჯიშოები, მრავალფეროვანი აუდიო- და ვიდეოჩანაწერები (ენის გასატეხები, სიმღერები, ლექსები, დიალოგები და სხვა);
- **ფონოლოგიური უნარ-ჩვევები** - სიტყვის ხმოვანი ხატის მარცვლებად და ბგერებად დაშლა (ანალიზი) და პირიქით, ბგერებისა და მარცვლების სიტყვებად გამთლიანება (სინთეზი), ზეპირი მარცვლებითა და ბგერებით ოპერირება. ამ უნარის განვითარებას სწავლების პირველი თვიდანვე განსაკუთრებული ადგილი ეთმობა, რადგან იგი ეფექტურად ამზადებს მოსწავლეს კითხვის უნარის დასაუფლებლად. მოსწავლე ფონოლოგიური სავარჯიშოების წყალობით აცნობიერებს, რა არის ბგერა - ეს უხილავი აკუსტიკური ერთეული. უფროსებს ხშირად ავიწყდებათ, რომ ბავშვები ზეპირ ტექსტს აღიქვამენ, როგორც უწყვეტ სიტყვიერ ნაკადს. ისინი ვერ აცნობიერებენ, რომ ზეპირი ტექსტი შედგება წინადადებებისაგან, წინადადებები - სიტყვებისაგან, სიტყვები - მარცვლებისაგან, მარცვლები კი - უმცირესი ერთეულებისაგან, ბგერებისაგან. მოსწავლე, რომელმაც ბგერა არ იცის, ვერ გაიგებს ასოს არსს - ასო ხომ ბგერას გამოხატავს! ამდენად, სწავლების პირველ თვეებში ფონოლოგიური უნარების განვითარება ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

**შენიშვნა:** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფონოლოგიური უნარების განვითარებაზე მუშაობა მიმდინარეობს მხოლოდ პირველკლასელებთან.

- **გაგება - ამოცნობა** - სიტყვიერ ჯაჭვში ნასწავლი სიტყვების, გამოთქმების, მოკლე წინადადებების გარჩევა-გაგების უნარი; მიკროტექსტების, მასწავლებლის ინსტრუქციებისა და მითითებების გაგების უნარი;
- **რეპროდუცირება** - მოსმენილის გამეორების ან ზეპირად თქმის უნარი. აღსანიშნავია, რომ პატარებს იზიდავთ და ძალიან მოსწონთ ბგერებთან თამაში. ისინი ყველაფერს ხალისით იმეორებენ, მიუხედავად იმისა, იგებენ თუ არა შინაარსს. დაზეპირებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სწავლების ამ საფეხურზე, რამდენადაც იგი ხელს უწყობს როგორც სწორი გამოთქმის ჩამოყალიბებას, ასევე ლექსიკური მარაგის შეძენას-გამდიდრებასა და სემანტიკური მეხსიერების გამდიდრებას, რაც მეტყველების განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. ამას გარდა, ლექსების, სიმღერების, ზღაპრების, გათვლების დაზეპირებისას მოსწავლის მეხსიერებაში ილექება რიტმული სეგმენტები, რომლებსაც მოსწავლე შემდგომში გაუცნობიერებლად დაეყრდნობა, როგორც ყალიბს და გამოიყენებს ასამეტყველებლად.

## ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲐ

**I პერიოდი** გრძელდება სამ თვეს. ამ პერიოდში მეთოდიკური აპარატი შემდეგი უნარების განვითარებისკენ არის მიმართული:

- **ასო-ბგერითი მიმართებების გაცნობიერება** - მოსწავლე შემოთავაზებული სავარჯიშოების წყალობით აცნობიერებს, რომ ასო უხილავი ბგერის ხილული ნიშანია და ადვილად იგებს ანბანურ პრინციპს.
- **მთლიანი სიტყვების კითხვა** - მთლიანი სიტყვების ამოცნობა კითხვის სწავლების ერთ-ერთი <u>შემამზადებელი აქტივობაა.</u> ეს მეთოდი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მეორე ენის ადრეულ ასაკში სწავლებისას. ამ დროს მოზარდების მთელი ძალისხმევა მიმართულია ახალი ენობრივი სამყაროს შეცნობისკენ - უცნობი ბგერების, სიტყვების, წინადადების აღქმა-გაგებისა თუ წარმოებისაკენ, ლექსიკური მარაგის ათვისებისაკენ. უმართებულო იქნება, ორმაგი ძალისხმევა მოვთხოვოთ მოსწავლეებს და იმთავითვე გაშიფვრასთან დაკავშირებული სიძნელეების წინაშე დავაყენოთ ისინი. მთლიანობითი მეთოდის გამოყენებით, მოსწავლე ვიზუალურად იმახსოვრებს სიტყვის ორთოგრაფიულ ხატს და განსაკუთრებული ძალდატანების გარეშე, ე.წ. პირდაპირი გზით ამოიცნობს მის მნიშვნელობას. მთლიანობითი მეთოდი ინტენსიურად გამოიყენება „პირველ ნაბიჯებში". იგი ხელს უწყობს მხედველობითი მეხსიერების განვითარებას და ხედვითი აღქმის გაუმჯობესებას. მოსწავლე თანდათანობით გამოანაწევრებს ასოებს მთელი სიტყვიდან, რომელსაც დაუნაწევრებელად, დიფუზიურად აღიქვამს. წიგნის ბოლოს მოცემულია მასალა, რომლითაც მასწავლებელი მოამზადებს მთლიანობითი მეთოდის გამოსაყენებლად საჭირო საკითხავი სიტყვების ბარათებს.
- **ნატიფი მოტორიკის განვითარება.**

**II პერიოდს** სწავლების მეოთხე და მეხუთე თვეები განეკუთვნება. ამ პერიოდში მეთოდიკური აპარატი შემდეგი უნარების განვითარებისკენ არის მიმართული:

1. **ანბანის სწავლება**
2. **სიტყვის ორთოგრაფიული ხატის ანალიზი და სინთეზი -** სიტყვის ასოებად დაშლისა და ასოების სიტყვებად გამთლიანების უნარი. ამ უნარის გამოყენება წერა-კითხვის პროცესში მუდმივად უწევს მოსწავლეს, ამიტომ სწავლების მეორე პერიოდში მის გავარჯიშებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.
1. **სიტყვების, მოკლე წინადადებების გაშიფვრა** - ნაწერი სიტყვის (ორთოგრაფიული ხატის) ხმოვან ხატად გარდაქმნა/კონვერტირება. ეს არის მრავალსაფეხურიანი აქტივობა, რომელიც დიდ სიძნელეს უქმნის ახალბედა მკითხველს, მით უფრო ხუთწლიანს. გაშიფვრის დროს თვალი აღიქვამს ჯერ ერთ ასოს, აკავშირებს მას ბგერასთან, რომელსაც ვოკალური სიმები ახმოვანებს, იმახსოვრებს ბგერას, გადადის მომდევნო ასოზე, აკავშირებს მას კვლავ ბგერასთან და, საბოლოოდ, დამახსოვრებულ ბგერებს ამთლიანებს სიტყვად (ამიტომ არის მნიშვნელოვანი წინმსწრებად ფონოლოგიურ უნარებზე, განსაკუთრებით კი ბგერების გამთლიანებაზე მუშაობა). ხშირად ისეც ხდება, რომ სანამ მოსწავლე სიტყვას ბოლომდე ამოიკითხავს, მისი ხანმოკლე მეხსიერება ვერ უძლებს დატვირთვას, ვეღარ იტევს მანამდე დამახსოვრებულს და წაკითხულს „შლის“ ცნობიერებიდან. ამიტომ არის, რომ ახალბედა მკითხველი ხშირად ვერ ამბობს, რა წაიკითხა — მისი გონება მთლიანადაა დაკავებული ასოების ბგერებთან დაკავშირებითა და დამახსოვრებით, ანუ ნაწერის გახმოვანებით; ამდენად, იგი აზრს ვერ ატანს იმას, რასაც კითხულობს. როგორც ვთქვით, გაშიფვრა არის ის აქტივობა, რომელიც ყველაზე დიდ სიძნელეს წარმოადგენს ხუთ-ექვსწლიანებისათვის. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი მათგანი ნევროლოგიურად არც არის საკმარისად მომწიფებული იმისთვის, რომ თვალის მოძრაობა დაიმორჩილოს და ამგვარი ამოცანები დაძლიოს. ამის გათვალისწინებით, გაშიფვრაზე მუშაობას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ: ვინც ამგვარი აქტივობისათვის ჯერ არ არის საკმარისად მომწიფებული, მას უნდა ვაცადოთ მომწიფება და მოგვიანებით შევთავაზოთ გაშიფვრაზე სისტემური ვარჯიში. ამდენად, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ფიზიოლოგიური თავისებურებები და კითხვის სწავლებისას ყველას თანაბარი მოთხოვნები არ უნდა წაუყენოს. ამგვარი დიფერენცირებული მიდგომით ყველა მოსწავლეს მიეცემა საშუალება, ბუნებრივი რიტმის მიხედვით განავითაროს კითხვის უნარი. ნაადრევი ძალდატანება და აჩქარება ძალიან ცუდ შედეგებს გამოიღებს - მოსწავლეები ფსიქოლოგიურად დაბრკოლდებიან და შეიძლება კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეძლონ გამართულად კითხვა.
ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, გაშიფვრაზე მუშაობას მოგვიანებით, სწავლების დაწყებიდან 3 თვის შემდეგ ვიწყებთ აუჩქარებელი ტემპით. მეორე-მეოთხეკლასელებთან მასწავლებელს შეუძლია დამატებითი საკითხავი მასალის გამოყენებაც.

3. **ბადიან რვეულში ორიენტირება, სივრცითი მიმართებების გააზრება** (შუა, ზედა/ქვედა); **ასოების ნაწილების გააზრება (რკალი, რგოლი, სწორი ხაზი, სხვ.);** ესეც პირველკლასელებისთვისაა გამიზნული.
4. **ასოების გამოწერა -** მოსწავლეები სწავლობენ ასოების გამოწერას. ამისთვის მათ მნიშვნელოვანი საყრდენი აქვთ მოსწავლის რვეულში - ესაა, კერძოდ, წერტილოვანი მოხაზულობები, რომელსაც მიჰყვება მისი ხელის მოძრაობა. მეორე-მეოთხეკლასელებისთვის მასწავლებელი დამატებით გამოიყენებს ჩვეულებრივ რვეულებს, რომლებშიც ასოებს, სიტყვებსა და წინადადებებს გამოაწერინებს მოსწავლეებს.

**III პერიოდი:** გრძელდება სამ თვეს. ამ პერიოდში მეთოდიკური აპარატი შემდეგი უნარების განვითარებისკენ არის მიმართული:

- პირველკლასელებისათვის მესამე პერიოდი იწყება სწავლების მე-6 თვიდან; გრძელდება საანბანო პერიოდი და წინა პერიოდში გათვალისწინებული უნარების განვითარებაზე მუშაობა. ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ ამ პერიოდიდან მოსწავლეები წერას იწყებენ.

ლექსიკური სავარჯიშოები

ლექსიკური ერთეულების ეფექტურად სწავლებისათვის აუცილებელია, დავიცვათ ფაზების თანამიმდევრობა. აღქმა-გაგების ფაზას (პირველი ფაზა) უნდა მოსდევდეს რეპროდუცირების ფაზა (მეორე ფაზა). ფაზების თანამიმდევრობის დაცვა ხელს შეუწყობს როგორც გაგების, ისე დამახსოვრებისა და გამოთქმის უნარების გაუმჯობესებას. სახელმძღვანელოში შეთავაზებულ აქტივობებში ფაზების თანამიმდევრობა დაცულია.

**შენიშვნა:** *ქვემოთ წარმოდგენილი სავარჯიშოების შესასრულებლად გამოიყენეთ წიგნის ბოლოს წარმოდგენილი სურათები.*

1. **მოსმენა და განსახიერება (მოსმენა-გაგების ფაზა) -** მოსწავლე ისმენს და მიმიკა-ჟესტიკულაციით განასახიერებს დასახელებულ საგანს, სუბიექტს, მოქმედებას.
   - I ეტაპი - განასახიერებთ შესასწავლ საგანს, ქმედებას, სუბიექტს და ასახელებთ მას;
   - II ეტაპი - ასახელებთ და განასახიერებთ საგანს მოსწავლეებთან ერთად;
   - III ეტაპი - ასახელებთ ჯერ თანამიმდევრულად, შემდეგ არეული თანამიმდევრობით; მოსწავლეები ისმენენ და განასახიერებენ სათანადო საგანს, სუბიექტს, მოქმედებას;
   - IV ეტაპი - ყველანი ერთად იმეორებთ ახალ ლექსიკურ ერთეულებს.

2. **მოსმენა და შესაბამისი სურათების მითითება (მოსმენა-გაგების ფაზა).**
   - I ეტაპი - მოსწავლეებს აჩვენებთ გაკრულ სურათებს; ასახელებთ სურათებზე გამოსახულ საგნებსა ან პერსონაჟებს. ჩვენება-დასახელებას გაიმეორებთ ორჯერ ან სამჯერ;
   - II ეტაპი - ასახელებთ სურათებზე გამოხატულ საგნებს ან პერსონაჟებს ჯერ თანამიმდევრულად, შემდეგ არეული თანამიმდევრობით. მოსწავლეებმა უნდა მიუთითონ სათანადო სურათებზე;
   - III ეტაპი - **შეტრიალებული სურათები** - გაკრულ სურათებს კედლისკენ/დაფისკენ შეატრიალებთ თანამიმდევრობის დაცვით; ასახელებთ სურათებზე გამოხატულ საგნებს ან პერსონაჟებს. ვიზუალურ მეხსიერებაზე დაყრდნობით, მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ და მიუთითონ, რომელია დასახელებული სიტყვის შესაბამისი სურათი;
   - IV ეტაპი - ყველანი ერთად იმეორებთ ახალ ლექსიკურ ერთეულებს.

3. **მოსმენა და შესაბამისი რეალური საგნების მითითება (მოსმენა-გაგების ფაზა)**
   - **I ეტაპი** - მოსწავლეებს აჩვენებთ საგნებს/ნივთებს და წარმოთქვამთ მათ სახელებს. ჩვენება-დასახელებას გაიმეორებთ ორჯერ-სამჯერ.
   - **II ეტაპი** - დებთ საგნებს მოსწავლეთათვის დასანახ ადგილზე. წარმოთქვამთ საგნების სახელებს ჯერ თანამიმდევრულად, შემდეგ არეული თანამიმდევრობით. მოსწავლეებმა უნდა მიუთითონ სათანადო საგანზე.
   - **III ეტაპი** - ყველანი ერთად იმეორებთ ახალ ლექსიკურ ერთეულებს.

4. **სურათი და ნომერი (მოსმენა-გაგების ფაზა)**
   - **I ეტაპი** - დანომრეთ ნახატები და გააკარით კლასში. მიუთითეთ მოსწავლეებს თითოეულ ნახატზე; დაასახელეთ რიგრიგობით მათზე გამოხატული საგნების აღმნიშვნელი სიტყვები და მათი ნომრები.
   - **II ეტაპი** - ნომრისა და სურათის დაკავშირება: აქტივობის პირველად შესრულების დროს მოსწავლეებს აუცილებლად უნდა გააგებინოთ ნომრისა და სურათის შესაბამისობა. ამისთვის მათ მიუთითებთ თითოეულ სურათზე და იკითხავთ: *"ეს რომელი ნომერია?"*, იქვე უჩვენებთ შესაბამის ციფრს და დაასახელებთ მას. ასე იმოქმედებთ მანამდე, სანამ მოსწავლეები თვითონ არ დაასახელებენ შესაბამის ციფრს.
   - **III ეტაპი** - სურათებზე მითითების გარეშე დაასახელეთ სიტყვები ჯერ სათანადო თანამიმდევრობით, შემდეგ არეული თანამიმდევრობით. მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ შესაბამისი ნომერი (ამ აქტივობის გამოყენება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსწავლეები აითვისებენ რიცხვების სახელწოდებებს).
   - **IV ეტაპი - ნომერი სურათის გარეშე** მოაცილეთ მოსწავლეთა მხედველობის არეს სურათები და დატოვეთ მხოლოდ ნომრები. დაასახელეთ სიტყვები; ვიზუალურ მეხსიერებაზე დაყრდნობით, მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ შესაბამისი ნომერი.

5. **მიმიკა-ჟესტიკულაციით განსახიერებული სიტყვის ამოცნობა და დასახელება (რეპროდუცირების ფაზა)** - ერთ-ერთი მოსწავლე ან თავად მასწავლებელი განასახიერებს საგანს/მოქმედებას/პერსონაჟს; მოსწავლეები ამოიცნობენ და ასახელებენ, ვინ ან რა იყო განსახიერებული.
6. **მცდარი მოძრაობა (მოსმენა-გაგების ფაზა)** - ასახელებთ ლექსიკურ ერთეულებს შესაბამისი მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენებით; მოსწავლეები თქვენთან ერთად იმეორებენ ჟესტიკულაციას. თქვენ შიგადაშიგ არასწორად განასახიერებთ დასახელებულ სიტყვას, მოსწავლეებმა არ უნდა გაიმეორონ მცდარი მოძრაობა.
7. **მითითებული სურათის ან საგნის დასახელება (რეპროდუცირების ფაზა)** - მოსწავლეებს მიუთითებთ სურათებსა ან კლასში არსებულ საგნებზე, ისინი ასახელებენ შესაბამის ლექსიკურ ერთეულებს. ბოლოს ყველანი ერთად ასახელებთ შესწავლილ სიტყვებს.
8. **თამაში "რა აკლია?" (რეპროდუცირების ფაზა)** - მაგიდაზე გაშლილია შესწავლილი ლექსიკის ამსახველი სურათები ან საგნები/ნივთები, რომელთა სახელები მოსწავლეთათვის ნაცნობია. რამდენიმე მოსწავლე გამოდის, აკვირდება მათ და გადის კლასიდან. თქვენ გადამალავთ ერთ-ორ ნივთს/სურათს. მოსწავლეები ბრუნდებიან, კვლავ აკვირდებიან მაგიდაზე გაშლილ ნივთებს/სურათებს და ამბობენ, რა ნივთები/სურათები აკლია. ეს აქტივობა შეიძლება გადათამაშდეს აგრეთვე წყვილებში და ჯგუფებში.
9. **დასახელებული ნომრის შესაბამისი სიტყვის დასახელება (რეპროდუცირების ფაზა)**
   - ასახელებთ გამოკრული სურათების შესაბამის ნომრებს; მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ სათანადო სურათზე გამოხატული საგანი. ბოლოს ყველანი ერთად ასახელებთ სიტყვებს.
   - ასახელებთ სიტყვას და ნომერს. ნომერი ხან შეესაბამება სიტყვას, ხან არა. მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, სწორია თუ არა თქვენი ნათქვამი. თუ ნათქვამი არასწორია, მათ უნდა თქვან თქვენ მიერ დასახელებული სიტყვის შესაბამისი სურათის ნომერი.

10. **თამაში "რა არის?"** - მოსწავლეებს აჩვენებთ რომელიმე საგნის/ნივთის ან სურათის მხოლოდ ერთ ნაწილს. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ და დაასახელონ, რა საგანი/სურათი აჩვენეთ მათ.
11. **თამაში „რა არის დამალული?"** — მოსწავლეებს დაუმალავთ რაიმე სურათს, რომელზედაც გამოსახულია ნასწავლი ლექსიკური ერთეული (შეიძლება ეს იყოს ნივთი, რომლის სახელი მოსწავლეთათვის ნაცნობია). თქვენი მინიშნებების საფუძველზე, მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ შესაბამისი სიტყვა. შეიძლება ამ აქტივობას ერთგვარი გუნდური შეჯიბრის სახე მივცეთ: ერთი გუნდი მალავს სურათს, მეორე უნდა შეეცადოს დამალულის ამოცნობას (სამი-ოთხი მცდელობით). ამოცნობის შემთხვევაში როლები შეიცვლება - გუნდი, რომელმაც ამოიცნო დამალული, თვითონ დამალავს რომელიმე სურათს და ა.შ.
12. **თამაში "სწორია თუ არა?"** - მოსწავლეებს აჩვენებთ სურათებს ან ნივთებს; ამბობთ ხან ამ სურათებზე გამოსახული საგნის/ნივთის აღმნიშვნელ სიტყვას, ხან სხვა სიტყვას (მაგ., აჩვენებთ ვაშლის სურათს, ამბობთ "ბალი". ცხადია, მცდარი სიტყვაც მოსწავლეებისთვის ნაცნობი ლექსიკური ერთეულებიდან უნდა შეირჩეს). მოსწავლე უნდა მიხვდეს, სწორია თუ არა დასახელებული სიტყვა (შეესაბამება თუ არა იგი სურათს) და განიშნოთ ჟესტიკულაციით ან თქვას "კი/არა".
13. **თამაში „სკამები წრეზე"** - თამაშის მონაწილეები სხედან წრიულად განლაგებულ სკამებზე. თუ 12 მონაწილეა, მაშინ დგას 11 სკამი. ერთ-ერთი მონაწილე წრის შუაში დგება. მონაწილეებს დარიგებული აქვთ ნასწავლი ლექსიკის შესაბამისი სურათები ან საგნები, რომელთა სახელწოდებები მათთვის ნაცნობია. მოსწავლეთა ერთ სამეულს ან ოთხეულს ერთი და იგივე სურათები/საგნები უნდა დაურიგდეს, მეორე სამეულს/ოთხეულს - მეორეგვარი და ა.შ. წრეში მსხდომებს საგნები/სურათები ისე უნდა ეჭიროთ, რომ შუაში მდგომი მოსწავლე ხედავდეს მათ. შუაში მდგომი მოსწავლე ასახელებს რომელიმე საგანს. მონაწილეები, რომლებსაც აქვთ დასახელებული საგნები ან ამ საგნების სურათები, ერთმანეთს ადგილებს უცვლიან; ამ დროს შუაში მდგომი მონაწილეც შეეცდება დაჯდომას. ის მოსწავლე, ვინც სკამის გარეშე დარჩება, თამაშის წამყვანი ხდება.

**სავარჯიშოები ინსტრუქციების დამახსოვრების ხელშესაწყობად**

14. მოსწავლე ასრულებს ან განასახიერებს ინსტრუქციებს
   - I ეტაპი - წარმოთქვამთ ორ ან სამ ინსტრუქციას, თან განასახირებთ მათ სათანადო ქმედების ან ჟესტ-მიმიკის გამოყენებით (მაგ., "დაიხურე ქუდი", "ადექი/დაჯექი", "აიღე წიგნი" და მისთ.). მოსწავლეები თქვენთან ერთად განასახიერებენ ინსტრუქციებს. რამდენჯერმე გაიმეორეთ ეს ინსტრუქციები და მათი შესაბამისი ქმედებები თუ ჟესტ-მიმიკები;
   - II ეტაპი - წარმოთქვამთ ინსტრუქციებს არეული თანამიმდევრობით. მოსწავლეები

ასრულებენ ან განასახიერებენ მათ სათანადო ქმედების ან ჟესტ-მიმიკის გამოყენებით;
- Ⅲ ეტაპი - აჩქარებთ ინსტრუქციების მონაცვლეობის ტემპს;
- Ⅳ ეტაპი - ართულებთ სავარჯიშოს ინსტრუქციების შინაარსის განვრცობით (”აიღე წიგნი და რვეული”; ”ახლა დადე რვეული და აიღე ფანქარი” (მოსწავლემ წიგნი არ უნდა დადოს).

**15. თამაში ”ყურადღებით იყავი!”** - - ასახელებთ ლექსიკურ ერთეულებს შესაბამისი მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენებით, მოსწავლეები თქვენთან ერთად იმეორებენ ჟესტიკულაციას. შიგადაშიგ დასახელებულ სიტყვას არასწორად განასახიერებთ, მოსწავლეებმა არ უნდა გაიმეორონ მცდარი მოძრაობები.

**სავარჯიშოები ლექსის დასაზეპირებლად**

16. ლექსის მოსმენა - განსახიერება და წარმოთქმა მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენებით
- ლექსს ამბობთ სათანადო მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენებით, მოსწავლეები ისმენენ და იმეორებენ იმავე მიმიკა-ჟესტიკულაციას;
- ლექსს ამბობთ მიმიკა-ჟესტიკულაციის გარეშე, მოსწავლეები ლექსის მოსმენისას იყენებენ სათანადო მიმიკა-ჟესტიკულაციას;
- მოსწავლეები ლექსს ამბობენ მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენებით.

17. ლექსის თქმა მონაცვლეობით, ტემბრისა და ტემპის ცვლით:
- კლასი გაყავით ორ ჯგუფად. ლექსის მონაკვეთი სხვადახვა ვარიაციით ათქმევინეთ ჯერ ერთ ჯგუფს, შემდეგ მეორეს (ეს ბავშვებს ძალიან ახალისებს):
  - ხმის ტემბრის დაბოხებით ან დაწვრილებით;
  - ჩურჩულით, ხმამაღლა;
  - ნელი/ჩქარი ტემპით;
- ამბობთ სტრიქონის დასაწყისს, მოსწავლე ასრულებს სტრიქონს/ლექსს;
- ბოლოს ყველა ერთად იმეორებს ლექსს.

**აქტივობები განტვირთვისათვის**

**18. თამაში „მანქანები”** - ყველა წინ გაიწვდენს ხელებს და “პი-პი”-ს ძახილით იწყებს მოძრაობას ოთახში. თამაშის წამყვანი ხმამაღლა წარმოთქვამს რაიმე ციფრს, რის შემდეგაც მონაწილეები უნდა გაერთიანდნენ დასახელებული ციფრის შესაბამისი რაოდენობის ჯგუფებში (მაგ., თუ დასახელდა *სამი*, მოსწავლეები დაჯგუფდებიან სამ-სამად). წამყვანიც ცდილობს, მოხვდეს რომელიმე ჯგუფში. ვინც ვერ მოასწრებს ჯგუფში მოხვედრას და მარტო დარჩება, წამყვანი ხდება. თამაშის ახალი წამყვანი ასახელებს ახალ ციფრს, იქმნება ახალი ჯგუფები და ა.შ.

**19. თამაში „გაიმეორე ჩემი მოძრაობა”** - მოსწავლეები ქმნიან წრეს. ერთ-ერთი ამბობს თავის სახელს და ასრულებს გარკვეულ მოძრაობას. შემდეგი მონაწილე იმეორებს მის სახელს, შესაბამის მოძრაობას, შემდეგ ამატებს თავის სახელსა და თავის მოძრაობას. ყოველ მესამე მონაწილეზე მთელი ჯგუფი იმეორებს ყველა წარმოთქმულ სახელსა და სათანადო მოძრაობას.

**შენიშვნა:** თუ არ იცით მოსწავლეთა მშობლიური ენა, ამგვარად გააგებინეთ მათ: ჯერ ერთ მოსწავლესთან მიხვალთ, იტყვით მის სახელს და შეასრულებთ მასთან ერთად გარკვეულ მოძრაობას; შემდეგ მეორესთან მიხვალთ, იტყვით პირველი მოსწავლის სახელს, შეასრულებთ წინა მოსწავლის მოძრაობას და დაამატებთ მეორე მოსწავლის სახელსა და ახალ მოძრაობას; იმავეს გააკეთებთ მესამე მოსწავლესთან ერთად. ამის შემდეგ წრეში მდგომ მოსწავლეებს გაამეორებინებთ სამივე მოძრაობასა და სახელს. მოსწავლეები გააგრძელებენ თამაშს იმავე პრინციპით.

**20. თამაში „ზღაპრული რბოლა”** - **თამაშის მსვლელობის დროს ყველა მოსწავლე მორიგეობით გარ**დაისახება თქვენ მიერ დასახელებულ ნაცნობ პერსონაჟად, ცხოველად, ფრინველად. იმისთვის, რომ განისაზღვროს რბოლის მარშრუტი, ორი სკამი უნდა დაიდგას ერთმანეთისგან 4-7 მეტრის დაშორებით. თამაშის წამყვანი, რომელიც ბავშვების მწკრივს ჩაუდგება სათავეში, წავა ერთი სკამიდან მეორისკენ, შემოუვლის მას და ისევ პირველი სკამისკენ გაემართება. ბავშვები მოძრაობენ არა პირდაპირ, არამედ “რვიანების” სახით, მიხვეულ-მოხვეულად, რათა გვერდი აუარონ ორივე სკამს. თავდაპირველად ყველა მონაწილე ჩვეულებრივი ნაბიჯებით დადის. საჭიროა ყურადღებით ყოფნა და მასწავლებლის ბრძანების მოსმენა, რადგან მისი მითითების შესაბამისად, მოთამაშეებმა უნდა წარმოიდგინონ საკუთარი თავი იმ პერსონაჟად, რომლის სახელსაც მასწავლებელი წარმოთქვამს. პერსონაჟის დასახელების შემდეგ მოსწავლეებმა უნდა გააგრძელონ მოძრაობა “პერსონაჟის როლში” - ისე, როგორც დასახელებული პერსონაჟი ივლიდა. სასურველია, თქვენ თავად აჩვენოთ მოსწავლეებს, როგორ შეიძლება მათ იმოძრაონ პერსონაჟის განსახიერებისას.

| წამყვანის ბრძანებები | მოძრაობა |
|---|---|
| კურდღელი | თავთან მიტანილი თითები ყურების აღსანიშნავად, ხტუნვა სკუპ-სკუპით |
| დათვი ბაჯბაჯა | თავი დახრილია, ხელები მომრგვალებული, ფეხის ტერფები შეწეულია შიდა მხარეს, სიარული ბაჯბაჯით |
| კუ | ხელების გვერდზე ქნევა ნიჩბებივით, წინ წაგრძელებული თავი |
| ჟირაფი | სიარული მსუბუქი ნაბიჯებით, აწეული ცალი ხელის ნარნარად რხევით |
| ჩიტი | მსუბუქი სირბილი ფეხის წვერებზე, გაშლილი ხელების ფრთებისმაგვარი რხევით |
| დახტის ბაყაყი ყიყინა | ხელის თითები გაშლილია, თვალები - გაფართოებული, ხტუნვა წინ ან სიარული სხეულის მარჯვნივ - მარცხნივ მობრუნებით |

**ფონოლოგიური სავარჯიშოები**

*ყურადღება!*

- *ფონოლოგიური სავარჯიშოები ტარდება მხოლოდ და მხოლოდ ზეპირ სიტყვებზე, ზეპირ მარცვლებზე, ბგერებზე და არა ნაწერ სიტყვებსა და მარცვლებზე!!!*
- *ქვემოთ წარმოდგენილი სავარჯიშოების შესასრულებლად გამოიყენეთ წიგნის ბოლოს წარმოდგენილი სურათები.*

**სიტყვის დამარცვლა, მარცვლებად დაშლა**

21. **დამარცვლით ნათქვამი სახელების ამოცნობა**
    - **I ეტაპი** - გამოგყავთ სხვადასხვა სახელის მქონე სამი-ოთხი მოსწავლე. დამარცვლით ამბობთ ერთ-ერთის სახელს და კითხულობთ: *"ვინ არის?"* მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, ვისი სახელი დამარცვლეთ და გაამთლიანონ ეს სახელი;
    - **II ეტაპი** - მოსწავლეები მერხებს უსხედან. თქვენ დამარცვლით ამბობთ ერთ-ერთი მოსწავლის სახელს. მოსწავლემ, ვისი სახელიც დამარცვლეთ, უნდა ამოიცნოს საკუთარი სახელი.
22. **დამარცვლა - სურათის ამოცნობა** - დაფაზე ან კედელზე გააკრავთ ოთხ-ხუთ სურათს; დამარცვლავთ ერთ-ერთ სურათზე გამოხატული საგნის აღმნიშვნელ სიტყვას. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი სიტყვა დამარცვლეთ და გაამთლიანონ ეს სიტყვა.
23. **დამარცვლა - ტაშის დაკვრა** - გაკრულია სურათები. დამარცვლავთ ერთ-ერთ სურათზე გამოსახული საგნის აღმნიშვნელ სიტყვას და თითოეულ მარცვალზე უკრავთ ტაშს; შემდეგ იმავეს გაიმეორებთ მოსწავლეებთან ერთად.
24. **მარცვლების დათვლა** - მოსწავლეები ტაშის დაკვრით დამარცვლავენ საკუთარ სახელებს და ითვლიან მარცვლების რაოდენობას. თუ დათვლა გაუჭირდებათ, შექმენით სამკაციანი ჯგუფები. ჯგუფის ერთი წევრი დამარცვლავს სიტყვას, მეორე ტაშს უკრავს, მესამე ითვლის მარცვლების რაოდენობას (თუკი მოსწავლეებმა თვლა მხოლოდ სამის ფარგლებში იციან, მათ დაამარცვლინებთ მხოლოდ იმ სახელებს, რომელთა მარცვლების რაოდენობა სამს არ აღემატება. საერთოდ, სანამ მოსწავლეები ქართულად თვლას ისწავლიან, მარცვლების რაოდენობა მათ შეიძლება მშობლიურ ენაზე დაათვლევინოთ).
25. **თამაში "ვინ არის?"**- ჩაიფიქრებთ ერთ-ერთი მოსწავლის სახელს და იმდენჯერ დაუკრავთ ტაშს, რამდენი მარცვლისგანაც შედგება ჩაფიქრებული სახელი. ამის შემდეგ უნდა ადგეს/ადგნენ ის მოწავლე/ები, რომელთა სახელი/სახელები შესაბამისი რაოდენობის მარცვლებისგან შედგება. თქვენი დახმარებით, მოსწავლეები გადაამოწმებენ, სწორედ გამოიცნეს თუ არა ფეხზე წამომდგარმა თანაკლასელებმა ჩაფიქრებული სახელი, რისთვისაც დაითვლიან ფეხზე მდგარი მოსწავლეების სახელების მარცვლებს (მაგ., შო-თა, ლე-ი-ლა).
26. **სიტყვაში მარცვალთა რაოდენობის დათვლა სურათზე დაყრდნობით** - სურათზე დაყრდნობით, მოსწავლეები მარცვლავენ სიტყვას, ტაშს უკრავენ და ითვლიან (თუ დათვლა გაუჭირდებათ, შექმენით სამკაციანი ჯგუფები. ჯგუფის ერთი წევრი მარცვლავს სიტყვას, მეორე ტაშს უკრავს, მესამე მარცვლების რაოდენობას ითვლის). ამის შემდეგ დამარცვლით

წარმოთქვამთ იმავე სიტყვებს, შეყოვნდებით თითოეულ მარცვალზე და თან რკალის სახით გამოხატავთ მას დაფაზე (მაგ. ბურ - თი გამოიხატება ორი რკალით); თითი გააყოლეთ რკალებს და მოსწავლეებთან ერთად დაასახელეთ ამავე სიტყვის მარცვლები.

27. **სურათების დაჯგუფება შესაბამის ყუთებში მარცვალთა რაოდენობის მიხედვით** - მომზადებულია სამი ყუთი. I ყუთი გამიზნულია ერთმარცვლიანი სიტყვებისათვის, II - ორმაცვლიანებისთვის, III - სამმარცვლიანებისთვის. ეს ყუთები მოინიშნება მოსწავლეებისათვის გასაგები სიმბოლიკით (მაგ., ციფრებით "1, 2, 3", ან რკალების შესაბამისი რაოდენობით). მოსწავლეთა პატარა ჯგუფებს ურიგდებათ სურათები. ჯგუფების წევრებმა უნდა დამარცვლონ სიტყვები და მარცვალთა რაოდენობის მიხედვით ჩააწყონ სურათები შესაბამის ყუთებში. დასასრულ, ჩატარებული სამუშაოს შედეგებს ამოწმებთ მოსწავლეებთან ერთად.

**მარცვლების იდენტიფიცირება**

28. **მარცვლის ამოცნობა მარცვალთა ჩამონათვალში** - ასახელებთ სამოდელო მარცვალს (მაგ., *მა*-ს); გაამეორებინებთ მას მოსწავლეებს და ჟესტიკულაციის თანხლებით, გააგებინებთ, რომ მათ უნდა დაიმახსოვრონ ეს მარცვალი (ჟესტების ენით, „თავში უნდა ჩაიდონ"). შემდეგ ხმამაღლა გაიმეორებთ სამოდელო მარცვალს (*მა*-ს) და დაუკრავთ ტაშს.
    - **პირველი ეტაპი -** დაასახელებთ *მა* - სგან ძალზე განსხვავებულ მარცვლებს (მაგ., შო, კუ, ხო და სხვ.). ამ მარცვლების ხმამაღლა ჩამოთვლისას, გარკვეული პერიოდულობით, "ჩაურთეთ" სამოდელო მარცვალ (*მა*) და ყოველ ჯერზე ტაში დაუკარით;
    - **მეორე ეტაპი -** პერიოდულად შეცვალეთ სამოდელო მარცვალი (მაგ., შო, კუ და სხვ.); ყოველ ჯერზე, იმავე ჟესტიკულაციის გამოყენებით, გააგებინეთ მოსწავლეებს, რომ მათ ახლა ეს მარცვალი უნდა "ჩაიდონ თავში", რათა ამ უკანასკნელს შეადარონ სხვა ჩამოთვლილი მარცვლები. იმავე პრინციპით, მოსწავლეებმა ტაში უნდა დაუკრან მხოლოდ სამოდელო მარცვლის გაგონებისას;
    - **მესამე ეტაპი -** როცა მოსწავლეები კარგად აუღებენ ალღოს ამ აქტივობას, შეიძლება მისი გართულება სამოდელო მარცვლის ფონოლოგიურად მსგავსი მარცვლების ჩართვით (მაგ., კუ/ქუ, გუ; ჭი/ჯი, ჩი, ცი და სხვ.).

29. **სამოდელო მარცვლის შემცველ სიტყვათა დაჯგუფება** - მოსწავლეებს ეძლევათ/ურიგდებათ სურათები. მათ ყუთში უნდა ჩადონ მხოლოდ შეთავაზებული სამოდელო მარცვლის შესაბამისი სურათები.

**სიტყვების ტრანსფორმირება/გარდაქმნა მარცვლების დამატება-გამოკლება-განმეორებით**

30. **წესი 1. მარცვლის დამატება** - მოსწავლეებმა შეთავაზებულ სიტყვებს ყოველ ჯერზე უნდა დაუმატონ ერთი და იგივე სამოდელო მარცვალი (მაგ., კუ/ ბანანიკუ, ვაშლიკუ, კუკუ, ქუდიკუ, მზეკუ და სხვა).

31. **წესი 2. ბოლო მარცვლის გამეორება -** აწარმოეთ სიტყვები ბოლო მარცვლის დამატებით/ რედუპლიცირებით. (მაგ., ვაშლილი, ქუდიდი, ფისოსო, ქოლგაგა და სხვა). შემდეგ, ახალი სიტყვების გამოყენებით, იმავეს გაიმეორებთ მოსწავლეებთან ერთად. დასასრულ, დაასახელებთ სიტყვებს; მოსწავლეები იმავე წესის გამოყენებით (სიტყვის ბოლო მარცვლის გამეორებით) აწარმოებენ სიტყვებს.
    - **მეორე ეტაპი** - მოსწავლე იღებს სურათიან ბარათს (თანაკლასელებმა ბარათი არ უნდა დინახონ); სურათზე გამოსახული საგნის აღმნიშვნელ სიტყვას უმატებს მარცვალს. სხვებმა უნდა გამოიცნონ, რომელია ეს სიტყვა (სწორი ფორმით).

32. **წესი 3. პირველი მარცვლის გაუქმება/ჩამოცილება -**
    - **პირველი ეტაპი -** დაასახელებთ რომელიმე სიტყვას, შემდეგ ამბობთ იმავე სიტყვას პირველი მარცვლის გარეშე (მაგ., ზღარბი - ბი; ბიჭი - ჭი, დათო - თო, რეზო - ზო). შემდეგ რამდენიმე მაგალითს მოსწავლეებთან ერთად გააკეთებთ;
    - **მეორე ეტაპი -** დაასახელებთ სიტყვებს, რომლებიც იწყება ერთსა და იმავე მარცვალზე; მოსწავლეები ამ სიტყვებს "აჭრიან" პირველ მარცვალს (მაგ., ბა/ ბა-ნანი, ბა-ყაყი, ბა-ლი და სხვ.).

33. **წესი 4. ბოლო მარცვლის ჩამოცილება**
    - **პირველი ეტაპი -** დაასახელებთ სიტყვას, შემდეგ იტყვით იმავე სიტყვას ბოლო მარცვლის გარეშე (მაგ., ზღარბი - ზღარ; ბიჭი - ბი, დათო - და, რეზო - რე). რამდენიმე მაგალითს მოსწავლეებთან ერთად გააკეთებთ;

- **მეორე ეტაპი -** დაასახელებთ სიტყვებს, რომლებიც სრულდება ერთსა და იმავე მარცვალზე; მოსწავლეები ამ სიტყვებს "აჭრიან" ბოლო მარცვალს (მაგ., თი/ ბურ-თი, საა-თი, ერ-თი და სხვ.).

**34. წესი 5. მარცვლების გადანაცვლება**

- **პირველი ეტაპი -** დაასახელებთ ორმარცვლიან სიტყვას, შემდეგ ადგილებს შეუცვლით მარცვლებს (მაგ., ზღარბი - ბიზღარ; ბიჭი -ჭიბი, დათო - თოდა, რეზო - ზორე). რამდენიმე მაგალითს მოსწავლეებთან ერთად გააკეთებთ;
- **მეორე ეტაპი -** დაასახელებთ სიტყვებს, მოსწავლეები გადაანაცვლებენ მარცვლებს.

**ბგერების იდენტიფიცირება და ლოკალიზება**

**35. სურათების დახარისხება პირველი ბგერის (და არა მარცვლის) მიხედვით** - მოსწავლეებს დაურიგებთ სურათებს და შესთავაზებთ სამოდელო ბგერას. მათ უნდა შეარჩიონ ამ ბგერაზე დაწყებული სიტყვის შესაბამისი სურათი და ჩადონ იგი ყუთში, რომელიც სპეციალურად ამ მიზნითაა დადგმული. აქტივობის პრინციპის უკეთ გასაგებად სასურველია, მოსწავლეებმა აღნიშნული აქტივობა თავდაპირველად თქვენთან ერთად შეასრულონ.

**36. სიტყვაში პირველი ბგერის ამოცნობა**

- **პირველი ეტაპი -** დაასახელებთ სამოდელო ბგერას; ჟესტიკულაციის თანხლებით, გააგებინებთ მოსწავლეებს, რომ მათ ეს ბგერა „თავში უნდა ჩაიდონ"; დაასახელებთ სიტყვებს; მოსწავლეებმა ტაში უნდა დაუკრან სამოდელო მარცვალზე დაწყებული სიტყვის მოსმენისას. აქტივობის პრინციპის უკეთ გასაგებად სასურველია, მოსწავლეებმა აღნიშნული აქტივობა თავდაპირველად თქვენთან ერთად შეასრულონ (სამუშაო მასალა: მ/ მანქანა, მზე, კუ, მთა, მერცხალი, ტყე, მზე, სხვ.).

**შენიშვნა:** *სიტყვის წარმოთქმისას განსაკუთრებულად გამოკვეთეთ ბგერები. თუ რომელიმე მოსწავლეს უჭირს ბგერის გამორჩევა, გაამეორებინეთ მას სიტყვა პირველ მარცვალზე აქცენტირებით ან წარმოთქმის შემდეგ გაამეორებინეთ სიტყვის პირველი ბგერა.*

- **მეორე ეტაპი -** პერიოდულად შეცვალეთ სამოდელო მარცვალი. ყოველ ჯერზე, ჟესტიკულაციის გამოყენებით, გააგებინეთ მოსწავლეებს, რომ მათ თავში ახლა ეს მარცვალი უნდა „ჩაიდონ" და მას შედარონ ჩამოთვლილი სიტყვების პირველი მარცვალი. წარმოთქვამთ სიტყვებს; მოსწავლეებმა ტაში უნდა დაუკრან სამოდელო მარცვლის გაგონებისას.
- **მესამე ეტაპი -** როცა მოსწავლეები კარგად აუღებენ ალღოს ამ აქტივობას, შეიძლება მისი გართულება სამოდელო მარცვლის ფონოლოგიურად მსგავს მარცვლებზე დაწყებული სიტყვების გამოყენებით (მაგ., **კუ**/კუდი, ქუდი, კურდღელი; **პა**/პატარა, ფაფა, პაპა, ფანჯარა, ფანქარი და სხვა).

**37. სიტყვაში ბოლო ბგერის ამოცნობა -** დაასახელებთ სამოდელო ბგერას. ჟესტიკულაციის თანხლებით, გააგებინებთ მოსწავლეებს, რომ ეს მარცვალი მათ „თავში უნდა ჩაიდონ". მოსწავლეებმა სამოდელო ბგერაზე დამთავრებული სიტყვის მოსმენისას ტაში უნდა დაუკრან.

**სიტყვების ტრანსფორმირება ბგერების ჩანაცვლება**
**-დამატებით, ჩამოცილებით, განმეორებით**

**38. პირველი ბგერის ჩანაცვლება** - მოსწავლეებმა უნდა ჩაანაცვლონ პირველი ბგერა სამოდელო ბგერით. დაასახელებთ სამოდელო ბგერას; ჟესტიკულაციის თანხლებით, გააგებინებთ მოსწავლეებს, რომ მათ ეს ბგერა „თავში უნდა ჩაიდონ" და ჩაანაცვლონ მოცემული სიტყვის პირველი ბგერა. აქტივობის პრინციპის უკეთ გასაგებად სასურველია, მოსწავლეებმა აღნიშნული აქტივობა თავდაპირველად თქვენთან ერთად შეასრულონ.

**39. ბოლო ბგერის ჩანაცვლება -** მოსწავლეებმა უნდა ჩაანაცვლონ შეთავაზებული სიტყვის ბოლო ბგერა სამოდელო ბგერით. დაასახელებთ სამოდელო ბგერას; ჟესტიკულაციის თანხლებით, გააგებინებთ მოსწავლეებს, რომ მათ სამოდელო ბგერა „თავში უნდა ჩაიდონ" და ამ ბგერით ჩაანაცვლონ მიცემული სიტყვის პირველი ბგერა. აქტივობის პრინციპის უკეთ გასაგებად სასურველია, მოსწავლეებმა აღნიშნული აქტივობა თავდაპირველად თქვენთან ერთად შეასრულონ (სამუშაო მასალა: **ა** / ქარი- ქარ**ა**, სოკო - სოკ**ა** და ასე შემდეგ).

**40. სიტყვის პირველი ბგერის ჩამოცილება**

- I ეტაპი - მოსწავლემ სიტყვა უნდა წარმოთქვას პირველი ბგერის გარეშე. გამოგყავთ მოსწავლე, აძლევთ მას ბარათს; მოსწავლე ასახელებს საგანს, რომელიც ბარათზეა გამოსახული. თქვენ გაიმეორებთ ამ სიტყვას პირველი ბგერის ჩამოცილებით (მაგ.,

შოკოლადი -ოკოლადი, ვაშლი - აშლი და სხვ), იმავეს გაიმეორებთ სხვა მოსწავლესთან ერთად. აქტივობის პრინციპის უკეთ გასაგებად სასურველია, მოსწავლეებმა აღნიშნული აქტივობა თავდაპირველად თქვენთან ერთად შეასრულონ.

- II ეტაპი - დაასახელებთ სიტყვას, მოსწავლეები პირველი ბგერის ჩამოცილებით წარმოთქვამენ იმავე სიტყვას. აღნიშნულ აქტივობას მოსწავლეები ასრულებენ სურათზე დაყრდნობით;
- III ეტაპი - მოსწავლეები აქტივობას ასრულებენ საყრდენი სურათის გარეშე.

41. **პირველი ბგერის აღდგენა** - წარმოთქვამთ სიტყვას პირველი ბგერის ჩამოცილებით, მოსწავლეები ამოიცნობენ ნაკლულ ბგერას და ასახელებენ სიტყვას სრული სახით. ეს აქტივობა ტარდება ჯერ სურათზე დაყრდნობით, შემდეგ სურათის გარეშე.
42. **ბგერის დამატება სიტყვის ბოლოში -** მოსწავლეები სამოდელო ბგერას ამატებენ სიტყვის ბოლოში (მაგ., ა - შოკოლოადია, ვაშლია, ბალია, ცაა; და სხვა).

**ერთ- და მეტმარცვლიანი სიტყვების ბგერებად დაშლა და აწყობა**

43. **ბგერების სიტყვებად გაერთიანება** - ~~პირველ ეტაპზე~~ ცალ-ცალკე წარმოთქვამთ ორ ბგერას და შემდეგ აერთიანებთ მათ; იმავეს აკეთებინებთ მოსწავლეებს. ~~მეორე ეტაპზე~~ გამოაკრავთ ერთმარცვლიანი სიტყვების სურათებს და ცალ-ცალკე წარმოთქვამთ სათანადო ბგერებს; შეყოვნდებით თითოეულ ბგერაზე. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი სურათი შეესატყვისება წარმოთქმულ ბგერებს და გაამთლიანონ სიტყვა. ~~მესამე ეტაპზე~~ ამავე ტიპის სავარჯიშოს მოსწავლეებს გააკეთებინებთ ორ- და მეტმარცვლიანი სიტყვების გამოყენებით. ~~ბოლო ეტაპზე,~~ კომპეტენციის მატებასთან ერთად, მოსწავლეები ბგერებად დაშლილ სიტყვებს საყრდენი სურათის გარეშე გაამთლიანებენ.

**შენიშვნა:** ბგერების სიტყვად გამთლიანება ანუ სიტყვის ხმოვანი ხატის სინთეზი უმნიშვნელოვანესი უნარია, რომელსაც მოსწავლე შემდგომში უნდა დაეყრდნოს სიტყვების წაკითხვისას — კითხვის დროს მოსწავლე ასოებს ახმოვანებს ბგერებად და ბგერებს ამთლიანებს სიტყვებად (სინთეზი); ამიტომაცაა, რომ ამ უნარის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

44. **სიტყვების ბგერებად დაშლა -** მოსწავლეებმა თქვენ მიერ შეთავაზებული სიტყვა ბგერებად უნდა დაანაწევრონ. გაავარჯიშეთ მოსწავლეები ჯერ ერთმაცვლიან სიტყვებზე, შემდეგ ორ- და მეტმარცვლიანებზე. შეიძლება მოსწავლეებს სიტყვაში შემავალი ბგერებიც დაათვლევინოთ.

**საკითხავი აქტივობები**
**ასო-ბგერითი მიმართებების ჩამოყალიბება**

45. **ანბანის ხმამაღლა კითხვა -** სისტემატურად წაიკითხეთ კლასში გამოკრული ანბანი შემდეგი წესით - აჩვენეთ მოსწავლეებს კედელზე გაკრული ანბანის ერთ-ერთ ასო და გაახმოვანეთ იგი, ანუ წარმოთქვით შესაბამისი ბგერა. მოსწავლეებს არ მოეთხოვებათ ანბანის დამახსოვრება. ამ აქტივობის მიზანია, მოსწავლეებმა აღიქვან კავშირი ასოსა და ბგერას შორის; გააცნობიერონ, რომ კონკრეტული ასო კონკრეტულ ბგერას გამოხატავს (კონკრეტული ბგერის გრაფიკული ნიშანია).

**სიტყვის გრაფიკულ და აკუსტიკურ ხატებს შორის არსებული მიმართების გაგება**

46. **სურათის ქვემოთ მოთავსებული წარწერის წაკითხვა** - გამოიყენეთ სახელმძღვანელოს სურათები ან გამოაკარით სურათები შესაბამისი წარწერებით (მაგ., ხატია ბურთი, ნახატის ქვემოთ წერია „ბურთი“). მიუთითებთ მოსწავლეებს ერთ-ერთი სურათის ქვემოთ მოთავსებულ წარწერაზე და ხმამაღლა წაიკითხავთ მას. შემდეგ გადახვალთ სხვა სურათებზე, შეეკითხებით მოსწავლეებს, რა არის გამოსახული სურათზე, მიუთითებთ სურათების ქვემოთ წარმოდგენილ წარწერებზე და ჰკითხავთ მათ: „აქ რა წერია?“ მოსწავლეები ხვდებიან, რომ წერია ის, რაც ხატია და, ამგვარად, სიტყვის წერილობით ხატს აკავშირებენ ხმოვან ხატთან.
47. **კლასელთა სახელების წაკითხვა** - კლასში მუდმივად უნდა იყოს გაკრული მოსწავლეთა სურათები და სახელები, დიდი ასოებით დაწერილი ბარათებზე. სხვადასხვა აქტივობის შესასრულებლად უნდა დამზადდეს ბარათების მეორე წყვილიც. სწავლების პირველ თვეებში, ყოველდღიურად 2-3 წუთი მაინც უნდა დაეთმოს სახელების წაკითხვას. აქაც ეტაპებია დასაცავი:

ა) პირველ დღეებში მოსწავლეებს მიუთითებთ ბარათებზე და კითხულობთ წარწერებს;
ბ) "წააკითხებთ" მოსწავლეებს შემდეგი წესით: "ეს ვინ არის?" - იკითხავთ კონკრეტულ სურათზე; შემდეგ აჩვენებთ მოსწავლეებს სურათის ქვემოთ მიმაგრებულ ბარათს და ჰკითხავთ: "აქ რა წერია?" მოსწავლეები ხვდებიან, რომ წერია იმ მოსწავლის სახელი, რომელიც ფოტოზეა გამოსახული. ამ სახით მოსწავლეები სიტყვის ნაწერ ხატს ხმოვან ხატთან აკავშირებენ.
გ) როცა მოსწავლეები თავისუფლად დააკავშირებენ ფოტოს წარწერასთან, აჩვენეთ მათ პირდაპირ ბარათზე ნაწერი სიტყვები და მოსწავლეები "წაიკითხავენ" ნაწერს.

**მთლიანი სიტყვების კითხვა**

48. **დიდი ლოტო საყრდენი წარწერით:** გამოაკრავთ რამდენიმე სურათს, რომლებსაც ქვემოთ ამხსნელი წარწერები ახლავს *(მაგ.* ხატია მზე, სურათის ქვემოთ წერია "მზე"). შემდეგ აჩვენებთ მოსწავლეებს ბარათს, რომელზეც ერთ—ერთი სურათის წარწერაა წარმოდგენილი. მოსწავლემ ბარათი შესაბამის სურათთან უნდა მიიტანოს. დანარჩენი მოსწავლეები აზრს გამოთქვამენ, სწორად შესრულდა თუ არა დავალება.
49. **ლოტო სახელებით** - დაფაზე დიდი ასოებით წერთ რომელიმე მოსწავლის სახელს ან აჩვენებთ მოსწავლეებს შესაბამის ბარათს. მოსწავლეებმა უნდა შეადარონ იგი თავიანთ სურათებთან გაკრულ ბარათებს და იპოვონ, ვისი სახელია დაწერილი ბარათზე.
50. **თამაში "დღეს ვინ არ არის?"-** სვამთ კითხვას: *დღეს ვინ არ არის?* მოსწავლეებმა უნდა მოძებნონ და ერთად დაალაგონ იმ მოსწავლეების ბარათებზე დაწერილი სახელები, რომლებიც გაკვეთილს არ ესწრებიან. შეიძლება მოსწავლეებს ვთხოვოთ, ერთად დალაგებული სახელებიდან ცალკე გამოყონ გოგონების სახელები.
51. **"ვინ ასრულებს ინსტრუქციას?"** - დაფაზე წერთ კონკრეტული მოსწავლის სახელს და ამბობთ რაიმე ინსტრუქციას (მაგ., "გამოდი დაფასთან"). მოსწავლემ, რომლის სახელიც წერია, უნდა ამოიცნოს თავისი სახელი და შეასრულოს თქვენი ინსტრუქცია.
52. **ფოტოგრაფიული კითხვა -** ბარათებზე წერია ის სიტყვები, რომელთა ორთოგრაფიული ხატი მოსწავლეებმა უნდა დაიმახსოვრონ. თქვენ მოსწავლეებს სწრაფ-სწრაფად აჩვენებთ ბარათებს; მათ უნდა ამოიცნონ და დაასახელონ ბარათებზე დაწერილი სიტყვები.
53. **დიდი ლოტო საყრდენი წარწერის გარეშე** - გამოკრულ სურათებს ქვემოთ წარწერები არ ახლავს. მოსწავლემ თითოეულ სურათს სათანადო წარწერა უნდა შეუსაბამოს. ეს აქტივობა გამოიყენება განმტკიცების ფაზაში, როცა მოსწავლეებს მეტნაკლებად დამახსოვრებული აქვთ სიტყვის ორთოგრაფიული ხატი.

54. **თამაში „თევზაობა"[1] -** სიტყვების ბანქოთი თამაშობს ორი ან ოთხი ბავშვი. თითოეულს აქვს 6 ბარათი. ერთი მოთამაშე მაგიდის ცენტრში დადებს ბანქოს ქაღალდს რაიმე სიტყვით და ამბობს, რა სიტყვაა ("კითხულობს"). შემდეგი მოთამაშე ჩამოვა თავის ბარათს, თუ მასზე იგივე სიტყვაა დაწერილი, გვერდით დაუდებს მას პირველ ბარათს, თუ ბარათზე სხვა სიტყვა წერია, მოთამაშე მიდის «სათევზაოდ», ანუ იღებს ახალ ბარათს. თუ იქაც არ არის ეს სიტყვა, სვლა გადადის შემდეგ მოთამაშესთან, რომელმაც უნდა დადოს ბარათი იმავე სიტყვით და წარმოთქვას ეს სიტყვა ხმამაღლა. თუ ამას ვერ შეძლებს, ბარათები მიაქვს იმას, ვინც იტყვის. მოგებულია ის, ვისაც ყველაზე მეტი ბარათი მოუგროვდება, ე.ი. თითოეულმა მოთამაშემ უნდა შეადგინოს 2X2 ან 4X4 ერთნაირსიტყვიანი კომპლექტი. **იხ. სქემა 1.**

**მასალა:** ბანქოს ზომის ბარათები, რომლებზეც წერია ცალკეული სიტყვები.

**შენიშვნა:** *ამ და ქვემოთ წარმოდგენილ თამაშში შეიძლება ჩართოთ ერთი ან ორი ჯგუფი. ეს საშუალებას მოგცემთ, იმუშაოთ მოსწავლეთა სხვადასხვა ჯგუფთან. ამდენად, ამგვარი აქტივობები დიფერენცირებული სწავლების საშუალებას იძლევა.*

**სქემა 1.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **მანქანა** | **კუ** | **ბურთი** | **ფანქარი** | **ბუშტი** | **ქუდი** |

1 მე-15 და მე-16 აქტივობა, ასევე მოძრავი აქტივობების ერთი ნაწილი აღებულია შემდეგი პუბლიკაციიდან: *გზამკვლევი მასწავლებლებისათვის, 5 წლის ასაკის ბაშვის სწავლა-სწავლების თავისებურებანი, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2011.*

**55. თამაში „პასიანსი" -** გადმოატრიალეთ ბარათების მთელი ნაკრები და დააწყვეთ იგი ხუთ-ექვს რიგად. თითოეული მოთამაშე იღებს ორ ბარათს და დაანახებს მათ სხვა მოთამაშეებს. თუ ბარათებზე ერთი და იგივე სიტყვა არ წერია, მოსწავლე უკან დადებს აღებულ ბარათებს. თამაშის მიზანია, მოსწავლემ დაიმახსოვროს, სად რომელი სიტყვა დევს და აიღოს საჭირო ბარათები, როცა მისი ჯერი დადგება. თუკი მოსწავლე იპოვის ორ ერთნაირსიტყვიან ბარათს, ორივე ბარათი მისი საკუთრება გახდება; მისივე იქნება შემდეგი სვლაც. დასასრულ, კლასში ხმამაღლა კითხულობენ ყველა გადმოტრიალებულ ბარათს.

**სიტყვის ორთოგრაფიული ხატის სინთეზი და ანალიზი, გაშიფვრა, კითხვის მოქნილობა**

**56. ხმამაღალი კითხვა -** ცნობილია ხმამაღალი კითხვის სხვადასხვა სტრატეგია. ძირითადი ხერხებია: ა) გუნდური კითხვა (მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად, ხმამაღლა კითხულობენ ტექსტს **რამდენჯერმ**ე); ბ) მოსწავლე-მასწავლებლის კითხვა (პირველად მასწავლებელი კითხულობს, შემდეგ კლასი კითხულობს იმავე ტექსტს რამდენჯერმე); გ) წყვილში კითხვა (ორი მოსწავლე კითხულობს ტექსტს ხმამაღლა, ერთად ან რიგრიგობით. ასეთ შემთხვევაში კარგია, თუ წყვილში განსხვავებული უნარის მკითხველებს შეარჩევთ, რადგანაც კარგი მკითხველი ეხმარება სუსტ მკითხველს); დ) მოსწავლის მიერ მთლიანი ტექსტის თავიდან ბოლომდე წაკითხვა; ე) მითითებული ადგილის წაკითხვა; ე) გაგრძელებებით წაკითხვა (მასწავლებელი შეაწყვეტინებს კითხვას მოსწავლეს და თანაკლასელს გააგრძელებინებს). კითხვის მოქნილობის გასავითარებლად ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ იმ სტრატეგიებს, რომლებიც გულისხმობს ტექსტის ან მისი მონაკვეთის განმეორებით კითხვას.

**57. მოძრავი ანბანით მუშაობა -** მოსწავლე სიტყვის აკუსტიკურ ანუ ხმოვან ხატს ბგერებად დაშლის (ანალიზი); დაადგენს, რა ასოები დასჭირდება მას ამ სიტყვის ასაწყობად; მოიძიებს შესაბამის ასოებს; შემდეგ ააწყობს სიტყვას: განალაგებს ასოებს შესაბამისი თანამიმდევრობით (სინთეზი) და წაიკითხავს სიტყვას.

**შენიშვნა:** *ა) ასოები "ჩალაგებული" უნდა იყოს პატარა ჯიბეებში, რომლებსაც გარედან დააწერთ შესაბამის ასოებს. მნიშვნელოვანია, რომ ჯიბეების თანამიმდევრობა ანბანისას ემთხვეოდეს. ჯიბეებში ასოების ჩაწყობა-ამოლაგების შედეგად, მოსწავლეები თანდათან აითვისებენ ანბანის თანამიმდევრობას. ბ) სასურველია, რომ ასოები ბადის ანუ სტრიქონის გარეშე იყოს, რათა მოსწავლეები თვითონ დაფიქრდნენ, რომელ ხაზზე უნდა დაიწეროს ესა თუ ის ასო (ზედა, შუა თუ ქვედა ხაზზე). გ) იმისათვის, რომ მოსწავლეები წინადადების ბოლოს წერტილის დასმას მიეჩვიონ, სასურველია, იყოს ერთი ბარათი "წერტილი".*

**58. მოძრავი ანბანით აწყობილი სიტყვის/წინადადების შემოწმება -** მას მერე, რაც ერთ-ერთი მოსწავლე ააწყობს სიტყვას ან წინადადებას, მოსწავლეები ერთად შეამოწმებენ მის ნამუშევარს შემდეგი პარამეტრებით: ა) არის თუ არა შუალედი სიტყვებს შორის; ბ) სწორად არის თუ არა ჩასმული ასოები სიტყვაში; გ) სწორად არის თუ არა "დასმული" ქვედა და ზედა ასოები; დ) დასმულია თუ არა წერტილი.

**ასოს გამოწერა**

**59.** ბადიანი რვეულის სტრიქონის გაცნობიერება - მომზადებული გაქვთ შემდეგი რესურსი: ფორმატზე გადატანილი ბადიანი რვეულის სტრიქონის ფრაგმენტი (სტრიქონის სიმაღლე 6-8 სმ. უნდა იყოს, რომ ყველა მოსწავლე კარგად ხედავდეს მას). ორი შუა უჯრედი, თითო უჯრედის გამოტოვებით, გაფერადებულია ყვითლად; ზედა უჯრედი - ასევე თითოს გამოტოვებით - მწვანე ფერად, ქვედა უჯრედი კი - ლურჯ ფერად.

ფორმატი გაკრულია ყველასათვის დასანახ ადგილზე. პერიოდულად გაავარჯიშეთ მოსწავლეები ამ ფორმატის გამოყენებით:

- საჩვენებელი ჯოხით მოსწავლეებს აჩვენებთ და აცნობთ სტრიქონის აგებულებას: "*ეს* (მწანე ფერის) *არის ზედა უჯრა, ესეც ზედა უჯრაა* (აჩვენებთ გაუფერადებელსაც); *ეს* (ყვითელი) *შუა უჯრაა. ეს* (ლურჯი) - *ქვედა უჯრა*" და ასე შემდეგ;
- გამოგყავთ მოსწავლე და ეკითხებით მას: "რომელია ზედა უჯრა? ქვედა? შუა?" მან უნდა გიჩვენოთ შესაბამისი უჯრები;
- მოსწავლეებს აჩვენებთ სტრიქონში ჩაწერილ ნაცნობ ასოებს და ეკითხებით: *"ეს ასო რომელ უჯრაშია? შუა უჯრაში?"* (კი/არა), *"ზედა უჯრაში?"* (კი/არა) და ასე შემდეგ.
- მოსწავლეებს აჩვენებთ დაფაზე დაწერილ ასოებს - ზედა, შუა, ქვედა უჯრის ასოებს - "აი,

*შუა უჯრის ასოები: ა, ი, ო, თ . . ; აი, ზედა უჯრის ასოები: ბ, მ, ს . . ; აი, ქვედა უჯრის ასოები: დ ღ ე, ვ . . ”).*

**60. ასოს ნაწილების ცნობა** - კედელზე გააკრავთ წინასწარ მომზადებულ ფორმატს, რომელზედაც სტრიქონში ჩახაზული ქართული ასოების ნაწილებია გამოსახული:

- ერთი რკალი, ორრკალიანი მონახაზი, სამრკალიანი მონახაზი;
- ქვედა რკალი, შუა რკალი, ზედა რკალი;
- ზედა სწორი ხაზი, ქვედა სწორი ხაზი, დიდი სწორი ხაზი - ზემო უჯრიდან ქვემო უჯრამდე;
- შუა რგოლი, ქვედა რგოლი, ზედა რგოლი.

ყოველი ახალი ასოს შესწავლისას მოსწავლეებს მიუთითებთ კონკრეტულ ნაწილზე და ამბობთ: *”ეს რკალი აქვს? ეს ხაზი აქვს? სად აქვს? შუა/ქვედა თუ ზედა უჯრედში?”* (თან მიუთითებთ შესაბამის უჯრედზე) და ასე შემდეგ. მართალია, მოსწავლეებმა არ იციან ეს ლექსიკური ერთეულები, მაგრამ ისინი დაინახავენ კონკრეტულ ნაწილს და მის აღმნიშვნელ სიტყვას დროთა განმავლობაში თავისით დაიმახსოვრებენ.

**61. ჩვენება, როგორ იწერება ასო**

- დაფაზე, დიდ ფართობზე, აჩვენებთ, როგორ უნდა დაიწეროს ასო: უჩვენებთ ხელის მოძრაობას, ყურადღებას გაამახვილებთ ასოს მოხაზვის მიმართულებაზე; აღნიშნავთ მას ისრებით ისე, როგორც ეს მათ სამუშაო რვეულშია წარმოდგენილი;
- წერის პროცესში სიტყვიერად აღწერთ ასოს ნაწილებს: მაგ., *”ხაზი ქვედა უჯრაშია, რკალი ზედა უჯრაშია, რგოლი შუა უჯრაშია”, მისთ.;*
- ზურგი შეაქციეთ მოსწავლეებს და ჰაერში ხელით მოხაზეთ დასაწერი ასო; ამ მოძრაობას მოსწავლეები თქვენთან ერთად იმეორებენ ორჯერ-სამჯერ. შემდეგ შემოტრიალდით და დააკვირდით, სწორად ასრულებენ თუ არა მოსწავლეები მოძრაობას;
- გაავარჯიშეთ მოსწავლეები რვეულში მოცემული წერტილების შეერთებაზე. ასოს მიმართულებას მოსწავლეები იმახსოვრებენ ისრების დახმარებით;
- დადიხართ რიგებში და აკვირდებით, როგორ წერენ მოსწავლეები. საჭიროების შემთხვევაში, ეხმარებით მათ ასოს სწორად შემოხაზვაში.

## მიზნებისა და შინაარსის რუკა

| თემატური ერთეული | ძირითადი ლექსიკა | ძირითადი ენობრივი საკითხები, ენობრივი კონსტრუქციები, ფორმულები |
|---|---|---|
| 1.პირველი ნაბიჯები | | |
| ა) გაცნობა | წიგნი, ფანქარი,<br>რვეული, რიცხვები 1-5;<br>ფერები: წითელი, ყვითელი, შავი, თეთრი, მწვანე, ლურჯი; გოგო, ბიჭი;<br>ბურთი, ბუშტი, ველოსიპედი. | მე ვარ . . .<br>გამარჯობა! ნახვამდის!<br>ეს რა არის? ეს ვინ არის?<br>რამდენი ფანქარი**ა**?<br>რა ფერის ფანქარი**ა?** |
| ბ) სკოლა ტყეში | ტყე, ცხოველები,<br>დიდი, პატარა. | რა აქვს გიას? რამდენი . . . აქვს?<br>როგორია, დიდი თუ პატარა? |
| გ) გემი ზღვაში | ზღვა, გემი , ხილი. | რა უყვარს/არ უყვარს? შენ რა გიყვარს?<br>რა აქვს ჩანთა**ში?** |
| დ) გაზაფხულის პეიზაჟი | ყვავილი, ფრინველი. | რა დაფრინავს?<br>ვისია? ჩემი . . . |

| ტექსტის სახეები | ძირითადი მიზნები |
|---|---|
| | |
| • საბავშვო ლექსები, სიმღერები<br>• მარტივი ინსტრუქციები<br>• მინიდიალოგები;<br>• მარტივი წინადადებები | • ლექსიკის ათვისება<br>• ინსტრუქციების გაგება<br>• მარტივ კითხვებზე პასუხი გაცემა<br>• სიტყვის ხმოვანი ხატის ანალიზი და სინთეზი<br>• ნატიფი მოტორიკის განვითარება<br>• ლექსების, გათვლების ზეპირად თქმა<br>• მთლიანი სიტყვების კითხვა<br>• მარტივი ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით<br>• ინფორმაციის კლასიფიკაცია |

## მიზნებისა და შინაარსის რუკა

| | | |
|---|---|---|
| თემატურიერთეული | ძირითადილექსიკა, | ძირითადიენობრივისაკითხები, ენობრივიკონსტრუქციები, ფორმულები |
| 2. დილამშვიდობისა! | ქალი, კაცი. | დილამშვიდობისა!<br>კარგად!<br><br>შენრაგქვია? მემქვია . . . ; |
| 3. ესჩემიოჯახია! | ავეჯი,<br>ოჯახისწევრები,<br>რიცხვები: 1-დან -7-მდე | ვინჰყავს . . ?<br>**ეს**მზია**ს**დედა**ა.**<br>**ესჩემიძმაა**<br><br>**როგორია?** |
| 4. სკოლაშიმივდივარ! | სასკოლონივთები,<br>მასწავლებელი, მოსწავლე,<br>კლასელი, კლასი, მერხი. | რააქვსჩანთაში?<br>მივდივარ. . . ; მიდისსკოლა**ში**/<br>ეზო**ში**/ტყ**ეში**<br>სადარის? **. . . ზე/ში**<br>სადმიდის? |
| 5. ტყისამბები | დაბადებისდღე, საჩუქარი,<br>ტორტი. | რამდენიწლისხარ ?<br>რასაჩუქარიგაქვს? რაუნდა/<br>რაუყვარს?<br>რააქვს? რაჰყავს? |
| 6. მემიყვარსბუნება | ცივა, ცხელა,<br>წელიწადისდროები;<br>მწერები | სადზის? ზისყვავილ**ზე;**<br>რასაკეთებს?<br>ცეკვავს, მღერისუკრავს. . . |
| 7. ბებიასსამზარეულოში | ხილი, ბოსტნეული, რვა,<br>ცხრა, ათი;<br>სხეულისნაწილები. | რატომ? იმიტომ, რომ<br>რასაკეთებს?მირბის, ზის. .<br>როგორია? მაღალი/დაბალი;<br>მსუქანი/ გამხდარი |
| 8. ზღაპრებისსამყაროში | ნუგბარი: ნაყინი, მარწყვი,<br>შაქარყინული, შოკოლადი. | რისი ? შოკოლადის, მარწყვის . . .<br>რასჭამს? ვაშლს, . . სადზის/წევს?<br>სადარის?. |

<table>
<tr><td>ტექსტისსახეები</td><td>ძირითადიმიზნები</td></tr>
<tr><td>საბავშვოლექსები, ენისგასატეხი, მინიდიალოგები;<br>ორ-სამწინადადებიანიტექსტები.</td><td rowspan="4">• ახალილექსიკისსწავლა<br>• ინტერაქციასურათზედაყრდნობით,<br>• ლექსების, ენისგასატეხების ზეპირადთქმა<br>• მინიდიალოგების, მარტივი სცენებისგათამაშება<br>• მარტივიამბისგაგება,<br>• ასოებისმოხაზვა<br>• სიტყვისხმოვანიხატისანალიზი დასინთეზი<br>• სიტყვისგრაფიკულიხატისანალიზი დასინთეზი<br>• სიტყვების, მოკლეწინადადებებისგაშიფრვა<br>• ნატიფიმოტორიკისგანვითარება<br>• ბადიანირვეულისგაცნობიერება<br>• ასოებისმოხაზვა</td></tr>
<tr><td>საბავშვოლექსები,ენისგასატეხი,ადაპტი რებულიზღაპარი (სამიდათვი);<br>მარტივიდიალოგები.</td></tr>
<tr><td>საბავშვოლექსები; ენისგასატეხი;<br>მარტივიდიალოგები,ორ-სამწინადადებიანიაღწერითიტექსტები.</td></tr>
<tr><td>საბავშვოლექსები;<br>ენისგასატეხი,<br>კომიკსი, ადაპტირებულიზღაპარი (თეთრიდათვისსიზმარი)’<br>მისალოციბარათი.</td><td rowspan="4">• ახალილექსიკისსწავლა<br>• ინტერაქციასურათზედაყრდნობით<br>• ლექსების, ენისგასატეხების ზეპირადთქმა<br>• მინიდიალოგების, მარტივ სცენებისგათამაშება<br>• მარტივიამბისგაგება<br>• ასოებისმოხაზვა<br>• სიტყვისხმოვანიხატისანალიზი დასინთეზი<br>• სიტყვისგრაფიკულიხატისანალიზი დასინთეზი<br>• სიტყვების, მოკლეწინადადებებისგაშიფრვა<br>• ნატიფიმოტორიკისგანვითარება<br>• ასოებისმოხაზვა<br>• სიტყვების, მოკლეწინადადებებისწერა<br>• მოკლეწინადადებებისწაკითხვა-გაგება</td></tr>
<tr><td>საბავშვოლექსები;<br>ენისგასატეხი,საბავშოლექსები;<br>კომიკსი, მინიდიალოგები.</td></tr>
<tr><td>ლექსები, ენისგასატეხები, ადაპტირებულიზღაპარი (წითელქუდა), კომიკსი, მინიდიალოგები.</td></tr>
<tr><td>ლექსები, ენისგასატეხები, ადაპტირებულიზღაპარი (ჟანიროდარისმიხედვით), კომიკსი, მინიდიალოგები.</td></tr>
</table>

## პირველი გაკვეთილი

### აქტივობა 1. გაცნობა - მისალმება

1. გააცანით თქვენი თავი მოსწავლეებს შემდეგი ფორმულის გამოყენებით: *"მე ვარ ... (თქვენი სახელი)"*.
2. წაიკითხეთ სია. დააზუსტეთ თითოეული მოსწავლის სახელი კითხვის დასმით: *"შენ ლელა ხარ? შენ ... ხარ?"* და ა.შ.
3. გამოიყვანეთ ოთხი მოსწავლე. ჟესტიკულაციის გამოყენებით (მაგ., ხელი მკერდზე მიიდეთ), კვლავ გაეცანით მათ: *"მე ვარ . . . "*; შემდეგ რიგრიგობით მიუახლოვდით თითოეულს და ჰკითხეთ: *"შენ?"* (დამაკმაყოფილებელია, თუკი მოსწავლე იტყვის თავის სახელს); პასუხის მიღებისას ჩამოართვით ხელი მოსწავლეს და უთხარით: *"გამარჯობა, ლელა, მე ვარ ... (თქვენი სახელი)"*.
4. იგივე გაიმეორეთ კლასის რამდენიმე მოსწავლესთან.
5. **თამაში "მატარებელი":** ერთმანეთის გვერდით ჩაამწკრივებთ ოთხ-ხუთ სკამს და ზედ დასხამთ მოსწავლეებს. დანარჩენ მოსწავლეებთან ერთად "მატარებელს" გააკეთებთ და გაუძღვებით ბავშვების მწკრივს (მატარებლის "შემადგენლობას") მატარებლის ხმის მიბაძვით; მიუახლოვდებით "სადგურს" - სკამებზე მსხდომ მოსწავლეებს; გაჩერდებით ერთ-ერთ მათგანთან და მიმართავთ: *"გამარჯობა, მე ვარ... (თქვენი სახელი), შენ?"* როდესაც მოსწავლე იტყვის თავის სახელს, თქვენ მატარებელში "აიყვანთ" მას; შემდეგ წახვალთ მეორე წრეზე და ასე იმოძრავებთ მანამდე, სანამ ყველა არ შეუერთდება მოსწავლეთა მოსიარულე მწკრივს.
6. **თამაში "ვინ ვარ?"** - გამოიყენეთ გოგონათა ვარცხნილობა —შუბლზე ჩამოვარცხნილი, მოკლედ შეჭრილი თმა ("ჩოლკა"), კიკინები, ნაწნავი/ნაწნავები, შუაზე გაყოფილი თმა, სხვ.; ჟესტიკულაციით განასახიერეთ ერთ-ერთის ვარცხნილობა, ხელი მკერდთან მიიდეთ და თქვით: *"მე ვარ +იმის სახელი, ვინც განასახიერეთ"*. შემდეგ სხვა მოსწავლე განასახიერეთ და იკითხეთ: "ვინ ვარ?" თქვენი დახმარებით, მოსწავლეები ამოიცნობენ, ვინ არის ჩაფიქრებული. ყოველ ჯერზე სრულად იტყვით: "მე ვარ+ვინც განასახიერეთ" (მთავარია, მოსწავლეებმა რაც შეიძლება ბევრჯერ გაიგონონ: "მე ვარ").

### აქტივობა 2. პერსონაჟების გაცნობა (გია, ლია)

1. გამოაკარით ლიას და გიას სურათები; მოსწავლეებს მიუთითებთ სურათებზე და ასახელებთ: "აი, ლია. აი, გია".
2. რამდენჯერმე დაასახელეთ ისინი: "ლია, გია".
3. რიგრიგობით გამოიყვანეთ მოსწავლეები, დაასახელეთ პერსონაჟები (ლია, გია) და სთხოვეთ მოსწავლეებს, მიუთითონ შესაბამის სურათზე.
4. ბოლოს ყველანი ერთად იმეორებთ პერსონაჟების სახელებს.
5. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 5, №1. გააფერადე და დაასახელე.
6. აჩვენეთ მოსწავლეებს იგივე პერსონაჟები წიგნში და თქვით: "აი, ლია! აი, გია!".

**რესურსი:** მითითებული სურათები.

## მეორე გაკვეთილი

### აქტივობა 1. წინა მასალის გამეორება

1. პერსონაჟების სახელები, წარდგენა - *მე ვარ . . .*

### აქტივობა 2. ლექსიკის სწავლება:ბურთი, კომპიუტერი, ყვავილი, ია

1. გამოაკარით სურათები: **ბურთი, ია (ყვავილი), კომპიუტერი**.
2. მოსწავლეებს მიუთითებთ სურათებზე და რამდენჯერმე წარმოთქვამთ: *"აი, ბურთი; აი, კომპიუტერი, აი ია"*.
3. რიგრიგობით გამოგყავთ რამდენიმე მოსწავლე, ასახელებთ არეული რიგით: *"ია, ბურთი, კომპიუტერი"*. მოსწავლეები მიუთითებენ სათანადო სურათებზე.
4. მოსწავლეებს მიუთითებთ სურათებზე და სურათებზე გამოსახული საგნების სახელებს რამდენჯერმე გაამეორებინებთ მთელ კლასს.
5. მოსწავლეებს მიუთითებთ სურათებზე; მოსწავლეები ასახელებენ სურათებზე გამოსახული საგნების სახელებს.
6. აიღებთ სურათებს, თითოეულს დაფარავთ ფურცლით ან სხვა სურათით ისე, რომ მხოლოდ ერთი პატარა ნაწილი მოჩანდეს. მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, რა არის გამოსახული სურათზე. პირველად ასე იკითხეთ: *"ეს რა არის, ბურთი თუ ია? "*, ხოლო შემდეგ, როდესაც მოსწავლეები კარგად გაიგებენ აქტივობის მოთხოვნას, პირდაპირ დაუსვით მათ შეკითხვა: *"ეს რა არის?"*

7. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 5, №2. გააფერადე და დაასახელე; №3. შეაერთე, გააფერადე და დაასახელე.

**რესურსი:** მითითებული სურათები.

### აქტივობა 3. მოძრავი თამაში

1. **თამაში „გაიმეორე ჩემი მოძრაობა"** - მოსწავლეები ქმნიან წრეს. ერთ-ერთი ამბობს თავის სახელს და ასრულებს გარკვეულ მოძრაობას; მომდევნო მონაწილე იმეორებს მის სახელს, მოძრაობას და დაამატებს თავის სახელსა და მოძრაობას; იმავეს აკეთებს შემდეგი (მესამე) მონაწილეც. ამის შემდეგ მთელი ჯგუფი იმეორებს წინა სამი მოსწავლის სახელებსა და მოძრაობებს.
2. თუ არ იცით მოსწავლეების ენა, ასე გააგებინეთ მათ: დადგებით ჯერ ერთ მოსწავლესთან, იტყვით მის სახელს და შეასრულებთ მასთან ერთად გარკვეულ მოძრაობას; მერე მიხვალთ მეორესთან, იტყვით წინა მოსწავლის სახელს, გაიმეორებთ მის მოძრაობას და დაამატებთ ახალს (მეორე მოსწავლის სახელსა და მოძრაობას). იმავეს გააკეთებთ მესამე მოსწავლესთან ერთად; წრეში მდგომ მოსწავლეებს კი გაამეორებინებთ სამივე მოსწავლის მოძრაობებსა და სახელებს. შემდეგ მოსწავლეები გააგრძელებენ იმავე პრინციპით (ყოველი მესამე მონაწილის შემდეგ მთელი ჯგუფი იმეორებს წინა სამი მოსწავლის სახელებსა და მოძრაობებს).

**შენიშვნა**: *აღწერილი თამაშის ნაცვლად, შეგიძლიათ გაიმეოროთ აქტივობა "მატარებელი".*

### აქტივობა 4. დათანხმება/უარის თქმა (კი/არა), ლექსიკის გამეორება

ჟესტიკულაციის გამოყენებით, ასწავლეთ მოსწავლეებს "კი/არა", კერძოდ:

1. მიუთითეთ კომპიუტერზე და ჰკითხეთ მოსწავლეებს: *"ეს კომპიუტერია?"*, შემდეგ დაადასტურეთ მათთან ერთად (*"კი"*); აუცილებლად გამოიყენეთ ჟესტიკულაციაც.
2. მიუთითეთ ბურთზე და ჰკითხეთ მოსწავლეებს: *"ეს კომპიუტერია?"*; შემდეგ უარყავით მათთან ერთად ("არა"); ამ დროს აუცილებლად გამოიყენეთ ჟესტიკულაციაც.
3. ამავე პრინციპით გააგრძელეთ მუშაობა "კი/არა"-ზე. შეგიძლიათ ამ მიზნით გამოიყენოთ პერსონაჟების სურათებიც.
4. ბოლოს მოსწავლეებთან ერთად დაასახელეთ სიტყვები და პერსონაჟთა სახელები.
5. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 6, №1. შეაერთე, გააფერადე და დაასახელე.

## მე-3 გაკვეთილი

### აქტივობა 1. წინა მასალის გამეორება

1. სურათების გამოყენებით, გაამეორებინეთ მოსწავლეებს პერსონაჟთა სახელები და ნასწავლი ლექსიკა; სურათზე მითითებისას ყოველ ჯერზე იკითხეთ: *"ეს რა არის? ეს ვინ არის?"* და ა.შ.
2. ითამაშეთ: "ვინ ვარ?" (იხ. პირველი გაკეთილი, აქტივობა 1.6.).
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 6, №2. დაასრულე, გააფერადე და დაასახელე.

**რესურსი:** მითითებული სურათები.

### აქტივობა 2. ლექსიკის დამუშავება - ფანქარი, წიგნი

1. მოსწავლეებს აჩვენეთ ფანქარი და წიგნი; წარმოთქვით რამდენჯერმე: *"აი, წიგნი. აი, ფანქარი"*.
2. რიგრიგობით გამოიყვანეთ რამდენიმე მოსწავლე, დაასახელეთ: "წიგნი/ფანქარი"; მათ უნდა მიუთითონ შესაბამის ნივთზე.
3. გაამეორებინეთ ყველა მოსწავლეს ეს ორი სიტყვა.

### აქტივობა 3. ინსტრუქციების შესრულება - აიღე /დადე ფანქარი! , აიღე/ დადე წიგნი

1. ამბობთ ინსტრუქციებს და საჩვენებლად თავად ასრულებთ მათ: *"აიღე ფანქარი! დადე ფანქარი! აიღე წიგნი! დადე წიგნი!"*.
2. შემდეგ ანიშნებთ მოსწავლეებს, რომ ინსტრუქციები თქვენთან ერთად შეასრულონ.
3. არეული თანამიმდევრობით ამბობთ ინსტრუქციებს, მოსწავლეები ასრულებენ მათ.
4. ამბობთ და ასრულებთ იმავე ინსტრუქციებს; შიგადაშიგ ცალკეულ ინსტრუქციებს ასრულებთ არასწორად: მაგ. იღებთ წიგნს და ამბობთ: *"აიღე ფანქარი!"*. მოსწავლეებს არ უნდა შეეშალოთ.

### აქტივობა 4. მოძრავი თამაში

1. თამაშობთ "მატარებელს". ამჯერად, სახელის წარმოთქმისას, მოსწავლეებს გაამეორებინეთ: *"მე ვარ + სახელი" (იხ. აქტივობა. 4. 5).*

**აქტივობა 5. მისალმება-დამშვიდობება**

1. მიესალმეთ მოსწავლეებს: „გამარჯობა, ბავშვებო". მიდით რამდენიმესთან, ხელი ჩამოართვით და ყოველ ჯერზე გაიმეორეთ: "გამარჯობა". შემდეგ კარისკენ გაემართეთ, გაითამაშეთ, თითქოს კლასიდან გადიხართ, შემოტრიალდით და უთხარით მოსწავლეებს: "ნახვამდის", თან ხელის მოძრაობითაც გამოემშვიდობეთ მათ. გაიმეორეთ მისალმება - დამშვიდობების ფორმულა სათანადო ჟესტიკულაციის გამოყენებით და ანიშნეთ მოსწავლეებს, რომ მათაც იგივე განასახიერონ. ჟესტიკულაციის გამოყენების გარეშე, გაიმეორეთ იგივე ფორმულები ხან მონაცვლეობით, ხან ზედიზედ ერთი და იმავეს გამეორებით; მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ შესაბამისი ჟესტიკულაცია.

**შენიშვნა:** *ყოველი გაკვეთილის დაწყებისას და დასრულებისას გამოიყენეთ მისალმება-დამშვიდობების ფორმულები; გაამეორებინეთ ისინი მოსწავლეებსაც.*

**მიზნები:** სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია, წიგნის პერსონაჟების გაცნობა, ორი-სამი ინტრუქციის გაგება, ახალი ლექსიკური ერთეულის სწავლა; მისალმება-დამშვიდობება, დათანხმება, უარის თქმა, ნატიფი მოტორიკის განვითარება.

**ლექსიკა და ძირითადი ინსტრუქციები:** *ია (ყვავილი), კომპიუტერი, ბურთი, ფანქარი, წიგნი; მე ვარ . . . ; კი, არა.*

**ინსტრუქცია**: *აიღე/დადე ფანქარი/წიგნი!*

**შენიშვნა:** *მომდევნო გაკვეთილებისთვის მუდმივად დაგჭირდებათ მოსწავლეთა სურათები, ამიტომ წინასწარ დაიჭირეთ თადარიგი და სთხოვეთ მოსწავლეებს თავიანთი სურათების მოტანა; შეიძლება დირექციას გამოართვათ მოსწავლეთა სურათები და გადაიღოთ მათი ქსეროასლები.*

## მოსწავლის წიგნი. გაცნობა!

### აქტივობა 1. წინა მასალის გამეორება

სურათების გამოყენებით მოსწავლეებს გაამეორებინებთ:

- ნასწავლ ლექსიკას *(ფანქარი, წიგნი, ია (ყვავილი), ბურთი, კომპიუტერი;*
- პერსონაჟების სახელებს;
- ინსტრუქციებს *("აიღე/დადეთ ფანქარი/წიგნი").*

### აქტივობა 2. ასწავლით კონსტრუქციას "მე ვარ"

□■ ■კომპიუტერული თამაში: ლია/გია.

ტექსტი: *გამარჯობა, მე ვარ გია; გამარჯობა, მე ვარ ლია!*

1. თამაში **"წრეში ბურთი":** თქვენ და 5-6 მოსწავლე წრეში სხდებით. ჯერ თქვენ ამბობთ: *"გამარჯობა, მე ვარ+თქვენი სახელი"* და ესვრით ბურთს ერთ-ერთ მოსწავლეს; შემდეგ ის წარადგენს საკუთარ თავს, სხვას ესვრის ბურთს და ა.შ.

**რესურსი:** ბურთი.

2. გამოდის 4 მოსწავლე. ყველა თავის სახელს ამბობს. შემდეგ ერთი დაიხუჭება, დანარჩენები რიგრიგობით ამბობენ: *"მე ვარ . . ."* და არ ამბობენ საკუთარ სახელს. თვალდახუჭულმა მოსწავლემ ხმის მიხედვით უნდა ამოიცნოს მთქმელი და დაასახელოს მისი ვინაობა. შემდეგ გამოგყავთ სხვა ჯგუფებიც.
3. დამატებითი აქტივობა: ერთ-ერთ მოსწავლეს ზურგზე უმაგრებთ ლიას ან გიას სურათს ან რომელიმე კლასელის ფოტოს. მოსწავლემ უნდა გამოიცნოს, ვინ არის (ვისი ფოტო აქვს მიმაგრებული ზურგზე).




ამისთვის მან უნდა იკითხოს: *"ლია ვარ? გია ვარ? თინა ვარ? ლელა ვარ?", მისთ.* მოსწავლეები პასუხობენ: "კი/არა".

**რესურსი:** გიას და ლიას სურათები, მოსწავლეთა ფოტოები.

### აქტივობა 3. ინსტრუქციის გაგება ("აიღე/დადე რვეული!")

1. მოსწავლეებს აჩვენებთ რვეულს და ასახელებთ საგნის სახელს.
2. გაავარჯიშეთ მოსწავლეები შემდეგი საგნების სახელების გაგება-დამახსოვრებაში: *წიგნი, ფანქარი, რვეული.*
3. გაავარჯიშეთ მოსწავლეები ინსტრუქციების გაგებაში: "დადე/აიღე ფანქარი/რვეული/წიგნი!".
4. გაართულეთ ინსტრუქცია: *"აიღე ფანქარი და რვეული! დადე რვეული* (ანუ არ უნდა დადოს ფანქარი) *და აიღე წიგნი!* "და ა.შ.
5. თამაში **"მცდარი მოძრაობა"** - ინსტრუქციების წარმოთქმისას შიგადაშიგ მცდარ მოძრაობებს აკეთებთ (მაგ., ამბობთ: *"დადე ფანქარი"*, მაგრამ დებთ წიგნს ან იღებთ ფანქარს).

### აქტივობა 4. ფონოლოგია: დამარცვლით ნათქვამი საკუთარი სახელის ამოცნობა

1. გამოგყავთ 3-4 მოსწავლე; დამარცვლით ამბობთ ერთ-ერთის სახელს და კითხულობთ: *"ვინ არის?";* მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, ვისი სახელი დამარცვლეთ.
2. მოსწავლეები მერხებს უსხედან. თქვენ დამარცვლით ამბობთ ერთ-ერთის სახელს. მოსწავლემ, ვისი სახელიც დამარცვლეთ, უნდა ამოიცნოს საკუთარი სახელი.

### აქტივობა 5. მოძრავი თამაშები:

**შენიშვნა:** *ამ ასაკის მოსწავლეებისთვის აუცილებელია ფიზიკური მოძრაობა, ამიტომ ყოველ გაკვეთილში უნდა ჩავრთოთ ისეთი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებს მოძრაობის საშუალებას მისცემს.*

1. **თამაში "გაიმეორე ჩემი მოძრაობა!"** - მოსწავლეები ქმნიან წრეს. ერთ-ერთი ამბობს თავის სახელს და ასრულებს გარკვეულ მოძრაობას; შემდეგი მონაწილე იმეორებს მის სახელს, მოძრაობას და დაამატებს თავის სახელსა და მოძრაობას; იმავეს აკეთებს შემდეგი მონაწილეც. ყოველი მესამე მონაწილის შემდეგ მთელი ჯგუფი იმეორებს წინა სამი მოსწავლის სახელებსა და მოძრაობებს.
2. **თამაში "მატარებელი":** ამჯერად ყველა მოსწავლე ჩაებმება მწკრივში; ნასწავლი სიტყვების შესაბამის სურათებს დადებთ სხვადასხვა ადგილას; დაასახელებთ

ერთ-ერთს, მაგ. *კომპიუტერს;* "მატარებელი" გაემართება იქითკენ, სადაც კომპიუტერის სურათია და გაჩერდება მანამდე, სანამ შემდეგ "სადგურს" არ დაასახელებთ.

**დამატებითი აქტივობები ლექსიკური ცოდნის გასამყარებლად:**

1. **"ვინ ვარ?" -** ერთ-ერთი მოსწავლე განასახიერებს რომელიმე პერსონაჟს (ლიას ან გიას), მოსწავლეები ამოიცნობენ და ასახელებენ განსახიერებულ პერსონაჟს.
2. **"რა არის?"** მოსწავლეებს აჩვენებთ ამა თუ იმ საგნის*(წიგნის, ფანქრის, რვეულის)* ან მისი სურათის მხოლოდ ერთ ნაწილს; მოსწავლემ უნდა ამოიცნოს და დაასახელოს საგანი.
3. **თამაში «რა არის დამალული?»** — მოსწავლეებს დაუმალავთ რაიმე სურათს, რომელზედაც გამოსახულია ნასწავლი ლექსიკური ერთეული (შეიძლება ეს იყოს ნივთი, რომლის სახელი მოსწავლეთათვის ნაცნობია); მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ შესაბამისი სიტყვა. შეიძლება ამ აქტივობას ერთგვარი გუნდური შეჯიბრის სახე მივცეთ: ერთი გუნდი მალავს სურათს, მეორე უნდა შეეცადოს დამალულის ამოცნობას (სამი-ოთხი მცდელობით). ამოცნობის შემთხვევაში როლები შეიცვლება - გუნდი, რომელმაც ამოიცნო დამალული, თვითონ დამალავს რომელიმე სურათს და ა.შ.
4. თამაში **"სწორია თუ არა?"** მოსწავლეებს აჩვენებთ სურათებს ან საგნებს; ამბობთ ხან ამ საგნის აღმნიშვნელ სიტყვას, ხან




სხვა სიტყვას (მაგ., აჩვენებთ ვაშლის სურათს, ამბობთ "ბალი". ცხადია, მცდარი სიტყვაც ნაცნობი ლექსიკური ერთეულებიდან უნდა შეირჩეს). მოსწავლე უნდა მიხვდეს, სწორია თუ არა დასახელებული სიტყვა და განიშნოთ ჟესტიკულაციით ან თქვას კი/არა.

**შენიშვნა**: *ეს სავარჯიშოები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ. მასწ. წიგნი, სავ. №№10, 11, 12).*

**მიზანი:** ახალი ლექსიკის შესწავლა, საკუთარი თავის წარდგენა, დამარცვლით ნათქვამი საკუთარი სახელის ამოცნობა და დამარცვლა.

**ძირითადი ლექსიკა და კონსტრუქციები:** *მე ვარ . . . კომპიუტერი, ბურთი, ია (ყვავილი), რვეული, წიგნი, ფანქარი.*

**ინსტრუქციები:** *აიღე/დადე!*

## მოსწავლის წიგნი, გვერდი 5

**აქტივობა 1. წინა მასალის გამეორება.**

1. გამოაკრავთ ნასწავლი ლექსიკური ერთეულების ამსახველ სურათებს ან აჩვენებთ მოსწავლეებს ნასწავლ ნივთებს და ეკითხებით: *"ეს რა არის?"*; პერსონაჟებზე კითხულობთ: *"ეს ვინ არის?"* . შეგიძლიათ იგივე ჰკითხოთ ბავშვებს თანაკლასელებთან დაკავშირებით.
2. იმეორებთ ნასწავლ ინსტრუქციებს: *"აიღე/დადე წიგნი, რვეული, ფანქარი"*.
3. მისალმება-დამშვიდობება ("გამარჯობა/ნახვამდის").

**აქტივობა 2. ლექსიკის სწავლა : ველოსიპედი, ტელეფონი, თითი**

1. გამოაკარით სურათები, რომლებზედაც გამოსახულია: **თითები, ტელეფონი, ველოსიპედი.**
2. მიუთითითეთ მოსწავლეებს სურათებზე და დაასახელეთ რამდენჯერმე ეს საგნები.
3. დაასახელეთ საგნები არეული თანამიმდევრობით, მოსწავლეებმა უნდა მიუთითონ სათანადო სურათებზე
4. **თამაში "სწორია/არ არის სწორი"** - მოსწავლეებს აჩვენებთ სურათებს, რომლებზედაც გამოსახულია მათთვის ნაცნობი საგნები. ამბობთ ხან ამ საგნის აღმნიშვნელ სიტვას, ხან სხვა სიტყვას (მაგ., აჩვენებთ ყვავილის სურათს, ამბობთ "ბურთი"). მოსწავლე უნდა მიხვდეს, სწორია თუ არა დასახელებული სიტყვა (შეესატყვისება თუ არა იგი სურათს) და თქვას "კი/არა".
5. ყველა ერთად ასახელებთ ამ სიტყვებს.

**რესურსი:** მითითებული სურათები.

### აქტივობა 3. ლექსიკური ცოდნის გამყარება

1. გამოაკარით მოსწავლებისთვის ნაცნობი სურათები: **ია (ყვავილი), თითები, ტელეფონი, ველოსიპედი, კომპიუტერი**. ერთად დაასახელეთ მათზე ასახული ყველა სიტყვა.
2. **შეტრიალებული სურათები:** გაკრულ სურათებს კედლისკენ/დაფისკენ შეატრიალებთ თანამიმდევრობის შენარჩუნებით; ასახელებთ სურათებზე გამოხატული საგნების სახელებს. ვიზუალურ მეხსიერებაზე დაყრდნობით, მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ და მიუთითონ, რომელია დასახელებული სიტყვის შესაბამისი სურათი.

**რესურსი:** მითითებული სურათები.

### აქტივობა 4. მოძრავი თამაში

1. **"მატარებელი":** სხვადასხვა ადგილზე დებთ სურათებს, რომლებზეც გამოსახულია მოსწავლეთათვის ნაცნობი საგნები (ნასწავლი აქვთ ამ საგნების სახელები); დაასახელებთ ერთ-ერთ მათგანს, მაგ., იტყვით "*ველოსიპედი!*"; „მატარებელი" გაემართება იქით, სადაც კომპიუტერის სურათია და იქ გაჩერდება მანამ, სანამ შემდეგ სურათს არ დაასახელებთ. თუ კლასი დიდია, „მატარებელი" მცირე ჯგუფებისაგან შეადგინეთ. დანარჩენი მოსწავლეები დაადასტურებენ ან უარყოფენ, სწორია თუ არა ("კი/არა") მატარებლის „სადგური".
2. აღწერილი თამაშის ნაცვლად, შეიძლება შესრულდეს ნებისმიერი ფიზიკური ვარჯიში.

### აქტივობა 5. მინიდიალოგის მოსმენა-გაგება

1. მოსწავლეები აკვირდებიან წიგნის პირველი დავალების ნახატებს და ასახელებენ პერსონაჟებს;
2. track სრულდება <u>წიგნის პირველი დავალება</u> - სრულდება წიგნის პირველი დავალება - მოისმინე და მიუთითე - მოსწავლეები ისმენენ ჯერ ერთ, შემდეგ მეორე დიალოგს და მიუთითებენ შესაბამის სურათზე.

ტექსტი: 1. *გამარჯობა, ლია. გამარჯობა, გია.* 2. *ნახვამდის ლია, ნახვამდის გია.*

3. track დიალოგი მოსწავლეებს სრულად მოასმენინეთ და გაამეორებინეთ.
4. გამოიყვანეთ მოსწავლეები (ბიჭი და გოგონა) და ეს მინიდიალოგი გაათამაშებინეთ.

### აქტივობა 6. თვლა 1-დან 3-მდე

1. მოსწავლეებს რიგრიგობით აჩვენებთ ერთ, ორ, სამ ფანქარს და თან წარმოთქვამთ (*ერთი ფანქარი, ორი ფანქარი, სამი ფანქარი*).
2. ასახელებთ რიცხვებს (1, 2 ან 3), მოსწავლეები გაჩვენებენ შესაბამისი რაოდენობის ფანქრებს.

**რესურსი:** სამი ფანქარი თითოეული მოსწავლისათვის.

3. ამჯერად მუშაობთ თითებით: ა) მოსწავლეებს აჩვენებთ ერთ, ორ, სამ თითს და ასახელებთ შესაბამის რაოდენობას (*ერთი თითი, ორი თითი", სამი თითი*); ბ) ასახელებთ რიცხვს, მოსწავლეები თითებით გიჩვენებენ დასახელებულ რიცხვს; გ) თითებით აჩვენებთ რიცხვს, მოსწავლეები ასახელებენ მას.
4. სრულდება წიგნის მეორე დავალება: მოისმინე, დააკვირდი და გაიმეორე. მოსწავლეებს მიუთითებთ საგნებზე, ასახელებთ მათ და მათს რაოდენობას ("*აი, ერთი კომპიუტერი; აი, ორი ველოსიპედი; აი, სამი ტელეფონი*") (წიგნის მეორე დავალება).

### აქტივობა 7. ინსტრუქციის გაგება: ადექით/დასხედით!

1. ჟესტიკულაციის გამოყენებით, ანიშნებთ მოსწავლეებს, რომ ადგნენ და თან ამბობთ: "ადექით!"; შემდეგ ანიშნებთ, რომ დასხდნენ: "დასხედით!". გაიმეორეთ რამდენჯერმე.
2. გაართულეთ: "*აიღე წიგნი და ადექი! დადე წიგნი და დაჯექი! ადექი, აიღე ფანქარი და დაჯექი!*" *და ასე შემდეგ.*

3. **მცდარი მოძრაობა:** შიგადაშიგ გამოიყენებთ მცდარ ჟესტიკულაციას (იტყვით ერთს და ანიშნებთ სხვას). მოსწავლეები არ უნდა შეცდნენ.

**აქტივობა 8. ფონოლოგია: დამარცვლით ნათქვამი საკუთარი სახელის ამოცნობა; საკუთარი სახელის დამარცვლა**

1. გამოგყავთ სამი-ოთხი მოსწავლე; დამარცვლით ამბობთ ერთ-ერთის სახელს და სვამთ კითხვას: *"ვინ არის?"*; მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, ვისი სახელი დამარცვლეთ.

მოსწავლეები მერხებს უსხედან. თქვენ დამარცვლით ამბობთ ერთ-ერთის სახელს. მოსწავლემ, ვისი სახელიც დამარცვლეთ, უნდა ამოიცნოს საკუთარი სახელი.

თქვენი დახმარებით, მოსწავლეები დამარცვლავენ საკუთარ სახელებს.

**მეთოდიკური შენიშვნა:** *ფონოლოგიური უნარების განვითარება მოსწავლეს გაუადვილებს კითხვის სწავლებას; ამიტომ ფონოლოგიური სავარჯიშოებს თითქმის ყოველ გაკვეთილზე უნდა დაეთმოს 5 წუთი მაინც.*

**აქტივობა 9. ნაწერი ციფრების ცნობა და დასახელება**

1. დაფაზე წერთ 1, 2, 3 და თან ასახელებთ ამ ციფრებს.
2. დაწერილ ციფრებს გაადევნებთ თითს და დაასახელებთ მათ მოსწავლეებთან ერთად; აჩვენებთ ციფრებს არეული თანამიმდევრობით, მოსწავლები ასახელებენ ციფრებს.
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 6, №№ 3, 4.




**აქტივობა 10. პასუხი კითხვაზე "რამდენი?"**

1. ფანქრებითა და თითებით დაამუშავეთ კითხვა *რამდენი?: "რამდენი ფანქარია? რამდენი თითია? (ერთი, ორი, სამი).*
2. <u>სრულდება წიგნის მეორე დავალება</u> - მოსწავლეებს დაუსვით შეკითხვები წიგნის მეორე დავალებაში წარმოდგენილ ნახატებთან დაკავშირებით: *"ეს რა არის? რამდენი კომპიუტერია? რამდენი ველოსიპედია?"* და სხვა.
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 7, № 5. დათვალე და შემოხაზე.
4. <u>სრულდება წიგნის მესამე დავალება</u> — დააკვირდი და დაასახელე.

**მიზანი:** ახალი ლექსიკის შესწავლა; თვლა 1, 2, 3; მისალმება-დამშვიდობება;

ინსტრუქციის გაგება; საკუთარი სახელის დამარცვლა.

**ძირითადი ლექსიკა და კონსტრუქციები:** *თითი, ტელეფონი, ველოსიპედი, ია, კომპიუტერი; ეს რა არის? რამდენია? გამარჯობა! ნახვამდის!*

**ინსტრუქციები:** ადექით! დასხედით!

**თანამშრომლობა სხვა საგნის მასწავლებლებთან.**

- მშობლიური ენის მასწავლებელი - სახელების, ნაცნობი ლექსიკის ზეპირად დამარცვლა და მარცვლებად დაშლილი სიტყვების გამთლიანება;
- სპორტის მასწავლებელი - ამა თუ იმ აქტივობის შესრულება ქართულენოვანი ინსტრუქციის მიცემის გზით, მაგ.: *"ახტი!", "ჩაბუქნე!"*, სხვ.

## მოსწავლის წიგნი, გვერდი 6

**აქტივობა 1. წინა მასალის გამეორება**

1. **თამაში "რომელი აკლია?"** - მაგიდაზე გაშლილია შესწავლილი ლექსიკის ამსახველი სურათები ან საგნები, რომელთა სახელები მოსწავლეთათვის ნაცნობია. რამდენიმე მოსწავლე გამოდის, აკვირდება მათ და გადის კლასიდან. თქვენ გადამალავთ ერთ-ორ ნივთს/სურათს. მოსწავლეები ბრუნდებიან, კვლავ აკვირდებიან მაგიდაზე გაშლილ ნივთებს/სურათებს და ამბობენ, რომელი ნივთები/სურათები აკლია. ეს აქტივობა შეიძლება გადათამაშდეს აგრეთვე წყვილებში და ჯგუფებში.
2. ინსტრუქციების გაგება - *"ადექით/*

*დასხედით! აიღეთ/დადეთ ფანქარი/წიგნი/რვეული!"*.

3. პასუხი კითხვაზე: *"რამდენი?"* - იღებთ ნაცნობი სიტყვების შესაბამის საგნებს *(ფანქარი, წიგნი, რვეული)* სხვადასხვა რაოდენობით (1, 2, ან 3) და ყოველ ჯერზე კითხულობთ: *"რამდენი ფანქარია/რვეულია/წიგნია?"*.

**აქტივობა 2. ნატიფი მოტორიკა**

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 7; №№ 6, 8. შეაერთე.

**აქტივობა 3. ლექსიკის სწავლა: წითელი, ლურჯი. ყვითელი, მწვანე**

1. მოსწავლეებს რიგრიგობით აჩვენებთ წითელ, ყვითელ, მწვანე და ლურჯ ფანქრებს და თან ასახელებთ ფერებს.
2. ასრულებთ ლექსიკურ სავარჯიშოებს: ა) მოსწავლეებს მიუთითებთ ფერად ფანქრებზე, ასახელებთ მის ფერს; ბ) ასახელებთ ფერს, მოსწავლეები მიუთითებენ შესაბამის ფანქრებზე; გ) მიუთითებთ ფანქრებზე, მოსწავლეები ასახელებენ შესაბამის ფერებს (დეტალური აღწერისათვის. იხ. მასწ. წ. სავ. №3. საგნების მითითება; №7. საგნის დასახელება; №8. რა აკლია?).
3. აქაც შეიძლება შეასრულოთ აქტივობა **"რა აკლია?"** (იხ. წინა აქტივობა).
4. ასახელებთ ერთ-ერთ ფერს. მოსწავლეები კლასში ეძებენ შესაბამის ფერს (ტანსაცმელზე, სურათებზე, წიგნის ყდაზე, წიგნში, ჩანთებზე და სხვა) და მიუთითებენ. იმავეს იმეორებთ სხვა ფერებისთვისაც.




**აქტივობა 4. პასუხი კითხვაზე: "რა ფერისაა?"**

1. მოსწავლეებს მიუთითებთ თითოეულ ფანქარზე და ეკითხებით: *"რა ფერისაა ეს ფანქარი?"*
2. <u>სრულდება წიგნის პირველი დავალება</u> - იმავეს იმეორებთ წიგნში წარმოდგენილ სურათებთან დაკავშირებით;
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 8. №1. დაასახელე და გააფერადე. მოსწავლეები ერთიანებს აფერადებენ წითლად, ორიანებს მწვანედ, სამიანებს - ლურჯად.

**აქტივობა 5. მოძრავი თამაშები: "სკამები წრეზე"**

1. მოსწავლეებს ფერად ქაღალდებს მკერდზე დაუმაგრებთ. გაითვალისწინეთ, რომ მოსწავლეთა ყოველ სამეულს ან ოთხეულს ერთი და იმავე ფერის ქაღალდი ჰქონდეს (გამოყენებული ფერების სახელწოდებები ნაცნობი უნდა იყოს მოსწავლეებისთვის).

თამაშის მონაწილეები სხდებიან წრიულად განლაგებულ სკამებზე. თუ 12 მონაწილეა, მაშინ დგას 11 სკამი. ერთ-ერთი მონაწილე წრის შუაში დგება. თქვენ მაღლა ასწევთ ერთ-ერთ ფერს და ხმამაღლა დაასახელებთ: "წითელი" (შეიძლება შუაში მდგომმა დაასახელოს). ის მონაწილეები, რომლებსაც აქვთ წითელი ფერის ქაღალდი, ერთმანეთს ადგილებს უცვლიან. ამ დროს შუაში მდგომი მონაწილე დაჯდომას ცდილობს. ის მოსწავლე, ვინც სკამის გარეშე დარჩება, თამაშის წამყვანი ხდება.

**რესურსი**: ფერადი ქაღალდის ფურცლები

**აქტივობა 6. ნატიფი მოტორიკა**

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 8. №3. შეაერთე.

**აქტივობა 7. ფონოლოგია: სახელების მარცვლებად დაშლა და მარცვლების სიტყვებად გამთლიანება**

1. მოსწავლეები მერხებს უსხედან. თქვენ დამარცვლით ამბობთ ერთ-ერთი მათგანის სახელს. მოსწავლემ, ვისი სახელიც დამარცვლეთ, უნდა ამოიცნოს საკუთარი სახელი (შეიძლება ასეთი რამდენიმე იყოს).
2. მოსწავლეები მარცვლავენ საკუთარ სახელებს და თითოეულ მარცვალზე ტაშს უკრავენ.
3. **დამარცვლა ტაშით-გამთლიანება**, - გამოაკარით შემდეგი სურათები: **წიგნი, ბურთი, გია**. დამარცვლეთ ერთ-ერთ სურათზე გამოსახული საგნის აღმნიშვნელი სიტყვა. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი სიტყვა დამარცვლეთ და გაამთლიანონ იგი; იგივე სიტყვა დამარცვლეთ

ერთად და ტაში დაუკარით თითოეულ მარცვალზე (წიგ-ნი, ბურ-თი, გი-ა).

### აქტივობა 8. ინტერაქცია ნასწავლ ფერებსა და რაოდენობაზე

1. სრულდება წიგნის მეორე დავალება - სვამთ შეკითხვებს წიგნში გამოსახული საგნების ფერებსა და რაოდენობაზე: *"რამდენია ბურთი, ფანქარი . . .? რა არის წითელი, ლურჯი . . ? რა ფერისაა ეს ბურთი? რამდენია მწვანე ბურთი?"* და სხვ.
2. სრულდება რვ. სავ. გვ. 8, **№ 4.** გააფერადე. თქვენ კარნახობთ ფერებს: *1 არის მწვანე, 2 არის ყვითელი; 3 არის ლურჯი.*

### აქტივობა 9. მოსმენა-გაგება

1. მომზადება ტექსტის მოსასმენად: მოსწავლეებს უსვამთ შეკითხვებს წიგნში წარმოდგენილ სურათთან დაკავშირებით: *"ეს ვინ არის? ეს რა არის? რა ფერის არის? რამდენია? რომელია ველოსიპედი? რომელია გია? ლია?", მისთ.*
2. track სრულდება წიგნის მესამე დავალება - მოსწავლეები სათითაოდ ისმენენ რეპლიკებს და ამოიცნობენ, რომელია გია, რომელია ია.

**ტექსტი:** 1. *გამარჯობა, მე ლია ვარ. ეს ჩემი ველოსიპედია. ის არის ლურჯი.* 2. *გამარჯობა, მე ვარ გია. ეს ჩემი ბურთია. ჩემი ბურთი წითელია.* მოსწავლეები ამოიცნობენ, რომელია ლია და რომელი - გია.

### აქტივობა 10. ოპოზიციური წყვილის აღქმა: ეს არის/ ის არის . . .

1. ორი მოსწავლე დააყენეთ თქვენთან ახ-




ლოს და თქვენგან შორს; გადაათამაშეთ კონსტრუქცია: *"ეს არის თინა/, ის არის / თამრიკო/"*.
2. ხელი დაადეთ ერთ-ერთ მოსწავლეს და იკითხეთ: *"ვინ არის ეს?"*; შემდეგ სხვა მოსწავლისაკენ გაიწვდინეთ ხელი და იკითხეთ: *"ვინ არის ის?"*.
3. შეასრულებინეთ მოსწავლეებს იმავე ტიპის სავარჯიშო მათთვის ნაცნობი საგნების გამოყენებით *(ფანქარი, წიგნი, რვეული, კომპიუტერი)*.

### აქტივობა 11. მოსმენა-გაგება

1. track სრულდება წიგნის მოთხე დავალება - მოსწავლეები ისმენენ ცალკეულ რეპლიკებს, მიუთითებენ შესაბამის ნახატებზე წიგნში.

**ტექსტი:** ა) *ეს არის მწვანე ბურთი, ეს არის მწვანე ფანქარი;* ბ) *ის არის წითელი ფანქარი, ის არის წითელი ბურთი.*

2. მოსწავლეები თავიდან ისმენენ და იმეორებენ მოსმენილს მასწავლებელთან ერთად, თან მიუთითებენ სათანადო ნახატებზე.

### აქტივობა 12. მთლიანი სიტყვების კითხვა (ლია, გია, ბურთი, თითი)

1. **წარწერების წაკითხვა:** გამოაკარით სურათები: **ლია, გია, ბურთი, თითი.** სურათების ქვემოთ დაამაგრეთ ბარათები, რომლებზეც ეს სიტყვები წერია. დაასახელეთ სურათზე ასახული საგანი ან პერსონაჟი, მიუთითეთ მოსწავლეებს სურათის ქვემოთ მოთავსებულ წარწერაზე და ხმამაღლა წაიკითხეთ. შემდეგ გადადით სხვა სურათებზე, ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა არის გამოსახული სურათზე (*"აქ რა ხატია?"*); მიუთითეთ სურათების ქვემოთ მოთავსებულ წარწერებზე და იკითხეთ: *"აქ რა წერია?"*. მოსწავლეები მიხვდებიან, რომ წერია ის, რაც ხატია და ამგვარად, სიტყვის წერილობით ხატს დააკავშირებენ ხმოვან ხატთან.
4. რესურსი: მითითებული სურათები და ბარათები შესაბამისი წარწერებით.
2. **დიდი ლოტო** - გაკრულია იგივე სურათები **(ლია, გია, ბურთი, თითი)** და ბარათები შესაბამისი წარწერებით. თქვენ მომზადებული გაქვთ ბარათების ასლები, რომლებსაც რიგრიგობით აძლევთ მოსწავლეებს; მათ მასწავლებლის მიერ მიცემული ბარათი შესაბამის სურათთან უნდა მიიტანონ. დანარჩენი მოსწავლეები აკვირდებიან, სწორად შესრულდა თუ არა დავალება.
3. **ფოტოგრაფიული კითხვა** - მოსწავლეებს სწრაფ-სწრაფად აჩვენებთ წარწერიან ბარათებს (ბარათებზე წერია: ლია, გია, ბურთი, თითი); ისინი ამოიცნობენ და ასახელებენ ბარათებზე დაწერილ სიტყვებს.

### აქტივობა 13. ნატიფი მოტორიკა

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 8. №5. გააფერადე.

**მიზანი:** ახალი ლექსიკის შესწავლა; ნატიფი მოტორიკის განვითარება, მარცვლების სიტყვებად გამთლიანება; პასუხი კითხვებზე: რა ფერისაა? რამდენია? რომელია? მინიტექსტების მოსმენა-გაგება; მთლიანი სიტყვების კითხვა.

**ძირითადი ლექსიკა და კონსტრუქციები:** *ფერები: წითელი, მწვანე, ლურჯი, ყვითელი; ეს/ის არის . . . რომელია? რამდენია? რა ფერისაა?*

**ინსტრუქციები:** ადექით! დასხედით! აიღე! დადე!

**თანამშრომლობა სხვა საგნის მასწავლებლებთან:**

- მშობლიური ენის მასწავლებელი - სახელების, ნაცნობი ლექსიკის ზეპირად დამარცვლა და მარცვლებად დაშლილი სიტყვების გამთლიანება; მასწავლებლის წიგნში მოცემული ფონოლოგიური სავარჯიშოების მშობლიურ ენაზე შესრულება (იხ. მასწ.წ.სავ. №12. -№44).
- სპორტის მასწავლებელი - ამა თუ იმ აქტივობის შესრულება ქართულენოვანი ინსტრუქციის მიცემის გზით, მაგ.: *"ახტი!", "ჩაბუქნე!"*, სხვ.

## მოსწავლის წიგნი, გვერდი 7

### აქტივობა 1. წინა მასალის გამეორება (ეს/ის)

1. რიგრიგობით გამოგყავთ ორ-ორი მოსწავლე, ერთი დგება თქვენთან ახლოს, მეორე




მოშორებით. ამბობთ: *"ეს არის. . . "* და არ ასრულებთ წინადადებას. მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რომ *"ეს"* მიუთითებს ახლო მდგომზე და თავად უნდა დაასახელონ ახლოს მდგომი მოსწავლე, ამის შემდეგ, იმავე ტიპის აქტივობას ასრულებთ და ამბობთ: "ის არის . . . ", გამოგყავთ სხვადასხვა მოსწავლე და იმავე აქტივობას ასრულებთ. შეიძლება პრინციპის შეცვლაც: თქვენ ამბობთ სახელებს და მოსწავლეებმა თქვენ ნაცვლად უნდა თქვან *ეს* ან *ის*.

2. იგივე აქტივობა შეიძლება ჩაატაროთ საგნების გამოყენებით (ფანქარი, წიგნი).

### აქტივობა 2. პერსონაჟების სახელების სწავლა: ია, დათო

გააკარით პერსონაჟთა სურათები: *ია, დათო, გია, ლია* და შეასრულეთ შემდეგი ლექსიკური სავარჯიშოები:

1. **მითითება-დასახელება**: ა) მიუთითებთ მოსწავლეებს სურათებზე და ასახელებთ პერსონაჟებს; ბ) ასახელებთ პერსონაჟებს, მოსწავლები უთითებენ შესაბამის სურათებზე; გ) მიუთითებთ სურათებზე, მოსწავლეები ასახელებენ პერსონაჟების სახელებს.
2. **განსახიერება-გამოცნობა** - რამდენიმე მოსწავლეს ან მოსწავლეთა ჯგუფებს დაურიგებთ სურათებს ისე, რომ დანარჩენებმა არ დაინახონ ისინი. იმ მოსწავლეებმა, რომლებსაც სურათები უჭირავთ, უნდა განასახიერონ სურათზე გამოსახული პერსონაჟი, დანარჩენმა მოსწავლეებმა კი უნდა ამოიცნონ და დაასახელონ იგი (ეს პერსონაჟი).
3. **თამაში "სწორია თუ არა?"** - მოსწავლეებს აჩვენებთ სურათებს ან საგნებს; ამბობთ ხან ამ საგნის აღმნიშვნელ სიტვას, ხან სხვა სიტყვას. მოსწავლე უნდა მიხვდეს, სწორია თუ არა დასახელებული სიტყვა (შეესაბამება თუ არა იგი სურათს) და თქვას "კი/არა".
5. **შენიშვნა:** *ეს სავარჯიშოები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ. მასწ. წიგნი, ტიპური სავ. №№ 2, 5, 7, 12).*

### აქტივობა 3. მოსმენა-გაგება

1. 🎧 track სრულდება წიგნის მეხუთე დავალება - მოსწავლეები აკვირდებიან სურათს, ასახელებენ პერსონაჟებს; შემდეგ უსმენენ ორ პატარა დიალოგს და მიუთითებენ შესაბამის სურათებზე.

**ტექსტი:ა)** *გამარჯობა, ლია. მე დათო ვარ, ის იაა. ბ) ია, ეს წითელი ბურთია. ის არის მწვანე ბურთი.*

2. მოსწავლეები კიდევ ერთხელ უსმენენ დიალოგებს და პასუხობენ თქვენს შეკითხვებს: *"ვინ არის ეს/ის? ეს რა არის? რა ფერისაა?"* და სხვა.

**აქტივობა 4. როლური თამაში**

1. გამოიყვანეთ სამ-სამი მოსწავლე და გაათამაშებინეთ გაცნობის სცენა პირველი დიალოგის მსგავსად; *მაგ., "გამარჯობა, ლელა. მე თამრიკო ვარ, ის თინაა".*

**აქტივობა 5. ლექსიკა: ია (ყვავილი), ბუშტი, ბურთი, ველოსიპედი, კომპიუტერი**

1. **მითითება-დასახელება**: ა) მიუთითებთ მოსწავლეებს სურათებზე და წარმოთქვამთ შესაბამის სიტყვებს; ბ) ამბობთ სიტყვას და მოსწავლეები უთითებენ შესაბამის სურათებზე; გ) მიუთითებთ სურათებზე, მოსწავლეები ამბობენ შესაბამის სიტყვებს; ე) ერთად იმეორებთ ყველა სიტყვას.
2. **"რა არის?"** - მოსწავლეებს აჩვენებთ სურათის მხოლოდ ერთ ნაწილს; მათ უნდა ამოიცნონ და დაასახელონ, რა არის გამოსახული სურათზე.

**აქტივობა 6. მოძრავი თამაში "სკამები წრეზე"**

1. მოსწავლეებს ფერად ქაღალდებს მკერდზე დაუმაგრებთ. ქაღალდები გაანაწილეთ იმგვარად, რომ მოსწავლეთა ერთ სამეულს ან ოთხეულს ერთი ფერი შეხვდეს, მეორე სამეულს ან ოთხეულს - მეორე ფერი და ა.შ. (გამოყენებული ფერების სახელწოდებები ნაცნობი უნდა იყოს მოსწავლეებისთვის).




2. თამაშის მონაწილეები სხდებიან წრიულად განლაგებულ სკამებზე. თუ 12 მონაწილეა, მაშინ დგას 11 სკამი. ერთ-ერთი მონაწილე წრის შუაში დგება. თქვენ მაღლა ასწევთ ერთ-ერთ ფერს და ხმამაღლა დაასახელებთ: *"წითელი"* (შეიძლება შუაში მდგომმა დაასახელოს). ის მონაწილეები, რომლებსაც აქვთ წითელი ფერის ქაღალდი, ერთმანეთს ადგილებს უცვლიან. ამ დროს შუაში მდგომი მონაწილე დაჯდომას ცდილობს. ის მოსწავლე, ვინც სკამის გარეშე დარჩება, თამაშის წამყვანი ხდება.
3. **რესურსი**: ფერადი ქაღალდის ფურცლები
4. 2. ინსტრუქციების შესრულება: *ადექით! დასხედით! ჩაბუქნეთ! ახტით! დასხედით!*

**აქტივობა 7. ლექსიკის სწავლა: გოგო/ბიჭი**

1. გამოგყავთ რამდენიმე გოგონა და ბიჭი და ამბობთ: *"თამრიკო არის გოგო, თინა არის გოგო, ნიკო არის ბიჭი".*
2. მოსწავლეები იმეორებენ თქვენთან ერთად: *ბიჭი, გოგო.*
3. ხელს დაადებთ ან დაასახელებთ რომელიმე მოსწავლეს; მოსწავლეებმა უნდა თქვან, ეს მოსწავლე გოგოა თუ ბიჭი.
4. მოსწავლეებს აჩვენებთ წიგნის პერსონაჟებს და კითხულობთ: *"ეს ვინ არის, გოგოა თუ ბიჭი?"*

**დამატებითი აქტივობა 8. ლექსიკის სწავლა: გოგო/ბიჭი**

1. დაფასთან გამოსულ მოსწავლეს აძლევთ ერთ-ერთი პერსონაჟის სურათს ისე, რომ სხვა მოსწავლეებმა არ დაინახონ ეს სურათი. მოსწავლე თვითონ სვამს შეკითხვას: *"გოგო თუ ბიჭი?"* სხვებმა უნდა გამოიცნონ.

**აქტივობა 9. ლექსიკა: ია (ყვავილი)/ია (გოგონა)**

1. გააკარით იას (პერსონაჟის) და იის (ყვავილის) სურათები (ან გამოიყენეთ წიგნში მოცემული სურათი). სურათებზე იმუშავეთ ამგვარად: *"ეს ია არის გოგო, ის ია არის ყვავილი"* (ანალოგიისა და დამატებითი გავარჯიშებისათვის გამოიყენეთ მსგავსი თანხვედრები ქალის სახელსა და ყვავილის სახელს შორის, მაგ. ნარგიზი - ყვავილი; ნარგიზა - გოგო).
2. სრულდება წიგნის მეექვსე დავალება - მოსწავლეები იმეორებენ თქვენ მიერ ნათქვამ წინადადებებს : *"ეს არის ია. ეს ია არის გოგო; ის არის ია. ის ია არის ყვავილი; ეს არის ბურთი, ის არის ბუშტი".*

**აქტივობა 10. ინტერაქცია, ნატიფი მოტორიკა**

1. სრულდება წიგნის მეშვიდე დავალება - დაამუშავეთ სურათი შემდეგი შეკითხვების დასმის მეშვეობით: *"ეს რა არის? რა ფერისაა? რა არის გიასი/იასი/დათოსი? რამდენი ბიჭია? რამდენი გოგოა? რა არის წითელი? რა არის ლურჯი?"*, მისთ.
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 11. № 6. მოძებნე და დაასახელე, ვის რა აქვს. მოსწავლეები ერთმანეთთან აკავშირებენ საგნებსა და პერსონაჟებს და პასუხობენ თქვენ შეკითხვებს: *რა არის ლიასი? მისთ.*
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 9. №7. დათვალე, დააკავშირე შესაბამის ციფრთან და გააფერადე. სავარჯიშოს დასრულების შემდეგ დაუსვით კითხვები : *რამდენი . . . ? რა ფერის . . . ?*
4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 9. №8. შეაერთე.

**აქტივობა 11. ინსტრუქციის გაგება-შესრულება**

1. ნასწავლ ინსტრუქციებს დაამატეთ: *"დაუკარი ტაში!"*.
2. ინსტრუქციების შესრულება: *"ადექით! დაუკარით ტაში! დასხედით! ჩაბუქნეთ! ახტით! დასხედით!"* (დეტალური ინფორმაციისათვის იხ. მასწ. წიგნი, ტიპური აქტ. №№14, 15).

**აქტივობა 12. ფონოლოგიური უნარები: სახელების დამარცვლა; მარცვლების სიტყვებად გამთლიანება**

1. დამარცვლავთ მოსწავლეთა სახელებს, ისინი ამოიცნობენ სახელს; შემდეგ მოსწავლეები დამარცვლავენ საკუთარ სახელებს და თითოეულ მარცვალზე ტაშს უკრავენ.




2. დამარცვლა-სურათის ამოცნობა - გამოაკარით შემდეგი სურათები: **ბურთი, წიგნი, ია.** *წარმოთქვით* ეს სიტყვები დამარცვლით; მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ სიტყვა და მიუთითონ სათანადო სურათზე.

**აქტივობა 13. მთლიანი სიტყვების კითხვა**

1. **სურათის ქვემოთ მოთავსებული წარწერის წაკითხვა:** გამოაკარით მოსწავლეთათვის ნაცნობი ლექსიკური ერთეულების ამსახველი სურათები: **ლია, გია, ბურთი, თითი**; სურათების ქვემოთ გააკარით ბარათები შესაბამისი წარწერებით; წაიკითხეთ წარწერები მოსწავლეებთან ერთად. შემდეგ ჰკითხეთ ცალკეულ მოსწავლეებს: *"აქ რა წერია? აქ რა ხატია?" (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. მასწ. წიგნი, ტიპური სავ. № 46).*

რესურსი: აღნიშნული სურათები და ბარათები.

2. **დიდი ლოტო** - გაკრულია ზემოაღნიშნული სურათები **(ლია, გია, ბურთი, თითი)** და ბარათები შესაბამისი წარწერებით. თქვენ მომზადებული გაქვთ ამ ბარათების ასლები, რომლებსაც რიგრიგობით აძლევთ მოსწავლეებს. მოსწავლეებმა მასწავლებლის მიერ მიცემული ბარათები შესაბამის სურათთან უნდა მიიტანონ; დანარჩენი მოსწავლეები აზრს გამოთქვამენ, სწორად შესრულდა თუ არა დავალება.
3. **ფოტოგრაფიული კითხვა -** *მოსწავლეებს* სწრაფ-სწრაფად აჩვენებთ წარწერიან ბარათებს (ბარათებზე წერია: ლია, გია, ბურთი, თითი); ისინი ამოიცნობენ და ასახელებენ ბარათებზე დაწერილ სიტყვებს.

**შენიშვნა:** *ეს სავარჯიშოები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ.მასწ. წიგნი. ტიპური სავ. №№46, 47, 48, 52).*

**მიზანი:** ახალი ლექსიკის შესწავლა; ნატიფი მოტორიკის განვითარება. მინიტექსტების მოსმენა-გაგება და გამეორება; მოსმენა-გაგება; მთლიანი სიტყვების კითხვა.

**ძირითადი ლექსიკა და კონსტრუქციები:** *გოგო, ბიჭი. რა ფერისაა? რამდენია? რომელია? ეს ვინ არის? ეს რა არის?*

**ინსტრუქციები:** დაუკარით ტაში!

## მოსწავლის წიგნი, გვერდი 8

### აქტივობა 1. წინა მასალის გამეორება, მოტორიკა

1. მოსწავლეებს გაამეორებინებთ ლექსიკური ერთეულები: *გოგო, ბიჭი.*
2. **ფოტოგრაფიული კითხვა:** *მოსწავლეებს* სწრაფ-სწრაფად აჩვენებთ წარწერიან ბარათებს (ბარათებზე წერია: *ლია, გია, ბურთი, თითი)*; ისინი ამოიცნობენ და ასახელებენ ბარათებზე დაწერილ სიტყვებს (იხ. მასწ. წ. სავ. №52).
3. ინსტრუქცია: "დაუკარი ტაში!", "აიღე/დადე 1, 2, 3 ფანქარი!", "დადე წიგნი/რვეული!", "ადექით!", "დასხედით!".
4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 10. №1. დაასახელე და დააკავშირე იმავე სიტყვასთან. №3. გააფერადე და დააკავშირე შესაბამის სიტყვასთან.
5. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 10. №2. შეართე

### აქტივობა 2. ინტერაქცია, მთლიანი სიტყვების კითხვა

1. წიგნის პირველი დავალების სურათზე დაყრდნობით, ასწავლეთ მოსწავლეებს: *ხე, მზე.*
2. დასვით რაც შეიძლება მეტი შეკითხვა: "*რა არის ყვითელი/მწვანე? ვინ არის გია/ლია? - ბიჭი, გოგო? რა ფერის არის მზე/ხე - ყვითელი, მწვანე?*", მისთ.
3. მოსწავლეებთან ერთად აღწერთ ამ ნახატებს: "*მზე არის ყვითელი, ხე არის მწვანე; ეს არის გია, გია არის ბიჭი; ეს არის ლია, ლია არის გოგო*".




4. <u>სრულდება წიგნის პირველი დავალება</u> — დააკვირდი, დაასახელე და დააკავშირე. მოსწავლეებს დააკავშირებინებთ წიგნის პირველი დავალების წარწერა შესაბამის ნახატთან: "*აქ რა ხატია? აქ რა წერია?*" *(დეტალურად იხ. მასწ. წ. სავ. № 46).*
5. **დიდი ლოტო საყრდენი წარწერით** - გამოაკარით სურათები (**ხე, მზე, ლია, გია**) და ბარათები შესაბამისი წარწერებით; დაურიგეთ მოსწავლეებს ამ ბარათების ასლები, რომლებიც მოსწავლემ შესაბამის სურათთან უნდა მიიტანოს *(დეტალურად იხ. მასწ. წ. სავ.№ 48).*

### აქტივობა 3. ბგერასა და ასოს შორის არსებული კავშირის გაცნობიერება

1. ანბანის კითხვა: კითხულობთ კედელზე გაკრულ ანბანს შემდეგი წესით - აჩვენებთ მოსწავლეებს ანბანის ერთ ასოს და ახმოვანებთ მას, ანუ ამბობთ შესაბამის ბგერას. გაითვალისწინეთ, რომ მოსწავლეებს არ მოეთხოვებათ ანბანის დამახსოვრება - ამ აქტივობის მიზანია, მოსწავლეებმა აღიქვან კავშირი ასოსა და ბგერას შორის; გააცნობიერონ, რომ კონკრეტული ასო კონკრეტული ბგერის ხილული ნიშანია.

### აქტივობა 4. თვლა 1-დან 5-მდე

1. თითებისა და ფანქრების გამოყენებით, ასწავლეთ მოსწავლეებს თვლა 1-დან 5-მდე.
5. **რესურსი:** *მასწავლებელს და ყველა მოსწავლეს უნდა ჰქონდეს 5 ფანქარი.*
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 9. №9. დათვალე და დააკავშირე. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დააკავშირებენ, დაასახელებინეთ, რა რამდენია.
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 7. № 7. დააკვირდი დაშეაერთე.

### აქტივობა 5 . ლექსიკის სწავლა: ხე, მზე, ბუშტი, ბურთი, მანქანა

1. **მითითება-დასახელება**: ა) მიუთითებთ მოსწავლეებს სურათებზე და წარმოთქვამთ შესაბამის სიტყვებს; ბ) ასახელებთ სიტყვებს, მოსწავლები მიუთითებენ შესაბამის სურათებზე; გ) მიუთითებთ სურათებზე, მოსწავლეები ასახელებენ სიტყვებს; ე) ერთად იმეორებთ ყველა სიტყვას; ვ) გაკრულ სურათებს შეატრიალებთ უკუღმა (იმავე რიგის დაცვით); ასახელებთ სიტყვებს; ვიზუალურ მეხსიერებაზე დაყრდნობით, მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ და მიუთითონ, სად რომელი სურათია;

2. **"რა არის?"** - მოსწავლეებს აჩვენებთ სურათის მხოლოდ ერთ ნაწილს; მოსწავლემ უნდა ამოიცნოს და დაასახელოს, რა არის სურათზე გამოსახულია (რისი/ვისი სურათია).

**შენიშვნა:** *ეს სავარჯიშოები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ.მასწ. წიგნი, ტიპური სავ. №№ 2, 7, 12).*

3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 12. №1. გაფერადების შემდეგ მოსწავლეები ასახელებენ, რა არის გამოსახული და რა ფერისაა იგი.

### აქტივობა 6. მოძრავი თამაში "მანქანები"

1. ყველა წინ გაიწვდენს ხელებს და "პი-პი"-ს ძახილით იწყებს მოძრაობას ოთახში. მასწავლებელი ხმამაღლა წარმოთქვამს რაიმე ციფრს 1-დან 5-მდე, რის შემდეგაც მონაწილეები უნდა გაერთიანდნენ დასახელებული ციფრის შესაბამისი რაოდენობის ჯგუფებში. ვინც ვერ მოასწრებს ჯგუფში მოხვედრას და მარტო დარჩება, წამყვანი ხდება. ახალი წამყვანი ასახელებს ახალ ციფრს, იქმნება ახალი ჯგუფები და ა.შ.

### აქტივობა 7. მთლიანი სიტყვების კითხვა: ია, გია, ლია, ბურთი

1. **დიდი ლოტო წარწერით** - გაკრულია სურათები *(**ლია, გია, ბურთი, თითი**)* და ბარათები შესაბამისი წარწერებით. თქვენ მომზადებული გაქვთ ამ ბარათების ასლები, რომლებსაც რიგრიგობით აძლევთ მოსწავლეებს; მათ მიცემული ბარათი შესაბამის სურათთან უნდა მიიტანონ. თანაკლასელები აკვირდებიან, სწორად შეასრულეს თუ არა მოსწავლებმა დავალება.




2. **ფოტოგრაფიული კითხვა** - მოსწავლეებს სწრაფ-სწრაფად აჩვენებთ წარწერიან ბარათებს (ბარათებზე წერია: *ლია, გია, ბურთი, ია)*; ისინი ამოიცნობენ და ასახელებენ ბარათებზე დაწერილ სიტყვებს.
3. **დიდი ლოტო საყრდენი წარწერის გარეშე** - გამოაკრავთ იმავე სურათებს წარწერების გარეშე. მოსწავლეებს რიგრიგობით დაურიგებთ თითო-თითო ბარათს; მათ ეს ბარათები შესაბამის სურათთან უნდა მიიტანონ. თანაკლასელები აკვირდებიან, სწორად შეასრულეს თუ არა მოსწავლებმა დავალება.

**შენიშვნა:** *ეს სავარჯიშოები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ. მასწ. წიგნი, ტიპური. სავ. №№48, 52, 53).*

### აქტივობა 8. ნატიფი მოტორიკა

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 13, №5. შეაერთე; №6. შეაერთე და გააფერადე; №7. დახატე და გააფერადე.

### აქტივობა 9. კუთვნილების გამოხატვა: ჩემია

1. მოსწავლეებს აჩვენებთ თქვენს ნივთებს: ჩანთას, ჟურნალს, კალამს და ყოველ ჯერზე ამბობთ: "*ეს ვისია? - ჩემია*".
2. შეკრებთ და თქვენს მაგიდაზე დებთ სხვადასხვა მოსწავლის ნივთებს. იღებთ თითოს და კითხულობთ: "*ეს ვისია?*" (ნივთის მფლობელმა უნდა თქვას: "ჩემია").

### აქტივობა 10. ლექსიკის სწავლა: შავი, თეთრი, წითელი, ლურჯი, ყვითელი, მწვანე

1. თეთრი და შავი ფანქრების გამოყენებით, მოსწავლეებს ასწავლით სიტყვებს: *თეთრი, შავი.*
2. მოსწავლეებმა კლასში უნდა მოძებნონ თეთრი და შავი ფერები და მიუთითონ (ტანსაცმელზე, სურათებზე, კედელზე და სხვა).
3. გაიმეორეთ ყველა ფერი და ითამაშეთ **"რა აკლია?":** ფერადი ფანქრებიდან გამოაკლებთ ერთ-ერთი ფერის ფანქარს; მოსწავლეებმა უნდა თქვან, რომელი ფერი აკლია.

### აქტივობა 11. მთლიანი სიტყვების კითხვა

1. 📖 სრულდება რვ. სავ. №25; დააკვირდი და შემოხაზე; №26. დააკვირდი და გადახაზე; №27. დააკვირდი და დაუკავშირე სურათს.

**აქტივობა 12. მოძრავი თამაშები: "დავდივარ, როგორც..."**

1. წინ გაუძღვებით ჩამწკრივებულ მოსწავლეებს, დადიხართ კლასში და ამბობთ: "დავდივარ, როგორც ველოსიპედი" (მკლავებს პედლებივით დაატრიალებთ). მოსწავლეებმა ეს მოძრაობა უნდა გაიმეორონ. შემდეგ შეცვლით ინსტრუქციებს: "დავდივარ, როგორც ხე" (ხელებს მაღლა ასწევთ); "დავდივარ, როგორც მანქანა" (ხელებით საჭეს ატრიალებთ); "დავდივარ, როგორც ბურთი" (მოძრაობთ ხტუნვა-ხტუნვით).

2. **დამატებითი მოძრავი თამაში "სკამები წრეზე"**

**შენიშვნა:** *ამ აქტივობას გამოიყენებთ მაშინ, როდესაც ჩათვლით, რომ მოსწავლეებს განტვირთვა ესაჭიროებათ.*

მოსწავლეებს მკერდზე დაუმაგრებთ ფერად ქაღალდებს (გამოიყენეთ მხოლოდ ის ფერები, რომელთა სახელწოდებები მოსწავლეებს ნასწავლი აქვთ). ყურადღება მიაქციეთ, რომ მოსწავლეთა ერთ სამეულს ან ოთხეულს ერთი და იმავე ფერის ქაღალდი შეხვდეს, მეორე სამეულს ან ოთხეულს - მეორე ფერის ქაღალდი და ა.შ. აუცილებლად გამოიყენეთ ახალნასწავლი ფერების (შავი, თეთრი) ქაღალდებიც.

თამაშის მონაწილეები სხედან წრიულად განლაგებულ სკამებზე. თუ 12 მონაწილეა, მაშინ დგას 11 სკამი. ერთ-ერთი მონაწილე წრის შუაში დგება. თქვენ მაღლა ასწევთ ერთ-ერთ ფერს და ხმამაღლა იტყვით: "წითელი!" (შეიძლება სიტყვა შუაში მდგომმა დაასახელოს). ის მონაწილეები, რომლებსაც აქვთ წითელი ფერის ქაღალდები, ერთმანეთს ადგილებს გაუცვლიან, ამ დროს შუაში მდგომი მონაწილე სკამზე დაჯდომას შეეცდება. ფეხზე დარჩენილი მონაწილე შუაში დგება. თამაში გაგრძელდება.




**რესურსი**: ფერადი ფურცლები.

**აქტივობა 13. ფონოლოგია: სიტყვის დამარცვლა, მარცვლების დათვლა**

სრულდება შემდეგი ფონოლოგიური სავარჯიშოები:

1. დამარცვლით ნათქვამი სახელების ამოცნობა.
2. დამარცვლა ტაშის დაკვრით: დადეთ თვალსაჩინო ადგილზე რაიმე ნივთი (წიგნი, რვეული, ფანქარი, სხვ.); ხმამაღლა დამარცვლეთ თითოეული სიტყვა და ყოველ მარცვალზე ტაში დაუკარით; აიყოლიეთ მოსწავლეებიც (წიგ-ნი, რვე-უ-ლი, ფან-ქა-რი).
3. სიტყვაში მარცვალთა რაოდენობის დათვლა სურათზე დაყრდნობით - გამოაკარით შემდეგი სურათები: **გია, ბურთი, კომპიუტერი, ველოსიპედი.** სურათზე დაყრდნობით, მოსწავლეები თქვენთან ერთად მარცვლავენ სიტყვას, ტაშს უკრავენ და ითვლიან (თუ დათვლა უჭირთ, ვქმნით სამკაციან ჯგუფებს: ჯგუფის ერთი წევრი მარცვლავს, მეორე ტაშს უკრავს, მესამე ითვლის: გი-ა, ბურ-თი, კომ-პი-უ -ტე-რი, ვე-ლო-სი-პე-დი).
4. საკუთარი სახელის დამარცვლა და მარცვლების დათვლა: მოსწავლეები თავიანთ სახელებს მარცვლავენ ტაშის დაკვრით.

**შენიშვნა:** *ეს სავარჯიშოები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ. მასწ. წ. სავ. №№22, 23, 24, 26).*

**აქტივობა 14. მოსმენა-გაგება, კითხვა**

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 11. №4. გააფერადე მითითების მიხედვით კარნახობთ შემდეგ ტექსტს: *"ლიას ბურთი არის წითელი; გიას ბურთი არის ლურჯი; ლიას ბუშტი არის ყვითელი, გიას ბუშტი არის მწვანე".*
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 11. გვ. 12. №3. დახატე, გააფერადე და დაასახელე. (მოსწავლეებს თქვენ მიუთითებთ: *"დახატე მწვანე ხე, ლურჯი ბურთი, წითელი მზე")*. მას მერე, რაც დახატავენ, წააკითხეთ წარწერა ნახატის თავზე.
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 13. № 1. გააფერადე და დაასახელე.
4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 14, № 2. მოძებნე და დააკავშირე შესაბამის სიტყვასთან. გვ. 14, №4. დააკვირდი და გადახაზე განსხვავებული სიტყვა. გვ. 14. №5. დააკვირდი და დააკავშირე.

**აქტივობა 15. ნატიფი მოტორიკა**

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 15. №6. შეაერთე, გააფერადე და დაასახელე.გვ. 15. №7. შეაერთე.

**აქტივობა 16. ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით, მოსმენა-გაგება**

1. ტექსტის მოსმენამდე მოსწავლეები აკვირდებიან სურათს და პასუხობენ კითხვებზე (ყუთი): *"რა არის ეს/ის? რა ფერია ეს ბურთი/ის ბურთი...? რა არის წითელი/მწვანე...? რამდენი მანქანაა/ბუშტია? ეს არის ლია, ვინ არის ის?..."*, მისთ.
2. track <u>სრულდება წიგნის მეორე დავალება</u> - მოსწავლეები მთლიანად ისმენენ რეპლიკებს, თან აკვირდებიან ნახატებს; შემდეგ ისმენენ რეპლიკებს ცალ-ცალკე და მიუთითებენ სათანადო ნახატზე.

**ტექსტი:** *"გამარჯობა, მე გია ვარ. ჩემია მწვანე მანქანა და კომპიუტერი. 2. გამარჯობა, მე ვარ ლია. ჩემია ლურჯი ველოსიპედი და ყვითელი ბუშტი. 3. მე დათო ვარ. ჩემია წითელი ფანქარი და შავი მანქანა. 4. გამარჯობა, მე ვარ ია. შავი ველოსიპედი და ია ჩემია".*

3. დაუბრუნდით სათამაშოებიანი ყუთის სურათს და შესთავაზეთ მოსწავლეებს გამოცანები: *"ის არის ორი: ერთი ლურჯია, ერთი - შავი. ეს რა არის?"* (ველოსიპედი); *"ის არის სამი: ერთი წითელია, ერთი ყვითელია, ერთი - ლურჯი. რა არის?", "ის არის ერთი და არის ლურჯი".*

**აქტივობა. 17. კითხვა**

1. სრულდება რვ. სავ. გვ. 15. №8. დააკვირდი და გადახაზე განსხვავებული სიტყვა.
2. სრულდება რვ. სავ. გვ. 16. №2. მოძებნე და დააკავშირე შესაბამის სიტყვასთან.




**აქტივობა 18. თვლა 1-დან 5-მდე, მოტორიკა**

1. <u>სრულდება წიგნის მესამე დავალება</u>: დააკვირდი, დათვალე და დააკავშირე. მოსწავლეები ასახელებენ სურათზე წარმოდგენილ საგნებსა და მათს რაოდენობას.
2. სრულდება რვ. სავ. გვ. 16. № 3. დათვალე და დააკავშირე; №4. დაასახელე, იპოვე და შემოხაზე.
3. სრულდება რვ. სავ. გვ. 16 №5. შეაერთე.

**მიზანი:** ახალი ლექსიკის შესწავლა; ნატიფი მოტორიკის განვითარება; მინიტექსტების მოსმენა-გაგება და გამეორება; მთლიანი სიტყვების კითხვა. ფონოლოგია: სიტყვების დამარცვლა სურათზე დაყრდნობით და მარცვლების დათვლა.

**ძირითადი ლექსიკა და კონსტრუქციები:** *შავი, თეთრი, 4, 5, ხე, მზე, ბუშტი, მანქანა, ჩემი . . . რამდენი? რა ფერის?*

**ინსტრუქციები:** *დაუკარი ტაში! აიღე/დადე . . . !*

**თანამშრომლობა სხვა საგნების მასწავლებლებთან:**

- <u>მშობლიური ენის მასწავლებელი</u> - სახელების, ნაცნობი ლექსიკის ზეპირად დამარცვლა, მარცვლების დათვლა; დამარცვლილი სიტყვების გამთლიანება; მასწავლებლის წიგნში მოცემული ფონოლოგიური სავარჯიშოების მშობლიურ ენაზე შესრულება (იხ. მასწ. წ. სავ. №21. - №44).
- **<u>შენიშვნა</u>**: *ამგვარი თანამშრომლობის შემთხვევაში მოსწავლეები ადვილად აითვისებენ კითხვას ორივე ენაზე.*
- <u>სპორტის მასწავლებელი</u> - აქტივობების შესრულება ქართულ ენაზე წარმოთქმული ინსტრუქციების საფუძველზე: *"ახტი! ჩაბუქნეთ! ასწიე ორი/ერთი ხელი!"*, მისთ.
- <u>ხატვის მასწავლებელი</u> - ნასწავლი ლექსიკური ერთეულების (*ხე, მზე, მანქანა, გოგო, ბიჭი, ბუშტი, ბურთი*) დახატვა ნასწავლი ფერების (*წითელი, ლურჯი, შავი, თეთრი, ყვითელი, მწვანე*) გამოყენებით. შეიძლება მოეწყოს პატარა გამოფენა, რომლის დროსაც მოსწავლეებმა ქართულად უნდა დაასახელონ, რა დახატეს.

## მოსწავლის წიგნი, გვერდი 9

**აქტივობა 1. ფონოლოგიური სავარჯიშოები: დამარცვლა, მარცვლების გამთლიანება სიტყვებად, მარცვლების დათვლა**

გააკარით შემდეგი სურათები: **ბურთი, კომპიუტერი, თითი, ხე, გია, ლია, ტელეფონი** და შეასრულეთ შემდეგი სავარჯიშოები:

1. წარმოთქვით სიტყვები დამარცვლით. მოსწავლე ამოიცნობს სიტყვას სურათზე

დაყრდნობით და გაამთლიანებს მას.

2. მოსწავლე დამარცვლავს სიტყვას სურათზე დაყრდნობით და ტაშის დაკვრით დაითვლის მარცვლებს.
3. **მარცვალი და რკალი** - დამარცვლავთ იმავე სიტყვებს, თან დაფაზე თითო მარცვალს თითო რკალით გამოხატავთ: ორმარცვლიანი სიტყვა იქნება ორრკალიანი, ოთხრკალიანი - ოთხმარცვლიანი. ამის შემდეგ რკალებს თითს გააყოლებთ და კვლავ დამარცვლავთ იმავე სიტყვებს მოსწავლეებთან ერთად;
4. დაფაზე დაწერთ: "2". მოსწავლეებმა უნდა გამოარჩიონ და ცალკე დადონ ორმარცვლიანი სიტყვების ამსახველი სურათები *(**ბურთი, თითი, გია, ლია**)*. იმავე პრინციპით მუშაობთ ოთხმარცვლიანზე *(**კომპიუტერი, ტელეფონი**)*.

**შენიშვნა:** *ეს სავარჯიშოები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ. მასწ. წ. სავ. №№22, 26, 27).*

### აქტივობა 2. ინსტრუქციების შესრულება

1. <u>სრულდება მეოთხე დავალება</u> - ამბობთ ინსტრუქციებს: *"ადექი/ადექით"; "დაჯექი/დასხედით!"*. მოსწავლეები მიუთითებენ შესაბამის სურათზე.
2. გამოიყვანეთ ერთ-ერთი მოსწავლე, დასვით იგი ცალკე სკამზე და შეასრულებინეთ ინსტრუქცია: *"ადექი! დაჯექი!"*. შემდეგ კლასისკენ შეტრიალდით და მიმართეთ მოსწავლეებს: *"ადექით! დასხედით!"*.
3. **თამაში "ყურადღებით იყავით!":** მოსწავლეები უმოძრაოდ რჩებიან (არც ადგებიან და არც დასხდებიან), როცა მხოლობითის ფორმას გამოიყენებთ. ამით ისინი განასხვავებენ მხოლობითისა და მრავლობითის ფორმებს (ადექი-ადექით; დაჯექი-დასხედით).




### აქტივობა 3. ბგერასა და ასოს შორის არსებული კავშირის გაცნობიერება

1. ანბანის კითხვა: კითხულობთ კლასში გამოკრულ ანბანს შემდეგი წესით - მოსწავლეებს აჩვენებთ კედელზე გაკრული ანბანის ერთ ასოს და ახმოვანებთ მას, ანუ წარმოთქვამთ შესაბამის ბგერას. გაითვალისწინეთ, რომ მოსწავლეებს არ მოეთხოვებათ ანბანის დამახსოვრება - ამ აქტივობის მიზანია, მოსწავლეებმა აღიქვან კავშირი ასოსა და ბგერას შორის; გააცნობიერონ, რომ კონკრეტული ასო კონკრეტული ბგერის ხილული ხატია.

### აქტივობა 4. ფონოლოგია; სიტყვების დამარცვლა, მარცვლების დათვლა, სიტყვების გადახარისხება მარცვალთა რაოდენობის მიხედვით

გამოაკარით შემდეგი სურათები: **ლია, გია, ია, კომპიუტერი, ბურთი, ტელეფონი, ხე, მზე, წიგნი, თითი, ველოსიპედი.**

1. წარმოთქვით სიტყვები დამარცვლით. სურათზე დაყრდნობით, მოსწავლე ამოიცნობს სიტყვას და ამთლიანებს მას.
2. სურათზე დაყრდნობით, მოსწავლე მარცვლავს სიტყვას, ტაშს უკრავს და ითვლის მარცვლების რაოდენობას.
3. დამარცვლავთ იმავე სიტყვებს, თან დაფაზე თითო მარცვალს თითო რკალით გამოხატავთ (ორმარცვლიანი იქნება ორრკალიანი , ოთხრკალიანი - ოთხმარცვლიანი). ამის შემდეგ რკალებს თითს გააყოლებთ და მოსწავლეებთან ერთად კვლავ დამარცვლავთ იმავე სიტყვებს.
4. გაამზადებთ ოთხ ყუთს ან ოთხ ადგილს ერთმარცვლიანი, ორმარცვლიანი, ოთხმარცვლიანი და ხუთმარცვლიანი სიტყვებისათვის. მოსწავლეებმა უნდა დააჯგუფონ სურათები მათზე გამოსახული საგნების სახელთა მარცვლების რაოდენობის მიხედვით და შესაბამის ყუთებში/ადგილებზე დადონ (ერთგან დაიდება სურათები, რომლებზეც გამოსახულია ერთმარცვლიანი სიტყვები: *ხე, მზე;* მეორეგან - სურათები, რომლებზედაც გამოსახულია ორმარცვლიანი სიტყვები: *თითი, ია, გია, დია, ბურთი, წიგნი;* ცალკე დაიდება ოთხმარცვლიანი სიტყვის - *ტელეფონის სურათი;* ცალკე - ხუთმარცვლიანი სიტყვების: *ველოსიპედისა* და *კომპიუტერის* სურათები).

**შენიშვნა:** *ეს სავარჯიშოები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ. მასწ. წ. სავ. №№22, 24, 26, 27).*

### აქტივობა 5. მთლიანი სიტყვების კითხვა; საერთო ასოს პოვნა

1. სრულდება რვ. სავ. გვ. 17, № 6. დააკავშირე ნაწერი ნახატთან; გვ. 18, №1. დააკვირდი და შემოხაზე იგივე სიტყვა; №2. დააკვირდი და გადახაზე განსხავებული სიტყვა. გვ. 18. №4. დააკვირდი და გადახაზე განსხვავებული სიტყვა.
2. სრულდება მეხუთე დავალება - მოსწავლეები აკვირდებიან, „კითხულობენ“ სიტყვებს და აკავშირებენ სურათებთან.
3. **ფოტოგრაფიული კითხვა -** მოსწავლეებს სწრაფ-სწრაფად აჩვენებთ წარწერიან ბარათებს (ბარათებზე წერია: *ბურთი, მანქანა, მზე, ხე, ია, გია, ლია, ია)*; ისინი ამოიცნობენ და ასახელებენ ბარათებზე დაწერილ სიტყვებს.
4. **დიდი ლოტო საყრდენი წარწერის გარეშე** - გამოაკრავთ ამავე სიტყვების შესატყვის სურათებს (წარწერების გარეშე); რიგრიგობით მისცემთ მოსწავლეებს თითო-თითო ბარათს, რომლებზეც სურათების შესაბამისი სიტყვებია დაწერილი. მოსწავლეებმა ეს ბარათები შესაბამის სურათთან უნდა მიიტანონ. თანაკლასელები აკვირდებიან, სწორად შესრულდა თუ არა დავალება.
5. **"დღეს ვინ არ არის?" -** ეკითხებით მოსწავლეებს: *"დღეს ვინ არ არის?";* მათ უნდა მოძებნონ იმ მოსწავლეთა ბარათებზე დაწერილი სახელები, რომლებიც გაკვეთილს არ ესწრებიან და ერთად დაალაგონ ისინი (ბარათები).
6. **სიტყვაში ასოს გამოკვეთა** - დაწერეთ ან გამოაკარით შემდეგი სიტყვები: *ია, გია, ლია.* მოსწავლეები აკვირდებიან და ეძებენ, რა აქვთ ამ სიტყვებს საერთო (*ი, ა*). საერთო ასოებს წერთ დაფაზე; მოსწავლეები ეძებენ ამ ასოებს თავიანთ სახელებში, ანბანში.




**შენიშვნა:** *ეს სავარჯიშოები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ.მასწ. წიგნი, ტიპური სავ. №№50, 52, 53).*

### აქტივობა 6 . მოძრავი თამაშები

1. **"მანქანები"** - ყველა წინ გაიწვდენს ხელებს და "პი-პი"-ს ძახილით იწყებს მოძრაობას ოთახში. თქვენ ხმამაღლა წარმოთქვამთ რაიმე ციფრს 1-დან 5-მდე, რის შემდეგაც მოსწავლეები უნდა გაერთიანდნენ დასახელებული ციფრის შესაბამისი რაოდენობის ჯგუფებში. ვინც ვერ მოასწრებს ჯგუფში მოხვედრას და მარტო დარჩება, წამყვანი ხდება. თამაშის ახალი წამყვანი ასახელებს ახალ ციფრს 1-დან 5-მდე და ა.შ.
2. **"სკამები წრეზე" -** მოსწავლეებს ფერად ქაღალდებს მკერდზე უმაგრებთ (გამოიყენეთ მხოლოდ ის ფერები, რომელთა სახელწოდებები მოსწავლეებს ნასწავლი აქვთ). ყურადღება მიაქციეთ, რომ მოსწავლეთა ერთ სამეულს ერთი და იმავე ფერის ქაღალდი შეხვდეს, მეორე სამეულს - მეორე ფერის და ა.შ. აუცილებლად გამოიყენეთ ახალნასწავლი ფერების ფურცლები (შავი და თეთრი).

თამაშის მონაწილეები სხედან წრიულად განლაგებულ სკამებზე. თუ 12 მონაწილეა, მაშინ დგას 11 სკამი. ერთ-ერთი მონაწილე წრის შუაში დგება. თქვენ მაღლა ასწევთ ერთ-ერთ ფერს და ხმამაღლა იტყვით: "წითელი!" (შეიძლება შუაში მდგომმა დაასახელოს). ის მონაწილეები, რომლებსაც აქვთ წითელი ფერის ქაღალდები, ერთმანეთს ადგილებს გაუცვლიან. ამ დროს შუაში მდგომი მონაწილე სკამზე დაჯდომას შეეცდება. ფეხზე დარჩენილი მონაწილე შუაში დგება. თამაში გაგრძელდება.

**რესურსი**: ფერადი ფურცლები.

### აქტივობა 7. პერსონაჟების სახელები: ია, დათო, გია, ლია

1. მოსწავლეებს აჩვენებთ სურათებს; ისინი თქვენთან ერთად ასახელებენ პერსონაჟებს.
2. რომელიმე მოსწავლეს აჩვენებთ ერთ-ერთი პერსონაჟის სურათს (სხვა მოსწავლეები ამ სურათს არ უნდა ხედავდნენ). მოსწავლემ უნდა განასახიეროს სურათზე გამოხატული პერსონაჟი; თანაკლასელებმა უნდა ამოიცნონ ეს პერსონაჟი და დაასახელონ იგი.

### აქტივობა 8. მთლიანი სიტყვების კითხვა, მოტორიკა

1. **ფოტოგრაფიული კითხვა:** მოსწავლეებს სწრაფ-სწრაფად აჩვენებთ წარწერიან ბარათებს (ბარათებზე წერია: *ია, ლია, გია, ია, ბურთი, ბუშტი, მანქანა, კომპიუტერი, ველოსიპედი, ხე, მზე*); ისინი ამოიცნობენ და ასახელებენ ბარათებზე დაწერილ სიტყვებს.
4. სრულდება რვ. სავ. გვ.18. №5. დააკვირდი და გადახაზე განსხვავებული სიტყვა. გვ. 19. №6. დააკვირდი და შემოხაზე იგივე სიტყვა.
5. სრულდება რვ. სავ. გვ. 19. №8. შეაერთე.

### აქტივობა 9. ფონოლოგია: მარცვალთა ჩამონათვალში სამოდელო მარცვლის ამოცნობა

1. ასახელებთ სამოდელო მარცვალს, მაგ., *"მა"*-ს; გაამეორებინებთ მას მოსწავლეებს და, ჟესტიკულაციის თანხლებით, გააგებინებთ, რომ მათ ეს მარცვალი უნდა დაიმახსოვრონ (ჟესტების ენით, „თავში უნდა ჩაიდონ"). შემდეგ წარმოთქვამთ *"მა"* -ს და უკრავთ ტაშს. შემდეგ ჩამოთვლით სამოდელო მარცვლისაგან ძალიან განსხვავებულ მარცვლებს (მაგ., *შო, კუ, ხო, ჯე, ჯო, რე, გი, წე* და სხვ.) და გარკვეული პერიოდულობით, «ჩაურთავთ» სამოდელო მარცვალს ("მა"-ს). სამოდელო მარცვლის წარმოთქმისას ტაშს დაუკრავთ მოსწავლეებთან ერთად. ამ გზით ისინი მიხვდებიან, რომ ტაში უნდა დაუკრან მხოლოდ სამოდელო მარცვლის გაგონებისას.




2. პერიოდულად ცვლით სამოდელო მარცვალს (*მაგ. შო, კუ* და *სხვ.*). ყოველ ჯერზე, იმავე ჟესტიკულაციის გამოყენებით, აგებინებთ მოსწავლეებს, რომ მათ ახლა ეს მარცვალი უნდა "ჩაიდონ თავში", რათა ამ უკანასკნელს შეადარონ სხვა ჩამოთვლილი მარცვლები. იმავე პრინციპით, მოსწავლეებმა ტაში უნდა დაუკრან მხოლოდ სამოდელო მარცვლის გაგონებისას.

**მიზნები:** ნატიფი მოტორიკის განვითარება, ინსტრუქციების გაგება, ნასწავლი ლექსიკური ერთეულების გამეორება-განმტკიცება. ფონოლოგიური უნარების განვითარება: დამარცვლა, მარცვლების გამთლიანება სიტყვებად, ნაწერი სიტყვის ანალიზი, მთლიანი სიტყვების კითხვა, ბგერასა და ასოს შორის არსებული მიმართების გაცნობიერება.

**ლექსიკა და სტრუქტურები:** იგივე, რაც წინა მასალაში.

### თანამშრომლობა სხვა საგნის მასწავლებლებთან:

- <u>მშობლიური ენის მასწავლებელი</u> - მასწავლებლის წიგნში მოცემული ფონოლოგიური სავარჯიშოების მშობლიურ ენაზე შესრულება (იხ. მასწ.წ.სავ. №12. - №44).

**შენიშვნა**: *ამგვარი თანამშრომლობის შემთხვევაში მოსწავლეები ადვილად აითვისებენ კითხვას ორივე ენაზე.*

- <u>სპორტის მასწავლებელი</u> - აქტივობების შესრულება ქართულ ენაზე წარმოთქმული ინსტრუქციების საფუძველზე: *"ახტი! ჩაბუქნეთ! ასწიე ორი/ერთი ხელი!"*, მისთ.
- <u>ხატვის მასწავლებელი</u> - ნახატებში წითელი, ყვითელი, შავი, თეთრი, მწვანე, ლურჯი ფერების მითითება და დასახელება.
- <u>მათემატიკა</u> - ქართულად თვლა 1-დან 5-მდე.
- <u>ბუნების მასწავლებელი</u> - ფოთლის კონტურების გაფერადება მწვანედ, ყვითლად, სხვ.

## მოსწავლის წიგნი, გვერდი 10

### აქტივობა 1. წინა მასალის გახსენება

1. ხუთამდე დათვლა თითებისა და ფანქრების გამოყენებით;
2. ნასწავლი ლექსიკური ერთეულების გამეორება სურათებისა და საგნების გამოყენებით (ლექსიკური ერთეულები: *ბურთი, ბუშტი, მანქანა, წიგნი, რვეული, ფანქარი, კომპიუტერი, ველოსიპედი, ტელეფონი, ყვავილი ია, ხე, მზე).*

3. **ფოტოგრაფიული კითხვა:** მოსწავლეებს სწრაფ-სწრაფად აჩვენებთ წარწერიან ბარათებს (ბარათებზე წერია: *ია, ლია, გია, ია, ბურთი, ბუშტი, მანქანა, კომპიუტერი, ველოსიპედი, ხე, მზე* **);** ისინი ამოიცნობენ და ასახელებენ ბარათებზე დაწერილ სიტყვებს.
4. **კითხვების დასმა სურათზე დაყრდნობით:** *"ხე არის? რამდენი?, რა ფერის?, მზე არის?"*, მისთ. ასახელებთ ფერებს და მოსწავლეები მიუთითებენ მათზე.

**აქტივობა 2. ლექსიკის სწავლა: ზარი, დაფა**

1. მოსწავლეებს სურათზე აჩვენეთ და ასწავლეთ ლექსიკური ერთეულები:ზარი, დაფა.
2. ერთმანეთს შეადარებინეთ თავიანთი საკლასო ოთახი და წიგნში წარმოდგენილი საკლასო ოთახის სურათი შემდეგი კითხვების დასმით: *"აქ (კლასს უთითებთ ჟესტიკულაციით) დაფა არის? იქ არის? (უთითებთ სურათზე); "რა წერია აქ ? (1, 2); "აქ წერია 1, 2 ? აქ ზარი არის? იქ?", მისთ.*

**აქტივობა 3. ინსტრუქციების გაგება**

1. ნასწავლი ინსტრუქციების შესრულება: *"ადექით!", "დაუკარი ტაში!", "დასხედით!", "ჩაბუქნეთ!", "ახტით!"* (დეტალური ინფორმაციისათვის იხ. მასწ. წიგნი, ტიპური აქტ. №№14, 15).
2. ახალი ინსტრუქციების შესწავლა: *"მაჩვენეთ დაფა!"* (მოსწავლეებმა ხელი უნდა გაიწვდინონ დაფისკენ), *"გამოდით დაფასთან!" (ყველა დაფასთან გამოდის), "წადით, დასხედით!" (ყველა მერხებს მიაშურებს).* რამდენჯერმე გაამეორებინეთ მოსწავლეებს ეს მოქმედებები.

3. გაართულეთ აქტივობა და არეული თანამიმდევრობით შეასრულებინეთ შემდეგი ინსტრუქციები: *"გამოდით დაფასთან! დაუკარით ტაში! ჩაბუქნეთ! ადექი! წადი, დაჯექი! მაჩვენე დაფა! მაჩვენე წიგნი/ რვეული!"*.

**შენიშვნა:** *დეტალური ინფორმაციისთვის იხ. მასწ. წიგნი, ტიპური აქტ. №№14, 15.*

**აქტივობა 4. ბგერასა და ასოს შორის არსებული კავშირის დანახვა**

1. ანბანის კითხვა: კითხულობთ კლასში გამოკრულ ანბანს შემდეგი წესით - აჩვენებთ მოსწავლეებს კედელზე გაკრული ანბანის ერთ ასოს და ახმოვანებთ მას, ანუ წარმოთქვამთ შესაბამის ბგერას. გაითვალისწინეთ, რომ მოსწავლეებს არ მოეთხოვებათ ანბანის დამახსოვრება. ამ აქტივობის მიზანია, მოსწავლეებმა აღიქვან კავშირი ასოსა და ბგერას შორის; გააცნობიერონ, რომ კონკრეტული ასო კონკრეტული ბგერის ხილული ნიშანია.

**აქტივობა 5. ფონოლოგია: მარცვლის დამატება**

1. მოსწავლეებმა საკუთარ სახელს უნდა დაუმატონ თქვენ მიერ შეთავაზებული სამოდელო მარცვალი. თავდაპირველად ხუთ-ექვს მაგალითს თქვენ აკეთებთ, რათა მოსწავლეები უკეთ ჩაწვდნენ აქტივობის არსს. მაგ., იმ შემთხვევაში, თუ სამოდელო მარცვალია დუ, გამოგვივა: თამრიკო**დუ**, ლელა**დუ**, ნიკო**დუ**, ელზადუ, შოთადუ, თინადუ. გააგრძელეთ ამგვარად, პერიოდულად შეცვალეთ სამოდელო მარცვალი.
2. გამოაკარით შემდეგი სურათები: **ლია, გია, ია, კომპიუტერი, ბურთი, ტელეფონი, ხე, მზე, წიგნი, თითი, ველოსიპედი.** შეასრულებინეთ მოსწავლეებს იმავე ტიპის აქტივობა - სიტყვის ბოლოს სხვადასხვა სამოდელო მარცვლის დამატება (ბე, ზუ და სხვ.).

**მიზნები:** ნასწავლი ლექსიკის გამეორება; ახალი ლექსიკური ერთეულების შესწავლა; ფონოლოგიური უნარების განვითარება: სიტყვის ბოლოს მარცვლის დამატება; ინტერაქცია კუთვნილებაზე; მთლიანი სიტყვების კითხვა; ასო-ბგერითი მიმართების გაცნობიერება.

**ლექსიკა და კონსტრუქციები:** *დაფა, ზარი.*

**ინსტრუქციები:** *მაჩვენე . . . ! გამოდით დაფასთან ! წადით, დასხედით!*

## მოსწავლის წიგნი, გვერდი 11

### აქტივობა 1. ლექსიკის სწავლა: დიდი/პატარა

1. მოამზადეთ ნახატები: **დიდი/პატარა მზე, ბურთი, ფანქარი.** გააკარით ისინი დაფაზე ან კედელზე (შეიძლება თქვენ თვითონ დახატოთ დაფაზე საჭირო სურათები). სურათებისა და ჟესტიკულაციის გამოყენებით (მაგ., დიდი - გაშლილი ხელები; პატარა - ერთმანეთთან ახლოს მიტანილი ხელები), აათვისებინეთ მოსწავლეებს სიტყვები: *დიდი/პატარა*. ათვისების პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობს: თქვენ ასახელებთ და "აჩვენებთ" სიტყვებს; თქვენ ასახელებთ სიტყვებს, მოსწავლეები კი "აჩვენებენ" მათ; თქვენ "აჩვენებთ" სიტყვებს, მოსწავლეები კი ასახელებენ მათ.
2. **კითხვა-პასუხი**: მოსწავლეებს მიუთითებთ კონკრეტულ ნახატზე (მაგ. **პატარა მზე**) და ეკითხებით: *"ეს როგორი მზეა, დიდი თუ პატარა?"* და ასე შემდეგ.
3. **სწორია/არ არის სწორი:** მოსწავლეებს მიუთითებთ სურათებზე და ასახელებთ მათზე გამოხატულ საგნებს ხან სწორად, ხან მცდარად (მაგ. მიუთითებთ პატარა მზეზე და ამბობთ: *"დიდი მზე"*).
4. ასახელებთ დიდ/პატარა საგნებს სათანადო ჟესტიკულაციის გამოყენებით, მოსწავლეებიც ხელების შესაბამისი მოძრაობით აჩვენებენ დიდს/პატარას; შიგადაშიგ შეასრულებთ მცდარ მოძრაობას, მოსწავლეები არ უნდა შეცდნენ.
5. მოსწავლეები მიუთითებენ კლასში არსებულ დიდ და პატარა საგნებზე: *"მაჩვენე, რა არის დიდი? მაჩვენე, რა არის პატარა? ეს როგორია, დიდი თუ პატარა?"*, მისთ.




### აქტივობა 2. ლექსიკა: დათვი, ბუ, კუ, კუდი, ქუდი

1. გამოაკარით სურათები: **დათვი, ბუ, კუ, კუდი, ქუდი**. მიუთითეთ მოსწავლეებს სურათებზე და რამდენჯერმე დაასახელეთ მათზე გამოხატული საგნები. ჰკითხეთ მოსწავლეებს (თან მიუთითეთ შესაბამის სურათზე): *"როგორია დათვი, დიდი თუ პატარა? როგორია კუ, დიდი თუ პატარა? როგორია ბუ, დიდი თუ პატარა?"*, მისთ.
2. რიგრიგობით გამოგყავთ მოსწავლეები და სთხოვთ მათ: *"მაჩვენე კუ! მაჩვენე დათვი/ ქუდი/კუდი!"*.
3. მიუთითებთ სურათებზე და მოსწავლეებთან ერთად იმეორებთ ყველა სიტყვას.
4. **შეტრიალებული სურათები:** კედლისაკენ შეატრიალეთ ყველა სურათი (დაიცავით მათი თანამიმდევრობა) და მიუთითეთ მოსწავლეებს ცალკეულ მათგანზე. ვიზუალურ მეხსიერებაზე დაყრდნობით, მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ მითითებულ სურათზე გამოსახული საგნის აღმნიშვნელი სიტყვა.

**შენიშვნა:** *ეს სავარჯიშოები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ. მასწ. წ. სავ. №№2, 3, 5, 6).*

### აქტივობა 3. ინტერაქცია სურათზე

1. <u>სრულდება წიგნის პირველი</u> დავალება - მოსწავლეები აკვირდებიან ნახატებს, პასუხობენ თქვენს კითხვებს: *"ეს რა არის? რამდენია? როგორია? მაჩვენე, რომელია დიდი დათვი? რომელია პატარა დათვი?"* და მისთ.
2. მიუბრუნდით პირველი-მეორე გვერდების სურათს და დაუსვით კითხვები შესწავლილ მასალაზე დაყრდნობით: *"რომელია დათვი? რამდენი დათვია? როგორია ეს დათვი? ის? რამდენი დიდი დათვია? რამდენია პატარა დათვი? რამდენი კუა? როგორი?"* და მისთ.

### აქტივობა. 4. მთლიანი სიტყვების კითხვა; საერთო ასოს პოვნა

1. **დიდი ლოტო** - გამოაკრავთ *დათვის, კუს, ბურთის, ბუს* სურათებს წარწერიანი ბარათებით და წაიკითხავთ წარწერებს მოსწავლეებთან ერთად. შემდეგ მოსწავლეებს რიგრიგობით აძლევთ ბარათებს ამავე წარწერებით. მოსწავლეებმა თქვენ მიერ მიცემული ბარათები შესაბამის სურათთან უნდა მიიტანონ. თანაკლასელები აკვირდებიან, სწორად შეასრულეს თუ არა დავალება მოსწავლეებმა.
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. №7. დააკვირდი და გაიმეორე.
3. **ფოტოგრაფიული კითხვა -** მოსწავლეებს

სწრაფ-სწრაფად აჩვენებთ წარწერიან ბარათებს *(ბარათებზე წერია: დათვი, კუ, ბურთი, ბუ);* ისინი ამოიცნობენ და ასახელებენ ბარათებზე დაწერილ სიტყვებს.

4. **საერთო ასოს პოვნა** - დაწერეთ ან გამოაკარით შემდეგი *სიტყვები: ბუ, კუ, ბურთი.* მოსწავლეები აკვირდებიან და ეძებენ, რა აქვთ ამ სიტყვებს საერთო (უ). ამის დადგენის შემდეგ დაფაზე დაწერთ საერთო ასოს, რომელსაც მოსწავლეები მოძებნიან თავიანთ სახელებში და ანბანში.
5. **ფოტოგრაფიული კითხვა** - მოსწავლეებს სწრაფ-სწრაფად აჩვენებთ წარწერიან ბარათებს (ბარათებზე წერია: *ბურთი, მანქანა, მზე, ხე, ია, გია, ლია).* მოსწავლეები ამოიცნობენ და ასახელებენ სიტყვებს.

**შენიშვნა:** *ეს სავარჯიშოები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ. მასწ. წიგნი, ტიპური სავ. №№50, 52, 53).*

## აქტივობა 5. ფონეტიკა: კუდი/ქუდი

1. თავდაპირველად დარწმუნდით, რომ მოსწავლეები სმენით განასხვავებენ ერთმანეთისგან ქუდსა და კუდს (ქ/კ). ამისათვის ჯერ გაგებაზე იმუშავეთ: შეთანხმდით ჟესტიკულაციაზე - როგორ უნდა განასახიერონ მოსწავლეებმა ჟესტიკულაციით ქუდი და კუდი. შემდეგ არეულად ასახელებთ ქუდს/კუდს (ხან ზედიზედ იმეორებთ ერთსა და იმავე სიტყვას, ხან ერთს მეორეს შეუნაცვლებთ). მოსწავლეებმა თქვენ მიერ დასახელებული სიტყვები სათანადო ჟესტიკულაციის გამოყენებით უნდა განასახიერონ.
2. გაამეორებინეთ ცალკეულ მოსწავლეს კუდი: თუ იტყვის "ქ"უდს, აჩვენეთ ქუდის სურათი და უთხარით: "*ქუდი არა, კ-კ-კ-*

*კუდი"* და აჩვენეთ კუდის სურათი. ბოლოს ერთად გაიმეორეთ: "კუდი".

## აქტივობა 6. ინტერაქცია: რა აქვს . . . ?

1. გამოგყავთ ორი მოსწავლე. ერთს, მაგ., თინას, აძლევთ წიგნს, მეორეს, მაგ., ნიკოს - ფანქარს და ამბობთ: "*თინას აქვს ფანქარი. რა აქვს ნიკოს?";* გადაათამაშეთ ეს სიტუაცია მოსწავლეთათვის ნაცნობი სიტყვებით *(წიგნი, რვეული).*
2. მოსწავლეებს დაურიგებთ ნაცნობ ნივთებს *(მაგ., ფანქარი, რვეული, წიგნი, ქუდი, ბურთი)* და იკითხავთ: "*რა აქვს ნიკოს? შოთას? დიტოს?"* და მისთ. მოსწავლეები ასახელებენ ნივთებს.

## აქტივობა 7. მოძრავი თამაში (ნასწავლი ლექსიკის განმტკიცება: დათვი, კუ, ბურთი, მანქანა)

1. გაახსენეთ თამაში - "*დავდივარ, როგორც . . .*" ჩაამწკრივებთ მოსწავლეებს, წინ გაუძღვებით მათ მწკრივს და კლასში დაიწყებთ სიარულს. სიარულისას ამბობთ: "*დავდივარ, როგორც ~~ველოსიპედი"~~* (მკლავებს პედალივით დაატრიალებთ), "*დავდივარ, როგორც ~~ხე"~~* (ხელებს ზემოთ ასწევთ), "*დავდივარ, როგორც ~~მანქანა"~~* (ხელებით წარმოსახვით საჭეს ატრიალებთ), "*დავდივარ, როგორც ~~დათვი~~* " (დადიხართ ბაჯბაჯით), "*დავდივარ, როგორც ~~კუ"~~* (ხელებს ნიჩბებისმაგვარად იქნევთ). მოსწავლეებმა ყველა მოძრაობა უნდა გაიმეორონ.
2. **დაფარული ბარათი** - რომელიმე მოსწავლეს აჩვენებთ ერთ-ერთ სურათს ისე, რომ სხვა მოსწავლეებმა ვერ დაინახონ იგი. მოსწავლემ უნდა განასახიეროს, რა არის გამოსახული სურათზე; თანაკლასელებმა უნდა ამოიცნონ და დაასახელონ სათანადო სიტყვა.

## აქტივობა 8. მოსმენა-გაგება, ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით

1. 📖 სრულდება რვ, სავ. გვ. 19. №9. დააკვირდი და იპოვე განსხვავება. მოსწავლეები პოულობენ განსხვავებას და აღწერენ მას თქვენი დახმარებით.
2. თქვენი მითითებების მიხედვით, აფერადებენ სურათზე წარმოდედგენილ კუს, დათვის და ძაღლის ქუდებს. ამ სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ეკითხებით: "*რა ფერის ქუდი აქვს დათვს? კუს? ძაღლს?"* და სხვა.
3. კუდი - იკითხეთ: " *დათვს აქვს კუდი? კუს აქვს კუდი? ბუს აქვს კუდი? როგორი კუდი აქვს დათვს? კუს როგორი კუდი აქვს, დიდი თუ პატარა?"*, მისთ.
4. ამუშავეთ მოსწავლეები სხარტულაზე:

*კუს აქვს დიდი ქუდი და პატარა კუდი.* რამდენჯერმე გაამეორებინეთ იგი მოსწავლეებს, თან სურათზე მიუთითეთ.

5. შეიძლება ერთ მოსწავლეს ქუდი დაახუროთ, მეორეს სიმბოლური კუდი "შეაბათ" და იკითხოთ: *"ვის აქვს კუდი/ქუდი?"*, მისთ.

### აქტივობა 9. მთლიანი სიტყვების კითხვა

1. დაფაზე დაწერეთ და წააკითხეთ მოსწავლეებს: *დიდი, პატარა.*
2. **დიდი ლოტო** - გამოაკრავთ სურათებს: **მზე, ხე, ბუ, კუ, მანქანა, დათვი.** რიგრიგობით აძლევთ მოსწავლეებს ბარათებს, რომლებზეც სურათებზე გამოსახული საგნების აღმნიშვნელი სიტყვებია დაწერილი. თქვენ მიერ მიცემული ბარათები მოსწავლეებმა შესაბამის სურათთან უნდა მიიტანონ. თანაკლასელები აკვირდებიან, სწორად ასრულებენ თუ არა ისინი დავალებას.
3. **ფოტოგრაფიული კითხვა -** მოსწავლეებს სწრაფ-სწრაფად აჩვენებთ წარწერიან ბარათებს (ბარათებზე წერია: *მზე, ხე, ბუ, კუ, მანქანა, დათვი, დიდი, პატარა);* ისინი ამოიცნობენ და ასახელებენ ბარათებზე დაწერილ სიტყვებს.
4. **უცნობი სიტყვის პოვნა** - გამოაკარით ან დაწერეთ: *მანქანა, მზე, ხე, ბუ, კუ, მაიმუნი, დათვი; მოსწავლემ უნდა ამოიცნოს, რომელია უცნობი სიტყვა.*
5. დახატეთ: *დიდი მზე, პატარა მზე; დიდი ხე, პატარა ხე.* მოსწავლეებმა შესაბამის ნახატს უნდა დაადონ ბარათები: *დიდი, პატარა.*
6. **ტექსტში ნაცნობი სიტყვის მოძებნა:** დაფაზე წერთ წინადადებებს: *კუს აქვს პატარა ქუდი. ბუს აქვს დიდი სათვალე. დათვს*

*აქვს პატარა კუდი.* მოსწავლემ უნდა იპოვოს და შემოხაზოს ის სიტყვები, რომელთა წაკითხვაზე მას უვარჯიშია: *კუ, ბუ, დიდი, პატარა.*

7. სრულდება რვ. სავ. გვ. 20. №1. დათვალე, დააკავშირე და დაასახელე; №2. დააკვირდი და დახატე; №4. დააკვირდი და დააკავშირე. №5. გააფერადე მითითების მიხედვით.

*რესურსი:სურათები და ბარათები შემდეგი სიტყვებისა:* **მანქანა, მზე, ხე, ბუ, კუ, მაიმუნი, დათვი.**

### აქტივობა. 10. მოსმენა-გაგება

1. track სრულდება წიგნის მეორე დავალება - მოისმინე და მიუთითე. მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს ჯერ ერთ ლექსს, მოსწავლები მიუთითებენ შესაბამის სურათზე. მეორე და მესამე ლექსებზე მუშაობა გაგრძელდება იმავე პრინციპით.

**ლექსები:**

ა. დიდი დათვი დრუნჩიანი
დუდღუნა და დანდალაო,
დილით ადრე წამომდგარა,
თაფლის ჭამით დამთვრალაო.

ბ. კუ ბაზარში მიდის,
ჩამოწერა სია:
ერთი კილო შინდი,
ორი კილო ბია.

გ. დღისით წიგნებს კითხულობს,
არ შორდება ფუღუროს.
ღამით გარეთ დაფრინავს,
ვარსკვლავებს რომ უყუროს.

### აქტივობა 11. ლექსის "დიდი დათვი" დასწავლა

1. კლასი დაყავით ორ ჯგუფად. ლექსის მონაკვეთი, სხვადასხვა ვარიაციით, გაამეორებინეთ ჯერ ერთ ჯგუფს, შემდეგ - მეორეს (ეს ბავშვებს ძალიან ახალისებს):
   - ხმის ტემბრის დაბოხებით, შემდეგ დაწვრილებით;
   - ჩურჩულით/ხმამაღლა;
   - ნელი/ჩქარი ტემპით.
   - მეორე ეტაპზე თქვით სტრიქონის დასაწყისი, მოსწავლეებმა უნდა დაასრულონ იგი.
2. ბოლოს ყველა ერთად იმეორებს ლექსს.
3. სასურველია აგრეთვე მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენებაც:
   - ლექსს ამბობთ სათანადო მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენებით, მოსწავლეები ისმენენ და იმეორებენ იმავე მიმიკა-ჟესტიკულაციას;

- ლექსს ამბობთ მიმიკა- ჟესტიკულაციის გარეშე, მოსწავლეები განასახიერებენ მას მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენებით;
- მოსწავლეები ლექსს ამბობენ მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენებით.

**შენიშვნა:** *ეს სავარჯიშოები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ. მასწ. წ. სავ. №№16, 17).*

### აქტივობა 12. ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით

1. სრულდება წიგნის მესამე დავალება - დააკვირდი და დაასახელე. თქვენს მითითებებზე დაყრდნობით, მოსწავლეებმა უნდა აღწერონ სურათი. თუკი მოსწავლე იტყვის მხოლოდ: "ეს არის დათვი", უნდა ჩაეკითხოთ მას: "*დიდი თუ პატარა?*"; საბოლოოდ, მოსწავლემ უნდა გაიმეოროს: "ეს არის დიდი/პატარა დათვი".

### აქტივობა 13. კითხვა, მოტორიკა

1. სრულდება რვ. სავ. გვ. 21. №6. დააკვირდი და დააკავშირე.№8. დააკვირდი და მიუთითე.
2. სრულდება რვ. სავ. გვ. 21. №7. შეაერთე.

### აქტივობა. 14. ფონოლოგია: სიტყვის ბოლო მარცვლის გამეორება

1. **ბოლო მარცვლის გამეორება** - მოსწავლეები სავარჯიშოს ასრულებენ ნასწავლი სიტყვების გამოყენებით. ამისათვის გამოაკარით შემდეგი სურათები: **ბურთი,**

**ბუშტი, ბუ, კუ, კუდი, ქუდი, ლურჯი, ხე, მზე, წიგნი, თითი, წითელი** *(წარმოების მაგალითი: ბურთითი, ბუშტი-ტი; მზე-მზე, წიგნი-ნი და სხვა).*

**შენიშვნა:** *ეს სავარჯიშო დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ. მასწ.წ. სავ. №31. ბოლო მარცვლის გამეორება).*

**შინაარსი**

**მიზნები:** ახალი ლექსიკის შესწავლა; ფონოლოგიური უნარების განვითარება: ბოლო მარცვლის განმეორება; ინტერაქცია კუთვნილებაზე, მთლიანი სიტყვების კითხვა; ნაწერ სიტყვაში ასოს გამოკვეთა; ნატიფი მოტორიკის განვითარება; ლექსის დასწავლა.

**ლექსიკა და კონსტრუქციები:** *კუ, ბუ, დათვი, კუდი, ქუდი, ზარი, დაფა, დიდი, პატარა; რა აქვს? რა არ აქვს?*

## მოსწავლის წიგნი, გვერდი 12

### აქტივობა 1. წინა მასალის გამეორება

1. პირველი-მეორე გვერდის სურათზე დაყრდნობით, გაიმეორეთ: *დაფა, ზარი, დათვი, კუ, ბუ, ქუდი, კუდი.* გადაათამაშეთ: *დიდი /პატარა.*

### აქტივობა 2. ნატიფი მოტორიკა, მთლიანი სიტყვების კითხვა

1. სრულდება რვ. სავ. გვ. 22, № 1. შეაერთე და გააფერადე; მოსწავლე დაასახელებს, რა გამოისახა ნახატზე.
2. რულდება რვ. სავ. გვ. 22. №2. დააკვირდი და გადახაზე განსხვავებული სიტყვა; №3. დააკვირდი და დახატე. მოსწავლე წარწერას თქვენი დახმარებით ამოიცნობს (წითელი ბურთი, მწვანე ბურთი). №5. დააკვირდი, მოძებნე და შემოხაზე მსგავში სიტყვები.
3. სრულდება რვ. სავ. გვ. 22, №3. შეაერთე.

### აქტივობა 3. ლექსიკის სწავლა

გამოაკარით შემდეგი სურათები: **ზღარბი, კურდღელი, მაიმუნი**; *შეასრულეთ შემდეგი აქტივობები:*

1. **მითითება-დასახელება**: ა) მოსწავლეებს სურათებზე მიუთითებთ და ასახელებთ, რა არის მათზე გამოსახული; ბ) ასახელებთ სიტყვებს და მოსწავლეები შესაბამის სურათზე მიუთითებენ; გ) თქვენ მიუთითებთ სურათებზე, მოსწავლეები ასახელებენ შესაბამის სიტყვებს; ე) ერთად იმეორებთ ყველა სიტყვას.

2. **სურათი და ნომერი** - გაკრულ სურათებს დაამატეთ დათვისა და კუს სურათები; ყველა სურათს თავზე ნომერი (სათანადო ციფრი) მიუმაგრეთ. გააგრძელეთ მუშაობა შემდეგნაირად: ა) ამბობთ, რა ის გამოსახული სურათზე და მოსწავლეები შესაბამისი სურათის ნომერს ამბობენ; ბ) ამბობთ სურათის ნომერს, მოსწავლეები შესაბამის სიტყვას ასახელებენ.
3. **ნომერი სურათის გარეშე** - გამოკრული დატოვეთ მხოლოდ ნომრები და დაასახელეთ სიტყვები. ვიზუალურ მეხსიერებაზე დაყრდნობით, მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ შესაბამისი ნომერი (ამგვარი სახალისო აქტივობების საშუალებით მოსწავლეებს ძალდატანების გარეშე "შემოესწავლებათ" ლექსიკური ერთეულები).

### აქტივობა 4. ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით

1. მომზადება წიგნის პირველი დავალების შესრულებლად: მოსწავლები ათვალიერებენ სურათებს და პასუხობენ კითხვებს: *"ეს რა არის? ის რა არის? რა აქვს მაიმუნს? რას აქვს კუდი? რა ფერისაა მაიმუნის ქუდი? კუს ქუდი რა ფერისაა?", სხვ.*
2. track <u>სრულდება წიგნის პირველი</u> დავალება: მოსწავლეები რიგრიგობით უსმენენ ლექსებს და მიუთითებენ შესაბამისი სურათის ნომერზე.

**ლექსები:**

1.კუ ბაზარში მიდის,
ჩამოწერა სია:
ერთი კილო შინდი,
ორი კილო ბია.




2. თუკი რამეს მოგვაწვდიან,
ყველაფერს ვჭამთ, განა ვწუნობთ.
მაიმუნს რომ გვეძახიან,
მაგიტომაც ვმაიმუნობთ!

3. გამარჯობა, დათუნია,
რა კარგი ხარ, ლამაზი,
ვერ მიცანი? შემომხედე,
მე ვარ შენი თამაზი...

4. მხრებს იჩეჩავს ზღარბი,
იფხანს თავს და კისერს,
ჯერ ამათგან ერთიც
თუ არისო მწიფე?!

### აქტივობა 5. ლექსის დასწავლა ("ზღარბი")

1. კლასი დაყავით ორ ჯგუფად. ლექსის მონაკვეთი, სხვადასხვა ვარიაციით, გაამეორებინეთ ჯერ ერთ ჯგუფს, შემდეგ - მეორეს (ეს ბავშვებს ძალიან ახალისებს):
   - ხმის ტემბრის დაბოხებით, შემდეგ დაწვრილებით;
   - ჩურჩულით/ხმამაღლა;
   - ნელი/ჩქარი ტემპით;
2. მეორე ეტაპზე თქვით სტრიქონის დასაწყისი, მოსწავლეები დაასრულებენ მას;
3. ბოლოს ყველა ერთად იმეორებს ლექსს.
4. სასურველია აგრეთვე მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენებაც:
   - ლექსს ამბობთ სათანადო მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენებით, მოსწავლეები ისმენენ და იმეორებენ იმავე მიმიკა-ჟესტიკულაციას;
   - ლექსს ამბობთ მიმიკა-ჟესტიკულაციის გარეშე, მოსწავლეები განასახიერებენ მას მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენებით;
   - მოსწავლეები ლექსს ამბობენ მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენებით.

**შენიშვნა:** *ეს სავარჯიშოები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ. მასწ. წ. სავ. №№16, 17).*

მხრებს იჩეჩავს ზღარბი,
იფხანს თავს და კისერს,
ჯერ ამათგან ერთიც
თუ არისო მწიფე?!

### აქტივობა 6. მთლიანი სიტყვების კითხვა

1. <u>სრულდება წიგნის მეორე დავალება</u>: დააკვირდი და დააკავშირე - გამოსახულ ნაწერ რიცხვებს მოსწავლეები აკავშირებენ შესაბამის რიცხვებთან.
2. <u>სრულდება</u> რვ. სავ. გვ. 26. №1. შეაერთე (ციფრი- ნაწერთან); გვ. 26. №2. დააკვირდი და დააკავშირე.
3. <u>სრულდება წიგნის მესამე დავალება</u> — მოძებნე და დააკავშირე ნახატი ნაწერთან.

**აქტივობა. 7. ფონოლოგია: მარცვლის გამოკლება. სიტყვების დაჯგუფება მარცვალთა რაოდენობის მიხედვით.**

1. **ბოლო მარცვლის გაუქმება** - მოსწავლეებს შესთავაზებთ სამოდელო მარცვალს, რომელიც მათ უნდა "ჩამოაჭრან" თქვენ მიერ ჩამოთვლი სიტყვებს (დეტალურად იხ. მასწ. წიგნი, სავ. №33.). გამოიყენეთ შემდეგი სიტყვები: **დი** - *ქუდი, კუდი, დიდი, ველოსიპედი;* **თი** - *ბურთი, ერთი, ხუთი, თითი;* **რი** - *ორი, კომპიუტერი, ფანქარი, თეთრი;* **რა** - *ფანჯარა, პატარა.*
2. **სიტყვების დაჯგუფება მარცვალთა რაოდენობის მიხედვით:** დაურიგეთ მოსწავლეთა ჯგუფებს შემდეგი სურათები: **ბუ, დათო, ია (გოგონა), ლია, გია, დათვი, ველოსიპედი, კომპიუტერი, ფანქარი, მანქანა, ქუდი, ია (ყვავილი), მზე, მაიმუნი, კურდღელი, კუ.** მოამზადეთ ადგილები ან ყუთები ერთ-, ორ-, სამ-, ოთხ-, ხუთმარცვლიანი სიტყვებისთვის. მარცვლების რაოდენობის მიხედვით, მოსწავლეებმა სურათები შესაბამის ყუთებში უნდა გადაანაწილონ. აუცილებელია, ბოლოს ერთად შემოწმდეს შედეგები: იღებთ თითო-თითო სურათს ცალკეული ყუთიდან, დაათვლევინეთ მოსწავლეებს სურათის შესატყვისი ლექსიკური ერთეულის მარცვლების რაოდენობას და ერთად დაადგენთ, იდო თუ არა სურათი სათანადო ყუთში (დეტალურად იხ. მასწ. წ. სავ. №27).

**აქტივობა 8. ინსტრუქციები**

1. *"მაჩვენე, სად არის?"* - სხვადასხვა კედელზე გააკრავთ შესწავლილი ლექსიკის გამომხატველ სურათებს. თქვენი ინსტრუქციის შესაბამისად, მოსწავლეებმა




ხელი უნდა გაიწვდინონ დასახელებული სურათის მიმართულებით (*"მაჩვენე, სად არის დათვი?"*, მისთ.).

**აქტივობა 9. ინსტრუქციები**

1. *"გამოდი დაფასთან!", "წადი, დაჯექი!". ამ ინსტრუქციებს აკეთებინებთ რამდენიმე მოსწავლეს, შემდეგ ყველას ერთად.*
2. მოძრავი თამაში: *"გამოდი დაფასთან, როგორც დათვი!* (ბაჯბაჯით); *წადი, დაჯექი, როგორც კურდღელი" (სკუპ-სკუპით).*

**აქტივობა 10. ფონოლოგია: მარცვალთა გადანაცვლება**

1. იძლევით მაგალითს: ასახელებთ ორმარცვლიან სიტყვას, შემდეგ ადგილებს შეუცვლით მარცვლებს (მაგ., *ზღარბი - ბიზღარ; ბიჭი -ჭიბი, დათო - თოდა*). რამდენიმე მაგალითს მოსწავლეებთან ერთად აკეთებთ; ბოლოს ასახელებთ მხოლოდ ორმარცვლიან სიტყვებს (*ბიჭი, ბუშტი, დათვი, კუდი, ქუდი, წიგნი, გია, ია, მისთ.*) და მოსწავლეებმა თქვენი დახმარების გარეშე უნდა გადაანაცვლონ მარცვლები.
2. მარცვლებგადანაცვლებული სიტყვის ამოცნობა.

ამ მიზნით გამოიყენეთ მხოლოდ ძალიან ნაცნობი ფრაზები. *მაგ., "დათვს აქვს პატარა დიკუ" (კუდი); "ლიას აქვს მწვანე ტიბუშ" (ბუშტი); "გიას აქვს ლურჯი თიბურ"* (**ბურთი**); *"ეს არის დიდი ვიდათ"* (*დათვი*). ამოცნობის გასაადვილებლად შეიძლება გამოაკრათ შესაბამისი სურათებიც.

**აქტივობა 11. ლექსიკის სწავლა**

1. გამოაკარით თუთიყუშისა და ბუს სურათები და ასწავლეთ ლექსიკური ერთეულები: *"თუთიყუში", "ბუ".*
2. გააგებინეთ მოსწავლეებს მნიშვნელობა სიტყვისა "დაფრინავს". წარმოთქვით: *"თუთიყუში დაფრინავს"* (ხელებს ფრთებივით აქნევთ), *"ბუ დაფრინავს"* (ხელებს კვლავ ფრთებივით აქნევთ); *"დათვი დაფრინავს?" (კი/არა).* აქვე "შეაპარეთ" სიტყვა **ფრინველი**: *"ბუ დაფრინავს. ბუ ფრინველია. თუთიყუში დაფრინავს. თუთიყუში ფრინველია. დათვი არ დაფრინავს. დათვი ფრინველი არ არის".*
3. **თამაში "აფრინდა, აფრინდა"** - მოსწავლეებმა ხელები ზემოთ უნდა ასწიონ მხოლოდ მაშინ, როცა ფრინველს დაასახელებთ: "აფრინდა, აფრინდა, ბუ აფრინდა! დათვი აფრინდა!" თქვენ ყოველ ჯერზე ხელებს მაღლა სწევთ, მოსწავლეები კი ყურადღებით უნდა იყვნენ და არ უნდა შეცდნენ (თავდაპირველად დაასახელეთ მხოლოდ ფრინველები, რათა მოსწავლეები უკეთ ჩაწვდნენ თამაშის არსს).

### აქტივობა 11. ნასწავლი ლექსის გამეორება

დიდი დათვი დრუნჩიანი
დუდღუნა და დანდალაო,
დილით ადრე წამომდგარა,
თაფლის ჭამით დამთვრალაო.

<u>შინაარსი</u>

**მიზნები:** ახალი ლექსიკის შესწავლა-გამეორება; ფონოლოგიური უნარების განვითარება; მარტივი ინტერაქცია, მთლიანი სიტყვების კითხვა; ნატიფი მოტორიკის განვითარება, ლექსის დასწავლა.

**ლექსიკა და კონსტრუქციები:** წინა მასალის გამეორება.

**ინსტრუქციები**: გამოდი დაფასთან! წადი, დაჯექი! მაჩვენე, რომელია . .. ?

## მოსწავლის წიგნი, გვერდი 13

### აქტივობა 1. ლექსიკის გამეორება:

შეასრულეთ ლექსიკური სავარჯიშოები შემდეგი სიტყვების გასამეორებლად: *მაიმუნი, კუ, დათვი, ზღარბი, ბანანი, ზარი, დაფა.*

1. **მითითება-დასახელება**: ა) მოსწავლეებს მიუთითებთ სურათებზე და მოსწავლეები ასახელებენ შესაბამის სიტყვას; ე) ერთად იმეორებთ ყველა სიტყვას;
2. **განსახიერება-გამოცნობა** - რამდენიმე მოსწავლეს ან მოსწავლეთა ჯგუფებს დაურიგებთ პერსონაჟის/პერსონაჟების სურათს (დანარჩენმა მოსწავლეებმა სურათი არ უნდა დაინახონ). ვისაც სურათი შეხვდება, უნდა განასახიეროს მასზე გამოსახული პერსონაჟი; სხვებმა უნდა გამოიცნონ და დაასახელონ ეს პერსონაჟი;




3. **"რა არის?" მოსწავლეებს აჩვენებთ** ნაცნობი საგნის (წიგნი, ფანქარი, რვეული) ან სურათის მხოლოდ ერთ ნაწილს, მან უნდა ამოიცნოს და დაასახელოს საგანი ან რა არის სურათზე გამოსახული.

**შენიშვნა:** *ეს სავარჯიშოები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ. მასწ. წ. სავ. №№2, 3, 5, 10).*

### აქტივობა 2. ფონოლოგია: ნასწავლი ოპერაციების გამეორება: ზეპირ მარცვალთა დამატება, გამოკლება, გამეორება, გადაადგილება

1. უმატებთ მარცვალ "გა"-ს შემდეგ სიტყვებს: *მზე, ზარი, კუ, ხე, წიგნი, გოგო, ბიჭი, ზღარბი, თუთიყუში, ბუშტი.*
2. მოსწავლეები განმეორებით ამბობენ სიტყვის ბოლო მარცვალს. ამისთვის გამოიყენეთ: *ბუშტი-ტი, გოგო-გო, ზარი-რი თეთრი-რი, მწვანე-ნე, ტყე-ტყე, ლურჯი-ჯი, კუდი-დი, თუთიყუში-ში* და *სხვა.*
3. მოსწავლეები სიტყვას ჩამოაცილებენ ბოლო მარცვალს. ამისთვის გამოიყენეთ: *ია - ი, გია - გი, ლია-ლი, მზია - მზი, ხუთი - ხუ,ბურთი- ბუ, კუდი - კუ; ერთი - ერ, თითი-თი; ქუდი - ქუ.*
4. სიტყვაში მარცვალთა გადანაცვლება - გამოიყენეთ: *ზარი - რიზა; კუდი-დიკუ, ლია-ალი, ბუშტი- ტიბუშ* და ნესბისმიერი ნასწავლი ორმარცვლიანი სიტყვები.

**შენიშვნა:** *ეს სავარჯიშოები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ. მასწ. წ. სავ. №№30, 31, 32, 33, 34).*

### აქტივობა 3. ინტერაქცია სურათებზე დაყრდნობით, კითხვა

1. ამუშავეთ <u>მოსწავლეები წიგნის მეოთხე დავალების</u> სურათზე, დაუსვით მათ კითხვები: *"რამდენი კურდღელია? ეს რა არის? დიდია თუ პატარა? "*, მისთ.
2. გადააშლევინეთ მოსწავლეებს წიგნი თემის პირველ სურათზე ("სკოლა ტყეში"). თქვენი დახმარებით, მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ ნაცნობი ცხოველები, მათი რაოდენობა და ზომა *(დიდი, პატარა).*
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 23. №6. წაიკითხე და დააკავშირე (დიდი, პატარა). №7. დააკავშირე შესაბამის სიტყვასთან.

### აქტივობა 4. მოძრავი აქტივობა "დავდივარ, როგორც .."

1. სურათების გამოყენებით, მოსწავლეებს გაამეორებინეთ ლექსიკური ერთეულები: *დათვი, კუ, კურდღელი, ზღარბი, ბუ.*

2. დაურიგეთ მოსწავლეებს თითო-თითო ბარათი; ისინი განასახიერებენ, სხვები კი ცდილობენ ამოიცნონ, რას განასახიერებენ მათი თანაკლასელები.
3. წინ გაუძღვებით ჩამწკრივებულ მოსწავლეებს, დადიხართ კლასში და ამბობთ: "დავდივარ, როგორც ველოსიპედი". ეს მოსწავლეებისთვის უკვე ნაცნობია თამაშია - მათ იციან, როგორ უნდა მოიქცნენ და მკლავებს პედლებივით დაატრიალებენ. შემდეგ გამოიყენეთ ახალი ლექსიკა: "დავდივარ, როგორც დათვი (დადიხართ ბაჯბაჯით); კუ (ხელებს ნიჩბებივით იქნევთ); კურდღელი (თავთან მიიტანთ თითებს ყურების აღსანიშნავად და ადგილზე სკუპ-სკუპით დახტიხართ); ზღარბი (მოიბუზებით). სანამ თამაშს დააწყებინებთ მოსწავლეებს, ერთად შეასრულეთ თითოეული ცხოველისათვის დამახასიათებელი მიმიკა-ჟესტიკულაცია.

### აქტივობა 5. მთლიანი სიტყვების კითხვა. მოტორიკა

გამოაკარით შემდეგი სურათები: **კუ, კურდღელი, მაიმუნი, კუდი, ზღარბი, ქუდი** და *შეასრულეთ საკითხავი აქტივობები:*

1. **დიდი ლოტო საყრდენი წარწერით:** სურათების ქვემოთ დაამაგრეთ ბარათები, რომლებზეც წერია სურათზე გამოსახული საგნების სახელები. წინასწარ უნდა მოამზადოთ აღნიშნული ბარათების ასლები, რომლებსაც რიგრიგობით დაურიგებთ მოსწავლეებს. ამ ბარათებს რიგრიგობით ურიგებთ მოსწავლეებს, რომლებმაც ისინი შესაბამის სურათთან უნდა მიიტანონ. დანარჩენი მოსწავლეები აზრს გამოთქვამენ, სწორად შესრულდა თუ არა დავალება.




2. **სურათი და წარწერა** - ცალკე გამოიტანეთ მხოლოდ ერთი სურათი, იქვე გამოაკარით სამი ბარათი წარწერებით, რომელთაგან მხოლოდ ერთი შეესატყვისება სურათს. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი ბარათი შეესაბამება სურათს. (შეიძლება, პირიქით მოიქცეთ - გამოიყენოთ სამი სურათი და ერთი წარწერიანი ბარათი. აუცილებლად გამოიყენეთ ეს აქტივობა ლექსიკური ერთეულებზე - ქუდსა და კუდზე სამუშაოდ).
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 24. №1. დააკვირდი და შემოხაზე იგივე სიტყვა; გვ. 24. №2. დათვალე და დააკავშირე; №5. დააკვირდი და გადახაზე.
4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 24. №2. შეაერთე. №4. შეაერთე და გააფერადე. **შენიშვნა: თავისუფლად შეიძლება ნატიფი მოტორიკის განმავითარებელი სავარჯიშოების საშინაო დავალებად მიცემა.**
5. **ფოტოგრაფიული კითხვა -** მოსწავლეებს სწრაფ-სწრაფად აჩვენებთ წარწერიან ბარათებს; ისინი ამოიცნობენ და ასახელებენ ბარათებზე დაწერილ სიტყვებს.
6. **დიდი ლოტო საყრდენი წარწერის გარეშე** - ჩამოხსნით წარწერებს. მოსწავლეებს რიგრიგობით აძლევთ თითო ბარათს, მათ ბარათი შესაბამის სურათთან უნდა მიიტანონ. პასუხები დანარჩენ მოსწავლეებთან ერთად მოწმდება.

**შენიშვნა:** *ეს სავარჯიშოები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ. მასწ. წიგნი, ტიპური სავ. №№48, 52).*

### აქტივობა. 6. ინტერაქცია სურათზე დაყდნობით

1. სრულდება მეხუთე დავალება - იპოვე და დაასახელე. პირველ რიგში, ყურადღება გაამახვილეთ ყუთის ნომრებზე: "*რომელია ყუთი ნომერი 1? მაჩვენე ყუთი ნომერი 2*".
2. თქვენი მითითებით, მოსწავლეები აკვირდებიან პირველ ყუთს და ასახელებენ, რა არის მასში. ანალოგიურად დამუშავდება მეორე ყუთიც.
3. მოსწავლეები ეძებენ განსხვავებას. თქვენ ეხმარებით მათ: ასახელებთ რაიმეს ერთ-ერთი ყუთიდან და მათ ყუთის შესაბამისი ნომერი უნდა დაასახელონ. მაგ., "*ორი ზღარბი! ყუთი 1 თუ ყუთი 2?*" და ასე შემდეგ. შეიძლება სხვაგვარადაც მიუდგეთ: "*ყუთი 1. ხე არის? ყუთი 2. ხე არის?*", მისთ.

### აქტივობა 7. ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით

1. მოსწავლეებს აჩვენებთ წიგნის მეექვსე დავალების სურათს და კითხულობთ: "*ეს*

*რა არის? რა ფერისაა . . . ? რამდენი პატარა კუა რამდენი დიდი კუა? "* და სხვა.

2. გაამახვილეთ ყურადღება ყუთების რაოდენობაზე და მათ ნომრებზე: *"რამდენი ყუთია? მაჩვენე ყუთი ნომერი ორი!"* და ასე შემდეგ.
3. <u>სრულდება მეექვსე დავალება</u> - თავდაპირველად კითხვები დასვით მხოლოდ თუთიყუშებზე: ყუთი 1. *"რამდენი თუთიყუშია? რა ფერის?";* ასე გაიმეორეთ ყველა ყუთზე. შემდეგ თავიდან მოუბრუნდით ცალკეულ ყუთებს და დაასახელებინეთ მოსწავლეებს, რა არის თითოეულ მათგანში. დასასრულ, მოსწავლეებს ეკითხებით თუთიყუშების საერთო რაოდენობაზე: *"რამდენი წითელი თუთიყუშია?"* და ასე შემდეგ.
4. **თამაში "გამოცანა" -** ასახელებთ ორ-ორ ცხოველს, მოსწავლეები ასახელებენ შესაბამისი ყუთის ნომერს. *მაგ., "დიდი კუ და ორი თუთიყუში. პატარა კუ და სამი თუთიყუში"* და ასე შემდეგ.

### აქტივობა. 8. მთლიანი სიტყვების კითხვა, მოტორიკა, ინტერაქცია

1. გამოიყენეთ საკითხავი სავარჯიშოები: დიდი ლოტო, ფოტოგრაფიული კითხვა (იხ. მასწ. წ. სავ. №52, №53) და ავარჯიშეთ მოსწავლეები შემდეგი სიტყვების ამოცნობაში: *თუთიყუში, ლურჯი, წითელი, ყვითელი, მწვანე.*
2. სრულდება რვ. სავ გვ. 25. .№ 7. იპოვე განსხვავება და დაასახელე. გააფერადე მითითების მიხედვით. სრულდება იმავე ტიპის სავარჯიშო. ამის შემდეგ მოსწავლეები თქვენი მითითების მიხედვით ნახატებს გააფერადებენ;
3. სრულდება რვ. სავ გვ. 25. №8. დააკვირდი და გააფერადე.




### აქტივობა 9. ინსტრუქცია.

ასწავლეთ მოსწავლეებს ახალი ინსტრუქციები: *"ამოიღე ჩანთიდან რვეული/წიგნი/ფანქარი! ჩადე ჩანთაში რვეული/წიგნი/ფანქარი".* გამოიყენეთ შემდეგი აქტივობები:

1. ამბობთ ინსტრუქციებს და საჩვენებლად ასრულებთ მოქმედებებს: *"ამოიღე ჩანთიდან ფანქარი! ჩადე ჩანთაში ფანქარი!".*
2. ამბობთ ინსტრუქციებს, მოსწავლეები თქვენთან ერთად ასრულებენ მათ; ამბობთ ინსტრუქციებს, მხოლოდ მოსწავლეები ასრულებენ მათ; ამბობთ ინსტრუქციებს თანამიმდევრობის დარღვევით, მოსწავლეები ასრულებენ მათ;
3. გაართულეთ ინსტრუქციები: *"ჩადე ჩანთაში რვეული და ფანქარი! ჩადე ჩანთაში ფანქარი და ამოიღე წიგნი!"* და სხვა.
4. თამაში **"მცდარი მოძრაობა" -** შიგადაშიგ ასრულებთ მცდარ მოძრაობებს, ანუ ამბობთ ერთს, ასრულებთ სხვას. მოსწავლეები არ უნდა შეცდნენ - მათ უნდა შეასრულონ ის, რასაც ამბობთ.

**შენიშვნა:** *ეს სავარჯიშოები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ. მასწ.წ. სავ. №№14, 15. ინსტრუქციების სწავლება).*

### აქტივობა 10. კითხვა: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი

1. რულდება რვ. სავ. გვ. 26. №4. დააკვირდი და შემოხაზე იგვე სიტყვა. №5. დაასახელე, დათვალე და დააკავშირე. გვ. 27. № 6. დააკვირდი და დაასახელე. გვ. 27. №№8, 9. დააკვირდი და დააკავშირე შესაბამის ნახატთან.

### აქტივობა 11. ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით

1. მოსწავლეებს გადააშლევინეთ წიგნი თემის პირველ სურათზე ("სკოლა ტყეში") და დაუსვით მათ რაც შეიძლება მეტი შეკითხვა. მაგ., *"სად არის დაფა? რა არის ეს? რამდენი ხეა? ზღარბია? როგორი ესზღარბი, დიდი თუ პატარა? რამდენია პატარა ზღარბი? სად არის თუთიყუში? რა ფერისაა? რა არის დიდი?"* და ასე შემდეგ (აქვე შეასწავლეთ სიტყვა "ჟირაფი").

### აქტივობა 12. ლექსების გამეორება

1. track გაიმეორეთ ნასწავლი ლექსები

<u>შინაარსი</u>

**მიზნები:**; ფონოლოგიური უნარების განვითარება- სიტყვაში ზეპირი მარცვლის გამოკლება - გადანაცვლება; მარტივი ინტერაქცია, მთლიანი სიტყვების კითხვა; ნატიფი მოტორიკის განვითარება.

**ლექსიკა და კონსტრუქციები:** *ზღარბი, კურდღელი, მაიმუნი, თუთიყუში; ეს . . . რომელი ნომერია?*

**ინსტრუქციები**: *ამოიღე ჩანთიდან რვეული/წიგნი/ფანქარი!, ჩადე რვეული/წიგნი ჩანთაში.*

## მოსწავლის წიგნი, გვერდი 14

### აქტივობა 1. ლექსიკის სწავლა

შეასრულეთ ლექსიკური სავარჯიშოები შემდეგი სიტყვების ასათვისებლად: **ჟირაფი, ზღარბი, დათო, დათვი**:

1. **მითითება-დასახელება**: ა) მიუთითებთ სურათებზე და ასახელებთ სიტყვებს; ბ) ასახელებთ სიტყვებს, მოსწავლები მიუთითებენ სურათებზე; გ) მიუთითებთ სურათებზე, მოსწავლეები ასახელებენ სიტყვებს; ე) ერთად იმეორებთ ყველა სიტყვას.
2. **განსახიერება-გამოცნობა** - რამდენიმე მოსწავლეს ან მოსწავლეთა ჯგუფებს ურიგებთ სურათებს ისე, რომ დანარჩენებმა სურათები არ დაინახონ. მოსწავლეებმა უნდა განასახიერონ სურათზე გამოსახული პერსონაჟი, სხვებმა უნდა ამოიცნონ განსახიერებული პერსონაჟი და დაასახელონ იგი.
3. **"რა არის?"** - მოსწავლეს აჩვენებთ სურათის მხოლოდ ერთ ნაწილს, მან უნდა ამოიცნოს და დაასახელოს, რა არის სურათზე გამოსახული.

**შენიშვნა:** *ეს სავარჯიშოები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ. მასწ. წ. სავ. № № 2, 3, 5, 10).*




### აქტივობა 2. ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით, კითხვა

1. მოსწავლეები აკვირდებიან წიგნის პირველი დავალების სურათებს, პასუხობენ თქვენ მიერ დასმულ კითხვებს: *"რა არის ეს/ის? ვინ არის ეს/ის? ვინ არის დათო? დათო ბიჭია თუ გოგო? ვინ არის ბიჭი/გოგო?"*; შემდეგ მიუთითებთ ყვავილზე და ეკითხებით: *"რა არის ეს? რა არის ია? ეს გოგოა თუ ყვავილი? რომელია გოგო? რომელია ყვავილი... ? რა არის დიდი/პატარა? რომელია დიდი - ეს ია თუ ის ია? (მიუთითებთ შესაბამის ნახატზე), დათვი თუ დათო? ჟირაფი თუ ზღარბი? ჟირაფი თუ დათვი? რომელია დათვი, რომელია დათო?", მისთ.*
2. **ფოტოგრაფიული კითხვა** - მოსწავლეებს სწრაფ-სწრაფად აჩვენებთ წარწერიან ბარათებს (ბარათებზე წერია: დათო, დათვი, ია, ზღარბი, ჟირაფი); ისინი ამოიცნობენ და ასახელებენ ბარათებზე დაწერილ სიტყვებს.
3. **სურათი და წარწერა** - გამოიტანეთ ცალკე მხოლოდ ერთი სურათი, გამოაკარით იქვე სამი ბარათი წარწერებით, რომელთაგან ერთ-ერთი სურათს შეესატყვისება. მოსწავლეებმა უნდა იპოვონ, რომელი ბარათი შეესატყვისება სურათს.

### აქტივობა 3. ლექსის ("ზღარბი") დასწავლა

1. track მოსწავლეებს ასმენინებთ და ასწავლით შემდეგ ლექსს:

**ზღარბი**

ზღარბო, ზღარბო. ქაცვია,
ეს რა ქურქი გაცვია?!
დამიკაწრეს თითები
მაგ ჩხუტუნა ნემსებმა...
ნეტავ, შენი დედიკო
როგორ გეალერსება?

2. კლასი დაყავით ორ ჯგუფად. ლექსის მონაკვეთი, სხვადასხვა ვარიაციით, გაამეორებინეთ ჯერ ერთ ჯგუფს, შემდეგ - მეორეს (ეს ბავშვებს ძალიან ახალისებს)
   - ხმის ტემბრის დაბოხებით ჯერ, შემდეგ დაწვრილებით;
   - ჩურჩულით/ხმამაღლა;
   - ნელი/ჩქარი ტემპით;
3. მეორე ეტაპზე თქვით სტრიქონის დასაწყისი და მოსწავლეები დაასრულებენ მას.
4. ბოლოს ყველა ერთად იმეორებს ლექსს.
5. სასურველია აგრეთვე მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენებაც:
   - ლექსს ამბობთ სათანადო მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენებით, მოსწავლეები ისმენენ და იმეორებენ იმავე მიმიკა-ჟესტიკულაციას;
   - ლექსს ამბობთ მიმიკა- ჟესტიკულაციის გარეშე, მოსწავლეები განასახ-

იერებენ მას სათანადო მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენებით;

- მოსწავლეები ლექსს ამბობენ მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენებით.

**შენიშვნა:** *ეს სავარჯიშოები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ. მასწ. წ. სავ. №№16, 17).*

### აქტივობა 4. ფონოლოგია: პირველი მარცვლის გაუქმება

1. მოსწავლეებს ასწავლით ახალ ოპერაციას - სიტყვის პირველი მარცვლის გაუქმებას. ამისთვის გამოიყენეთ: *ველოსიპედი - -ლოსიპედი, დათვი-ვი, ზღარბი-ბი, ქუდი-დი; მანქანა--ქანა, რვეული-ული, ბანანი-ნანი* (დეტალურად იხ. მასწ. წ. სავ. №32).

### აქტივობა 5. ბგერასა და ასოს შორის არსებული კავშირის გაცნობიერება

1. ანბანის კითხვა: კითხულობთ კლასში გამოკრულ ანბანს შემდეგი წესით - აჩვენებთ კედელზე გაკრული ანბანის ერთ ასოს დაახმოვანებთ მას, ანუ ამბობთ შესაბამის ბგერას. გაითვალისწინეთ, რომ მოსწავლეებს არ მოეთხოვებათ ანბანის დამახსოვრება. ამ აქტივობის მიზანია, მოსწავლეებმა აღიქვან კავშირი ასოსა და ბგერას შორის; გააცნობიერონ, რომ კონკრეტული ასო კონკრეტული ბგერის ხილული ნიშანია.

### აქტივობა 6. ლექსიკის სწავლა

1. <u>სრულდება წიგნის მეორე დავალება</u> - მოსწავლები აკვირდებიან ღრუბლებში "დამალული" ცხოველების სურათებს, ამოიცნობენ და ასახელებენ მათ (*კურდღელი, ზღარბი, დათვი, თუთიყუში, ჟირაფი*).




2. თამაში **"რა არის დამალული ?"** — მალავთ ნასწავლი სიტყვის ამსახველ სურათს, მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ შესაბამისი სიტყვა. შეიძლება პატარა გუნდური შეჯიბრებების მოწყობაც. ერთი გუნდი სურათს მალავს, მეორე ცდილობს, ამოიცნოს სამ თქმაში. ამოცნობის შემთხვევაში როლები შეიცვლება.

### აქტივობა 7. ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით

1. თქვენი კითხვების დახმარებით, მოსწავლეები ცალ-ცალკე ასახელებენ, რა არის წიგნის მესამე დავალების პირველ, მეორე საჰაერო ბუშტში.
2. **"არის/არ არის"** - ასახელებთ ცხოველს, პერსონაჟს; მოსწავლემ უნდა მიუთითოს იმ საჰაერო ბუშტის ნომერი, სადაც არის თქვენ მიერ დასახელებული ცხოველი/პერსონაჟი. ზოგჯერ ასახელებთ ცხოველს/პერსონაჟს, რომლებიც არ არიან გამოსახული სურათებზე. მოსწავლეებმა ადეკვატურად უნდა უპასუხონ (არ არის).
3. **თამაში "რა მახსოვს?"**- მოსწავლეები ხურავენ წიგნს, თქვენ: ა) ასახელებთ ცხოველებს, პერსონაჟებს; მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ, მათგან რომელი იყო გამოსახული საჰაერო ბუშტების სურათზე; ბ)კლასს გაყოფთ ორ ჯგუფად. ორივე ჯგუფის წევრებმა უნდა გაიხსენონ და დაასახელონ, რა/ვინ იყო გამოსახული საჰაერო ბუშტების სურათზე გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც ყველაზე მეტს გაიხსენებს.

### აქტივობა 8. მოტორიკა, კითხვა

1. 📖 სრულდება რვ. სავ გვ. 28. .№ 1. დააკვირდი და გააფერადე შესაბამისი რიცხვები; №2. შეაერთე.
2. 📖 სრულდება რვ. სავ გვ. 29. .№ 4. დააკვირდი და შემოხაზე მსგავსი სიტყვა. № 5. დააკვირდი და გადახაზე განსხვავებული სიტყვა.

### აქტივობა 9. მოსმენა-გაგება

1. 🎧 track <u>სრულდება წიგნის მესამე დავალება</u> - მოსწავლეები ისმენენ ლექსს და მიუთითებენ შესაბამის სურათზე

ლექსი:

ეს რა კარგი დღე არის,
რა ლამაზი დარია,
დათო, ბუ და კურდღელი
მზისკენ მიიჩქარიან.

2. track სრულდება რვ. სავ. გვ. 28. №3. მოისმინე და დააკავშირე საჰაერო ბუშტთან. - მოსწავლეები ასახელებენ საგნებს, შემდეგ ისმენენ ლექსს და ლექსის შინაარსიდან გამომდინარე, ბუშტთან აკავშირებენ შესაბამის პერსონაჟებს.

**ლექსი:**

ეს რა კარგი დღე არის,
რა ლამაზი დარია,
თუთიყუში და ლია
მზისკენ მიიჩქარიან.

## აქტივობა 10. მოსმენა-გაგება, ინტერაქცია, მოტორიკა

1. track <u>სრულდება წიგნის მეოთხე დავალება</u> - მოსწავლეები აკვირდებიან სურათებს (”ლია და გია ბურთებით”, ”დათო და ია დათვებთან ერთად”), ისმენენ ტექსტს და ამოიცნობენ, ვინ ვინ არის. **ტექსტი:** *ა) მაქვს დიდი წითელი ბურთი, ვინ ვარ? ბ) მაქვს დიდი თეთრი დათვი, ვინ ვარ? გ) მაქვს დიდი მწვანე ბურთი, ვინ ვარ? დ) მაქვს პატარა შავი დათვი, ვინ ვარ?*
2. სრულდება რვ. სავ. გვ. 29. №7. დააკვირდი და გააფერადე; კარნახობთ სათამაშოების ფერებს; კარნახობთ ტექსტს: *”გიას აქვს დიდი წითელი ბურთი, ლიას აქვს ყვითელი ბუშტი, იას აქვს ლურჯი ყვავილი, დათოს აქვს პატარა მწვანე ბურთი”.*
3. სრულდება რვ. სავ. გვ. 30. №1. მოსწავლეებს კარნახობთ, რა სათამაშოები აქვთ გიას, ლია, იას და დათოს; რა ფერისაა მათი სათამაშოები. ჯერ ამბობთ ერთს, ელოდებით, რომ მოსწავლეებმა ჩახატონ და მერე კარნახობთ შემდეგს.

**ტექსტი:** *”გიას აქვს დიდი წითელი ბურთი, ლიას აქვს ყვითელი ბუშტი, იას აქვს ლურჯი ყვავილი, დათო აქვს პატარა მწვანე ბურთი”.*

4. გამოაკარით კლასში სურათები: **დათვი, ბუშტი, ბურთი, მანქანა, ველოსიპედი;** მოაწყვეთ გამოკითხვა, ვის რა აქვს. მოსწავლეთა პასუხებზე დაყრდნობით. შეგიძლიათ დაფაზე დაწეროთ წინადადებები (მაგ., ელზას აქვს ყვითელი ბურთი) და აპოვნინოთ მოსწავლეებს ნაცნობი სიტყვები.

**რესურსი:** შესაბამისი სურათები.

<u>**შინაარსი**</u>

**მიზნები:** ლექსიკის გამეორება; ფონოლოგიური უნარების განვითარება; მარტივი ინტერაქცია, მთლიანი სიტყვების კითხვა; ნატიფი მოტორიკის განვითარება, ლექსის დასწავლა.

**ლექსიკა, ძირითადი კონსტრუქციები:** *ჟირაფი, ზღარბი, დათო,კურდღელი, თუთიყუში, წითელი, ყვითელი ლურჯი, მწვანე; რომელია? რა აქვს ?*

**ინსტრუქციები:** *ამოიღე ჩანთიდან რვეული/წიგნი/ფანქარი!, ჩადე რვეული/წიგნი ჩანთაში.*

## მოსწავლის წიგნი, გვერდი 15

## აქტივობა 1. ინსტრუქციები

1. <u>სრულდება წიგნის მეხუთე დავალება</u> - მოსწავლეები აკვირდებიან წიგნის სურათებს, ისმენენ ინსტრუქციებს და ასახელებენ სურათების შესაბამის ნომერს (*”გამოდი დაფასთან! მაჩვენე სურათი !”*).

## აქტივობა 2. მთლიანი სიტყვების კითხვა

1. **დიდი ლოტო საყრდენი წარწერით:** გამოაკარით სურათები შესაბამისი წარწერებიანი ბარათებით (ბარათებზე წერია: *ტყე, კუ, ბუ, დათვი, კურდღელი, მაიმუნი, თუთიყუში, ჟირაფი*). წარწერიანი ბარათების მეორე წყებიდან რიგრიგობით აძლევთ თითო ბარათს მოსწავლეებს; მათ მიცემული ბარათი შესაბამის სურათთან უნდა მიიტანონ. დანარჩენი მოსწავლეები აზრს გამოთქვამენ, სწორად შესრულდა თუ არა დავალება.
2. **სურათი და წარწერა** - გამოიტანეთ ცალკე მხოლოდ ერთი სურათი, გამოაკარით იქვე სამი წარწერიანი ბარათი, რომელთაგან მხოლოდ ერთი შეესატყვისება სურათს. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი ბარათი შეესატყვისება სურათს.
3. <u>სრულდება წიგნის მეექვსე დავალება</u> — მოძებნე და დააკავშირე ნახატი ნაწერთან.
4. **ფოტოგრაფიული კითხვა** - მოსწავლეე-

ბს სწრაფ-სწრაფად აჩვენებთ წარწერიან ბარათებს (ბარათებზე წერია: *ტყე, კუ, ბუ, დათვი, კურდღელი, მაიმუნი, თუთიყუში, ჟირაფი*); მოსწავლეები ამოიცნობენ და ასახელებენ ბარათებზე დაწერილ სიტყვებს.

5. სრულდება რვ. სავ. გვ. 30. №3. მოსწავლეები ხაზებით აკავშირებენ სიტყვებს შესაბამის ილუსტრაციებთან.
6. **შენიშვნა:** *საკითხავი სავარჯიშოები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ. მასწ. წ. სავ. №№48, 52, 53).*

## აქტივობა 3. track ნასწავლი ლექსების გამეორება

## აქტივობა 4. ბგერასა და ასოს შორის არსებული კავშირის გაცნობიერება

1. ანბანის კითხვა: კითხულობთ კლასში გამოკრულ ანბანს შემდეგი წესით - აჩვენებთ მოსწავლეებს კედელზე გაკრული ანბანის ერთ ასოს და ახმოვანებთ მას, ანუ ამბობთ შესაბამის ბგერას. გაითვალისწინეთ, რომ მოსწავლეებს არ მოეთხოვებათ ანბანის დამახსოვრება-ამ აქტივობის მიზანია, მოსწავლეებმა აღიქვან კავშირი ასოსა და ბგერას შორის, გააცნობიერონ, რომ კონკრეტული ასო კონკრეტული ბგერის ხილული ნიშანია.

## აქტივობა 5. მთლიანი სიტყვების კითხვა; საერთო ასოს პოვნა, კითხვა

1. **ნაწერ სიტყვაში ასოს გამოკვეთა** - დაფაზე დაწერეთ ან გამოაკარით შემდეგი

სიტყვების ბარათები: *კუ, ბუ, თუთიყუში*. მოსწავლეები აკვირდებიან და ეძებენ, რა საერთო აქვთ მათ (უ). საერთო ასოს დაასახელებთ და დაწერთ დაფაზე, შემდეგ ანბანში აჩვენებთ მას მოსწავლეებს და კიდევ ერთხელ დაასახელებთ. ამის შემდეგ მოსწავლეები ეძებენ ამ ბგერას თავიანთ სახელებში, სხვა სიტყვებში, რომლებსაც დაფაზე დაწერთ ან გამოაკრავთ. (მაგ., *კურდღელი, მაიმუნი, ქუდი, კუდი*).

2. **ტექსტში ნაცნობი სიტყვის მოძებნა:** დაუსვით მოსწავლეებს კითხვები, მაგ.,*"რა ფერის ქუდი აქვს კუს/რომელიმე კლასელს?"* და მათი პასუხი დაწერეთ დაფაზე. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ და გახაზონ ნაცნობი სიტყვები.
3. **ნაწერ სიტყვაში ასოს გამოკვეთა** - ვასრულებთ იმავე ტიპის სავარჯიშოს (სიტყვებში ასოს გამოკვეთა, დაფაზე დაწერა, საკუთარ სახელებში და სხვა სიტყვებში ძებნა). ამჯერად თქვენი მიზანია, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სიტყვებში *ი*-ს გამოკვეთა, ამიტომაც გამოიყენეთ შემდეგი სიტყვები: *დიდი, თითი, გია*.

## აქტივობა 6. ფონოლოგია: სიტყვათა გარდაქმნის წესის ამოცნობა

1. **"საიდუმლო ყუთი"** - მოსწავლემ უნდა ამოიცნოს, რა წესის მიხედვით გარდაიქმნა სიტყვა. ამისთვის საჭიროა "საიდუმლო" ყუთი, რომელსაც ორი მხრიდან აქვს კარი. ერთ-ერთი მოსწავლე იღებს სურათს, რომელსაც ყველას აჩვენებს და ხმამაღლა ამბობს სურათის შესაბამის სიტყვას; შემდეგ მივა ყუთის ერთ კართან და ამ სიტყვას ჩურჩულით "ეტყვის" ყუთს. მასწავლებელი მეორე კართან "უგდებს ყურს" და ხმამაღლა გაიმეორებს ყუთის მიერ „გარდაქმნილ" სიტყვას, ანუ თავად გარდაქმნის მოსწავლის მიერ ნათქვამ სიტყვას რომელიმე წესის მიხედვით (მაგ., *ბოლო მარცვლის გამეორების გზით - ბურთი-თი*). ამგვარადვე "გარდაიქმნება" 5-6 სიტყვა. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი წესით "გარდაქმნა" ყუთმა სიტყვა (აუცილებელია, თავდაპირველად მასწავლებელმა მიაწოდოს რამდენიმე მაგალითი მოსწავლეებს, რათა მათ წესის ამოცნობა შეძლონ). თუ მასწავლებელმა არ იცის მოსწავლეების ენა, მან შემდეგნაირად უნდა გაარკვიოს, გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა წესი: 4-5 სიტყვის გარდაქმნის შემდეგ მათ უნდა შესთავაზოს ახალი სიტყვა, რომელსაც მოსწავლეები სათანადო წესით გარდაქმნიან.

ამ სავარჯიშოს შესასრულებლად გთავაზობთ კონკრეტულ მასალას:

ა. <u>პირველი წესისთვის</u> (მარცვლის დამატება): *ჭი-ბუჭი, კუჭი, მანქანაჭი, მზეჭი, რვეულიჭი* (მიეცით გარდასაქმნელად *მაიმუნი*);

ბ. <u>მეორე წესისთვის</u> (ბოლო მარცვლის გამეორება): *ზღარბიბი, თუთიყუშიში, მწვანენე, მანქანანა* (მიეცით გარდასაქმნელად ბიჭი);

გ. <u>მესამე წესისთვის</u> (პირველი მარცვლის ჩამოცილება): *(კომ)პიუტერი, (ვე)ლოსიპედი, (კურ)დღელი, (მან)ქანა* (მიეცით გარდასაქმნელად *დათვი);*

დ. <u>მეოთხე წესისთვის</u> (ბოლო მარცვლის ჩამოცილება): *კურდღე(ლი), თუთიყუ(ში), ბუშ(თი), ფანქა(რი), მაიმუ(ნი),* (მიეცით გარდასაქმნელად *კუდი);*

ე. <u>მეხუთე წესისთვის</u> (მარცვალთა გადაანაცვლება)*: ზღარბი-ბიზღარ, კუდი- დიკუ, წიგნი-ნიწიგ, გია- აგი, ბუშტი- ტიბუშ.* (მიეცით გარდასაქმნელად *ლია, ბურთი).*

**შენიშვნა:** *სიტყვების მარცვლებით გარდაქმნის წესები დეტალურად არის აღწერილი ტიპურ სავარჯიშოთა ჩამონათვალში (იხ. №№30, 31, 32, 33, 34).*

**რესურსი:** ყუთი, რომელსაც ორ მხრიდან თითო "კარი" აქვს გამოჭრილი.

### აქტივობა. 7. კლასიფიკაცია: ცხოველი, ფრინველი, ლექსიკის გამეორება

1. ასწავლეთ მოსწავლეებს სიტყვა *ცხოველი* მაგალითების საშუალებით: *"დათვი არის ცხოველი, ჟირაფი არის ცხოველი"* და ა.შ. - გამოიყენეთ ყველა ნასწავლი ცხოველის სახელი (*ჟირაფი, ზღარბი, კუ, კურდღელი, მაიმუნი);*
2. **ყუთებში გადახარისხება** - მოამზადეთ სამი ყუთი. ერთს დააწერეთ "ცხოველი", მეორეს - "ფრინველი", თან დაახატეთ ან მიაკარით რომელიმე ცხოველის ან ფრინველის სურათი, რომ თვალსაჩინო იყოს მოსწავლეებისთვის. მესამე ყუთს არაფერს არ აწერთ. მაგიდაზე დაიდეთ




ნასწავლი ლექსიკის ამსახველი სურათები, სათითაოდ აჩვენეთ მოსწავლეებს და ყოველ ჯერზე ჰკითხეთ: *"ეს ცხოველია? ფრინველია?"* და ჩადეთ სურათები შესაბამის ყუთებში. მესამე ყუთში ჩადებთ იმ სურათებს, რომლებზეც ცხოველები და ფრინველები არ არის გამოსახული.

3. **თამაში "აფრინდა, აფრინდა" -** ჩამოთვლით სიტყვებს. მოსწავლეებმა ხელები ზემოთ უნდა ასწიონ მხოლოდ მაშინ, როცა ფრინველს დაასახელებთ: *"აფრინდა, აფრინდა, ბუ აფრინდა! დათვი აფრინდა!"* თქვენ ყოველ ჯერზე ხელებს მაღლა სწევთ, მოსწავლეები კი ყურადღებით უნდა იყვნენ და არ უნდა შეცდნენ (თავდაპირველად დაასახელეთ მხოლოდ ფრინველები, რათა მოსწავლეები უკეთ ჩაწვდნენ ამ თამაშის არსს).

**მიზნები:** ლექსიკის გამეორება; ფონოლოგიური უნარების განვითარება; მარტივი ინტერაქცია, მთლიანი სიტყვების კითხვა; სიტყვაში ასოების გამოკვეთა, ნატიფი მოტორიკის განვითარება, ლექსების გამეორება.

**ძირითადი ლექსიკა და კონსტრუქციები:** ცხოველი, ფრინველი; ეს ცხოველია? ეს ფრინველია?

**ინსტრუქციები**: *გამოდი დაფასთან! ამოიღე ჩანთიდან . . .! ჩადე ჩანთაში . . . ! წადი, დაჯექი!*

## მოსწავლის წიგნი, გვერდი 16

### აქტივობა 1. ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით

1. მოსწავლეები აკვირდებიან სურათს - "გემი ზღვაში". უსვამთ მათ შეკითხვებს ნასწავლ მასალაზე დაყრდნობით: *"რა არის? რომელია ცხოველი? რომელია ფრინველი? რამდენი ფრინველია? რა ფერისაა?"* და სხვა.
2. მიუთითებთ სათანადო სურათებზე და აცნობთ მოსწავლეებს ახალ პერსონაჟებს: რეზოსა და მზიას; შემდეგ კითხულობთ: *"მზია გოგოა თუ ბიჭი? რეზო? რა აქვს მზიას? რეზოს რა აქვს?"*, მისთ.

### აქტივობა. 2. პერსონაჟების სახელების სწავლა

გამოაკარით ყველა ნასწავლი პერსონაჟის *(ია, გია, ლია, რეზო, მზია, დათო)* სურათი და შეასრულეთ ლექსიკური სავარჯიშოები:

1. **მითითება-დასახელება**: ა) მიუთითებთ მოსწავლეებს სურათებზე და წარმოთქვამთ შესაბამის სიტყვებს; ბ) ასახელებთ სიტყვებს, მოსწავლეები მიუთითებენ შესაბამის სურათებზე; გ) მიუთითებთ სურათებზე, მოსწავლეები ასახელებენ სი-

ტყვებს; ე) ერთად იმეორებთ ყველა სიტყვას; ვ) გაკრულ სურათებს შეატრიალებთ უკუღმა (იმავე რიგის დაცვით); ასახელებთ სიტყვებს; ვიზუალურ მეხსიერებაზე დაყრდნობით, მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ და მიუთითონ, სად რომელი სურათია.

2. **"რა არის?"** -მოსწავლეებს აჩვენებთ სურათის მხოლოდ ერთ ნაწილს; მოსწავლემ უნდა ამოიცნოს და დაასახელოს, რა არის სურათზე გამოსახული (რისი/ვისი სურათია).

*შენიშვნა: ეს სავარჯიშოები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ. მასწ. წ. სავ. №№2, 3, 5).*

### აქტივობა 3. ინსტრუქციების გამეორება

1. მოსწავლეები ასრულებენ შემდეგ ინსტრუქციებს: *"მაჩვენე დაფა! მაჩვენე ჩემი ჩანთა! მაჩვენე . . . /ელზას / ჩანთა!"* და ასე შემდეგ. მოსწავლეები ხელს იწვდიან დასახელებული ნივთისაკენ.
2. *გაართულეთ აქტივობა სხვადასხვა ნასწავლი ინსტრუქციის შერევით: "ადექით, დაუკარით ტაში! მაჩვენეთ დაფა! ჩაბუქნეთ! ახტით! დასხედით! ჩადეთ წითელი ფანქარი ჩანთაში! აიღე მწვანე ფანქარი"* და სხვ.

### აქტივობა 4. ლექსიკის სწავლა

*გამოაკარით შემდეგი სურათები:* **გემი, ზღვა, თევზი, ტყე, ქოლგა, ცა, ჩიტი.**

1. **მითითება-დასახელება**: ა) მიუთითებთ მოსწავლეებს სურათებზე და წარმოთქვამთ შესაბამის სიტყვებს; ბ) ასახელებთ სიტყვებს, მოსწავლები მიუთითებენ შესაბამის სურათებზე; გ) მიუთითებთ სუ-




რათებზე, მოსწავლეები ასახელებენ სიტყვებს; ე) ერთად იმეორებთ ყველა სიტყვას; ვ) გაკრულ სურათებს შეატრიალებთ უკუღმა (იმავე რიგის დაცვით); ასახელებთ სიტყვებს; ვიზუალურ მეხსიერებაზე დაყრდნობით, მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ და მიუთითონ, სად რომელი სურათია.

2. **"სწორია თუ არა?"** -მოსწავლეებს მიუთითებთ სურათებზე და ასახელებთ ხან სურათის შესაბამის სიტყვას, ხან მცდარ სიტყვას (სიტყვას, რომელიც არ შეესატყვისება სურათს). მოსწავლე უნდა მიხვდეს, რომელია სწორი სიტყვა და თქვას: კი/არა.
3. **თამაში "რა არის დამალული ?"** — მალავთ ნასწავლი სიტყვის ამსახველ სურათს, მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ შესაბამისი სიტყვა. შეიძლება პატარა გუნდური შეჯიბრებების მოწყობა. ერთი გუნდი სურათს დამალავს, მეორე გუნდი ამოცნობას შეეცდება (სამ თქმაში). ამოცნობის შემთხვევაში, სურათს დამალავს მეორე გუნდი, პირველი გუნდი კი ამოცნობას შეეცდება და ა.შ.

**შენიშვნა:** *ეს სავარჯიშოები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ. მასწ. წ. სავ. №№2, 11, 12).*

### აქტივობა. 5. მოტორიკა, მოსმენა- გაგება

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 31. № 4. დახატე და გააფერადე; მოსწავლეები ხატავენ თქვენი კარნახით: *"დახატე ლურჯი ზღვა, გემი, ყვითელი მზე"*.

### აქტივობა 6. ინტერაქცია, დახარისხება

1. სამ სვეტად გამოაკარით სურათები: **ტყე, ზღვა, ცა** და მოსწავლეებს გაამეორებინეთ ეს სიტყვები.
2. რიგრიგობით აჩვენეთ მოსწავლეებს შემდეგი სურათები: **დათვი, თევზი, კურდღელი, გემი, ხე, ია (ყვავილი), ბუ**; დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვები: *"სად არის გემი, ზღვაში თუ ტყეში? სად არის დათვი/კურდღელი/თევზი? სად არის ჩიტი, ზღვაში თუ ცაში?"*; ამის შემდეგ სურათებს ისევ მაგიდაზე დადებთ.
3. მოსწავლეები იღებენ მაგიდიდან სურათებს, ამბობენ, რა არის მათზე გამოსახული და, შესაბამისად, მიაქვთ ისინი სათანადო სვეტში - ზღვის, ტყის ან ცის სურათებთან.
4. დასასრულ, ყველანი ერთად იმეორებენ: *"დათვი არის ტყეში, ხე არის ტყეში, გემი არის ზღვაში, თევზი არის ზღვაში, ჩიტი არის ცაში"* და სხვა.
5. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 31. №5. დაასახელე და დააკავშირე.

### აქტივობა 7. მთლიანი სიტყვების კითხვა

1. **სრულდება** რვ. სავ. გვ. 31. №6. დააკვირდი და შემოხაზე შესაბამისი სიტყვა. წაიკითხე და გადახაზე (ტყე, გემი, ზღვა); გვ. 32. №1. დააკვირდი და შემოხაზე სიტყვა.
2. **დიდი ლოტო საყრდენი წარწერით:** გამოაკარით სურათები (**ზღვა, გემი, კურდღელი, მაიმუნი, თუთიყუში**) შესაბამისი წარწერების მქონე ბარათებით. ბარათების მეორე წყებიდან რიგრიგობით აძლევთ თითო-თითო ბარათს მოსწავლეებს, რათა მათ შესაბამის სურათთან მიიტანონ ისინი (ბარათები). დანარჩენი მოსწავლეები აზრს გამოთქვამენ, სწორად შესრულდა თუ არა დავალება.
3. **დიდი ლოტო საყრდენი წარწერის გარეშე** - სურათებს მოხსნით წარწერებს. მოსწავლეებს რიგრიგობით აძლევთ თითო-თითო წარწერიან ბარათს; მათ ეს ბარათები სათანადო სურათებთან უნდა მიიტანონ. თანაკლასელები მსჯელობენ, სწორად შეასრულეს თუ არა მოსწავლეებმა დავალება.
4. **ფოტოგრაფიული კითხვა -** მოსწავლეებს სწრაფ-სწრაფად აჩვენებთ წარწერიან ბარათებს; ისინი ამოიცნობენ და ასახელებენ ბარათებზე დაწერილ სიტყვებს.
5. **სურათი და წარწერა** - გამოიტანეთ ცალკე მხოლოდ ერთი სურათი, გამოაკარით იქვე სამი წარწერიანი ბარათი, რომელთაგან მხოლოდ ერთი შეესაბამება სურათს. მოსწავლეებმა უნდა იპოვონ, რომელია ეს ბარათი (შეიძლება პირიქით - სამი სურათი და ერთი წარწერა გამოიყენოთ).

**შენიშვნა:** *ეს სავარჯიშოები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ. მასწ. წიგნი, ტიპური სავ. №№46, 47, 48, 53, 52).*




### აქტივობა. 8. მოძრავი თამაში "ზღაპრული რბოლა"

1. თამაშის დროს ყველა მოსწავლე მორიგეობით გარდაისახება თქვენ მიერ დასახელებულ ნაცნობ პერსონაჟად, ცხოველად, ფრინველად (*თქვენი მითითებები: "წარმოადგინეთ დათვი, მაიმუნი, კურდღელი).* დეტალურად იხ. მასწ. წ. სავ. №20.

### აქტივობა. 9. ინსტრუქციების გაგება

ასწავლეთ მოსწავლეებს ახალი ინსტრუქციები: *"დახურე წიგნი! გადაშალე წიგნი! დაითვალე! გაასუფთავე დაფა!". ამისთვის გამოიყენეთ* შემდეგი სავარჯიშოები:

1. ამბობთ ინსტრუქციებს და და საჩვენებლად ასრულებთ მოქმედებებს: *"დახურე წიგნი! გადაშალე წიგნი! გაასუფთავე დაფა! დაითვალე!" (თითებით დაითვალეთ).*
2. ამბობთ ინსტრუქციებს, მოსწავლეები თქვენთან ერთად ასრულებენ მოქმედებებს; თქვენ მხოლოდ ამბობთ ინსტრუქციებს, მოსწავლეები ასრულებენ მათ; ამბობთ ინსტრუქციებს არეული თანამიმდევრობით, მოსწავლეები ასრულებენ მათ.

**შენიშვნა:** *დაფის წაშლას მოსწავლეები ხელის მოძრაობით განასახიერებენ.*

3. **თამაში "მცდარი მოძრაობა" -** ინსტრუქციების წარმოთქმისას შიგადაშიგ მცდარ მოძრაობებს ასრულებთ, ანუ ამბობთ ერთს, ასრულებთ სხვა მოქმედებას. მოსწავლეები არ უნდა შეცდნენ. მათ უნდა შეასრულონ ის, რასაც ამბობთ.

**შენიშვნა:** *ეს სავარჯიშოები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ. მასწ. წ. სავ. №№14, 15. ინსტრუქციების სწავლება).*

### აქტივობა 10. ფონოლოგია: სიტყვათა გარდაქმნის წესის ამოცნობა

1. გამოაკარით ნასწავლი სიტყვების ამსახველი სურათები (რაც შეიძლება მეტი რაოდენობით); დაასახელებინეთ მოსწავლეებს სურათებზე ასახული ყველა სიტყვა. ჩამოხსენით იმ სიტყვების სურათები, რომლებიც მოსწავლეებს ჯერ კარგად არ აქვთ ათვისებული (ფონოლოგიურ სავარჯიშოებში მხოლოდ კარგად ნაცნობი სიტყვები უნდა გამოვიყენოთ).

დარჩენილ სურათებზე გამოხატული სიტყვების გამოყენებით, გაიმეორეთ წინა თემის დასასრულს შესრულებული თამაში "**საიდუმლო ყუთი" -** მოსწავლემ უნდა ამოიცნოს, რა წესის მიხედვით გარდაიქმნა სიტყვა. ამისთვის საჭიროა "საიდუმლო" ყუთი, რომელსაც ორი მხრიდან აქვს კარი. ერთ-ერთი მოსწავლე იღებს სურათს, რომელსაც ყვე-

ლას აჩვენებს და ხმამაღლა ამბობს სურათის შესაბამის სიტყვას; შემდეგ მივა ყუთის ერთ კართან და ამ სიტყვას ჩურჩულით "ეტყვის" ყუთს. მასწავლებელი მეორე კართან "უგდებს ყურს" და ხმამაღლა გაიმეორებს ყუთის მიერ „გარდაქმნილ" სიტყვას, ანუ თავად გარდაქმნის მოსწავლის მიერ ნათქვამ სიტყვას რომელიმე წესის მიხედვით (მაგ., *ბოლო მარცვლის გამეორების გზით - ბურთი-თი).* ამგვარადვე "გარდაიქმნება" 5-6 სიტყვა (აუცილებელია, მასწავლებელმა რამდენიმე მაგალითი მიანოდოს მოსწავლეებს, რათა მათ წესის ამოცნობა შეძლონ). მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი წესით "გარდაქმნა" ყუთმა სიტყვა. თუ მასწავლებელმა არ იცის მოსწავლეების ენა, მან შემდეგნაირად უნდა გაარკვიოს, გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა წესი: 4-5 სიტყვის გარდაქმნის შემდეგ მათ უნდა შესთავაზოს ახალი სიტყვა, რომელსაც მოსწავლეები სათანადო წესით გარდაქმნიან.

**შენიშვნა:** *სიტყვების მარცვლებით გარდაქმნის წესები დეტალურად არის აღწერილი ტიპურ სავარჯიშოთა ჩამონათვალში (იხ. №№30, 31, 32, 33, 34).*

**რესურსი:** ყუთი, რომელსაც ორი "კარი" აქვს გამოჭრილი.

### აქტივობა 11. ბგერასა და ასოს შორის არსებული კავშირის გაცნობიერება

ანბანის კითხვა: კითხულობთ კლასში გამოკრულ ანბანს შემდეგი წესით - მოსწავლეებს აჩვენებთ კედელზე გაკრული ანბანის ერთ ასოს და ახმოვანებთ მას, ანუ წარმოთქვამთ შესაბამის ბგერას. გაითვალისწინეთ, რომ მოსწავლეებს არ მოეთხოვებათ ანბანის დამახსოვრება - ამ აქტივობის მიზანია, მოსწავლეებმა აღიქვან კავშირი ასოსა და ბგერას შორის; გააცნობიერონ, რომ კონკრეტული ასო კონკრეტული ბგერის ხილული ხატია.




### აქტივობა 12. მთლიანი სიტყვების კითხვა

1. **დიდი ლოტო საყრდენი წარწერით:** გამოაკარით პერსონაჟთა სურათები **(რეზო, მზია, ია, გია, ლია, დათო)** და ბარათები მათი სახელებით მოსწავლეები აკვირდებიან და "კითხულობენ" სურათების ქვემოთ წარმოდგენილ სიტყვებს. თქვენ თითოეულ სურათზე ეკითხებით: *"აქ რა ხატია? "*, შემდეგ: *"აქ რა წერია?"; წინასწარ* მომზადებული გაქვთ მეორე წყება ბარათებისა იმავე წარწერებით, რომლებსაც რიგრიგობით აძლევთ მოსწავლეებს. მასწავლებლის მიერ მიცემული ბარათები მოსწავლეებმა შესაბამის სურათებთან უნდა მიიტანონ. დანარჩენი მოსწავლეები აზრს გამოთქვამენ, სწორად შესრულდა თუ არა დავალება.
2. **დიდი ლოტო საყრდენი წარწერის გარეშე** - სურათებს მოხსნით წარწერებს. მოსწავლეებს რიგრიგობით აძლევთ თითო-თითო ბარათს წარწერებით - მათ ეს ბარათები შესაბამის სურათთან უნდა მიიტანონ. დანარჩენი მოსწავლეები აზრს გამოთქვამენ, სწორად შესრულდა თუ არა დავალება.
3. **ფოტოგრაფიული კითხვა -** მოსწავლეებს სწრაფ-სწრაფად აჩვენებთ წარწერებიან ბარათებს (ბარათებზე წერია: *რეზო, მზია, ია, გია, ლია, დათო);* ისინი ამოიცნობენ და ასახელებენ ბარათებზე დაწერილ სიტყვებს.
4. **ნაწერ სიტყვაში ასოს გამოკვეთა -** დაფაზე დაწერეთ ან გამოაკარით ბარათები შემდეგი სიტყვებით: *მზია, მზე ზღვა.* მოსწავლეები აკვირდებიან ამ სიტყვებს, რათა დაადგინონ ამ სიტყვების საერთო ასო *(ზ).* საერთო ასოს წარმოთქვამთ, წერთ დაფაზე და აჩვენებთ მოსწავლეებს ანბანში. ამის შემდეგ მოსწავლეები ეძებენ აღნიშნულ ასოს თავიანთ სახელებში, სხვა სიტყვებში, რომლებსაც დაფაზე დაწერთ ან გამოაკრავთ (მაგ.,*რეზო, ზარი, თევზი, ზღარბი).*
5. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 32. №2. დააკვირდი და დააკავშირე ნახატი ნაწერთან. გვ. 32, № 4. იპოვე და შემოხაზე. №5. დააკავშირე ნახატი ნაწერთან. **შენიშვნა:** *საკითხავი აქტივობები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ. მასწ. წიგნი, ტიპური სავ. №№ 48, 52, 53).*

### აქტივობა 13. ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით

1. უბრუნდებით სურათს - "გემი ზღვაში" და მოსწავლეებს ეკითხებით: *"ეს ვინ არის? სად არის გემი? ჩიტი? ვინ არის გემზე? რამდენი გოგოა/ბიჭია . . . ? რა ფერისაა თუთიყუში. . . ? ვის აქვს ბუშტი/ქოლგა? რა ფერის ქოლგა აქვს . . . ? რა აქვს ლიას,*

*გიას, მაიმუნს . . . ? (ჩანთა, ბუშტი, ქოლგა)".*

2. **გამოცანები "სწორია თუ არა?" -** მოსწავლეებს გადაშლილი აქვთ წიგნები. თქვენ აღწერთ სურათზე გამოსახულ საგნებსა და პერსონაჟებს ხან სწორად, ხან მცირედი ცვლილებით. მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, სწორია თუ არა თქვენი აღწერილობა *(მაგ. იას აქვს ქოლგა; არის სამი ქოლგა; არის ორი წითელი ქოლგა; თუთიყუში არის მწვანე* და ასე შემდეგ).

**მიზნები:** ლექსიკის გამეორება; ფონოლოგიური უნარების განვითარება; მარტივი ინტერაქცია, მთლიანი სიტყვების კითხვა; სიტყვაში ასოს გამოკვეთა; ნატიფი მოტორიკის განვითარება, ლექსის დასწავლა, ინფორმაციის დახარისხება.

**ლექსიკა და კონსტრუქციები:** *გემი, ზღვა, თევზი, ქოლგა, ტყე, ცა, ჟირაფი.*

**ინსტრუქციები:** *მაჩვენე, სად არის . . ? დახურე წიგნი! გადაშალე წიგნი!დაითვალე! გაასუფთავე დაფა!*

## მოსწავლის წიგნი, გვერდი 17

### აქტივობა 1. ლექსიკის სწავლა, ინტერაქცია

გამოაკარით შემდეგი სიტყვების ამსახველი სურათები: **ვაშლი, შოკოლადი, ბანანი, ბალი.**

1. მიუთითეთ სურათებზე და დაასახელეთ ყველა სიტყვა.
2. **სურათი და ნომერი** - ყველა სურათს თავზე მიუმაგრებთ ნომერს (სათანადო ციფრს) და გააგრძელებთ მუშაობას შემდეგნაირად: ა) დაასახელებთ სურათზე გამოსახულ სიტყვას, მოსწავლეები იტყვიან შესაბამის ნომერს; ბ) იტყვით მხოლოდ ნომერს, მოსწავლეები დაასახელებენ შესაბამის სიტყვას; გ) ერთად გაიმეორებთ ყველა სიტყვას.




3. **ნომერი სურათის გარეშე** - გამოკრული დატოვეთ მხოლოდ ნომრები და დაასახელეთ სიტყვები. ვიზუალურ მეხსიერებაზე დაყრდნობით, მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ შესაბამისი ნომერი (ამგვარი სახალისო აქტივობების საშუალებით მოსწავლეებს განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე "შემოესწავლებათ" ლექსიკური ერთეულები).

**შენიშვნა:** *ეს სავარჯიშოები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ. მასწ. წ. სავ. №№ 4, ლექსიკური სავარჯიშოები).*

4. სრულდება <u>წიგნის პირველი დავალება</u> - დააკვირდი და დაასახელე.
5. **სურნელით ამოცნობა** - წინასწარ მოამზადებთ შემდეგ რესურსს: დაჭრით წვრილად ვაშლს, ბანანს, შოკოლადს და ჩადებთ მათ პატარა კოლოფებში ან გაუმჭვირვალე ქილებში. მოსწავლეებმა უნდა დაყნოსონ და ამოიცნონ პროდუქტის სახეობა.
6. **გემოთი ამოცნობა -** მოსწავლეს დაახუჭინებთ თვალებს და გაასინჯებთ რომელიმე ზემოაღნიშნულ პროდუქტს. მან უნდა ამოიცნოს და დაასახელოს იგი.
7. სათანადო შორისდებულებისა და მიმიკა-ჟესტიკულაციის თანხლებით, ეუბნებით მოსწავლეებს: *"მე მიყვარს ბანანი/შოკოლადი!"* (თან შესაბამის სურათზე მიუთითებთ). შემდეგ გამოკითხვას ატარებთ: *"ნიკო, შენ გიყვარს ბანანი, შოკოლადი, ვაშლი, ? ელზა, შენ რა გიყვარს?"*, მისთ.

**რესურსი:** შესაბამისი სურათები, ვაშლი, ბანანი, შოკოლადი.

### აქტივობა 2. მოსმენა-გაგება, ინტერაქციაა (ვის რა უყვარს)

1. track *სრულდება რვ. სავ. გვ. 33, № 6.* მოისმინე და გააფერადე, რა უყვარს დალის. დაფაზე დახატავთ გოგონას და მოსწავლეებს გააცნობთ პერსონაჟს - *"ეს არის* დალი*"*. შემდეგ მოსწავლეებს ეკითხებით: *"რა უყვარს* დალის*?"* და მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს. დასასრულ, მოსწავლეებს მოასმენინებთ ლექსს; ისინი მონიშნავენ და გააფერადებენ იმ ხილს, რომელიც უყვარს დალის.

**ლექსი:**

-დალი, ვაშლი გიყვარს?
- დალი, გიყვარს ბალი?
- ვაშლიც მიყვარს, ბალიც, -
მიპასუხებს დალი.

### აქტივობა 3. მოსმენა-გაგება (ვის რა უყვარს)

1. მოამზადეთ მოსწავლეები რვეულის სავარჯიშოს შესასრულებლად *(იხ. რვეულის სავარჯიშო გვ. 33, №8.* მოისმინე და

მონიშნე, ვის რა უყვარს. ამისათვის წინასწარ გამოსახეთ იმგვარივე ცხრილი დაფაზე ან დიდი ფორმატის ფურცელზე და გააკარით.

2. მოსწავლეები აკვირდებიან რვეულში მოცემულ ცხრილს; ასახელებენ ხილს და პერსონაჟებს.
3. track *სრულდება რვ. სავ. გვ. 33, №8.* მოასმენინეთ მოსწავლეებს ტექსტის ერთი რეპლიკა და გაკრულ ცხრილზე მოანიშნინეთ შესაბამისი უჯრა; შეასრულეთ სანიმუშოდ კიდევ ერთი მაგალითი, რათა მოსწავლეებმა კარგად გაიგონ დავალების არსი.
4. track მოსწავლეები ორჯერ ან სამჯერ ისმენენ ტექსტს და ცხრილში მონიშნავენ სათანადო უჯრებს;
5. track დასასრულ, კიდევ ერთხელ მოასმენინებთ მოსწავლეებს ტექსტს და ერთად ჩაწერთ პასუხებს დაფაზე გაკრულ ცხრილში.

**რესურსი:** წინასწარ მომზადებული ცხრილი.

**ტექსტი**

*- ია, შენ რა გიყვარს?*
*- მე მიყვარს ბანანი და შოკოლადი.*
*- შენ რა გიყვარს, გია?*
*- მე მიყვარს ბანანი და და ბალი.*
*- შენ, დათო?*
*- მე მიყვარს ვაშლი და შოკოლადი.*
*- ლია, შენც შოკოლადი გიყვარს?*
*- არა, მე არ მიყვარს შოკოლადი, მე მიყვარს ვაშლი და ბანანი.*

### აქტივობა 4. ინტერაქცია ცხრილზე დაყრდნობით

1. მოწავლეები პასუხობენ თქვენს შეკითხვებს ცხრილზე დაყრდნობით (იხ.




*რვ. სავ. გვ. 33, №8):" ვის უყვარს შოკოლადი? ვაშლი? რა უყვარს იას? გიას?. . .".*

2. სწორია/არასწორია - ასახელებთ, ვის რა უყვარს; მოსწავლეებმა უნდა თქვან, სწორია თუ არა თქვენი ნათქვამი.

### აქტივობა 5. მთლიანი სიტყვების კითხვა, სიტყვაში ასოს გამოკვეთა

1. **დიდი ლოტო საყრდენი წარწერით:** გამოაკარით სურათები შესაბამისი ბარათებით, რომლებზეც წერია: **ვაშლი, ბანანი, ბალი გემი.** ბარათების მეორე წყებიდან რიგრიგობით აძლევთ თითო-თითო ბარათს მოსწავლეებს, რომლებმაც ბარათები შესაბამის სურათებთან უნდა მიიტანონ. დანარჩენი მოსწავლეები აზრს გამოთქვამენ, სწორად შესრულდა თუ არა დავალება.
2. სრულდება რვ. სავ. გვ. 33. №2. დააკავშირე და დაასახელე.
3. **ფოტოგრაფიული კითხვა -** მოსწავლეებს სწრაფ-სწრაფად აჩვენებთ წარწერიან ბარათებს (ბარათებზე წერია: *ვაშლი, ბანანი, ბალი, გემი);* ისინი ამოიცნობენ და ასახელებენ ბარათებზე დაწერილ სიტყვებს.
4. **სურათი და წარწერა** - ცალკე გააკარით ერთი სურათი, იქვე დაამაგრეთ სამი ბარათი წარწერებით, რომელთაგან მხოლოდ ერთი შეესატყვისება სურათს. მოსწავლეებმა უნდა იპოვონ, რომელი ბარათი შეესაბამება სურათს.
5. **სიტყვებში ასოს გამოკვეთა** - დაწერეთ ან გამოაკარით შემდეგი სიტყვები: *ტყე, მზე, ხე.* მოსწავლეები აკვირდებიან და ეძებენ ამ სიტყვების საერთო ასოს (ე). მოძებნილ საერთო ასოს დაწერთ დაფაზე, დაასახელებთ მას, ანბანში აჩვენებთ მოსწავლეებს და კიდევ ერთხელ დაასახელებთ. ამის შემდეგ აღნიშნულ ასოს მოსწავლეები ეძებენ თავიანთ სახელებში, სხვა სიტყვებში, რომლებსაც დაფაზე დაწერთ ან გამოაკრავთ. *(მაგ., გემი, თევზი, ერთი, ველოსიპედი, მწანე, წითელი).*
6. **სიტყვებში გამოკვეთილი ასოს გახსენება -** ამუშავეთ მოსწავლეები ისევ ასო ზ-ზე. გამოიყენეთ სიტყვები: თევზი, ზღარბი, ზღვა, ზარი, მზე, მზია, რეზო.

### აქტივობა 6. ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით

1. <u>სრულდება წიგნის მეორე დავალება</u> - მოსწავლეები აკვირდებიან სურათს და თავიანთი ვარაუდის მიხედვით, ასახელებენ საგნებს.
2. თქვენ ასახელებთ საგნებს, მოსწავლეები ისმენენ და ამოწმებენ თავის ვარაუდებს.
3. სრულდება რვ. გვ. სავ გვ. 34. №1. დააკავშირე მითითების მიხედვით. კარნახობთ მოსწავლეებს, რა დევს ჩანთაში.

ისინი შესაბამის საგნებს ხაზით აკავშირებენ ჩანთასთან.

**აქტივობა 7. ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით**

1. სრულდება წიგნის მომდევნო დავალება: დათვალე და დააკავშირე. მოსწავლეები ამბობენ, რა ხატია, რამდენია, რა ფერისაა; პასუხობენ კითხვებზე: *"რა არის ორი? რა არის წითელი?"* და სხვ.

**აქტივობა 8. ფონოლოგია: დამარცვლა, დახარისხება მარცვალთა რაოდენობის მიხედვით**

1. გამოაკარით ნასწავლი სიტყვების ამსახველი სურათები (რაც შეიძლება მეტი რაოდენობის); დაასახელებინეთ მოსწავლეებს სურათებზე ასახული ყველა სიტყვა და ჩამოხსენით იმ სიტყვების სურათები, რომლებიც მოსწავლეებს კარგად არ აქვთ ათვისებული (ფონოლოგიურ სავარჯიშოებში მხოლოდ კარგად ნაცნობი სიტყვები უნდა გამოვიყენოთ).
2. გაავარჯიშეთ მოსწავლები დარჩენილ სურათებზე გამოსახული სიტყვების მარცვლებად დაშლასა და მარცვლების სიტყვებად გამთლიანებაზე, მარცვლების დათვლაზე და სიტყვათა დახარისხებაზე მარცვალთა რაოდენობის მიხედვით (იხ. მასწ. წ. სავ. №№: 21, 22, 23, 24, 25, 26, 27).

**შენიშვნა 1.** *აქ მოცემულია შედარებით ადვილი სავარჯიშოები, რადგან ბევრია ახალი მასალა, ფონოლოგიაში კი ზედმეტი ძალისხმევა არ უნდა მოვთხოვოთ მოსწავლეებს.*

**შენიშვნა 2.** *ზემოთ აღწერილი სავარჯიშოები საშუალებას მოგცემთ, შენიშნოთ ის მოსწავლეები, რომლებსაც უჭირთ ფონოლოგიური სავარჯიშოების შესრულება. სავარაუდოდ,*




*მათ ძალზე გაუჭირდებათ კითხვასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევა, ამიტომ აუცილებელია, ინტენსიურად ავარჯიშოთ ისინი ფონოლოგიური უნარების გაუმჯობესებაზე. ამისთვის გამოიყენეთ მასწავლებლის წიგნში მოცემული ტიპური ფონოლოგიური სავარჯიშოები. სამუშაო დროის ეფექტურად გასანაწილებლად და ამ მოსწავლეებთან სამუშაოდ არსებობს მარტივი ხერხი: დაისვამთ მათ გვერდით, დანარჩენებს კი ამ დროს მისცემთ დამოუკიდებელ სამუშაოს - ეს შეიძლება იყოს სახატავი დავალება, სურათებისა და ბარათების ერთმანეთთან დაკავშირება, საკითხავი თამაშები „თევზაობა" და „პასიანსი" (იხ. მასწ. წ. სავ. №№ 54, 55) ან სხვა მისთ.*

**აქტივობა 9.ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით (ვის რა უყვარს)**

1. <u>სრულდება წიგნის მეოთხე დავალება</u> - მოსწავლეები აკვირდებიან ხაზებს სურათზე და ასახელებენ, ვის რა უყვარს.
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 34. №4. მოძებნე, რომელს რა უყვარს. მოსწავლეები აკავშირებენ პერსონაჟებს საჭმელთან და შემდეგ ასახელებენ, ვის რა უყვარს.

**მიზნები:** ლექსიკის შესწავლა; ფონოლოგიური უნარების განვითარება; მარტივი ინტერაქცია (თემა: ვის რა ხილი უყვარს), მთლიანი სიტყვების კითხვა; ნატიფი მოტორიკის განვითარება, ლექსის დასწავლა, სიტყვებში ასოს გამოკვეთა.

**ლექსიკა და კონსტრუქციები:** *ვაშლი, შოკოლადი, ბანანი, ბალი; რა გიყვარს? რა უყვარს ? რა დევს?*

## მოსწავლის წიგნი, გვერდი 18

**აქტივობა 1. მოსმენა-გაგება, ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით (სურათი: პერსონაჟები ქუდებით).**

1. გააკარით პერსონაჟების სურათები და ნაწერი სახელები. გაიხსენეთ, ვინ ვინ არის.
2. <u>პირველი დავალების სურათებზე</u> დაყრდნობით დაუსვით მოსწავლეებს რაც შეიძლება მეტი შეკითხვა: *"რამდენი.. ? რა ფერის ... ? ვის აქვს. . ? რა აქვს. . . ? რა ფერის/რამდენი . . . აქვს? რა ფერის ფანქრები არა აქვს გიას?"*.
3. **<u>გამოცანები</u>**: აღწერეთ, რა აქვს რომელიმე პერსონაჟს; მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, ვისზე ლაპარაკობთ (მაგ., *"აქვს წითელი ქუდი და ბუშტი"*, სხვ.).
4. **თამაში "სწორია/არ არის სწორი"-** ამბობთ წინადადებებს; მოსწავლეები სურათზე დაყრდნობით პასუხობენ: *კი/არა.* მაგ., *ლიას აქვს მწვანე ქუდი (კი); მზიას აქვს ლურჯი ქუდი (არა).*
5. **თამაში "რა მახსოვს?" -** მოსწავლეები

ხურავენ წიგნს. თქვენ მათ უსვამთ შეკითხვებს ნასწავლი მასალიდან; მოსწავლეები კითხვებს პასუხობენ ვიზუალურ მეხსიერებაზე დაყრდნობით. მაგ., *რა ფერის ქუდი აქვს მზიას? რამდენი ფანქარი აქვს გიას?* და *სხვა*. შეიძლება პატარა შეჯიბრის მოწყობა გუნდებს შორის.

### აქტივობა 2. მოსმენა-გაგება

**სრულდება წიგნის პირველი დავალება.**

1. track მოსწავლეებმა უნდა მოისმინონ და გაიგონ, რა ფერისაა *ბუშტი, ბურთი* და *ჩანთა*. მოსწავლეები ჯერ მთლიანად ისმენენ ტექსტს.
2. track მოსწავლეები ისმენენ მზიას რეპლიკას და თქვენს შეკითხვაზე: *"რა ფერისაა ბურთი?"*, ასახელებენ ფერს.
3. track მოსწავლეები ისმენენ ლიას რეპლიკას და პასუხობენ თქვენს შეკითხვას: *"რა ფერისაა ბურთი?"*.
4. track მოსწავლეები ისმენენ რეზოს რეპლიკას და პასუხობენ თქვენს შეკითხვას: *"რა ფერისაა რეზოს ჩანთა?"*.

**ტექსტი:**

*1. გამარჯობა. მე ვარ მზია. მე მაქვს წითელი ქუდი და ყვითელი ბუშტი. 2. მე ლია ვარ. ჩემი ქუდი არის მწვანე და ბურთი არის ლურჯი. 3. გამარჯობა. მე რეზო ვარ. ჩემი ჩანთა ლურჯია.*

### აქტივობა 3. მოტორიკა, მოსმენა-გაგება, ინტერაქცია

1. рვ. სავ. გვ. 35. №5. გააფერადე და დაასახელე. მოსწავლეები აფერადებენ თქვენი მითითების მიხედვით:
4. *ტექსტი: 1. ქუდი არის მწვანე, ბუშტი არის წითელი; 2. ბურთი არის შავი; 3. ჩანთა*




*არის ყვითელი.*

2. კარნახობთ, ვის რომელი ნივთი ეკუთვნის. მოსწავლეები ხაზებით აკავშირებენ ნივთებს შესაბამის პერსონაჟთან.
3. რვეულში გაფერადებული მასალის მიხედვით, მოსწავლეები ასახელებენ, რა ფერისაა ნივთები და ვის ეკუთვნის ისინი.
4. თქვენი დახმარებით, მოსწავლეები ადარებენ წიგნსა და რვეულში მოცემულ ნახატებს. მაგ., *"წიგნში მზიას ქუდი რა ფერია? რვეულში?"*.

### აქტივობა 4 აქტივობა 8. მოტორიკა, ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით

1. track - სრულდება რვ. სავ. გვ. 35, №7. მოისმინე, მონიშნე და დაასახელე. მოსწავლეებმა უნდა გაარკვიონ, რა აქვს რეზოს ჩანთაში. ისინი ისმენენ ტექსტს და ჩანთასთან აკავშირებენ შესაბამის საგნებს. **ტექსტი**: *რეზოს ჩანთაში არის ვაშლი, ბურთი, ტელეფონი და შოკოლადი.*
2. მოსწავლეები კიდევ ერთხელ ისმენენ, ამოწმებენ და ასახელებენ, რა არის/არ არის ჩანთაში.
3. მოსწავლეებს ურიგდებათ ნაცნობი საგნები *(ქუდი, ფერადი ბუშტები, ქოლგა, ჩანთა, ფერადი ფანქრები)*. თქვენი მითითებით, მოსწავლემ უნდა თქვას, რა აქვს მის კლასელს *(პირველად თქვენ ამბობთ, მაგ., ლელას აქვს წითელი ფანქარი და ლურჯი ჩანთა)*.

**რესურსი:** სხვადასხვა ფერის ჩანთები, ფანქრები, ბუშტები, ქუდები.

### აქტივობა 5. მოძრავი თამაში "სკამები წრეზე"

1. მოსწავლეებს მკერდზე ვაკრავთ პატარა ზომის ფურცლებზე დაწერილ ციფრებს (ერთიდან ხუთამდე). გაითვალისწინეთ, რომ ყოველ სამეულს/ოთხეულს ერთი და იგივე ციფრები უნდა ჰქონდეს.
2. მოსწავლეები სხდებიან წრიულად განლაგებულ სკამებზე. თუ 12 მონაწილეა, მაშინ დგას 11 სკამი; ერთ-ერთი მონაწილე წრის შუაში დგება. თქვენ ხმამაღლა დაასახელებთ ერთ-ერთ რიცხვს 1-დან 5-მდე: *სამი !* (შეიძლება შუაში მდგომმა დაასახელოს). მონაწილეები, რომლებსაც აქვთ ეს ციფრი (უწერიათ ეს ციფრი მკერდზე დაკრულ ფურცლებზე) ერთმანეთს ადგილებს გაუცვლიან; ამ დროს შუაში მდგომი მონაწილეც შეეცდება დაჯდომას. ვინც დაჯდომას ვერ მოასწრებს, წრის ცენტრში დგება.

**აქტივობა 6. ინსტრუქციების გაგება .**

1. ავარჯიშეთ უკვე ნასწავლი ინსტრუქციების გაგებაზე: *დახურე წიგნი! გადაშალე წიგნი! დაითვალე! გაასუფთავე დაფა! (დეტალურად იხ. მასწ. წ. სავ. №№14, 15. ინსტრუქციების სწავლება).*
2. ასწავლეთ მოსწავლეებს ახალი სიტყვები: *კარი, ფანჯარა;* მიუთითეთ მათ საკლასო ოთახში/სკოლაში არსებულ შესაბამის საგნებზე. ავარჯიშეთ მოსწავლეები ამ სიტყვებზე ავარჯიშეთ შემდეგი ინსტრუქციის გამოყენებით: *მაჩვენე კარი! მაჩვენე დაფა! მაჩვენე ფანჯარა!*

**აქტივობა 7. ინტერაქცია სურათებზე დაყრდნობით**

1. მოსწავლეებს გაამეორებინებთ ლექსიკურ ერთეულებს: *ქოლგა, ზღვა, ჩიტი, მზე, ხე, გემი, ცა.*
2. <u>სრულდება მეორე დავალება</u> - მოსწავლეები პასუხობენ კითხვებს სურათზე დაყრდნობით: *რა არის ეს/ის ? რა ფერისაა. .. ? რა აქვს მზეს?*
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 36. №1. გააფერადე და დაასახელე. მოსწავლეებს კარნახობთ:*ხე არის მწვანე, ცა არის ლურჯი, მზე არის ყვითელი, ქოლგა არის წითელი.* მოსწავლე ნახატს შესაბამისად აფერადებს.
4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 3. №3. შეაერთე და გააფერადე. მოსწავლე მიიღებს ქოლგასა და ქუდს და დაასახელებს.
5. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 36. № 4. დახატე და გააფერადე მითითების მიხედვით. მოსწავლე, თქვენი მითითების მიხედვით, ხატავს სხვადასხვა ფერისა და რაოდენობის ქოლგებს.




**აქტივობა 8. მთლიანი სიტყვების კითხვა, სიტყვაში ასოს გამოკვეთა**

1. **დიდი ლოტო საყრდენი წარწერით:** გამოაკარით სურათები შესაბამისი წარწერებიანი ბარათებით. ბარათებზე წერია: *ცა, ქოლგა, ხე, ბუ, კუ, ქოლგა, გემი, გია.* ბარათების მეორე ნყებიდან რიგრიგობით აძლევთ თითო-თითო ბარათს მოსწავლეებს, რომლებმაც ისინი (ბარათები) სათანადო სურათთან უნდა მიიტანონ. დანარჩენი მოსწავლეები აზრს გამოთქვამენ, სწორად შესრულდა თუ არა დავალება.
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 37. №5. დააკვირდი და შემოხაზე იგივე სიტყვა.
3. **ფოტოგრაფიული კითხვა -** მოსწავლეებს სწრაფ-სწრაფად აჩვენებთ წარწერიან ბარათებს (ბარათებზე წერია: *ხე, ბუ, კუ, ქოლგა, გემი, გია);* ისინი ამოიცნობენ და ასახელებენ ბარათებზე დაწერილ სიტყვებს.
4. **სურათი და წარწერა** - გამოიტანეთ ცალკე მხოლოდ ერთი სურათი, გამოაკარით იქვე სამი ბარათი წარწერებით, რომელთაგან მხოლოდ ერთი შეესაბამება სურათს. მოსწავლეებმა უნდა იპოვონ, რომელია ეს ბარათი.
5. **სიტყვებში ასოს გამოკვეთა** - დაწერეთ ან გამოაკარით შემდეგი სიტყვები: **გოგო, გემი, გია.** მოსწავლეები აკვირდებიან და ეძებენ ამ სიტყვების საერთო ასოს (გ). მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაადგენენ საერთო ასოს, დაფაზე დაწერთ მას, ხმამაღლა წარმოთქვამთ, მოსწავლეებს აჩვენებთ ანბანში და კიდევ ერთხელ დაასახელებთ. ამის შემდეგ მოსწავლეები აღნიშნულ ასოს მოძებნიან თავიანთ სახელებში და სხვა სიტყვებში, რომლებსაც დაფაზე დაწერთ ან გამოაკრავთ *(მაგ., გემი, ქოლგა, წიგნი, გემი, გია, გოგო).*
6. **სიტყვებში გამოკვეთლი ასოს გახსენება - და**უბრუნდებით ასო "ე"-ს. გამოიყენეთ სიტყვები: *გემი, თევზი, ერთი, ველოსიპედი, მწანე, წითელი.*

**აქტივობა 9. ფონოლოგია: სიტყვათა გარდაქმნის წესის ამოცნობა**

1. გამოაკარით ნასწავლი სიტყვების ამსახველი სურათები (რაც შეიძლება მეტი რაოდენობით); დაასახელებინეთ მოსწავლეებს სურათებზე ასახული ყველა სიტყვა. ჩამოხსენით იმ სიტყვების შესაბამისი სურათები, რომლებიც მოსწავლეებს ჯერ კიდევ არ აქვთ კარგად ათვისებული, (ფონოლოგიურ სავარჯიშოებში მხოლოდ კარგად ნაცნობი სიტყვები უნდა გამოვიყენოთ).

დარჩენილ სურათებზე გამოხატული სიტყვების გამოყენებით გაიმეორეთ თამაში **"საიდუმლო ყუთი" -** მოსწავლემ უნდა ამოიცნოს, რა წესის მიხედვით გარდაიქმნა სი-

ტყვა. ამისთვის საჭიროა "საიდუმლო" ყუთი, რომელსაც ორი მხრიდან აქვს კარი. ერთ-ერთი მოსწავლე იღებს სურათს, რომელსაც ყველას აჩვენებს და ხმამაღლა ამბობს სურათის შესაბამის სიტყვას; შემდეგ მივა ყუთის ერთ კართან და ამ სიტყვას ჩურჩულით "ეტყვის" ყუთს. მასწავლებელი მეორე კართან "უგდებს ყურს" და ხმამაღლა გაიმეორებს ყუთის მიერ „გარდაქმნილ" სიტყვას, ანუ თავად გარდაქმნის მოსწავლის მიერ ნათქვამ სიტყვას რომელიმე წესის მიხედვით (მაგ., *ბოლო მარცვლის გამეორების გზით - ბურთი-თი).* ამგვარადვე "გარდაიქმნება" 5-6 სიტყვა. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი წესით "გარდაქმნა" ყუთმა სიტყვა (აუცილებელია, თავდაპირველად მასწავლებელმა მიაწოდოს რამდენიმე მაგალითი მოსწავლეებს, რათა მათ წესის ამოცნობა შეძლონ). თუ მასწავლებელმა არ იცის მოსწავლეების ენა, მან შემდეგნაირად უნდა გაარკვიოს, გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა წესი: 4-5 სიტყვის გარდაქმნის შემდეგ მათ უნდა შესთავაზოს ახალი სიტყვა, რომელსაც მოსწავლეები სათანადო წესით გარდაქმნიან.

2. <u>პირველი წესისთვის</u> (მარცვლის დამატება): ტე, მანქანატე, მზეტე, რვეულიტე (შესთავაზეთ მოსწავლეებს გარდასაქმნელად *მაიმუნი*).
3. <u>მეორე წესისთვის</u> (ბოლო მარცვლის გამეორება): შოკოლადიდი, ვაშლილი, ბანანინი, ზღარბიბი (შესთავაზეთ: *ბიჭი*).
4. <u>მესამე წესისთვის</u> (პირველი მარცვლის ჩამოცილება): (კომ)პიუტერი, (ვე)ლოსიპედი, (კურ)დღელი (შესთავაზეთ: *მანქანა*).
5. <u>მეოთხე წესისთვის</u> (ბოლო მარცვლის ჩამოცილება): კურდღე(ლი), ვაშ(ლი), ბუშ(ტი), მანქა(ნა), მაიმუ(ნი) (შესთავაზეთ: *ქუდი*).
6. <u>მეხუთე წესისთვის</u> - შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერი ორმარცვლიანი სიტყვა.




**აქტივობა 10. ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით (წიგნის მესამე დავალება)**

1. <u>სრულდება მესამე დავალება</u> - თქვენი მითითებით, მოსწავლეები ცალ-ცალკე აკვირდებიან ქოლგების გროვებს; ასახელებენ ქოლგების რაოდენობასა და ფერს.
2. პასუხობენ შეკითხვებზე: *სულ (ხელის მოძრაობით მიუთითებთ) რამდენი ლურჯი ქოლგაა? წითელი?* და *ასე შემდეგ.*

5. **3. გამოცანა -** ასახელებთ რიცხვს; მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი ფერის ქოლგებია ამ რაოდენობით.

6. 4. ითვლიან და ასახელებენ თითოეულ გროვაში ქოლგების რაოდენობას.

<u>შინაარსი</u>

1. **მიზნები:** ნასწავლი ლექსიკის გამეორება; ფონოლოგიური უნარების განვითარება; მარტივი ინტერაქცია (ფერებზე, რაოდენობაზე, კუთვნილებაზე), მინიტექსტების გაგება, მთლიანი სიტყვების კითხვა; ნატიფი მოტორიკის განვითარება.
2. **ლექსიკა და კონსტრუქციები:** *ცა, ქოლგა,ზღვა, ჩიტი, მზე, გემი; რა აქვს ჩანთაში? რა არ აქვს?*
3. **ინსტრუქციები:***დახურე წიგნი! გადაშალე წიგნი! დაითვალე! გაასუფთავე დაფა!*

## მოსწავლის წიგნი, გვერდი 19

**აქტივობა 1. ლექსიკის სწავლა, კითხვა**

1. <u>წიგნის მეოთხე დავალება</u> - წიგნის სურათზე დაყრდნობით, შესთავაზებთ მოსწავლეებს ახალ სიტყვას - *ცისარტყელა.* მოსწავლეები აკვირდებიან და ასახელებენ სურათებს.
2. **დაჯგუფება**: მოსწავლეებმა უნდა დაჯგუფონ სიტყვები სამ სვეტში: *ცა, ზღვა, ტყე.* გამოაკრავთ ამ სამი სიტყვის ამსახველ სურათებს და დაალაგებთ მაგიდაზე შემდეგ სურათებს: **ცისარტყელა, ცა, ჩიტი, თევზი, გემი, დათვი, მაიმუნი, ია (ყვავილი), მზე**. სვამთ კითხვებს: "*რა არის ცაში? ტყეში? ზღვაში?"*; მოსწავლეები ასახელებენ სათანადო სიტყვებს და მიუთითებენ შესაბამის სურათებზე, რომლებსაც გააკრავთ შესაბამის სვეტში.
3. **დიდი ლოტო საყრდენი წარწერის გარეშე** - გამოაკრავთ იმავე სურათებს წარწერების გარეშე. მოსწავლეებს რიგრიგობით დაურიგებთ თითო-თითო ბარათს წარწერებით; მათ ეს ბარათები შესაბამის სურათთან უნდა მიიტანონ. დანარჩენი მოსწავლეები აკვირდებიან, სწორად შეასრულეს თუ არა დავალება თანაკლასელებმა.
4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 37. №6. დააკვირდი და შემოხაზე მსგავსი სიტყვა.

**აქტივობა 2. ინტერაქცია ცხრილზე დაყრდნობით**

1. <u>სრულდება წიგნის მეხუთე დავალება</u>: დააკვირდი და დაასახელე. შეკითხვების მეშვეობით, გააცნობთ მოსწავლეებს ცხრილს (შეკითხვები: *ეს ვინ არის? ეს რა არის? მზიას რა უყვარს? რა არ უყვარს? რა უყვარს რეზოს/დათოს...? ვის უყვარს კომპიუტერი, ვაშლი...? რა უყვარს ყველას?*. სანამ მოსწავლეები ცხრილში გაერკვევიან, დაეხმარეთ მათ პასუხების გაცემაში.
2. ცხრილის მონაცემებზე დაყრდნობით, ეკითხებით მოსწავლებს, რა უყვართ/არ უყვართ მათ.
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 37. №8. დააკვირდი და დაასახელე. მოსწავლეები ასახელებენ, რა უყვარს/არ უყვარს ლიას, გიას, იას.
4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 38. №1. *შენ რა გიყვარს/არ გიყვარს?* მოსწავლეები მონიშნავენ ან ჩახატავენ, რა უყვართ ან არ უყვართ. ამის შემდეგ დაფაზე გამოსახავთ იმგვარივე ცხრილს, გამოიძახებთ ერთ-ერთ მოსწავლეს, შეეკითხებით, რა უყვარს/არ უყვარს მას და შეავსებთ ცხრილს; სხვა მოსწავლეებს კი ჰკითხავთ: *"რა უყვარს შოთას?"* მოსწავლეები პასუხობენ: *"შოთას უყვარს . . . "* (ყურადღება მიაქციეთ, რომ მოსწავლეთა პასუხები ამ სიტყვებით იწყებოდეს).
5. მოსწავლეები ასახელებენ, რა უყვართ მათ: "მე მიყვარს .../ მე არ მიყვარს . . . " (საჭიროების შემთხვევაში, აქაც შეახსენებთ მოსწავლეებს ფრაზის დასაწყისს).

**აქტივობა 3. ფონოლოგია: პირველი ბგერის გამოკვეთა**




1. **პირველი ბგერის მიხედვით დახარისხება** - მოსწავლეებს აძლევთ სამოდელო ბგერას, ისინი ყუთში დებენ იმ სიტყვების ამსახველ სურათებს, რომლებიც სამოდელო ბგერაზე იწყება (დეტალური ინსტრუქცია იხ. მასწ. წ. სავ. № 35).
2. **სიტყვის პირველი ბგერის ამოცნობა** - მოსწავლეები ტაშს უკრავენ მხოლოდ იმ სიტყვების გაგონებისას, რომლებიც იწყება სამოდელო ბგერაზე (დეტალური ინსტრუქცია იხ. მასწ. წ. სავ. № 36).

ორივე სავარჯიშოსთვის გამოიყენეთ შემდეგი მასალა:

- **ბ**/*ბანანი, ერთი, ზღარბი, ბურთი, ბიჭი, ვაშლი, ლია, ბუშტი, ბუ, ყვავილი;*
- **კ**/*კუდი, ოთხი, კომპიუტერი, რვეული, რეზო, კურდღელი, თითი, კუ, ქუდი, ვაშლი, ქოლგა;*
- **მ**/*მანქანა, მზე, მზია, სამი, ფანქარი, მაიმუნი, რეზო, მწვანე.*

**აქტივობა 4. ინსტრუქციების გაგება .**

1. გაავარჯიშეთ მოსწავლეები ნასწავლი ინსტრუქციების გააქტიურებაზე: *"დახურე წიგნი! გადაშალე წიგნი! დაითვალე! გაასუფთავე დაფა!" (დეტალურად იხ. მასწ. წ. სავ.№№14,15. ინსტრუქციების სწავლება).*

**აქტივობა 5. ინტერაქცია (წიგნის მეექვსე დავალება)**

1. <u>სრულდება წიგნის მეექვსე დავალება</u>: ვის რა უყვარს. მოსწავლეები ასახელებენ, ვის რა უყვარს.
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 38. №3. მოძებნე, ვის რა უყვარს. ამავე დავალებას მოსწავლეები ასრულებენ რვეულში.

**<u>შინაარსი</u>**

**მიზნები:** ნასწავლი ლექსიკის გამეორება; ფონოლოგიური უნარების განვითარება; მარტივი ინტერაქცია (თემა: ვის რა უყვარს); ნატიფი მოტორიკის განვითარება.

**ლექსიკა და კონსტრუქციები:** *ცისარტყელა, შოკოლადი, ვაშლი, ბანანი, მანქანა*; *რა უყვარს? რა არ უყვარს?*

## მოსწავლის წიგნი, გვერდი 20

**აქტივობა 1. ლექსიკის სწავლა**

გამოაკარით სურათები: **ბაყაყი, საათი, ჩიტი, ცისარტყელა** და შეასრულეთ ლექსიკური სავარჯიშოები:

1. **მითითება-დასახელება**: ა) მიუთითებთ

მოსწავლეებს სურათებზე და წარმოთქვამთ შესაბამის სიტყვებს; ბ) ასახელებთ სიტყვებს, მოსწავლები მიუთითებენ შესაბამის სურათებზე; გ) მიუთითებთ სურათებზე, მოსწავლეები ასახელებენ სიტყვებს; ე) ერთად იმეორებთ ყველა სიტყვას.

2. **სურათი და ნომერი** - ყველა სურათს თავზე ნომერს (სათანადო ციფრს) მიუმაგრებთ და გააგრძელებთ მუშაობას შემდეგნაირად: ა) დაასახელებთ ამა თუ იმ სურათის შესაბამის სიტყვას, მოსწავლეები ამბობენ ამ სურათის ნომერს; ბ) ამბობთ ნომერს, მოსწავლეები დაასახელებენ შესაბამის სიტყვას.
3. **ნომერი სურათის გარეშე** - სურათები კედლისაკენ შეატრიალეთ, დატოვეთ მხოლოდ ნომრები და დაასახელეთ სიტყვები. ვიზუალურ მეხსიერებაზე დაყრდნობით, მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ შესაბამისი ნომერი (ან პირიქით: თქვენ ამბობთ ნომერს, მოსწავლეები ასახელებენ შესაბამის სიტყვას).
4. **"სწორია თუ არა?"** - მოსწავლეებს აჩვენებთ იმავე სურათებს; ამბობთ ხან მათ შესაბამის სიტყვებს, ხან სხვა სიტყვებს. მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, სწორია თუ არა თქვენ მიერ დასახელებული სიტყვები (შეესატყვისება თუ არა ისინი სურათებს) და თქვან "კი/არა".

**შენიშვნა:** *ეს სავარჯიშოები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ. მასწ. წ. სავ. №№2, 3, 4, 12. ლექსიკური სავარჯიშოები).*

**აქტივობა 2. ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით**

1. <u>სრულდება პირველი დავალება</u> - მოსწავლეებს უსვამთ კითხვებს: "*რა ფერია დიდი*




*ბაყაყი? პატარა? რა არის წითელი? რამდენი ჩიტია? რამდენი* საათია?" და სხვა.

2. სურათის აღწერა: ნიმუშის მისაცემად, აჩვენებთ მოსწავლეებს სურათს და ეუბნებით: "*ეს არის დიდი ბაყაყი. დიდი ბაყაყი არის მწვანე*". მოსწავლეები გაიმეორებენ ნათქვამს თქვენთან ერთად; შემდეგ, თქვენი დახმარებით, ჩამოაყალიბებენ იმავე ტიპის ფრაზებს ჩიტზე, საათზე.

**აქტივობა 3. მთლიანი სიტყვების კითხვა:**

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 39. №4. დააკვირდი და დააკავშირე; №6. დააკვირდი და შემოხაზე; №7. დააკვირდი და შემოხაზე მსგავსი სიტყვა; გვ. 40. №1. დააკვირდი და გადახაზე განსხვავებული სიტყვა.
2. **დიდი ლოტო საყრდენი წარწერით:** გამოაკარით სურათები შესაბამისი ბარათებით (ბარათებზე წერია: **ბაყაყი, ბანანი, ყვავილი, ქოლგა, ქუდი, ბუ, ბურთი).** ბარათების მეორე წყებიდან რიგრიგობით აძლევთ თითო-თითო ბარათს მოსწავლეებს, რომლებმაც ისინი (მიცემული ბარათები) შესაბამის სურათთან უნდა მიიტანონ. დანარჩენი მოსწავლეები აზრს გამოთქვამენ, სწორად შესრულდა თუ არა დავალება.
3. **დიდი ლოტო საყრდენი წარწერის გარეშე** - გამოაკრავთ იმავე სურათებს წარწერების გარეშე. რიგრიგობით აძლევთ თითო-თითო ბარათს მოსწავლეებს, რომლებმაც ისინი (მიცემული ბარათები) შესაბამის სურათთან უნდა მიიტანონ. დანარჩენი მოსწავლეები აზრს გამოთქვამენ, სწორად შესრულდა თუ არა დავალება.
4. **ფოტოგრაფიული კითხვა -** მოსწავლეებს სწრაფ-სწრაფად აჩვენებთ წარწერიან ბარათებს (ბარათებზე წერია: *ლია, გია, ბურთი, თითი)*; ისინი ამოიცნობენ და ასახელებენ ბარათებზე დაწერილ სიტყვებს.
5. **სურათი და წარწერა** - ცალკე გააკარით მხოლოდ ერთი სურათი; იქვე გამოაკარით სამი ბარათი წარწერებით, რომელთაგან მხოლოდ ერთი შეესატყვისება სურათს. მოსწავლეებმა უნდა იპოვონ, რომელი ბარათის წარწერა შეესაბამება სურათს (შეგიძლიათ გამოიყენოთ სამი სურათი და ერთი წარწერა).
6. **ნაწერ სიტყვაში ასოს გამოკვეთა** - დაფაზე დაწერეთ ან გამოაკარით ბარათები, რომლებზეც წერია: *ბაყაყი, ბანანი, ბუ, ბურთი.* მოსწავლეები აკვირდებიან და ეძებენ, რომელია ამ სიტყვების საერთო ასო *(ბ)*. ამის დადგენის შემდეგ, წერთ აღნიშნულ ასოს დაფაზე, ასახელებთ მას, შემდეგ აჩვენებთ მოსწავლეებს ანბანში და კიდევ ერთხელ ასახელებთ. დასასრულ, მოსწავლეები ეძებენ აღნიშნულ ასოს თავიანთ სახელებში, სხვა სიტყვებში, რომლებსაც დაფაზე დაწერთ ან გამოაკრავთ

(მაგ., *ბუშტი, ბიჭი, ზღარბი*).

7. **სიტყვებში გამოკვეთილი ასოს გახსენება -** მიუბრუნდით ასო "*გ*"-ს; გამოიყენეთ იგი სიტყვებში: *გ - გემი, ქოლგა, წიგნი, გია, გოგო.*

### აქტივობა 4. ფონოლოგია, ბგერები: ყ/ჭ/ტ

1. მოსწავლეებს მიუთითებთ სურათებზე და აღწერთ მათ:*ბაყაყი ყიყინებს, ჩიტი ჭიჭიკებს, ბიჭი თამაშობს.*
2. გაავარჯიშებთ მოსწავლეებს გამოთქმაზე: *ბაყაყი ყიყინებს: ყიყი-ყიყი; ჩიტი ჭიკ-ჭიკებს: ჭიკ-ჭიკ; საათი ტიკტიკებს: ტიკ-ტიკ.*
3. track <u>სრულდება მეორე დავალება</u> - მოსწავლეები უსმენენ ფრაზებს და მიუთითებენ შესაბამის სურათზე.

   **ლექსი:**

   *ყი, ყი, ყი... ყიყინებს ბაყაყი*

   *ჭიკ, ჭიკ, ჭიკ... ჭიკჭიკებს ჩიტი*

   *ტიკ, ტიკ, ტიკ... ტიკტიკებს საათი*

   *თამაშობს პატარა ბიჭი*
4. ლექსის დასწავლა - კლასი დაყავით ორ ჯგუფად. ლექსის მონაკვეთი, სხვადასხვა ვარიაციით, გაამეორებინეთ ჯერ ერთ ჯგუფს, შემდეგ - მეორეს (ეს ბავშვებს ძალიან ახალისებს):
   - ხმის ტემბრის დაბოხებით, შემდეგ დაწვრილებით;
   - ჩურჩულით/ხმამაღლა;
   - ნელი/ჩქარი ტემპით;
   - მეორე ეტაპზე ამბობთ სტრიქონის დასაწყისს, მოსწავლეები დასრულებენ მას.
5. ბოლოს ყველა ერთად იმეორებს ლექსს.




### აქტივობა 5. ფონოლოგია: საერთო ბგერის პოვნა

1. რა აქვთ საერთო? მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ და დაასახელონ ის საერთო ბგერა, რომელზედაც იწყება შემდეგი სიტყვები:
   - **ბ**ანანი, ბიჭი, ბურთი, ბუ, ბაყაყი / ბ
   - **დ**ათვი, დათო, დიდი, დალი / დ
   - **მ**ზე, **მ**ზია, **მ**წვანე, **მ**ანქანა, **მ**აიმუნი / მ
   - რა აქვთ საერთო? მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ და დაასახელონ ის საერთო ბგერა, რომელზედაც სრულდება შემდეგი სიტყვები:
   - მწვანე, ხე, ტყე, მზე / ე
   - ზღვა, ლია, პატარა, ია, მანქანა, გია / ა
   - ბიჭი, დიდი, ვაშლი, კუდი, წიგნი -/ ი.

### აქტივობა 6. ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით

1. <u>სრულდება მესამე დავალება</u> - დათვალე და დააკავშირე. მოსწავლეები აღწერენ თითოეულ გროვას (ნაკრებს): *"რა არის? რა ფერია? რამდენია? დიდია თუ პატარაა? რამდენია ყვითელი? პატარა? რამდენი ბაყაყია სულ? რამდენი ჩიტია? ღამდენი ყვითელი თევზია?".*
2. მოსწავლეებს აძლევთ აღწერის ნიმუშებს, ისინი აღწერენ სურათს თქვენი ნიმუშის მიხედვით. მაგ., *შავი თევზი არის დიდი, სამი პატარა თევზი* არის პატარა.
3. მოსწავლეები თავიდან ითვლიან, რამდენი ცხოველია თითოეულ გროვაში და ასახელებენ შესაბამის ციფრს.

### აქტივობა 7. მოძრავი თამაში "ზღაპრული რბოლა"

1. თამაშის მსვლელობის დროს ყველა მოსწავლე მორიგეობით გარდაისახება თქვენ მიერ დასახელებულ ნაცნობ პერსონაჟად, ცხოველად, ფრინველად. <u>თქვენი მითითება:</u> *ბაყაყი, ჩიტი;* განსახიერებისას მოსწავლეებს ათქმევინეთ: ყი-ყი-ყი-ყი, ჭიკ-ჭიკ-ჭიკ-ჭიკ (იხ. მასწ. წ. სავ. №20).

### აქტივობა 8. კითხვა

1. სრულდება რვ. გვ. 40. №2. დააკვირდი და დააკავშირე ნახატი ნაწერთან. №3. დააკვირდი და ერთი ფერით გააფერადე ერთნაირი სიტყვები. მოსწავლემ უნდა იპოვოს ერთნაირი სიტყვები ცხრილის მარჯვენა და მარცხენა სვეტში და ერთი ფერით გააფერადოს ეს სიტყვები. №4. დააკვირდი და დააკავშირე ნახატი ნაწერთან.

2. **ნაწერ სიტყვაში ასოს გამოკვეთა** - დაფაზე დაწერეთ ან გამოაკარით ბარათები შემდეგი სიტყვებით: *მაიმუნი, მზე, სამი.* მოსწავლეები აკვირდებიან და ეძებენ ამ სიტყვების საერთო ასოს/ასოებს *(მ)*. მოძებნილ საერთო ასოს დაწერთ დაფაზე, დაასახელებთ; შემდეგ ანბანში აჩვენებთ მოსწავლეებს და კვლავ დაასახელებთ მას. დასასრულ, მოსწავლეები ეძებენ აღნიშნულ ასოს თავიანთ სახელებში, სხვა სიტყვებში, რომლებსაც დაფაზე დაწერთ ან გამოაკრავთ (მაგ., მანქანა, მწვანე, მზია).

**აქტივობა 9. ფონოლოგია: ბგერების სიტყვებად გამთლიანება, სიტყვის ბგერებად დაშლა (ანუ სიტყვის ხმოვანი ხატის სინთეზი და ანალიზი)**

1. **ბგერების სიტყვებად გაერთიანება სურათზე დაყრდნობით** - გამოაკარით ერთმარცვლიანი სიტყვების ამსახველი სურათები: **მზე, ხე, კუ, ბუ, ტყე, ზღვა, ცა.** სურათების შესაბამისი თითოეული სიტყვა დაშალეთ ბგერებად და წარმოთქვით ცალკეული ბგერა შეყოვნებით (მ ზ ე). მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი სურათი შეესატყვისება წარმოთქმულ ბგერებს და გაამთლიანონ სიტყვა. შემდგომში, მოსწავლეთა კომპეტენციის ზრდასთან ერთად, ამ აქტივობას საყრდენი სურათის გარეშე გააკეთებთ (დეტალურად იხ. მასწ. წ. სავ. №43).
2. **სიტყვების ბგერებად დაშლა** - მოსწავლეები ბგერებად შლიან იმავე სიტყვებს *(მზე, ხე, კუ, ბუ, ტყე, ზღვა, ცა)*. ამის შემდეგ მოსწავლეებს ბგერებად დასაშლელად აძლევთ სხვა ერთმარცვლიან და ორმარცვლიან სიტყვებს: *თითი, დიდი, გია, ლია, მზია, ბიჭი, თევზი.*




3. **სიტყვებში ბგერების რაოდენობის დათვლა** - მოსწავლეები შლიან სიტყვებს ბგერებად და ითვლიან ბგერების რაოდენობას. შესთავაზეთ მოსწავლეებს ჯერ ორბგერიანები *-ხე, კუ, ბუ*; შემდეგ თანდათანობით გაურთულეთ ამოცანა და შესთავაზეთ: *მზე, მზია, თითი, დიდი, გოგო, თევზი.*

**<u>შინაარსი</u>**

**მიზნები:** ახალი ლექსიკის შესწავლა; ფონოლოგიური უნარების განვითარება; მარტივი ინტერაქცია; ნატიფი მოტორიკის განვითარება, სურათის აღწერა.

**ლექსიკა და კონსტრუქციები:** *ბაყაყი, საათი, ჩიტი, დიდი, პატარა, თევზი.*

**მოსწავლის წიგნი, გვერდი 21**

**აქტივობა 1. ინსტრუქციები**

1. <u>სრულდება წიგნის მეოთხე დავალება</u> - მოსწავლეები აკვირდებიან წიგნის სურათებს, ისმენენ ინსტრუქციებს და ასახელებენ სურათების შესაბამის ნომერს (ინსტრუქციები: *"დახურე წიგნი! გადაშალე წიგნი! დაითვალე! "*).

**აქტივობა. 2. ფონოლოგია: ბგერების სიტყვად გამთლიანება, სიტყვის ბგერებად დაშლა**

1. **ბგერების სიტყვებად გამთლიანება სურათზე დაყრდნობით** - გამოაკარით შემდეგი სურათები: **ბუ, კუ, ზღვა, ხე, ტყე, მზე, თითი, დიდი, ქუდი, კუდი, მზია, გია, ლია, რეზო, დათო, ბიჭი, წიგნი, ქოლგა, ბურთი, ბუშტი, მანქანა, მაიმუნი.** თითოეული სიტყვა დაშალეთ ბგერებად და წარმოთქვით ცალკეული ბგერა შეყოვნებით. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი სურათი შეესატყვისება წარმოთქმულ ბგერებს და გაამთლიანონ სიტყვა.
2. **სიტყვების ბგერებად დაშლა** - ავარჯიშეთ მოსწავლეები იმავე სიტყვების ბგერებად დანაწევრებაზე - *ბუ, კუ, ზღვა, ხე, ტყე, მზე, თითი, დიდი, ქუდი, კუდი, მზია, გია, ლია, რეზო, დათო, ბიჭი, წიგნი, ქოლგა, ბურთი, ბუშტი, მანქანა, მაიმუნი, თევზი.*

### აქტივობა. 3. track ნასწავლი ლექსების გამეორება

დიდი დათვი დრუნჩიანი
დუდღუნა და დანდალაო,
დილით ადრე წამომდგარა,
თაფლის ჭამით დამთვრალაო.

მხრებს იჩეჩავს ზღარბი,
იფხანს თავს და კისერს,
ჯერ ამათგან ერთიც
თუ არისო მწიფე?!.

**ზღარბი**

ზღარბო, ზღარბო. ქაცვია,
ეს რა ქურქი გაცვია?!
დამიკაწრეს თითები
მაგ ჩხუტუნა ნემსებმა...
ნეტავ, შენი დედიკო
როგორ გეალერსება?!

### აქტივობა 4. ბგერასა და ასოს შორის არსებული კავშირის გაცნობიერება

1. ანბანის კითხვა: კითხულობთ კედელზე გაკრულ ანბანს შემდეგი წესით - აჩვენებთ მოსწავლეებს ანბანის ერთ ასოს და ახმოვანებთ მას, ანუ ამბობთ შესაბამის ბგერას. გაითვალისწინეთ, რომ მოსწავლეებს არ მოეთხოვებათ ანბანის დამახსოვრება - ამ აქტივობის მიზანია, მოსწავლეებმა აღიქვან კავშირი ასოსა და ბგერას შორის; გააცნობიერონ, რომ კონკრეტული ასო კონკრეტული ბგერის ხილული ნიშანია.




### აქტივობა 5. მთლიანი სიტყვების კითხვა

1. <u>სრულდება წიგნის მეხუთე დავალება</u> - მოსწავლეები „კითხულობენ“ სიტყვებს და აკავშირებენ სურათებთან.
2. **დიდი ლოტო საყრდენი წარწერით:** გამოაკარით სურათები შესაბამისი ბარათებით (ბარათებზე წერია: *თევზი, შოკოლადი, ვაშლი, ბაყაყი, ბანანი, ცა, ზღვა, ქოლგა, ჩიტი*). წარწერიანი ბარათების მეორე წყებიდან რიგრიგობით აძლევთ თითო-თითო ბარათს მოსწავლეებს, რომლებმაც ისინი (ბარათები) შესაბამის სურათთან უნდა მიიტანონ. დანარჩენი მოსწავლეები აზრს გამოთქვამენ, სწორად შესრულდა თუ არა დავალება.
3. **სურათი და წარწერა** - ცალკე გააკარით მხოლოდ ერთი სურათი, იქვე გამოაკარით სამი ბარათი წარწერებით, რომელთაგან მხოლოდ ერთი შეესაბამება სურათს. მოსწავლეებმა უნდა იპოვონ, რომელი ბარათი შეესაბამება სურათს.
4. **ფოტოგრაფიული კითხვა** - მოსწავლეებს სწრაფ-სწრაფად აჩვენებთ წარწერიან ბარათებს (ბარათებზე წერია: *თევზი, შოკოლადი, ვაშლი, ბაყაყი, ბანანი, ცა, ზღვა, ქოლგა, ჩიტი*); ისინი ამოიცნობენ და ასახელებენ ბარათებზე დაწერილ სიტყვებს.
5. **სიტყვაში ასოს გამოკვეთა** - ნასწავლი სიტყვებიდან შეარჩიეთ სამ-სამი ისეთი სიტყვა, რომლებსაც საერთო ასოები აქვთ და ავარჯიშეთ მოსწავლეები მათ ამოცნობაზე. თუ მოსწავლეები ამოიცნობენ საერთო ასოებს ან მარცვლებს, უნდა მიუთითონ ისინი (მაგ., *ბაყაყი, ბანანი* - ბ, ბა, ა, *ი*).

### აქტივობა. 6. ფონოლოგია: პირველი ბგერის ჩანაცვლება

1. **პირველი ბგერის ჩანაცვლება** - მოსწავლეებმა უნდა ჩაანაცვლონ პირველი ბგერა სამოდელო ბგერით. თქვენ ასახელებთ სამოდელო ბგერას; ჟესტიკულაციის თანხლებით, აგებინებთ მოსწავლეებს, რომ მათ სამოდელო ბგერა „თავში უნდა ჩაიდონ“ და ამ ბგერით ჩაანაცვლონ მიცემული სიტყვის პირველი ბგერა. აქტივობის პრინციპის უკეთ გასაგებად, თავდაპირველად მოსწავლეები თქვენთან ერთად ასრულებენ ამ სავარჯიშოს. ჯერ გამოიყენეთ ისეთი ბგერები, რომელთა გამოთქმა მოსწავლეებს არ უძნელდებათ; შემდეგ, როცა მოსწავლეები სავარჯიშოს პრინციპს კარგად დაეუფლებიან, გამოიყენეთ მათთვის ძნელად გამოსათქმელი ბგერებიც. მაგ.,
   ა. სიტყვების პირველ ბგერას ჩაანაცვლებთ შემდეგი ბგერით: **ზ**/კუ-ზუ, დიდი-ზიდი, გია-ზია, დალი-ზალი, ხე-ზე, წიგნი-ზიგნი, ბურთი-ზურთი და სხვა.

**ბ.** სიტყვების პირველ ბგერას ჩაანაცვლებთ შემდეგი ბგერით: **კ/** ლია -კია, ბიჭი-კიჭი, თითი-კითი, ქოლგა-კოლგა და სხვა;

**გ.** სიტყვების პირველ ბგერას ჩაანაცვლებთ შემდეგი ბგერით: **ყ/**ბუ-ყუ, დალი-ყალი, ვაშლი-ყაშლი, თითი-ყითი, ქუდი-ყუდი, ფანქარი-ყანქარი და სხვა;

**დ.** სიტყვების პირველ ბგერას ჩაანაცვლებთ შემდეგი ბგერით: **ჭ/** სამი-ჭამი, დიდი - ჭიდი, კუ-ჭუ, ბიჭი-ჭიჭი; ხე-ჭე, ლია-ჭია და სე შემდეგ.

**შენიშვნა:** *ის მოსწავლეები, რომლებსაც უჭირთ ბგერების გაცნობიერება, ავარჯიშეთ ამავე უნარზე მარცვლების გამოყენებით.*

<u>შინაარსი</u>

**მიზნები:** მთლიანი სიტყვების წაკითხვა, ინსტრუქციების გაგება, ფონოლოგიური უნარების განვითარება, ლექსების ზეპირად კითხვა.

## მოსწავლის წიგნი, გვერდი 22

### აქტივობა 1. ლექსიკის სწავლა, მთლიანი სიტყვების კითხვა

1. მოსწავლეებს აჩვენეთ სურათზე: **მთა რუ გზა**, დახატეთ დაფაზე სამივე და ავარჯიშეთ ისინი ამ სამ ლექსიკურ ერთეულზე (თუ შესაძლებელია, ფანჯრიდან დაანახეთ გზა და მთა).

2. სრულდება **რვ. სავ.** გვ. 41, №5. დაახატინეთ მოსწავლეებს ფურცელზე მთა, გზა, რუ და გააფერადებინეთ. თქვენი მითითებით, მოსწავლეები ამატებენ: მზეს, ჩიტებს, ხეებს, ყვავილებს (ეს შეიძლება




ხატვის გაკვეთილზე შესრულდეს). დასასრულ, გამოფინეთ ნახატები და კითხვების საშუალებით კიდევ ერთხელ გაავარჯიშეთ მოსწავლეები ამ ლექსიკაზე.

3. სრულდება **რვ. სავ.** №№6. 8. დააკვირდი და შემოხაზე შესაბამისი სიტყვა;

4. **დიდი ლოტო საყრდენი წარწერით:** გამოაკარით სურათები შესაბამისი ბარათებით (ბარათებზე წერია: **მთა, გზა, ცა, ზღვა, ხე, ტყე, მზე, რუ, ბუ, კუ).** ბარათების მეორე წყებიდან რიგრიგობით აძლევთ თითო-თითო ბარათს მოსწავლეებს, რომლებმაც ისინი (ბარათები) შესაბამის სურათთან უნდა მიიტანონ. დანარჩენი მოსწავლეები აზრს გამოთქვამენ, სწორად შესრულდა თუ არა დავალება.

4. **დიდი ლოტო საყრდენი წარწერის გარეშე** - გამოაკრავთ იმავე სურათებს წარწერების გარეშე; რიგრიგობით აძლევთ თითო-თითო ბარათს მოსწავლეებს, რომლებმაც ისინი (ბარათები) შესაბამის სურათთან უნდა მიიტანონ. დანარჩენი მოსწავლეები აზრს გამოთქვამენ, სწორად შესრულდა თუ არა დავალება.

5. **ფოტოგრაფიული კითხვა -** მოსწავლეებს სწრაფ-სწრაფად აჩვენებთ წარწერიან ბარათებს; ისინი ამოიცნობენ და ასახელებენ ბარათებზე დაწერილ სიტყვებს.

**შენიშვნა:** *ეს სავარჯიშოები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ.მასწ. წიგნი, ტიპური სავ. №№46,47,48, 52).*

7. **სიტყვებში ასოს გამოკვეთა** - მოსწავლეთა სახელებიდან, აგრეთვე ნასწავლი სიტყვებიდან შეარჩიეთ სამ-სამი ისეთი სიტყვა, რომლებსაც საერთო ასოები აქვს და ამუშავეთ მოსწავლეები საერთო ასოების მოძებნაზე (1. მთა, გზა, ცა, ზღვა; 2. ხე, ტყე, მზე; 3. რუ, ბუ, კუ). ნაპოვნ საერთო ასოს მოსწავლეებს მოაძებნინებთ აგრეთვე სხვა სიტყვებსა და საკუთარ სახელებში.

### აქტივობა 2. ფონოლოგია: ბგერების სიტყვებად გათლიანება, სიტყვების ბგერებად დაშლა

1. **ბგერების სიტყვებად გამთლიანება საყრდენი სურათის გარეშე** - ჩაიფიქრებთ ერთ სიტყვას და ბგერებად დაშლილი სახით ეუბნებით მოსწავლეებს. მათ საყრდენი სურათის გარეშე უნდა ამოიცნონ, რომელი სიტყვაა ჩაფიქრებული. გამოიყენეთ მოსწავლეებისთვის ნაცნობი სიტყვები: *ზღვა, ხე, ტყე, მზე, ცა ბუ, კუ, გოგო, დიდი, ჩიტი, კუდი, მზია, გია, ლია, რეზო, დათო, ბიჭი, წიგნი, ქოლგა, ბურთი, ბუშტი, მანქანა, მაიმუნი, თევზი, თითი.*

2. **სიტყვების ბგერებად დაშლა -** ავარჯიშეთ მოსწავლეები სიტყვების ბგერებად დაშლაზე, გამოიყენეთ მათ მიერ ნასწავლი ყველა სიტყვა. დაიწყეთ ჯერ მოკლე სიტყვებით, მერე გაართულეთ. *მაგ., ბუ, კუ, ზღვა, ხე, ტყე, მზე, თითი, დიდი, ქუდი, კუდი, მზია, გია, ლია, რეზო, დათო, ბიჭი, წიგნი, ქოლგა, ბურთი, ბუშტი, მანქანა, მაიმუნი, კომპიუტერი, ველოსიპედი.*

<u>**შინაარსი**</u>

**მიზნები:** ახალი ლექსიკის შესწავლა, ბგერების სიტყვებად გამთლიანება.

ლექსიკა და კონსტრუქციები: *მთა, რუ, გზა.*

## მოსწავლის წიგნი, გვერდი 23

### აქტივობა 1. ლექსიკის სწავლა: *ყაყაჩო, ვარდი, ია, პეპელა, ყვავი, მერცხალი, ყვავილი, ფრინველი, ცხოველი*

1. <u>სრულდება წიგნის პირველი დავალება</u> — დააკავშირე ნახატთან და გაიმეორე. ასახელებთ სურათებზე გამოსახული ყვავილებისა და ჩიტების სახელებს. მოსწავლეები იმეორებენ. მიუთითებთ სურათების ქვემოთ წარმოდგენილ წარწერებზე და ჰკითხავთ მათ: „აქ რა წერია?“ მოსწავლეები ხვდებიან, რომ წერია ის, რაც ხატია და, ამგვარად, სიტყვის წერილობით ხატს აკავშირებენ ხმოვან ხატთან.

2. **მითითება-დასახელება**: ა) მიუთითებთ მოსწავლეებს სურათზე და წარმოთქვამთ შესაბამის სიტყვას; ბ) ამბობთ სიტყვას და მოსწავლეები უთითებენ შესაბამის სურათზე; გ) მიუთითებთ სურათზე, მოსწავლეები ამბობენ შესაბამის სიტყვას; ე) ერთად იმეორებთ ყველა სიტყვას.

3. **"რომელი აკლია?"** - მაგიდაზე გაშლილია შესწავლილი ლექსიკის ამსახველი სურათები. რამდენიმე მოსწავლე გამოდის, აკვირდება მათ და გადის კლასიდან. თქვენ გადამალავთ ერთ-ორ სურათს. მოსწავლეები ბრუნდებიან, კვლავ აკვირდებიან მაგიდაზე გაშლილ სურათებს და ამბობენ, რა სურათები აკლია. ეს აქტივობა შეიძლება გადათამაშდეს აგრეთვე წყვილებში და ჯგუფებში.

   1. გამოიყვანეთ მოსწავლეები დაფასთან და სთხოვეთ: *"მაჩვენე, რომელია ყვავი/პეპელა. . . . ?"* და ასე შემდეგ.

   2. სვამთ კითხვას: "რა არის ია?" (პასუხი: ყვავილი). იმეორებთ: *"ია არის ყვავილი! ყაყაჩო არის ყვავილი? ვარდი არის ყვავილი? რა არის ის ყვავილი? რა არის ეს ყვავილი? რა ფერია ყაყაჩო? რა ფერია ია? რა ფერია ვარდი?"*

3. **ჯგუფება: ყვავილი** -დაფაზე წერთ: ყვავილი. მოსწავლეები ამ წარწერის ქვეშ მიამაგრებენ შესაბამის სურათებს და თან ამბობენ: *ია/ვარდი/ყაყაჩო არის ყვავილი.*

4. **ჯგუფება: ფრინველი** - გაახსენეთ მოსწავლეებს სიტყვა *ფრინველი*: აჩვენეთ მათ ბუსა და თუთიყუშის სურათები და იკითხეთ: *"ეს არის ყვავილი? ბუ/თუთიყუში არ არის ყვავილი. ბუ არის ფრინველი, ფრრრრრრრ....* (და ხელები ფრთებივით შეაარხიეთ). შემდეგ დაწერეთ დაფაზე "ფრინველი" და შეასრულეთ ანალოგიური აქტივობა. მოსწავლეები ასახელებენ და სიტყვა "ფრინველის" ქვემოთ მოათავსებენ სურათებს: **ყვავი, მერცხალი, ბუ, თუთიყუში.**

   1. დასვით კითხვები: *"რა არის ყაყაჩო? რა არის ყვავი?"* და *სხვა.*
   2. შეაჩერეთ ყურადღება სიტყვაზე *პეპელა*: "არ არის ფრინველი, მაგრამ ..... ფრრრრრრრრრრრ ...დაფრინავს).

5. **თამაში "სწორია/არ არის სწორი" -** ამბობთ წინადადებებს; მოსწავლეები უარყოფენ ან ადასტურებენ მათ (კი/არა). მაგ., "ყვავი არის ფრინველი", "ვარდი არის ფრინველი" და ასე შემდეგ.

**რესურსი:** შესაბამისი სურათები.

### აქტივობა 2. ლექსიკის სწავლა: *ფრინველი, ცხოველი, ყვავილი; კითხვა*

1. იმავე პრინციპით მუშავდება ცხოველების ჯგუფი (გამოიყენეთ ნასწავლი ცხოველები: *დათვი, ჟირაფი, მაიმუნი, ზღარბი, კურდღელი, კუ).*

2. **ყუთებში გადახარისხება მასწავლებლის დახმარებით** - მოამზადეთ სამი ყუთი. ერთს დააწერეთ: "ცხოველი", მეორეს - "ფრინველი", მესამეს - "ყვავილი". თვალსაჩინოებისთვის თითოეულ ყუთს მია-

კარით რომელიმე ცხოველის, ფრინველისა და ყვავილის სურათები (ან თქვენ თვითონ დახატეთ ისინი). მაგიდაზე დაიდეთ ნასწავლი ლექსიკის ამსახველი სურათები, რიგრიგობით აჩვენეთ მოსწავლეებს და ყოველ ჯერზე ჰკითხეთ: *"ეს ცხოველია? ფრინველია? ყვავილია?"* და ა.შ. პასუხის მიღების შემდეგ სურათებს შესაბამის ყუთში ჩადებთ. ცალკე გადადებთ იმ სურათებს, რომლებზედაც არ არის გამოსახული ფრინველები, ცხოველები და ყვავილები.

3. **ყუთებში დამოუკიდებლად გადახარისხება:** დაყავით კლასი სამ ჯგუფად, დაურიგეთ მათ არეულად სურათები. მოსწავლეებმა დამოუკიდებლად უნდა გადაახარისხონ სურათები და ჩადონ შესაბამის ყუთში (ცალკე ცხოველები, ცალკე ფრინველები და ცალკე ყვავილები). აუცილებელია, ბოლოს ერთად შემოწმდეს შედეგები. ამისთვის აიღებთ თითო-თითო სურათს ცალკეული ყუთიდან, დაასახელებინებთ მოსწავლეებს, რა არის მასზე გამოსახული და ერთად დაადგენთ, იდო თუ არა სურათი სათანადო ყუთში.

4. მოამზადეთ ბარათები, რომლებზეც წერია მოსწავლეებისთვის ნაცნობი სიტყვები: *ჩიტი, ყვავი, მაიმუნი, დათვი, თუთიყუში, ბუ, კუ, ზღარბი, ბაყაყი.* აჩვენეთ მოსწავლეებს ბარათები მონაცვლეობით; მათ უნდა ამოიცნონ და დაასახელონ სიტყვები კატეგორიების აღნიშვნით (კატეგორიები: ცხოველი, ყვავილი, ფრინველი).

5. *თამაში* **"აფრინდა, აფრინდა!"** - ჩამოთვლით სიტყვებს; მოსწავლეებმა ზემოთ უნდა ასწიონ ხელები მხოლოდ მაშინ, როდესაც ფრინველს დაასახელებთ.

6. *თამაში* **"გამოცანა" -** ახასიათებთ რომელიმე ცხოველს/ფრინველს/ყვავილს; მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, რა დაახასიათეთ. მაგ., "ის არის ყვავილი, ის არის ლურჯი" (ია), "ის არის ცხოველი, ის არის დიდი" (დათვი), "ის არ არის ფრინველი, ის დაფრინავს, ის არის პატარა, ის არის ყვავილზე" (პეპელა) და ასე შემდეგ.

7. **თამაში "რა არის დამალული ?"** — მალავთ რომელიმე ფრინველის, ცხოველის, ყვავილის ამსახველ სურათს; მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ შესაბამისი სიტყვა. ამოცნობის მიზნით, მოსწავლეები სვამენ შეკითხვებს: "ცხოველია? ფრინველია? ყვავილია?"; კითხვების დასმის შემდეგ მოსწავლემ სამ თქმაში უნდა ამოიცნოს, რა არის გამოხატული სურათზე (შეიძლება ამ თამაშს გუნდური შეჯიბრის სახე მივცეთ).

### აქტივობა 3. მოტორიკა, კითხვა

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 41. №9. გააფერადე და დაასახელე; №1. დააჯგუფე - მოსწავლეები აკავშირებენ ხაზებით ფრინველებსა და ყვავილებს სათანადო კალათებთან და შემდეგ ამბობენ: *"ია არის ყვავილი, ყაყაჩო არის..."* და ასე შემდეგ.

### აქტივობა 4. ფონოლოგია: დაკარგული ბგერის აღდგენა

1. **პირველი ბგერის აღდგენა** - ამბობთ სიტყვას პირველი ბგერის ჩამოცილებით; მოსწავლეები ამოიცნობენ ნაკლულ ბგერას და ასახელებენ სიტყვას სრულად. ეს აქტივობა ტარდება ჯერ სურათზე დაყრდნობით, შემდეგ სურათის გარეშე. გამოიყენეთ შემდეგი სიტყვები და მათი ამსახველი სურათები: **კუდი, ქუდი, კუ, ყაყაჩო, ყვავილი, ყვითელი, ქოლგა, წიგნი,ზღარბი, თევზი, ზღვა** *(41)*.

### აქტივობა 5. მოძრავი თამაში

1. **"დაიმახსოვრე შენი ადგილი"** - კლასში გაამზადებთ სამ კუთხეს. ამ კუთხეებს, პირობითად, უწოდებთ ცხოველების კუთხეს, ფრინველების კუთხესა და ყვავილების კუთხეს. მაგიდაზე ამოტრიალებულად გიდევთ სამივე კატეგორიის (ცხოველი, ფრინველი, ყვავილი) შესატყვისი სურათები, რომლებზედაც გამოსახულია მოსწავლეთა მიერ ნასწავლი ყველა სიტყვა. მოსწავლეები რიგრიგობით მოდიან მაგიდასთან, იღებენ სურათს და ამბობენ შესაბამის სიტყვას/ფრაზას (მაგ. "მე ვარ ვარდი - მე ვარ ყვავილი"); ამის შემდეგ მოსწავლეები, გაემართებიან სათანადო კუთხეში. გამოყენებულ სურათებს თქვენ უკან იბრუნებთ და ისევ შეურევთ მათ სხვა სურათებში. მოსწავლეები გადანაწილდებიან სამივე კუთხეში. თითოეულმა უნდა დაიმახსოვროს თავისი ადგილი. მასწავ-

ლებლის ნიშანზე ბავშვები წრეში იწყებენ სიარულს. მასწავლებლის ხელმეორე ნიშანზე ყველანი უბრუნდებიან თავიანთ ადგილებს. გამარჯვებულია ის მოსწავლე, რომელსაც ერთხელაც არ შეეშლება ადგილი.

### აქტივობა 6. მთლიანი სიტყვების კითხვა

1. **დიდი ლოტო საყრდენი წარწერით:** გამოაკარით სურათები შესაბამისი ბარათებით (ბარათებზე წერია: **ყვავი, ყვავილი, ყაყაჩო, პეპელა, ბაყაყი) .** მომზადებული გაქვთ მეორე წყება ბარათებისა იმავე წარწერებით. რიგრიგობით აძლევთ თითო-თითო ბარათს მოსწავლეებს, რომლებმაც ბარათები შესაბამის სურათთან უნდა მიიტანონ. დანარჩენი მოსწავლეები აზრს გამოთქვამენ, სწორად შესრულდა თუ არა დავალება.
2. **დიდი ლოტო საყრდენი წარწერის გარეშე** - გამოაკრავთ იმავე სურათებს წარწერებიანი ბარათების გარეშე. რიგრიგობით აძლევთ თითო-თითო ბარათს მოსწავლეებს, რომლებმაც ბარათები შესაბამის სურათთან უნდა მიიტანონ. დანარჩენი მოსწავლეები აზრს გამოთქვამენ, სწორად შესრულდა თუ არა დავალება.
3. **ფოტოგრაფიული კითხვა -** მოსწავლეებს სწრაფ-სწრაფად აჩვენებთ წარწერიან ბარათებს (ბარათებზე იგივე სიტყვებია დაწერილი); ისინი ამოიცნობენ და ასახელებენ ბარათებზე დაწერილ სიტყვებს.
4. 📖 სრულდება რვ. სავ გვ. 42. №3. დახატე და გააფერადე. №№4, 5. დააკვირდი და შემოხაზე შესაბამისი სიტყვა; გვ. 43. №6. დააკავშირე და გააფერადე.
5. **ნაწერ სიტყვაში ასოს გამოკვეთა** - დაფაზე დაწერეთ ან გამოაკარით შემდეგი სიტყვების ბარათები: ყვავი //ყაყაჩო//

ბაყაყი. მოსწავლეები აკვირდებიან და ეძებენ საერთო ასოს *(ყ)*. მოძებნილ საერთო ასოს წერთ დაფაზე, ასახელებთ, ანბანში აჩვენებთ მოსწავლეებს და კიდევ ერთხელ დაასახელებთ. დასასრულ, აღნიშნულ ასოს მოსწავლეები ეძებენ სიტყვებში, რომლებსაც დაფაზე დაწერთ ან გამოაკრავთ (მაგ., *ტყე, ყვავილი, თუთიყუში*).

### აქტივობა 7. ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით

1. თქვენი მითითებით, მოსწავლეები აკვირდებიან ერთ ნავს და ასახელებენ, რა არის ნავში. თქვენ მათ ეხმარებით კითხვებით: *"ეს რა არის? რა რომელი ფრინველია...?* **რამდენი ბიჭია** *..?", მიუთითებთ იაზე და იკითხავთ: "ია არის ყვავილი/გოგო?"* და ა.შ.
2. <u>სრულდება მეორე დავალება</u> - მოსწავლეთა ყურადღებას წარმართავთ ნავის ნომრებისაკენ: "რამდენი ნავია? რომელი ნავის ნომერი 2? 1? . "; შემდეგ დაეხმარეთ მოსწავლეებს, რომ დაადგინონ განსხვავება პირველ და მეორე ნავს შორის (*"რომელ ნავშია დათვი? ნავში ნომერი 2. არის დათვი?"* და ასე შემდეგ).

### აქტივობა 8. ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით

1. <u>მოსწავლეები აკვირდებიან მესამე</u> დავალების სურათებზე გამოსახულ კალათებს. მთავარია, კარგად გააგებინოთ მათ, რომ თითოეული კალათა ერთ-ერთ კატეგორიას გამოხატავს. დასვით კითხვები: *"ფრინველი რომელ კალათაშია? კალათაში ნომერი 1? რა არის კალათაში ნომერი 3, ყვავილი თუ ცხოველი?"* და ასე შემდეგ.
2. ასახელებთ კატეგორიას "ფრინველი", მოსწავლეებმა კალათის ნომერი უნდა დაასახელონ. შემდეგ პირიქით, თქვენ ამბობთ კალათის ნომერს, მოსწავლეები ასახელებენ კატეგორიას. დასასრულ, ერთად ჩამოთვალეთ: *"კალათა ნომერი 1. - ფრინველი; კალათა ნომერი 2. - ყვავილი"* და ასე შემდეგ.
3. გაამახვილეთ მოსწავლეთა ყურადღება წინა სურათზე. შეჩერდით ჯერ პირველ ყუთზე და თქვით: "ბიჭი!" მოსწავლემ უნდა დაასახელოს, ვინ არის ამ ნავში ბიჭი (გია, დათო); "ყვავილი!" - ია, ვარდი და ა.შ. ყოველთვის დაეხმარეთ მოსწავლეებს, რომ მათ სწორად თქვან პასუხი. პირველ ნავის მასალას რომ ამოწურავთ, გადახვალთ მეორე ნავზე.
4. იცვლება როლები: ასახელებთ პირველი

ყუთიდან ერთ სიტყვას (მაგ., *ვარდი*), მოსწავლეებმა უნდა თქვან კატეგორია: ყვავილი!

5. მოსწავლეები ანალოგიურად ამუშავებენ მეორე ყუთს. მათ უნდა დაასახელონ, რა ხატია და შემდეგ თქვენი დახმარებით დააკავშირონ შესაბამის კალათასთან (როგორც ეს იყო პირველი ყუთის შემთხვევაში).

**<u>შინაარსი</u>**

**მიზნები:** კლასიფიცირება, ლექსიკის შესწავლა, მარტივი ინტერაქცია, ფონოლოგიური უნარები, მთლიანი სიტყვების კითხვა, ინტერაქცია.

**ლექსიკა და კონსტრუქციები:** *ყაყაჩო, ვარდი, პეპელა, ყვავი, მერცხალი, ფრინველი, ცხოველი; მაჩვენე, რომელია. . . ?*

## მოსწავლის წიგნი, გვერდი 24

### აქტივობა 1. ლექსიკის სწავლა, ინტერაქცია სურათზე დაყდნობით

1. სხვადასხვა ლექსიკური სავარჯიშოს გამოყენებით, ასწავლით მოსწავლეებს შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს: **კატა ძაღლი თაგვი კაკალი** *(იხ. მასწ. წ. სავ. №№1- 12. ლექსიკური სავარჯიშოები).*
2. სვამთ კითხვებს: *"რა არის ცხოველი? რა არ არის ცხოველი?"*
3. <u>სრულდება წიგნის პირველი დავალება</u> - მოსწავლეებს ამუშავებთ წიგნის სურათზე: *"მაჩვენე, რომელია პატარა/დიდი კატა, რა ფერისაა დიდი ძაღლი?"* და ასე შემდეგ. მიუთითეთ სურათების ქვემოთ მოთავსებულ წარწერებზე და იკითხეთ: "*აქ რა წერია?*". მოსწავლეები მიხვდებიან, რომ წერია ის, რაც ხატია და ამგვარად, სიტყვის წერილობით ხატს დააკავშირებენ ხმოვან ხატთან (დაწვრილებით იხ. მასწ. წიგნი. სავ. 7)




4. ლექსიკური ერთეულები *ფისო, წრუწუნა* - მოსწავლეებს უხსნით: *პატარა კატა არის ფისო, პატარა თაგვი არის წრუწუნა.* ცოტას ავარჯიშებთ ამ სიტყვების დამახსოვრებაზე; გამოიყენეთ დიდის და პატარას გამომხატველი ჟესტიკულაცია.

*რესურსი: ლექსიკური ერთეულების შესაბამისი სურათები.*

### აქტივობა 2. ფონეტიკა: ბგერები: წ ჭ ყ ტ

1. მოსწავლეებს ავარჯიშებთ გამოთქმაზე:
   ა. *წი-წიგნი; წი - წითელი;*
   ბ. *წიკ-წიკ-წიკ-წიკწიკებს პატარა საათი;*
   გ. *წრუ-წრუ-წრუ - წრუწრუნებს წრუწუნა;*
   დ. *ტიკ-ტიკ-ტიკ- ტიკტიკებს დიდი საათი;*
   ე. *ყი-ყი-ყი - ყიყინებს ბაყაყი;*
   ვ. *ჭიკ-ჭიკ-ჭიკ - ჭიკჭიკებს ჩიტი.*
2. ათამაშეთ მოსწავლეები ამ ბგერებით: ათქმევინეთ ტაშით და რიტმულად; დაუსვით კითხვები: *"როგორ წიკწიკებს პატარა საათი?" და ასე შემდეგ.*
3. თამაში **"ვხმაურობ, როგორც. . ."** - ამბობთ: *დიდი საათი,* მოსწავლეებმა შესაბამისი ხმა უნდა გამოსცენ: *წიკ-წიკ-წიკ.* და ასე შემდეგ.

### აქტივობა 3. მოსმენა-გაგება, დაზეპირება

1. track მოსწავლეები მთლიანად ისმენენ ლექსებს, თან აკვირდებიან სურათებს, რომ ისინი ლექსებთან დააკავშირონ.
2. track <u>სრულდება მეორე დავალება</u> - მოსწავლეები ისმენენ ჯერ ერთ ლექსს და მიუთითებენ შესაბამის სურათზე, შემდეგ მეორეს და ბოლოს მესამეს.

**ტექსტი:**

1. ფისუნია კატა,
   მაგიდაზე ახტა,
   გადმოაგდო ვაზა,
   დედა გააბრაზა.

**2. ფისო**

ფისო, ფისო, ფისო
სახურავზე ზისო,
თაგუნია დაიჭირა,
ძირს არ ჩამოდისო.

*ლიდა სტვილია*

**3. წრუწუნა**

-წრუ-წრუ!
წრუ-წრუ! - წრუწუნებს
პაწაწინა წრუწუნა,
თხილს და კაკალს მიაგნო,
ერთიც არ დაიწუნა.
აქ ხომ ჭამა, სოროშიც
ბევრი წააცუნცულა.

*ჯანსუღ ნიქაბაძე*

3. ასწავლით ლექსები ზეპირად.

### აქტივობა 4. მოძრავი აქტივობა "სკამები წრეზე"

1. მონაწილეებიდან ზოგი იქნება კატა, ზოგი - თაგვი, ზოგიც - ძაღლი. მკერდზე მათ შესაბამისი ნახატები უნდა დაუმაგროთ.

მოსწავლეები სხდებიან წრიულად განლაგებულ სკამებზე. თუ 12 მოსწავლე მონაწილეობს, მაშინ დგას 11სკამი. ერთ-ერთი მონაწილე წრის შუაში დგება. თქვენ მაღლა ასწევთ ერთ-ერთ ფერს და ხმამაღლა წარმოთქვამთ: *კატა* ! (შეიძლება შუაში მდგომმა დაასახელოს). ის მონაწილეები, რომლებსაც აქვთ კატის ნახატი, ერთმანეთს ადგილებს გაუცვლიან. ამ დროს შუაში მდგომი მონაწილეც შეეცდება დაჯდომას. ფეხზე დარჩენილი მონაწილე შუაში დგება.

**რესურსი:** მკერდზე დასაწებებელი ძაღლის, თაგვის, კატის ნახატები.

### აქტივობა. 5. ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით

1. <u>სრულდება მესამე დავალება</u> - მოსწავლე აკვირდება წიგნში წამოდგენილ სურათს. მან უნდა დააკავშიროს და დაასახელოს, რა რას უყურებს *(დიდი ძაღლი და პატარა ძაღლი, პატარა ძაღლი და პატარა კატა/ფისო, პატარა კატა/ფისო და პატარა თაგვი/წრუწუნა, პატარა თაგვი/წრუწუნა და დიდი კატა, დიდი კატა და დიდი თაგვი).*
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 44. №2. დაასახელე, რა რას უყურებს.

### აქტივობა 6. მთლიანი სიტყვების კითხვა

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 43, №7. დაა-




კავშირე და დაასხელე. № 8. დააკვირდი და დააკავშირე;

2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 44, №№4, 5. დააკვირდი და შემოხაზე შესაბამისი სიტყვა.

### აქტივობა 7. ინტერაქცია სურათებზე დაყრდნობით

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 44. №1. მოძებნე განსხვავება და დაასახელე. დაეხმარეთ მოსწავლეებს კითხვების დასმით.
2. უბრუნდებით თემის პირველ სურათს (პეიზაჟი) და სვამთ რაც შეიძლება მეტ შეკითხვას: *"დაასახელეთ, რა ცხოველებია? რა ფრინველებია? რა დაფრინავს? რამდენი ფრინველია? რა ფერისაა ძაღლი? რა ფერისაა პეპელა?"* და ასე შემდეგ.
3. გამოაკარით ცხოველების და ფრინველების სურათები და გადაათამაშეთ კონსტრუქცია: *"მაჩვენე, რომელია ძაღლი, კატა"* და ასე შემდეგ. შემდეგ ჩაატარეთ გამოკითხვა: *ვის რომელი ცხოველი უყვარს.* ჯერ ერთად დაასახელეთ ყველა ცხოველი, მერე დაუსვით კითხვა: *"ლელა, რომელი ცხოველი გიყვარს?"* და ასე შემდეგ.

### აქტივობა 8. ინსტრუქციები

1. გაავარჯიშეთ მოსწავლეები შემდეგი ინსტრუქციების გაგებაზე: *"გააღე კარი!", "დახურე კარი!", "ასწიე ხელი!".* აღნიშნული ინსტრუქციები შეასრულებინეთ რამდენიმე მოსწავლეს, შემდეგ შეთანხმდით ჟესტიკულაციაზე და გააგრძელეთ მუშაობა ჟესტიკულაციის გამოყენებით.
2. გაიმეორეთ ინსტრუქციები: *"გაასუფთავე დაფა! ადექით! დასხედით! ამოიღეთ ჩანთიდან/ჩადეთ ჩანთაში . . . . ! აიღეთ/დადეთ...!".*

<u>შინაარსი</u>

**მიზნები:** ახალი ლექსიკური ერთეულების შესწავლა, ლექსების დაზეპირება, გამოთქმის გაუმჯობესება.

**ლექსიკა და კონსტრუქციები:** *კატა, ძაღლი, თაგვი, კაკალი, ფისო, წრუწუნა. მაჩვენე, რომელია . . . . ; რა დაფრინავს?*

**ინსტრუქციები:** *გააღე კარი! დახურე კარი! მომიტანეთ ბარათები/რვეულები! დაარიგე ბარათები/რვეულები!*

## მოსწავლის წიგნი, გვერდი 25

### აქტივობა 1. ლექსიკის შესწავლა:

გამოკარით შემდეგი სურათები: **ღრუბელი, წვიმა, ფოთოლი, ქარი** და შეასრულეთ ლექსიკური სავარჯიშოები:

1. **მითითება-დასახელება**: ა) მიუთითებთ მოსწავლეებს სურათებზე და წარმოთქვამთ შესაბამის სიტყვებს; ბ) ამბობთ სიტყვებს და მოსწავლები უთითებენ შესაბამის სურათებზე; გ) მიუთითებთ სურათებზე, მოსწავლეები ამბობენ შესაბამის სიტყვებს; ე) ერთად იმეორებთ ყველა სიტყვას.
2. **სწორია თუ არა?** - მოსწავლეებს აჩვენებთ სურათებს და ამბობთ ხან იმ საგნის სახელს, რომელიც სურათზე გამოხატული, ხან სხვა სიტყვას. მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, სწორია თუ არა თქვენ მიერ დასახელებული სიტყვა (შეესატყვისება თუ არა იგი სურათს) და თქვან "კი/არა".

მოსწავლეებს ფანჯრიდან გადაახედეთ და შეეკითხეთ: *"არის თუ არა ღრუბელი ცაზე? როგორია? დიდი/პატარა? თეთრი? შავი? წვიმს/არ წვიმს? არის თუ არა ხე? ფოთოლი? რა ფერის ფოთოლი?", მისთ.* შეიძლება წვიმის იმიტირებაც - პლასტმასის ბოთლის დახვრეტილი თავსახურიდან მოაწყობთ ხელოვნურ წვიმას, რომელიც "დააწვიმს" ყვავილებს, თან ამბობთ: *"წვიმა მოდის/წვიმს"*; შემდეგ მოსწავლეებს ახლოდან აჩვენებთ ყვავილებზე შემორჩენილ წყლის წვეთებს და ეტყვით: *"ეს არის წვეთი")*. შეიძლება აგრეთვე კლასში მიიტანოთ სხვადასხვა ზომისა და ფერის ფოთლები და მოსწავლეებს ჰკითხოთ: *"რამდენია? როგორია? დიდია/პატარაა? რა ფერისაა?"*, სხვ.

3. 📖 სრულდება სავ. გვ. 45. №6. შეაერთე და გააფერადე; №7. დახატე და გააფერადე - მოსწავლეები, თქვენი მითითებით, ხატავენ ცას, მზეს, ღრუბლებს და აფერადებენ; №8. გააფერადე და დაითვალე - თქვენი მითითებით, მოსწავლეები სხვადასხვაფრად აფერადებენ ფოთლებს.

**რესურსი:** *ფოთლები, დახვრეტილი პლასტმასის ბოთლი, შესაბამისი ბარათები.*

### აქტივობა 2. ლექსის დასწავლა, ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით

1. 🎧 track მოსწავლეებს მოასმენინეთ და ასწავლეთ ლექსი:

   წვიმს, წვიმს, წვიმს,
   წვიმა მოდის, წვიმს...
   ქრის, ქრის, ქრის,
   ქარი ფოთლებს ყრის.

2. **<u>სრულდება წიგნის მეოთხე დავალება</u>** -დააკავშირე ნახატთან და გაიმეორე. მიუთითეთ სურათების ქვემოთ მოთავსებულ წარწერებზე და იკითხეთ: *"აქ რა წერია?"*. მოსწავლეები მიხვდებიან, რომ წერია ის, რაც ხატია და ამგვარად, სიტყვის წერილობით ხატს დააკავშირებენ ხმოვან ხატთან.

### აქტივობა 3. ფონოლოგია: დამარცვლა-გამთლიანება; ბგერებად დაშლა, ბგერების გამთლიანება

1. გამოაკარით შემდეგი სურათები: **ბაყაყი, ყვავილი, ზღარბი, პეპელა, საათი, ქოლგა, ყაყაჩო, ცა, ფისო, წრუწუნა**; დაასახელეთ სურათების შესაბამისი სიტყვები დამარცვლით, მოსწავლეები ამოიცნობენ სიტყვებს და ამთლიანებენ ბგერებს.
2. დაშალეთ იგივე სიტყვები ბგერებად; მოსწავლეები ამოიცნობენ და სიტყვებად გაამთლიანებენ მათ.
3. დააშლევინეთ მოსწავლეებს სიტყვები ბგერებად.

### აქტივობა 4. ლექსიკის სწავლა, მთლიანი სიტყვების კითხვა. დახარისხება

1. დაფაზე ოთხ რუბრიკას აკეთებთ: **ცხოველები, ფრინველები, გოგო, ბიჭი**. გამოიყენეთ იმ სიტყვების ამსახველი სურათები, რომლებიც ამ კატეგორიებს ეკუთვნის **(დათვი, კურდღელი, კუ, ზღარბი, ბაყაყი, თაგვი, ძაღლი, კატა, მაიმუნი, ვარდი, ყაყაჩო, ია, თუთიყუში, მერცხალი, ბუ , ყვავი, მზია, ლია, დათო, გია, რეზო, ია)**. მოსწავლეებს აჩვენებთ ერთ სურათს, მოსწავლეები ასახელებენ სურათის შესაბამის სიტყვას და აკრავენ სურათს სათანადო რუბრიკაში.

2. ჯგუფებს უნაწილებთ ბარათებს, რომლებზეც სურათების შესატყვისი წარწერებია წარმოდგენილი. მოსწავლეებმა უნდა იპოვონ ცალკეული წარწერების შესაბამისი სურათები, მოხსნან ისინი დაფიდან, დადონ მაგიდაზე და ზედ დაადონ ბარათი შესაბამისი წარწერით.
3. დასასრულ, პასუხები მოწმდება ერთად.

**რესურსი:** ლექსიკური ერთეულების შესაბამისი სურათები და ბარათები.

### აქტივობა 5. ინტერაქცია, მოსმენა-გაგება, ლექსის დასწავლა

1. <u>სრულდება წიგნის მეხუთე დავალება.</u> დააკვირდი და დაასახელე. მოსწავლეები აკვირდებიან სურათებს, თქვენ უსვამთ შეკითხვებს: *"რომელია სურათი 1? სურათი 2? ამ სურათზე რა არის? როგორი ღრუბელია? რა აქვს მზეს? რა ფერისაა ცისარტყელა? რა ფერის ყვავილებია? არის მთა? გზა? რუ? ქარია? - არა, წვიმს; სურათი №2: ქარია? რამდენი ფოთოლია?"* და სხვა.
2. track მოსწავლეები ისმენენ ლექსებს და აკავშირებენ მათ სურათებთან.

**ლექსი:**

წვიმა მოდის წკაპაწკუპით,
წვიმა მოდის შხაპაშხუპით,
მწვანე მინდვრებს გაკვეთილი
ჩააბარა სხაპასხუპით.
*ნუნუ კერესელიძე*

წკაპ-წკუპ, წკაპ-წკუპ, წვეთები
ეცემიან გუბეში,
თქვენ გგონიათ, გაწვიმდა?
ღრიალებენ ღრუბლები.
*ლელა ცუცქირიძე*

ქრის, ქრის, ქრის
ქარი სექტემბრის.

ფარფატელა ქადრის ფოთოლს
მიაქანებს ძირს.
*გივი ჭიჭინაძე*

3. track მოსწავლეებს მოასმენინებთ და ზეპირად ასწავლით ლექსს (იხ. მასწ. წ. სავ. №№16, 17).

### აქტივობა 6. ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით

1. შეასწავლეთ მოსწავლეებს სიტყვა *სოკო*.
2. <u>სრულდება წიგნის მეექვსე დავალება</u> - თითოეულ გროვაზე მოსწავლეებს ცალ-ცალკე უსვამთ შეკითხვებს; ისინი გროვებს აკავშირებენ შესაბამის რიცხვებთან.
3. სრულდება რვ. სავ. გვ. 45, № 10. გააფერადე მითითების მიხედვით. გვ. 46. №1. გააფერადე, დაითვალე და დააკავშირე შესაბამის ციფრთან.

### აქტივობა 7. მთლიანი სიტყვების კითხვა

1. სრულდება რვ. სავ. გვ. 46. №№3, 4. დააკვირდი და შემოხაზე შესაბამისი სიტყვა;
2. **ფოტოგრაფიული კითხვა -** მოსწავლეებს სწრაფ-სწრაფად აჩვენებთ წარწერიან ბარათებს (ბარათებზე წერია: *სოკო, ქუდი, ქოლგა);* ისინი ამოიცნობენ და ასახელებენ ბარათებზე დაწერილ სიტყვებს.
3. **სურათი და წარწერა** - ცალკე გააკარით ერთი სურათი, იქვე გამოაკარით სამი ბარათი წარწერებით, რომელთაგან მხოლოდ ერთი შეესატყვისება გაკრულ სურათს. მოსწავლეებმა უნდა იპოვონ, რომელია ეს ბარათი.
4. **ნაწერ სიტყვაში ასოს გამოკვეთა** - დაფაზე დაწერეთ ან გამოაკარით ბარათები შემდეგი წარწერებით: **გოგო, სოკო, ქოლგა.** მოსწავლეები აკვირდებიან სიტყვებს და ეძებენ საერთო ასოს *(ო)*. მოძებნის შემდეგ აღნიშნულ ასოს წერთ დაფაზე და ასახელებთ; შემდეგ ანბანში უჩვენებთ მას მოსწავლეებს და კვლავ დაასახელებთ. დასასრულ, მოსწავლეები ეძებენ ამ ასოს თავიანთ სახელებში და სხვა სიტყვებში, რომლებსაც დაფაზე დაწერთ ან გამოაკრავთ *(მაგ.რეზო, ორი, ოთხი, ყაყაჩო).*

<u>**შინაარსი**</u>

**მიზნები:** ახალი ლექსიკის შესწავლა, მარტივი ინტერაქცია, ლექსების შესწავლა; მთლიანი სიტყვების კითხვა, ფონოლოგიური უნარების განვითარება, ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით.

**ლექსიკა და კონსტრუქციები:** *სოკო, ღრუბელი, წვიმა, ფოთოლი, ქარი, ქოლგა, ცხოველი, ფრინველი; როგორია? რამდენია? რა ფერისაა?*

## მოსწავლის წიგნი, გვერდი 26 – 17

### აქტივობა 1. მთლიანი სიტყვების კითხვა (პირველი დავალება)

1. მოსწავლეები "კითხულობენ" სურათების ქვემოთ წარმოდგენილ სიტყვებს და მიუთითებენ შესაბამის ნახატზე.
2. სრულდება წიგნის პირველი დავალება — მოძებნე და მიუთითე
3. **ფოტოგრაფიული კითხვა -** მოსწავლეებს სწრაფ-სწრაფად აჩვენებთ წარწერიან ბარათებს (ბარათებზე წერია: *მთა, გზა, ტყე, მზე, ყვავი, ყვავილი, ყაყაჩო, კატა, ძაღლი, ღრუბელი)* ისინი ამოიცნობენ და ასახელებენ ბარათებზე დაწერილ სიტყვებს.

### აქტივობა 2. ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით (6 კალათა)

1. მოსწავლეები ეცნობიან კალათებს *("რამდენია? რომელ კალათზე ხატია ბიჭი, გოგო, ყვავილი? და ასე შემდეგ).*
2. მოსწავლეები აკვირდებიან სხვა ნახატებს კალათებს შორის და პასუხობენ თქვენს შეკითხვებს: *"ეს ცხოველია თუ ფრინველია? რა ფერისაა? როგორია, დიდია თუ პატარა?" და სხვა.*
3. გამოცანები: ჩაიფიქრებთ ერთ სიტყვას და მინიშნებებს აწვდით მოსწავლეებს. მაგ., *"არის ცხოველი, დიდია, პატარა კუდი აქვს", სხვ.* მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ ჩაფიქრებული სიტყვა.
4. **გამოცანები**: ორ-ორ ან სამ-სამ მოსწავლეს ურიგებთ თითო სურათს. ისინი უნდა მოემზადონ და თანაკლასელებს შესთავაზონ სიტყვიერი მინიშნებები (ფერი, ზომა, კატეგორია) სურათზე გამოსახული საგნის შესახებ. ამ მინიშნებების საფუძველზე, თანაკლასელებმა უნდა ამოიცნონ, რა ხატია სურათზე.
5. რა მახსოვს? - მოსწავლეები ხურავენ წიგნს და მეხსიერებაზე დაყრდნობით პასუხობენ თქვენს შეკითხვებს.
6. თამაში **"აფრინდა, აფრინდა" -** ასახელებთ სიტყვებს. მოსწავლეებმა ხელები ზემოთ უნდა აწიონ მხოლოდ მაშინ, როცა ფრინველს დაასახელებთ.
7. სრულდება მეორე დავალება - მოსწავლეებმა კალათის გარშემო წარმოდგენილი ნახატები შესაბამის კალათებს უნდა დაუკავშირონ.







### დამატებითი აქტივობა 3. ლექსის შესწავლა

1. დამატებით შეიძლება ამ ლექსის დასწავლაც.

მოკაშკაშე ცაო,
ზღვაო ლიცლიცაო,
დათოვლილო მთაო,
მთაო ქათქათაო,
ჯეჯილო და ტყეო,
სულ იშრიალეო.
საქართველოს მზეო,
სულ იგიზგიზეო!

*გივი ჭიჭინაძე*

### აქტივობა 4. ინსტრუქციები

1. სრულდება მესამე დავალება - მოისმინე და მიუთითე. მოსწავლეები აკვირდებიან წიგნის სურათებს, ისმენენ ინსტრუქციებს და ასახელებენ სურათების შესაბამის

ნომერს (*მაჩვენე, სად არის დიდი ძაღლი! ასწიე ხელი!*).

### აქტივობა 5. ფონოლოგია: საერთო ბგერის პოვნა

1. ასახელებთ ქვემოთ მოცემულ სიტყვებს, მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ და დაასახელონ საერთო ბგერა:

   ა. ყ/ყაყაჩო, ყვავი, ყვავილი, ყვითელი

   ბ. კ/ კუ, კატა, კომპიუტერი, კურდღელი.

2. **პირველი ბგერის ჩანაცვლება -** მოსწავლეებმა უნდა ჩაანაცვლონ პირველი ბგერა სამოდელო ბგერით. ასახელებთ სამოდელო ბგერას; ჟესტიკულაციის თანხლებით, აგებინებთ მოსწავლეებს, რომ მათ ეს ბგერა „თავში უნდა ჩაიდონ“ და ჩაანაცვლონ მიცემული სიტყვის პირველი ბგერა. დასაწყისში, აქტივობის პრინციპის უკეთ გასაგებად, მოსწავლეები თქვენთან ერთად ასრულებენ ამ სავარჯიშოს. ჯერ გამოიყენეთ ისეთი ბგერები, რომელთა გამოთქმა მოსწავლეებისთვის საძნელო არ არის. შემდეგ, როცა პრინციპს კარგად დაეუფლებიან, გამოიყენეთ მათთვის ძნელად გამოსათქმელი ბგერებიც. მაგ.,

   ა. სიტყვების პირველი ბგერა ჩანაცვლდება შემდეგი ბგერით: *მ/თითი-მითი, ლია-მია, რეზო-მეზო* და სხვა.

   ბ. სიტყვების პირველი ბგერა ჩანაცვლდება შემდეგი ბგერით: **ყ/** *ლია (ყია), ბიჭი-ყიჭი, გოგო-ყოგო, თითი-ყითი, ქოლგა-ყოლგა* და *სხვა;*

   გ. სიტყვების პირველი ბგერა ჩანაცვლდება შემდეგი ბგერით: ჭ/ *ბუ-ჭუ, ბალი-ჭალი, ვაშლი-ჭაშლი, თითი-ჭითი, ქუდი-ჭუდი, ფანქარი-ჭანქარი* და *სხვა;*







**შენიშვნა:** *ვისაც უჭირს ბგერების გაცნობიერება, გაავარჯიშეთ ამ უნარზე მარცვლების გამოყენებით.*

### აქტივობა 6. მთლიანი სიტყვების კითხვა

1. მოსწავლეები ასახელებენ ნახატებზე გამოსახულ ცხოველებსა და საგნებს. აჩვენებთ ბარათებს, მოსწავლეები ამოიცნობენ, რომელი ბარათი რომელ ნახატს შესააბამება.
2. ბარათების გამოყენებით მოსწავლეებს ავარჯიშებთ შემდეგი სიტყვების ამოცნობაზე: **თევზი, შოკოლადი, ვაშლი, ბაყაყი, ბანანი, ცა, ზღვა, ქოლგა, ჩიტი.**
3. **სიტყვებში გამოკვეთილი ასოების გახსენება -** შეარჩიეთ ისეთი სიტყვები, რომელთა გრაფიკული ხატის ანალიზი მოსწავლეებს უკვე ჩატარებული აქვთ და გაავარჯიშეთ ისინი სიტყვებში ასოების გამოკვეთაზე. მაგ.:
   - *უ - ბუ, კუ, ბურთი, კურდღელი, მაიმუნი, ქუდი, კუდი;*
   - *ე - ხე, ტყე, გემი, თევზი, ერთი, ველოსიპედი, მწვანე, წითელი;*
   - *ზ - თევზი, ზღარბი, ზღვა, ზარი, მზე, მზია, რეზო;*
   - *ი - დიდი, თითი, გია, ჩიტი;*
   - *გ - გემი, ქოლგა, წიგნი, გია, გოგო;*
   - *ა- ცა, ზღვა, გია, ლია, პატარა, კატა;*
   - *და სხვა.*

### აქტივობა. 7. track ნასწავლი ლექსების გამეორება

**ლექსი:**

წვიმა მოდის წკაპაწკუპით,
წვიმა მოდის შხაპაშხუპით,
მწვანე მინდვრებს გაკვეთილი
ჩააბარა სხაპასხუპით.

*ნუნუ კერესელიძე*

წკაპ-წკუპ, წკაპ-წკუპ, წვეთები
ეცემიანგუბეში,
თქვენ გგონიათ, გაწვიმდა?
ღრიალებენ ღრუბლები.

ლელა ცუცქირიძე

ქრის, ქრის, ქრის
ქარი სექტემბრის.
ფარფატელა ჭადრის ფოთოლს
მიაქანებს ძირს.

*გივი ჭიჭინაძე*

### აქტივობა. 8. ფონოლოგია: სიტყვების დაშლა-გამთლიანება

1. გაავარჯიშეთ მოსწავლეები ბგერების სიტყვებად გამთლიანებაზე საყრდენი სურათით და სურათის გარეშე; გამოიყენეთ ყველა სიტყვა, რომლებიც მოსწავლეებმა იციან. დაიწყეთ ჯერ მოკლე სიტყვებით, მერე გაართულეთ.
2. გაავარჯიშეთ მოსწავლეები სიტყვების ბგერებად დაშლაზე. გამოიყენეთ ყველა სიტყვა, რომლებიც მოსწავლეებმა იციან. დაიწყეთ ჯერ მოკლე სიტყვებით, მერე გაართულეთ.







**<u>შინაარსი</u>**

**მიზნები:** მთლიანი სიტყვების კითხვა, ინტერაქცია, კლასიფიცირება, ლექსის შესწავლა, ინსტრუქციების გაგება, ფონოლოგიური უნარების განვითარება.

**ლექსიკა და კონსტრუქციები:** *სოკო, ყვავილი, ცხოველი, ბიჭი, გოგო, დიდი ცხოველი, პატარა ცხოველი; რამდენი? რომელი? როგორი?*

## დილა მშვიდობისა!, გვერდები 28 – 29

### აქტივობა. 1. ინტერაქცია თემის ძირითად სურათზე დაყრდნობით (დილა)

1. მოსწავლეები ეცნობიან პოსტერს; სვამთ კითხვებს ნაცნობი ენობრივი მასალის გამოყენებით: "*ეს ვინ არის? რომელია ია? გია? რეზო? მზია? ლია? რა ცხოველი ჩანს? რა არის ცაში? (ღრუბელი, ჩიტი, მზე); რა ფერისაა ცა? მზე? ღრუბელი? რამდენია ჩიტი? რამდენი გოგოა? ბიჭია? სად არის მანქანა? რა ფერისაა? როგორია, დიდი თუ პატარა? რამდენი ხეა?*" აჩვენეთ მოსწავლეებს თქვენი საათი და ასწავლეთ: "*ეს არის საათი!*". მოაძებნინეთ საათი ძირითად სურათზე (პოსტერზე): "*მაჩვენე, სად არის დიდი საათი? სად არის პატარა საათი? (მაჯაზე უკეთია ბებიას); ჩემი საათი როგორია?*", მისთ.

### აქტივობა 2. ახალი პერსონაჟების წარდგენა: ნანა, ზაზა; ლექსიკა: ქალი/კაცი

1. მოსწავლეებს ყურადღებას გაამახვილებინებთ უცნობ დეტალებზე: "*ეს არის ნანა. აი, ნანა*" (მოხუცი ქალი გიას გვერდით); "*ეს არის ზაზა; აი, რეზო*" (რეზოს გვერდით); "*ნანას აქვს საათი?*"., მისთ.
2. გაამეორებინეთ მოსწავლეებს: *მზია* და *ნანა; რეზო* და *ზაზა*.
3. გამოიყვანეთ ორი გოგონა და ორი ბიჭი (სასურველია, შეარჩიოთ ორი მაღალი გოგო და ბიჭი; ორი - დაბალი ტანის გოგო-ბიჭი). დააყენეთ ეს მოსწავლეები ისე, როგორც სურათშია წარმოდგენილი და დასვით კითხვები: "*ეს ვინ არის?*" (*ნანა, მზია, ზაზა, რეზო*).

4. ბოლოს ყველამ ერთად გაიმეორეთ სახელები.

### აქტივობა 3. ლექსიკის სწავლა: ქალი/კაცი დილა

1. აუხსენით მოსწავლეებს სიტყვების: *ქალისა* და *კაცის* მნიშვნელობა შედარების საფუძველზე: "*მზია არის პატარა. ნანა, დიდია თუ პატარა? (ნანა დიდია); მზია არის გოგო, ნანა არის ქალი*". იგივენაირად დაამუშავეთ: *ბიჭი-კაცი*.
2. დასვით კითხვები: "*ეს კაცია თუ ბიჭი? ეს ქალია თუ გოგო? რამდენი კაცია სურათზე? რამდენი ქალია?*"
3. აუხსენით მოსწავლეებს სიტყვა *დილა* (გამოიყენეთ ეს სურათი, ასევე წიგნის მესამე გვერდის სურათი და რვეულის მესამე სავარჯიშოს ნახატი (მზე და მთვარე).

### აქტივობა 4. მისალმება-გამომშვიდობება:დილა მშვიდობისა!

1. მოსწავლეებთან ერთად იმსჯელეთ, სურათის მიხედვით, ვინ წარმოთქვამს მისალმებას *დილა მშვიდობისა*! მიუთითეთ, რას ამბობს ია - *ია ამბობს:* კარგად! (ასწიეთ ხელი).
2. გამოიყენეთ ნასწავლი და ახალი ფორმულები *გამარჯობა! ნახვამდის! კარგად! დილა მშვიდობისა*. მიუსადაგეთ თითოეულს შესაბამისი ჟესტიკულაცია. გთავაზობთ ერთ ვარიანტს:

| *ფორმულა* | *მიმიკა-ჟესტიკულაცია:* |
|---|---|
| გამარჯობა! | ხელის ჩამორთმევა |
| დილა მშვიდობისა! | თავის დახრა |
| ნახვამდის! | აწეული ხელის დაქნევა |
| კარგად! | ხელის მაღლა აწევა და მაშინვე დაწევა |

3. შეასწავლეთ მისალმება - დამშვიდობების ფორმულები შემდეგი სავარჯიშოებით:
   - მოსმენა-განსახიერება - ა) პირველად განასახიერეთ თითოეული ფორმულა და თან დაასახელეთ ისინი; ბ) დაასახელეთ ფორმულები და განასახიერეთ მოსწავლეებთან ერთად; გ) დასახელეთ ფორმულები ჯერ თანამიმდევრულად, შემდეგ კი არეული რიგით; მოსწავლეები ისმენენ და განასახიერებენ მათ; დ) ბოლოს ყველა ერთად იმეორებს ახალ ლექსიკურ ერთეულებს.

- განსახიერებულის დასახელება - თქვენ ან რომელიმე მოსწავლე განასახიერებთ ფორმულებს, მოსწავლეები ასახელებენ მათ.

### აქტივობა 5. როლური თამაში

1. გაათამაშებინეთ მოსწავლეებს სურათზე წარმოდგენილი სცენები *(ია და გია- კარგად!; ნანა და ზაზა - დილა მშვიდობისა! ქალი და კაცი!)*
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 47, № 1. მოისმინე და მონიშნე. თქვენ ამბობთ: *"დილა მშვიდობისა!"* - მოსწავლეები მონიშნავენ შესაბამის ნახატს.

### აქტივობა 6. ენის გასატეხის სწავლა (გუგუ . . . )

track ? მოსწავლეები ისმენენ ენის გასატეხის სწრაფ ვარიანტს, ამოიცნობენ და ასახელებენ მთავარ ბგერას (გ).

track ? მოსწავლეები ისმენენ ნელ ვარიანტს, იმეორებენ და სწავლობენ ენის გასატეხს.

*გუგუ - გუგუ! —*
*გუგულმა*
*გულჭრელათა გვარისამ,*
*გამარჯობა გვისურვა,*
*გული გაგვიხალისა.*
*გივი ჭიჭინაძე*

### აქტივობა 7. ბადიანი რვეულის სტრიქონის გაცნობიერება

1. **რესურსი:** *მომზადებული გაქვთ შემდეგი რესურსი: ფორმატზე გადატანილი ბადიანი რვეულის სტრიქონის ფრაგმენტი (სტრიქონის სიმაღლე 6-8 სმ. უნდა იყოს, რომ ყველა მოსწავლე კარგად ხედავდეს მას). ორი შუა უჯრედი, თითო უჯრედის გამოტოვებით, გაფერადებულია ყვითლად; ზედა უჯრედი - ასევე თითოს გამოტოვებით - მწვანე ფერად, ქვედა უჯრედი კი - ლურჯ ფერად.*

ფორმატი გაკრული უნდა იყოს ყველასათვის დასანახ ადგილზე.

2. მოსწავლეებს გაავარჯიშებთ შემდეგნაირად:
   ა) საჩვენებელი ჯოხით მოსწავლეებს აჩვენებთ და აცნობთ სტრიქონის აგებულებას: *"ეს (მწანე ფერის) არის ზედა უჯრა, ესეც ზედა უჯრაა (აჩვენებთ გაუფერადებელსაც), ეს (ყვითელი) არის შუა უჯრა. ეს (ლურჯი) - ქვედა უჯრა"* და ასე შემდეგ.
   ბ) გამოგყავთ მოსწავლე და ეკითხებით მას: *"რომელია ზედა უჯრა? ქვედა? შუა?"* მან უნდა გიჩვენოთ შესაბამისი უჯრები

(დაწვრილებით იხ. მასწ. წ. სავ. №59).

### აქტივობა 8. ფონოლოგია: ბგერის დამატება სიტყვის დასაწყისში/ბოლოში; სიტყვების ბგერებად დაშლა - ბგერების გამთლიანება; ბგერის დამატება

1. მოსწავლეებმა ტაში უნდა დაუკრან იმ სიტყვების გაგონებისას, რომლებიც სამოდელო ბგერაზე იწყება. (<u>მსვლელობა:</u> დაასახელებთ სამოდელო ბგერას; ჟესტიკულაციის თანხლებით, გააგებინებთ მოსწავლეებს, რომ მათ ეს ბგერა „თავში უნდა ჩაიდონ“. პირველად ერთ-ორ მაგალითს მოსწავლეებთან ერთად გააკეთებთ, რათა მათ ალღო აუღონ ამ აქტივობას.

   გამოიყენეთ შემდეგი მასალა:
   - ზ - *ზღვა გემი ბალი საათი ზაზა ძაღლი ზარი;*
   - გ - *გოგო ქოლგა კატა გია გაგა კუდი;*
   - მ - *მაიმუნი ნანა მზე მზია მანქანა.*
2. ხმამაღლა კითხულობთ ანბანს (იხ. მასწ. წ. სავ. № 45.). ყურადღებას ამახვილებთ ბგერებსა და ასოებზე: **ა, ი, მ, გ, ზ**.
3. მოსწავლეებმა სამოდელო ბგერა უნდა დაამატონ ჯერ სიტყვის თავში, შემდეგ - ბოლოში (იხ. <u>მსვლელობა,</u> ზედა პუნქტი). გამოიყენეთ შემდეგი მასალა:
   ა. დაამატებინეთ მოსწავლეებს სიტყვის დასაწყისში - *ი/ ი-ბალი, ი-ბუ, ი-ვარდი, ი- ია, ი-ერთი* და *სხვა.*
   ბ. დაამატებინეთ მოსწავლეებს სიტყვის დასაწყისში - *ა/ ა-კუ, ა-ორი, ა-ბანანი, ა-ბურთი* და *სხვა.*
   გ. დაამატებინეთ მოსწავლეებს ა საკუთარი სახელების ბოლოში.

4. **ბგერების სიტყვებად გაერთიანება სურათზე დაყრდნობით** - გამოაკარით შემდეგი სიტყვების სურათები: **გია, ია, მზია, ზაზა, რეზო, მზე, მთა, გოგო, გემი, ზღვა, ზღარბი, თევზი, მანქანა, მაიმუნი**. სურათებზე ასახული თითოეული სიტყვა დაშალეთ ბგერებად და წარმოთქვით დანაწევრებულად. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი სურათი შეესატყვისება წარმოთქმულ ბგერებს და გაამთლიანონ სიტყვა (დეტალურად იხ. მასწ. წ. სავ. №43).
5. **ბგერების სიტყვებად გაერთიანება საყრდენი სურათის გარეშე** - იმავე აქტივობას ჩაატარებთ სურათების გარეშე. დაასახელებთ ბგერებს დანაწევრებულად და მოსწავლეები სიტყვად გაამთლიანებენ მათ.
6. **სიტყვის ბგერებად დანაწევრება** - ავარჯიშეთ მოსწავლეები სიტყვების ბგერებად დანაწევრებაში.

**შენიშვნა:** *ეს სავარჯიშოები დეტალურად არის აღწერილი ტიპური სავარჯიშოების ჩამონათვალში (იხ. მასწ. წ. სავ. №№ 35, 36, 42, 43, 44, 45).*

**საკითხავი სავარჯიშოები**

**შენიშვნა:** *მოსწავლის წიგნის პირველი-მეორე გვერდის გავლის შემდეგ მუშავდება მოსწავლის წიგნის მე-4 გვერდის პირველი საკითხავი ტექსტი:* **აი ია.**

**აქტივობა 9. მომზადება ტექსტის წასაკითხად (აი ია)**

1. ასოს პოვნა: მოსწავლეებს აჩვენებთ და მოაძებნინებთ წიგნში ასოებს: "ი"-სა და "ა"-ს.
2. დააკავშირებინებთ მოსწავლეებს საკითხავ გვერდზე წარმოდგენილ ნახატს წარწერასთან *("აქ რა ხატია? აქ რა წერია?")* (იხ. მასწ. წ. სავ. №46).
3. ასოს პოვნა ანბანში: კითხულობთ ანბანს, მოსწავლეებმა ტაში უნდა დაუკრან *ი* ბგერის გაგონებაზე. შეჩერდით ამ ასოზე და თქვით: *"ეს არის "ი"* და დაწერეთ იგი დაფაზე. იგივე სრულდება *"ა"* ასოზე.
4. სტრიქონის გაცნობიერება (იხ. ზემოთ აქტივობა. 6. ასევე მასწ. წ. სავ. №59).
5. **მოძრავი ანბანით მუშაობა**: მოძრავი ანბანით უნდა აეწყოს შემდეგი სიტყვები: **აი ია;** მოსწავლე დაშლის მითითებულ სიტყვას ბგერებად; დაადგენს, რა ასოები დასჭირდება მას ამ სიტყვის ასაწყობად; მოიძიებს შესაბამის ასოებს და ააწყობს სიტყვას: განალაგებს ასოებს შესაბამისი თანამიმდევრობით (სინთეზი) და წაიკითხავს (დაწვრილებით იხ. მასწ. წ. სავ. №57).
6. **მოძრავი ანბანით აწყობილი სიტყვის/წინადადების შემოწმება** - მას მერე, რაც ერთ-ერთი მოსწავლე ააწყობს მითითებულ სიტყვას ან წინადადებას, მოსწავლეები ერთად ამოწმებენ ნამუშევარს შემდეგი პარამეტრებით: ა) არის თუ არა შუალედი სიტყვებს შორის; ბ) არის თუ არა ასოები სწორად ჩასმული სიტყვაში; დ) დასმულია თუ არა წერტილი. (დეტალურად იხ. მასწ. წ. სავ. №58).
7. იგივე პროცედურა განმეორდება "გ" ასოსთან დაკავშირებით (ასოს პოვნა, ნახატის დაკავშირება წარწერასთან, მოძრავ ანბანში პოვნა, სიტყვების აწყობა); მოძრავი ანბანით აეწყობა შემდეგი სიტყვები: *გია გიგი გაგა //აი გიგი.*

**აქტივობა 10. კითხვა: გაშიფვრა, კითხვის მოქნილობა**

1. **სავარჯიშო ტექსტის (აი ია) ხმამაღალი კითხვა**: გამოიყენეთ შემდეგი სტრატეგიები: ა) <u>მოსწავლე-მასწავლებლისკითხვა</u> (პირველად თქვენ კითხულობთ, შემდეგ კლასი **რამდენჯერმე** კითხულობს ტექსტს); ბ) <u>გუნდური კითხვა</u> (თქვენ და მოსწავლეები ერთად კითხულობთ ტექსტს **რამდენჯერმ**ე ხმამაღლა); გ) <u>წყვილში კითხვა</u> (ორი მოსწავლე კითხულობს ტექსტს ხმამაღლა ერთად ან რიგრიგობით; დ) <u>მოსწავლის მიერ მთლიანი ტექსტის თა-</u>

ვიდან ბოლომდე წაკითხვა; ე) მითითებული ადგილის წაკითხვა (დაწვრილებით იხ. მასწ. წ. სავ. №56).

### აქტივობა11. ნატიფი მოტორიკა, ასოს მოხაზვა, კითხვა

(ა ი)

1. სრულდება რვ. სავ. გვ. 47, №2. იპოვე და შემოხაზე; №3. მოძებნე და გააფერადე; №4. დაითვალე და ჩაწერე.

**შენიშვნა**: *სანიმუშოდ სავარჯიშოების ერთ-ორ პუნქტს დაფაზე შეასრულებთ მოსწავლეებთან ერთად.*[1]

2. **ასოს ნაწილების ცნობა** - კედელზე გაკრული გაქვთ წინასწარ მომზადებული ფორმატი, რომელზეც ასოების სტრიქონში ჩახაზული ნაწილებია გამოსახული. ყოველი ახალი ასოს შესწავლისას მოსწავლეებს მიუთითებთ კონკრეტულ ნაწილზე და ამბობთ: *"ეს რკალი აქვს? ეს ხაზი აქვს? რკალი რომელ უჯრედშია? შუა/ქვედა/ზედა უჯრედში?"* (თან მიუთითებთ შე-

საბამის უჯრედზე) და ა.შ. (დაწვრილებით იხ. მასწ. წ. სავ. №60).

3. **ჩვენება, როგორ იწერება ასო** - ა) დადექით მოსწავლეებისაკენ ზურგით და ხელმკლავით ჰაერში მოხაზეთ დასაწერი ასო. ამ მოძრაობას მოსწავლეები თქვენთან ერთად გაიმეორებენ ორ-სამჯერ; შემდეგ შემოტრიალდით და უყურეთ, სწორად ასრულებენ თუ არა ისინი ამ მოძრაობას; ბ) დაფაზე, დიდ ფართობზე, აჩვენებთ მოსწავლეებს, როგორ უნდა დაიწეროს ასო; უჩვენებთ ხელის მოძრაობას და თან სიტყვიერად აღწერთ ასოს ნაწილებს.
4. დადიხართ რიგებში და უყურებთ, როგორ წერენ მოსწავლეები; საჭიროებისამებრ, ეხმარებით მათ ასოს სწორად მოხაზვაში.
5. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 47, №№5, 6. გვ. 48, №1. დააკვირდი და შეაერთე; გვ. 48, №2. შეაერთე, გააფერადე და დაწერე; გვ. 48, №4. დააკვირდი და დააკავშირე.

### აქტივობა 12. ენის გასატეხის გამეორება (გუგუ . . . )

1. track №? მოსწავლეები ისმენენ ენის გასატეხის სწრაფ ვარიანტს, ამოიცნობენ და ასახელებენ მთავარ ბგერას (ხ).
2. track №? მოსწავლეები ისმენენ ენის გასატეხის ნელ ვარიანტს, იმეორებენ და სწავლობენ ტექსტს.

გუგუ - გუგუ! —
გუგულმა
გულჭრელათა გვარისამ,
გამარჯობა გვისურვა,
გული გაგვიხალისა.
*გივი ჭიჭინაძე*

### აქტივობა 13. მოძრავი აქტივობა, ლექსების თქმა, სიმღერა

1. განტვირთვის მიზნით, მოსწავლეებს შეასრულებინეთ მოძრავი აქტივობა (იხ. მასწ. წ. სავ. №№18, 19, 20. აგრეთვე თამაშები: *"სკამები წრეზე", "დაიმახსოვრე შენი ადგილი", "დავდივარ, როგორც . ."* იხ. *წინა მასალა, მასწ. წ. გვ. ????)*. შესაძლებელია ისეთ ინსტრუქციებზე მუშაობაც, რომლებიც მოძრაობას მოითხოვს: *"ჩაბუქნე! ადექი! დაუკარი ტაში! ახტი! ასწიე ერთი/ორი ხელი!"* და *სხვა* (იხ. მასწ. სავ. №№14, 15).
2. გაიმეორეთ ნასწავლი ლექსები და სიმღერები.

1. 1 სამუშაო რვეულის სავარჯიშოების შესრულების დროს გაითვალისწინეთ შემდეგი: როდესაც მოსწავლეებს პირველად უწევთ რაიმე ტიპის სავარჯიშოს გაკეთება, აუცილებელია, დაეხმაროთ მათ შემდეგნაირად: დაფაზე დაწერეთ კონკრეტული სავარჯიშოს ერთი-ორი პუნქტი და შეასრულეთ მოსწავლეებთან ერთად. შეიძლება ეს საკმარისი არ აღმოჩნდეს. ამიტომ შემდეგ იარეთ რიგებში და დააკვირდით, რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა სავარჯიშოს მოთხოვნა. საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ მოსწავლეებს ინდივიდუალურად.

**აქტივობა 14. ბადიანი რვეულის სტრიქონის გაცნობიერება**

1. ბადიანი რვეულის სტრიქონის გაცნობიერება - მომზადებული გაქვთ შემდეგი რესურსი: ფორმატზე გადატანილი ბადიანი რვეულის სტრიქონის ფრაგმენტი (სტრიქონის სიმაღლე 6-8 სმ. უნდა იყოს, რომ ყველა მოსწავლე კარგად ხედავდეს მას). ორი შუა უჯრედი, თითო უჯრედის გამოტოვებით, გაფერადებულია ყვითლად; ზედა უჯრედი - ასევე თითოს გამოტოვებით - მწვანე ფერად, ქვედა უჯრედი - ლურჯ ფერად.

   ფორმატი გაკრულია ყველასათვის დასანახ ადგილზე.

2. მოსწავლეებს გაავარჯიშებთ შემდეგნაირად:
   ა. საჩვენებელი ჯოხით მოსწავლეებს აჩვენებთ და აცნობთ სტრიქონის აგებულებას: *ეს* (მწანე ფერის) *არის ზედა უჯრა, ესეც ზედა უჯრაა* (აჩვენებთ გაუფერადებელსაც), *ეს* (ყვითელი) *არის შუა უჯრა, ეს* (ლურჯი) - *ქვედა უჯრა"* და ასე შემდეგ;
   ბ. გამოგყავთ მოსწავლე და ეკითხებით მას: *"რომელია ზედა უჯრა? ქვედა? შუა?"* მან უნდა გიჩვენოთ შესაბამისი უჯრები;

**შენიშვნა:** *დაწვრილებით იხ. მასწ. წ. სავ. №59.*

**აქტივობა 15. ნატიფი მოტორიკა, ასოს მოხაზვა, კითხვა (გ)**

1. **ასოს "გ"-ს ნაწილების ცნობა** - კედელზე გაკრული გაქვთ წინასწარ მომზადებული ფორმატი, რომელზეც გამოსახულია სტრიქონში ჩახაზული ასოების ნაწილები. ყოველი ახალი ასოს შესწავლისას მოსწავლეებს მიუთითებთ კონკრეტულ ნაწილზე და ამბობთ: *"ეს რკალი აქვს? ეს ხაზი აქვს? რკალი რომელ უჯრედშია? შუა/ქვედა/ზედა უჯრედში?"* (თან მიუთითებთ შესაბამის უჯრედზე), მისთ. (დაწვრილებით იხ. მასწ. წ. სავ. №60).
2. **ჩვენება, როგორ იწერება ასო** - ა) დადექით მოსწავლეებისაკენ ზურგით და ხელმკლავით ჰაერში მოხაზეთ დასაწერი ასო. ამ მოძრაობას მოსწავლეები თქვენთან ერთად გაიმეორებენ ორ-სამჯერ; შემდეგ შემოტრიალდით და უყურეთ, სწორად ასრულებენ თუ არა ისინი ამ მოძრაობას; ბ) დაფაზე, დიდ ფართობზე, აჩვენებთ მოსწავლეებს, როგორ უნდა დაიწეროს ასო; უჩვენებთ მათ ხელის მოძრაობას და თან სიტყვიერად აღწერთ ასოს ნაწილებს.
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 48, №5. მოძებნე და გააფერადე; გვ. 49, №6. მოძებნე, გააფერადე და დაითვალე;
4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 49, №7. დააკვირდი და შეაერთე (გ); №8. დააკვირდი და შეაერთე. დადიხართ რიგებში და აკვირდებით, როგორ წერენ მოსწავლეები; საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ მათ ასოს სწორად მოხაზვაში.
5. 📖 გვ. 49, №10. მოძებნე, გააფერადე და დაითვალე.
6. 📖 გვ. 49, №9. აირჩიე და შეავსე.
7. სრულდება რვ. სავ. გვ. 50, №1. ვინ არის, გოგო თუ ბიჭი? №2. დათვალე, რამდენი ბიჭია და რამდენი გოგო. გვ. 50, №3. დააკვირდი და შეაერთე. №4. დააკვირდი და შეავსე.

**მიზანი**: ახალი ლექსიკის სწავლა, ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით, როლური თამაში: მისალმება-დამშვიდობება, ფონოლოგიური უნარები, ასოს ცნობა; ბადიან სტრიქონში ორიენტირება, ასოს მოხაზვა (ა ი გ); სიტყვების, წინადადებების გაშიფვრა.

**ლექსიკა და კონსტრუქციები:** *დილა, კაცი, ქალი, როგორია? რომელია? რამდენია?*

## დილა მშვიდობისა!, გვერდი 30

### აქტივობა 1. ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით

1. დაამუშავეთ თითოეული სურათი ცალ-ცალკე:

   სურათი 2. ყურადღებას გაამახვილებთ სიტყვებზე: **გიცინი, დილაა.** *"რა არის ეს? როგორია ბიჭი, პატარა თუ დიდი? რა ფერისაა მზე? ცა?"* აუხსენით: *"მზე იცინის!"* (და გაიცინეთ). *"კიდევ ვინ იცინის?"* (სხვა სურათებზეც დააკვირდნენ — იცინის რეზო); *"ამ სურათზე დილაა?" (ყველა საკუთარ აზრს გამოთქვამს).*

   სურათი №1. *"ვინ არის? რა არის? დილაა?"* აუხსენით: *ჩიტი გალობს.*

   ჩგ. სურათი №3. *"რომელია ნანა? რომელია ზაზა? რომელია ქალი? კაცი? ვინ არის პატარა ბიჭი? კიდევ რა არის სურათზე? მზე? ჩიტი? ხე? წვიმს თუ არ წვიმს? იცინის გოგო? კაცი? ქალი? აქ დილაა?"* და სხვა.

   სურათი №4. ყურადღებას გაამახვილებთ სიტყვაზე **ეზო**: *"ეს რა არის? აი, ეს არის ეზო. რეზოს აქვს ეზო! როგორია ეზო, დიდი თუ პატარა? შენ, ლელა გაქვს ეზო? და შენ? როგორია შენი ეზო, დიდი თუ პატარა? აქ არის ეზო? აი, აქ?* (წინა სურათებიდან); *ვინ არიან ეზოში? აი, ეს არის სახლი. როგორი სახლი აქვს რეზოს, დიდი თუ პატარა? შენ, შოთა, როგორი სახლი გაქვს?"*, მისთ.

.




### აქტივობა 2. ლექსების მოსმენა-გაგება, კითხვა

track სრულდება წიგნის პირველი დავალება. მოსწავლეები ისმენენ ცალ-ცალკე ტექსტებს და მიუთითებენ შესაბამის სურათებზე.

**ტექსტები:**

| სურათი 1. | სურათი 2. |
|---|---|
| მზეო, მზეო,<br>ცხრათვალა,<br>ვის უცინი, ვისა?<br>- შენ გიცინი, პატარა,<br>დილა მშვიდობისა! | გამარჯობა, მზია!<br>- გამარჯობა,<br>რეზო,<br>აი, ჩემი სახლი,<br>აი, ჩემი ეზო.<br>იქაც არის ია,<br>იქაც არის რეზო. |

| სურათი 3. | სურათი 4. |
|---|---|
| - დილა მშვიდობისა, ზაზა!<br>- დილა მშვიდობისა, ნანა!<br>- ვინ არის ეს პატარა ბიჭი?<br>- ეს რეზოა, ჩემი<br>შვილიშვილი. | ჩიტო, ჩიტო, ნაცარა,<br>ვის უგალობ, ვისა?<br>- შენ გიგალობ,<br>პატარა,<br>დილა მშვიდობისა! |

2. სრულდება რვ. სავ. გვ. 48. №3. მოისმინე და მონიშნე.
3. მოსწავლეები ცდილობენ ამოიცნონ სურათების ქვეშ წარმოდგენილი ფორმულები.

### აქტივობა 3. სიმღერის შესწავლა

1. შეისწავლიან სიმღერას:

   მზეო, მზეო, ცხრათვალა,
   ვის უცინი, ვისა?
   - შენ გიცინი, პატარა,
   დილა მშვიდობისა!

   ჩიტო, ჩიტო, ნაცარა,
   ვის უგალობ, ვისა?
   - შენ გიგალობ, პატარა,
   დილა მშვიდობისა!

**მიზანი**: ინტერაქცია სურათზე დაყრდნობით, როლური თამაში: მისალმება-დამშვიდობება, სიტყვების წაკითხვა, სიმღერის, დიალოგის მოსმენა - გაგება, ასოების ცნობა-მოხაზვა.

**ლექსიკა და კონსტრუქციები:** *დილა, კაცი, ქალი, ეზო, იცინის ? როგორია? რომელია? როგორი . . . . აქვს?*

## დილა მშვიდობისა!, გვერდი 31

**აქტივობა 1. ფონოლოგია: ბგერების სიტყვებად გამთლიანება**

track შეასწავლეთ მოსწავლეებს ენის გასატეხები: *ზარი ზანზარებს უზარმაზარი* (იხ. მასწ. წ. სავ. №16).

2. **ბგერების სიტყვებად გაერთიანება სურათზე დაყრდნობით** - გამოაკარით შემდეგი სურათები: **მზია, ზაზა, რეზო, მზე, ზღვა, გაგა, გიგა, გოგო.** სურათების შესაბამისი თითოეული სიტყვა დაშალეთ ბგერებად და წარმოთქვით დანაწევრებულად. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი სურათი შეესატყვისება წარმოთქმულ ბგერებს და სიტყვად გაამთლიანონ ეს ბგერები (დეტალურად იხ. მასწ. წ. სავ. №43).
3. **ბგერების სიტყვებად გაერთიანება საყრდენი სურათის გარეშე** - ამავე აქტივობას ატარებთ სურათების გარეშე: დანაწევრებულად ასახელებთ სიტყვებს, შეყოვნდებით თითოეულ ბგერაზე; მოსწავლეები სიტყვად ამთლიანებენ ამ ბგერებს.
4. **სიტყვის ბგერებად დანაწევრება** - მოსწავლები ბგერებად ანაწევრებენ თქვენ მიერ ნათქვამ სიტყვას.

**აქტივობა 2. მომზადება ტექსტის წასაკითხად სიტყვის ხმოვანი და ნაწერი ხატის ანალიზი და სინთეზი**

*(ზ მ )*

1. ასოს პოვნა: მოსწავლეებს აჩვენეთ და შემდეგ წიგნში მოაძებნინეთ ასო ზ.




2. დააკავშირებინეთ მოსწავლეებს საკითხავ გვერდზე წარმოდგენილი ნახატი წარწერასთან *("აქ რა ხატია? აქ რა წერია?")* (იხ. მასწ. წ. სავ. №46).
3. **ასოს პოვნა ანბანში:** კითხულობთ ანბანს, მოსწავლეებმა ტაში უნდა დაუკრან, როცა ასო ზ -ს დაასახელებთ. შეჩერდით ამ ასოზე და თქვით: *"ეს არის "ზ"* და დაწერეთ იგი დაფაზე.
4. აჩვენებთ მოსწავლეებს სტრიქონში ჩაწერილ "ზ"-ს და შეეკითხებით: *"ეს ასო რომელ უჯრედშია? შუა უჯრედში? ზედა უჯრედში?"* (კი/არა) და ა.შ.
5. სიტყვაში პირველი ბგერის ამოცნობა - მოსწავლეები ტაშს უკრავენ იმ სიტყვების გაგონებისას, რომლებიც იწყება ასო ზ-ზე. გამოიყენეთ შემდეგი სიტყვები: *ზღვა, ცა, ძაღლი, ზაზა, ჩანთა, ზღარბი.*
6. **ბგერების სიტყვებად გაერთიანება სურათზე დაყრდნობით** - გამოაკარით შემდეგი სურათები: **ზაზა, გაგა, მზია, მზე.** სურათებზე ასახული თითოეული სიტყვა დაშალეთ ბგერებად და წარმოთქვით დანაწევრებულად. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი სურათი შეესატყვისება წარმოთქმულ ბგერებს და გაამთლიანონ სიტყვა (დეტალურად იხ. მასწ. წ. სავ. №43).
7. **ბგერების სიტყვებად გაერთიანება საყრდენი სურათის გარეშე** - ამავე აქტივობას ჩაატარებთ სურათების გარეშე. დანაწევრებულად ასახელებთ სიტყვის ბგერებს, მოსწავლეები სიტყვად ამთლიანებენ მათ.
8. **სიტყვის ბგერებად დანაწევრება** - მოსწავლები ბგერებად ანაწევრებენ თქვენ მიერ წარმოთქმულ სიტყვას.
9. **მოძრავი ანბანით მუშაობა**: მოძრავი ანბანით უნდა აეწყოს შემდეგი სიტყვები: **ზაზა გაგა / აი ზაზა.** მოსწავლე დაშლის მითითებულ სიტყვებს ბგერებად, დაადგენს, რა ასოები დასჭირდება მას ამ სიტყვის ასაწყობად; მოიძიებს შესაბამის ასოებს და ააწყობს სიტყვას: განალაგებს ასოებს შესაბამისი თანამიმდევრობით (სინთეზი) და წაიკითხავს სიტყვას (დაწვრილებით იხ. მასწ. წ. სავ. №57).
10. **მოძრავი ანბანით აწყობილი სიტყვის/წინადადების შემოწმება** - მას მერე, რაც ერთ-ერთი მოსწავლე ააწყობს მითითებულ სიტყვას ან წინადადებას, მოსწავლეები ერთად ამოწმებენ ნამუშევარს შემდეგი პარამეტრებით: ა) არის თუ არა შუალედი სიტყვებს შორის; ბ) სწორად

არის თუ არა სიტყვაში ასოები ჩასმული; გ) სწორად არის თუ არა დასმული ქვედა, შუა და ზედა ასოები; დ) დასმულია თუ არა წერტილი (დეტალურად იხ. მასწ. წ. სავ. 58). ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამაში მთელმა კლასმა მიიღოს მონაწილეობა.

11. იგივე პროცედურა გაიმეორეთ ასოსთვის "მ" (ასოს პოვნა, ნახატის დაკავშირება წარწერასთან, ანბანში პოვნა). ამისთვის გამოიყენეთ შემდეგი სიტყვები:
    ა. *მაია მზია* (სიტყვის ხმოვანი ხატის დაშლა- აწყობისათვის);
    ბ. *მზია ზაზა გაგა, აი მზია* (მოძრავი ანბანით სიტყვის აწყობისთვის).

### აქტივობა 3. გაშიფვრა, კითხვის მოქნილობა

1. **სავარჯიშო ტექსტის (ზაზა მზია) ხმამაღლა კითხვა**: გამოიყენეთ შემდეგი სტრატეგიები: ა) მოსწავლე-მასწავლებლისკითხვა (პირველად თქვენ კითხულობთ, შემდეგ კლასი **რამდენჯერმე** კითხულობს ტექსტს ხმამაღლა); ბ) გუნდური კითხვა (თქვენ და მოსწავლეები ერთად კითხულობთ ტექსტს **რამდენჯერმ**ე ხმამაღლა); გ) წყვილში კითხვა (ორი მოსწავლე კითხულობს ტექსტს ხმამაღლა, ერთად ან რიგრიგობით; დ) მოსწავლის მიერ მთლიანი ტექსტის თავიდან ბოლომდე წაკითხვა; ე) მითითებული ადგილის წაკითხვა (დაწვრილებით იხ. მასწ. წ. საც. №56).

### აქტივობა 4. სიმღერის გამეორება

1. იმეორებთ სიმღერას "ჩიტო-ჩიტო, ნაცარა".




### აქტივობა 5. ნატიფი მოტორიკა, ასოს მოხაზვა (ზ), კითხვა

1. **ასოს ნაწილების ცნობა** - აჩვენებთ ასო '"ზ"-ს მოსწავლეებს; შემდეგ მიუთითებთ მათ კედელზე გაკრული ფორმატის ქაღალდზე გამოსახული ასოების კონკრეტულ ნაწილებზე და ამბობთ: *"ეს რკალი აქვს? ეს ხაზი აქვს? რომელ უჯრედშია? შუა/ქვედა/ზედა უჯრედში?"* (თან უთითებთ შესაბამის უჯრედზე) და ა.შ. (დაწვრილებით იხ. მასწ. წ. სავ. №60).
2. **ჩვენება, როგორ იწერება ასო** - ა) მოსწავლეებს ხელ-მკლავით ჰაერში მოახაზინეთ დასაწერი ასო, ბ) დაფაზე, დიდ ფართობზე, აჩვენებთ, როგორ უნდა დაიწეროს ასო; უჩვენებთ ხელის მოძრაობას და თან სიტყვიერად აღწერთ ასოს ნაწილებს (დაწვრილებით იხ. მასწ. წ. სავ. №61).
3. სრულდება რვ. სავ. გვ. 50, №5. მოძებნე, გააფერადე და დათვალე (ზ); გვ. 51, №6. შეაერთე, გააფერადე და დაასახელე.
4. გვ. 51, №7. დააკვირდი და შეაერთე; №8. დააკვირდი და შეაერთე; №9. დააკვირდი და დააკავშირე; №10. დააკვირდი და შეავსე. დადიხართ რიგებში და უყურებთ, როგორ წერენ მოსწავლეები; საჭიროების შემთხვევაში დაეხმარეთ მათ ასოს სწორად მოხაზვაში.
5. სრულდება რვ. სავ. გვ. 51, №11. მონიშნე, ნახატის შესაბამისი სიტყვა; №28. აირჩიე და შეავსე.

### აქტივობა 6. ენის გასატეხის სწავლა (მ)

track ? მოსწავლეები ისმენენ ენის გასატეხის სწრაფ ვარიანტს, ამოიცნობენ და ასახელებენ მთავარ ბგერას (მ).

track ? მოსწავლეები ისმენენ ენის გასატეხის ნელ ვარიანტს და იმეორებენ ტექსტს.

**ტექსტი**:
მელამ მოგაგნო, მამალო,
მურას მოუხმე მალეო!

*გივი ჭიჭინაძე*

### აქტივობა 7. მოძრავი აქტივობა, ლექსების თქმა, სიმღერა

1. 1. განტვირთვის მიზნით, შეასრულებინეთ მოსწავლეებს მოძრავი აქტივობები (იხ. მასწ. წ. სავ. №№ 18, 19, 20. აგრეთვე თამაშები: *"სკამები წრეზე", "დაიმახსოვრე შენი ადგილი", "დავდივარ, როგორც . .". იხ. წინა მასალა, მასწ. წ. გვ. ????);* შესაძლებელია მუშაობა იმგვარ ინ-

სტრუქციებზეც, რომლებიც მოძრაობას მოითხოვს (იხ. მასწ. წ. სავ. № №14, 15).

2. გამეორებინეთ მოსწავლეებს ნასწავლი ლექსები და სიმღერები.

**აქტივობა 8. ნატიფი მოტორიკა, ასოს მოხაზვა /მ, კითხვა**

1. **ასოს ნაწილების ცნობა** - იხ. ზემოთ, აქტივობა 5.

**1. ჩვენება, როგორ იწერება ასო** - იხ. ზემოთ, აქტივობა 5.

2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 52, №2. მოძებნე, გააფერადე და დაითვალე *(მ)*; № 3. დააკვირდი და შეაერთე; №4. დააკვირდი და შეაერთე. დადიხართ რიგებში და აკვირდებით, როგორ წერენ მოსწავლეები. საჭიროების შემთხვევაში დაეხმარეთ მათ ასოს სწორად მოხაზვაში.

3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 52, №5. წაიკითხე და დააკავშირე; გვ. 53. №6. აირჩიე და შეავსე; №7. წაიკითხე და დაკავშირე, გოგო თუ ბიჭი? გვ. 53, №8. დააკვირდი და შეავსე. გვ. 53, №9. მოძებნე სახელები და გამოყავი ხაზით; №10. დააკვირდი და დააკავშირე. გვ. 54. №1. შეავსე კროსვორდი.

**მიზანი**: სიტყვების, მოკლე წინადადებების გაშიფვრა, კითხვის მოქნილობაზე ვარჯიში; სიტყვის გრაფიკული ხატის სინთეზი და ანალიზი, ასოების გამოხაზვა წყვეტილი ხაზის გამთლიანებით *(ზ, მ)*, ფონოლოგიური უნარების განვითარება.




**დილა მშვიდობისა!, გვერდი 32**

**აქტივობა 1. ინტერაქცია ენობრივი კონსტრუქციის ("მე მქვია . . . , მას ჰქვია") გამოყენებით**

<u>სრულდება წიგნის პირველი დავალება</u> - მოისმინე და გაიმეორე:

1. მოსწავლეები ჯერ გაეცნობიან სურათებს; და ასახელებენ, რა ხატია სურათებზე; ამოიცნობენ პერსონაჟებს და პასუხობენ თქვენს კითხვებზე: *"რა არის ეს/ის? რა ფერია მზე, ყვავილი, ბურთი? იცინის მზე? ... ვინ არის ეს გოგო/ეს ბიჭი . . . სად არის რეზო (ეზოში), როგორი ეზოა, დიდი, პატარა? რა არის სახლთან?"*, მისთ.

2. თქვენი მითითებით, მოსწავლეებმა უნდა მოისმინონ ნაწყვეტი ლექსიდან და დაასახელონ, ვინ არის ლექსის გმირი:

მიყვარს მზე და
მიყვარს ია,
მე რა მქვია?
მქვია ------- (მზია)

3. ჩაეკითხეთ მოსწავლეებს: *"რა ჰქვია გოგოს?* "(თან უთითებთ სურათზე), *"რა უყვარს მზიას?", მისთ.*

4. მოსწავლეები ისმენენ მეორე ნაწყვეტს:

არის ბიჭი,
უყვარს ეზო,
მას რა ჰქვია?
ჰქვია -------- (რეზო)

5. კვლავ ჩაეკითხეთ მოსწავლეებს: *"რა ჰქვია ბიჭს?"* (თან უთითებთ სურათზე) *რა უყვარს რეზოს?", მისთ.*

6. მოსწავლეები თავიდან ბოლომდე ისმენენ ლექსს:

მიყვარს მზე და
მიყვარს ია,
მე რა მქვია?
მქვია მზია.
არის ბიჭი,
უყვარს ეზო,
მას რა ჰქვია?
ჰქვია რეზო.
მე მზია და
იმას რეზო,
შენ რა გქვია?
მქვია ------ (ქეთო)

7. მოსწავლეები სწავლობენ ლექსს (იხ. მასწ. წ. სავ. №17). იმეორებენ მრავალჯერ, რომ "გაუჯდეთ" ენობრივი კონსტრუქციები. პერსონაჟების სახელების ნაცვლად შეიძლება მოსწავლეთა სახელების გამოყენება. ასეთ შემთხვევაში შეგიძლიათ დაშალოთ ლექსი - საკუთარი სახელის ჩასასმელად გამოიყენოთ პირველი სტროფი, მოსწავლის სახელის ჩასასმელად - მეორე

(შესაბამისად, თუ მოსწავლე გოგონაა, ჩასვამს სიტყვას *გოგო*: "*არის გოგო, უყვარს* ...").

8. ამბობთ, რა გქვიათ და შემდეგ ეკითხებით რომელიმე მოსწავლეს (*"მე მქვია ლალი, შენ რა გქვია?"*). ყურადღება მიაქციეთ, რომ მოსწავლემ სრული სახით წარმოთქვას სათანადო ფრაზა (მაგ., *მე მქვია თამრიკო)* და გაამეორებინეთ იგი მოსწავლეს.
9. <u>თამაში ბურთით 1</u>: ყველანი ერთად სხდებით წრეში, ბურთი ხელში გიჭირავთ. ამბობთ: "*მე მქვია* ... " (მაგ., ლალი) და გადაუგდებთ ბურთს ერთ-ერთ მოსწავლეს სიტყვებით: "*შენ რა გქვია?* "; ბურთის დამჭერი ამბობს: "*მე მქვია*..." და ა.შ.
10. <u>თამაში ბურთით 2</u>: ყველანი ერთად სხდებით წრეში, ბურთი ხელში გიჭირავთ. ესვრით ბურთს ერთ-ერთ მოსწავლეს და სვამთ შეკითხვას: "*რა ჰქვია მას (ამ ბიჭს/ გოგოს)?*" (ლაპარაკია მოსწავლეზე, ვისაც ბურთი ესროლეთ); მოსწავლეებმა უნდა თქვან ბურთის დამჭერის სახელი. შემდეგ დასახელებული მოსწავლე სხვას ესვრის ბურთს და იკითხავს, რა ჰქვია მოსწავლეს, ვისაც ბურთი ესროლა (თამაშის დროს თქვენ მუდმივად ეხმარებით მოსწავლეებს, ამეორებინებთ მათ შეკითხვებს, სხვ.) და ა.შ.
11. <u>სრულდება წიგნის მეორე დავალება</u> — დააკვირდი და დაასახელე. უთითებთ, ამბობთ ფრაზებს და მოსწავლეები იმეორებენ მათ (*მას ჰქვია მზია და სხვა*). დასასრულ, შეიძლება მხოლოდ მიუთითოთ და დაასახელოთ პერსონაჟი, მოსწავლეებმა კი თქვან შესაბამისი რეპლიკები.




## აქტივობა 2. ინტერაქცია

1. **საიდუმლო პერსონაჟი** - მოსწავლეები წიგნებს გადაშლიან "პირველი ნაბიჯების" მესამე ძირითადი სურათის ("გემი ზღვაში") მეორე გვერდზე. აღნიშნულ გვერდზე გამოსახულ ცხრილში ნაჩვენებია, რა უყვართ პერსონაჟებს. ამ ცხრილზე დაყრდნობით, ამბობთ გამოცანას საიდუმლო პერსონაჟზე: "*ის არის გოგო, მას უყვარს ბალი და ვაშლი, მას ჰქვია . . . !* ". ამის შემდეგ მოსწავლეები წყვილ-წყვილად მუშაობენ ახალი გამოცანის მომზადებაზე, თქვენ რიგებში დადიხართ და ეხმარებით მათ. ამავე ტიპის გამოცანა მეწყვილეებმა შეიძლება საკუთარ თავზეც შეადგინონ.

## აქტივობა. 3. ფონოლოგია

1. **ბგერის ჩანაცვლება** - თქვენ მიერ ჩამოთვლილი სიტყვების პირველი ბგერა მოსწავლეებმა უნდა ჩაანაცვლონ *ე* და *ო* ასოებით (მსვლელობა: ასახელებთ სამოდელო ბგერას; ჟესტიკულაციის თანხლებით, აგებინებთ მოსწავლეებს, რომ მათ ეს ბგერა „თავში უნდა ჩაიდონ". თავდაპირველად ერთ-ორ მაგალითს მოსწავლეებთან ერთად აკეთებთ, რომ მოსწავლეებმა უკეთ გაიგონ აქტივობის პრინციპი (იხ. მასწ. წ. სავ. №№ 38, 39).
2. **ბგერის დამატება** - მოსწავლეებმა საკუთარ სახელებს თავში უნდა დაამატონ სამოდელო ბგერები: *ე* და *ო*.
3. **ბგერების სიტყვებად გაერთიანება სურათზე დაყრდნობით** - გამოაკარით შემდეგი სურათები: **მზე, გოგო, რეზო, ეზო, ზღვა, ზღარბი, ხე, ტყე, გემი, თევზი.** სურათებზე ასახული თითოეული სიტყვა დაშალეთ ბგერებად და დანაწევრებულად წარმოთქვით. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი სურათი შეესატყვისება წარმოთქმულ ბგერებს და გაამთლიანონ სიტყვა (დეტალურად იხ. მასწ. წ. სავ. №43).
4. **ბგერების სიტყვებად გაერთიანება საყრდენი სურათის გარეშე** - ამავე აქტივობას ასრულებთ სურათების გარეშე. დანაწევრებულად ასახელებთ სიტყვის ბგერებს, მოსწავლეები ბგერებს სიტყვად ამთლიანებენ.
5. **სიტყვის ბგერებად დანაწევრება** - მოსწავლები ბგერებად ანაწევრებენ თქვენ მიერ შეთავაზებულ სიტყვას.

**საკითხავი სავარჯიშოები**

**შენიშვნა:** *მოსწავლის წიგნის მე-5 გვერდის გავლის შემდეგ მუშავდება მოსწავლის წიგნის მე-7 გვერდის პირველი საკითხავი ტექსტი: მზე ეზო.*

**აქტივობა 4. მომზადება ტექსტის წასაკითხად: სიტყვის ხმოვანი და ნაწერი ხატის ანალიზი და სინთეზი.**

1. ასოს პოვნა: მოსწავლეებს აჩვენეთ და მოაძებნინეთ წიგნის მეხუთე გვერდზე თავასო: "ე".
2. დააკავშირებინეთ მოსწავლეებს საკითხავ გვერდზე წარმოდგენილი ნახატი წარწერასთან *("აქ რა ხატია? აქ რა წერია? "* იხ. მასწ. წ. სავ. №46).
3. **ასოს პოვნა ანბანში:** კითხულობთ ანბანს, მოსწავლეებმა ტაში უნდა დაუკრან, როცა ასო ე -ს დაასახელებთ. ამ ასოზე შეჩერდით და თქვით: *"ეს არის "ე"* და დაწერეთ იგი დაფაზე.
4. მოსწავლეებს აჩვენებთ სტრიქონში ჩაწერილ ასო ე-ს და ეკითხებით: *"ეს ასო რომელ უჯრედშია? შუა უჯრედში? ზედა უჯრედში?"* (კი/არა) და ა.შ.
5. **ბგერების სიტყვებად გაერთიანება სურათზე დაყრდნობით** - გამოაკარით შემდეგი სურათები: **მზე, მზია, ხე, ტყე, ეზო, ერთი**. სურათებზე ასახული თითოეული სიტყვა დაშალეთ ბგერებად და წარმოთქვით დანაწევრებულად. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი სურათი შეესატყვისება წარმოთქმულ ბგერებს და გაამთლიანონ სიტყვა (დეტალურად იხ. მასწ. წ. სავ. №43).




6. **ბგერების სიტყვებად გაერთიანება საყრდენი სურათის გარეშე** - ამავე აქტივობას აკეთებთ სურათების გარეშე. დანაწევრებულად ასახელებთ სიტყვის ბგერებს და მოსწავლეები სიტყვად ამთლიანებენ მათ.
7. **სიტყვის ბგერებად დანაწევრება** - მოსწავლები ბგერებად ანაწევრებენ თქვენ მიერ შეთავაზებულ სიტყვას.
8. **მოძრავი ანბანით მუშაობა**: მოძრავი ანბანით უნდა აეწყოს შემდეგი სიტყვები: **მზე მზია.** მოსწავლე დაშლის მითითებულ სიტყვებს ბგერებად, დაადგენს, რა და რა ასოები დასჭირდება მას ამ სიტყვის ასაწყობად, მოიძიებს შესაბამის ასოებს, შემდეგ ააწყობს სიტყვას: განალაგებს ასოებს შესაბამისი თანამიმდევრობით (სინთეზი) და წაიკითხავს სიტყვას (დაწვრილებით იხ. მასწ. წ. სავ. №57).
9. **მოძრავი ანბანით აწყობილი სიტყვის/წინადადების შემოწმება** - მას მერე, რაც ერთ-ერთი მოსწავლე ააწყობს მითითებულ სიტყვას ან წინადადებას, მოსწავლეები ერთად ამოწმებენ ნამუშევარს შემდეგი პარამეტრებით: ა) არის თუ არა შუალედი სიტყვებს შორის; ბ) სწორად არის თუ არა ასოები სიტყვაში ჩასმული; გ) სწორად არის თუ არა განაწილებული ქვედა, შუა და ზედა ასოები; დ) დასმულია თუ არა წერტილი (დეტალურად იხ. მასწ. წ. სავ. № 58).
10. იგივე პროცედურა გაიმეორეთ ასოსთვის "ო" (ასოს პოვნა, ნახატის დაკავშირება წარწერასთან, ანბანში პოვნა). გამოიყენეთ შემდეგი მასალა:
    ა. *ეზო, გოგო, ორი, ოთხი, ფისო, რეზო* (სიტყვის ხმოვანი ხატის დაშლა- აწყობისათვის);
    ბ. *ეზო, გოგო //მზია გოგოა (*მოძრავი ანბანით სიტყვების ასაწყობად).

**აქტივობა 5. გაშიფვრა, კითხვის მოქნილობა (*ე, ო*)**

1. **სავარჯიშო ტექსტის (მზე რეზო) ხმამაღალი კითხვა**: გამოიყენეთ შემდეგი სტრატეგიები: ა) <u>მოსწავლე-მასწავლებლისკითხვა</u> (პირველად თქვენ კითხულობთ, შემდეგ კლასი **რამდენჯერმე** კითხულობს ტექსტს ხმამაღლა); ბ) <u>გუნდური კითხვა</u> (თქვენ და მოსწავლეები ერთად კითხულობთ ტექსტს **რამდენ-**

**ჯერმ**ე ხმამაღლა); გ) წყვილში კითხვა (ორი მოსწავლე კითხულობს ტექსტს ხმამაღლა, ერთად ან რიგრიგობით; დ) მოსწავლის მიერ მთლიანი ტექსტის თავიდან ბოლომდე წაკითხვა; ე) მითითებული ადგილის წაკითხვა (დაწვრილებით იხ. მასწ. წ. სავ. №56).

### აქტივობა. 6. ნატიფი მოტორიკა, ასოს მოხაზვა (ე)

1. **ასოს ნაწილების ცნობა** - აჩვენებთ ასო "ე"-ს მოსწავლეებს, შემდეგ მიუთითებთ მათ კედელზე გაკრული ფორმატის ქაღალდზე გამოსახული ასოების კონკრეტულ ნაწილებზე და ამბობთ: *"ეს რკალი აქვს? ეს ხაზი აქვს? რომელ უჯრედშია? შუა/ქვედა/ზედა უჯრედში?"* (თან უთითებთ შესაბამის უჯრედზე) და ა.შ. (დაწვრილებით იხ. მასწ. წ. სავ. №60).
2. **ჩვენება, როგორ იწერება ასო** - ა) მოსწავლეებს ხელ-მკლავით ჰაერში მოახაზინეთ დასაწერი ასო, ბ) დაფაზე, დიდ ფართობზე, აჩვენებთ, როგორ უნდა დაიწეროს ასო; უჩვენებთ ხელის მოძრაობას და თან სიტყვიერად აღწერთ ასოს ნაწილებს (დაწვრილებით იხ. მასწ. წ. სავ. №61).
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 54, № 2. დააკვირდი და შეაერთე.
4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 54. №3. აირჩიე და ჩაწერე; № 4. შეაერთე, გააფერადე და შეავსე; №5. ამოხსენით რებუსი; №6. წაიკითხე და დააკავშირე; გვ. 55. №7. მონიშნე, ნახატის შესაბამისი სიტყვა.

**შენიშვნა:** შუალედში, საჭიროებისამებრ, შეგიძლიათ მოსწავლეებს შეასრულებინოთ




სხვადასხვა აქტივობა (სიმღერა *"ჩიტო, ჩიტო, ნაცარა"*; აქტივობა განტვირთვისთვის, იხ. მასწ. წ. სავ. №25-28. ლექსი - მე რა მქვია; შესაძლებელია ასევე ინსტრუქციებზე მუშაობაც. იხ. მასწ. წ. სავ №21, 22).

### აქტივობა. 7. ნატიფი მოტორიკა, ასოს მოხაზვა (ო), კითხვა

1. **ასოს ნაწილების ცნობა** - აჩვენებთ ასო "ო"-ს მოსწავლეებს, შემდეგ მიუთითებთ მათ კედელზე გაკრული ფორმატის ქაღალდზე გამოსახული ასოების კონკრეტულ ნაწილებზე და ამბობთ: *"ეს რკალი აქვს? ეს ხაზი აქვს? რომელ უჯრედშია? შუა/ქვედა/ზედა უჯრედში?"* (თან უთითებთ შესაბამის უჯრედზე) და ა.შ. (დაწვრილებით იხ. მასწ. წ. სავ. №60).
2. **ჩვენება, როგორ იწერება ასო** - ა) მოსწავლეებს ხელ-მკლავით ჰაერში მოახაზინეთ დასაწერი ასო, ბ) დაფაზე, დიდ ფართობზე, აჩვენებთ, როგორ უნდა დაიწეროს ასო; უჩვენებთ ხელის მოძრაობას და თან სიტყვიერად აღწერთ ასოს ნაწილებს (დაწვრილებით იხ. მასწ. წ. სავ. №61).
3. შეადარებინეთ: *ო* მხოლოდ შუა უჯრედშია, *ე* - შუა და ქვედა უჯრედში.
4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 55, № 8. მოძებნე, გააფერადე და დათვალე. გვ. 55. № 9. დააკვირდი და შეაერთე; №10. დააკვირდი და შეაერთე.

**მიზანი:** ინტერაქცია, ფონოლოგიური უნარები, ასოების ცნობა-გამოხაზვა /*ო, ე*/, კითხვა, დაკვირვება ენობრივ საკითხებზე.

**ძირითადი ლექსიკა, ენობრივი კონსტრუქციები:** *ის არის. . ., მას ჰქვია . . ., მე მქვია. .., შენ რა გქვია?*

## დილა მშვიდობისა!, გვერდები 33 – 34

### აქტივობა 1. ინტერაქცია ენობრივი კონსტრუქციების გამოყენებით: ის არის . . მას ჰქვია. . .

1. ენობრივ კონსტრუქციას თავდაპირველად "გაათამაშებთ" კლასის მოსწავლეებზე: *"ის არის გოგო, მას ჰქვია თინა. მაჩვენეთ, სად არის თინა?!"*.
2. სრულდება მესამე დავალება - მოსწავლეებს აჩვენებთ პერსონაჟებს და ამბობთ ერთ-ერთზე: *"ეს არის გოგო, მას ჰქვია მზია."* მოსწავლეები იმეორებენ. დანარჩენ პერსონაჟებთან დაკავშირებით ეკითხებით: *„ეს ვინ არის?“ მოსწავლეები პასუხობენ: „ეს არის . . . , მას ჰქვია. . . “* ქვედა სურათებთან დაკავშირებით ამბობთ გამო-

ცანებს: *"ის არის ყვავილი, არის წითელი, მას ჰქვია ----------. ის არის ცხოველი, არის დიდი, მას ჰქვია ----------"*.

3. დააჯგუფებთ მოსწავლეები. თითოეული ჯგუფი ამზადებს თითო გამოცანას, თქვენ ეხმარებით მოსწავლეებს. ბოლოს ყველა თავის გამოცანას წარმოადგენს.

### აქტივობა. 2. მოსმენა-გაგება, როლური თამაში

track — სრულდება მეოთხე დავალება — მოისმინე და გაიმეორე. მოსწავლეები აკვირდებიან სურათს, ისმენენ დიალოგებს და იმეორებენ მათ.

2. მოსწავლეები გაითამაშებენ დიალოგებს თქვენი დახმარებით.

**ბიჭის და გოგოს დიალოგი:**

დილა მშვიდობისა, მე მქვია ზაზა.
- გამარჯობა, ზაზა. მე მქვია მაია.

**ბიჭის და გოგოს დიალოგი (გოგონას ხელში უჭირავს ია, იქით მოჩანს დათვი):**

- ეს რა არის, გია?
- ეს ყვავილია.
- რა ჰქვია?
- ია.
- ის რა არის?
- ის ცხოველია.
- რა ჰქვია?
- დათვი.




### აქტივობა 3. ლექსის ზეპირად თქმა, ინტერაქცია

1. გაიმეორებთ ნასწავლ ლექსებს.
2. **გაიმეორეთ თამაში "საიდუმლო პერსონაჟი"** - მოსწავლეები წიგნებს გადაშლიან "პირველი ნაბიჯების" მესამე ძირითადი სურათის ("გემი ზღვაში") მეორე გვერდზე. აღნიშნულ გვერდზე გამოსახულ ცხრილში ნაჩვენებია, რა უყვართ პერსონაჟებს. ამ ცხრილზე დაყრდნობით, ამბობთ გამოცანას საიდუმლო პერსონაჟზე: *"ის არის გოგო, მას უყვარს ბალი და ვაშლი, მას ჰქვია . . . ! "*. ამის შემდეგ მოსწავლეები წყვილ-წყვილად მუშაობენ ახალი გამოცანის მომზადებაზე, თქვენ რიგებში დადიხართ და ეხმარებით მათ. ამავე ტიპის გამოცანა მეწყვილეებმა შეიძლება საკუთარ თავზეც შეადგინონ.

### აქტივობა 4. მომზადება ტექსტის წასაკითხად: სიტყვის ხმოვანი და ნაწერი ხატის ანალიზი და სინთეზი

1. ასოს პოვნა: მოსწავლეებს აჩვენეთ და მოაძებნინეთ წიგნში ასო "ლ".
2. დააკავშირებინეთ მოსწავლეებს საკითხავ გვერდზე წარმოდგენილი ნახატი წარწერასთან *("აქ რა ხატია? აქ რა წერია?")*.
3. ასოს პოვნა ანბანში: კითხულობთ ანბანს, მოსწავლეებმა ტაში უნდა დაუკრან, როცა ასო ლ -ს დაასახელებთ. ამ ასოზე შეჩერდით და თქვით: "ეს არის "ლ" და დაწერეთ იგი დაფაზე.

4. მოსწავლეებს აჩვენებთ სტრიქონში ჩაწერილ ლ-ს და ეკითხებით: *"ეს ასო რომელ უჯრედშია? შუა უჯრედში? ზედა უჯრედში?"* (კი/არა) და ა.შ.

5. **ბგერების სიტყვებად გაერთიანება სურათზე დაყრდნობით -** - გამოაკარით შემდეგი სურათები: **ლია, ლალი, ლურჯი, დილა, ბალი.** სურათებზე ასახული თითოეული სიტყვა დაშალეთ ბგერებად და წარმოთქვით დანაწევრებულად. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი სურათი შეესატყვისება წარმოთქმულ ბგერებს და გაამთლიანონ სიტყვა (დეტალურად იხ. მასწ. წ. სავ. №43).

6. **ბგერების სიტყვებად გაერთიანება საყრდენი სურათის გარეშე** - ამავე აქტივობას ასრულებთ სურათების გარეშე. დანაწევრებულად ასახელებთ სიტყვის ბგერებს, მოსწავლეები სიტყვად ამთლიანებენ მათ.

7. **სიტყვის ბგერებად დანაწევრება -** მოსწავლები ბგერებად ანაწევრებენ თქვენ მიერ შეთავაზებულ სიტყვას.

8. **მოძრავი ანბანით მუშაობა**: მოძრავი ანბანით უნდა აეწყოს შემდეგი სიტყვები: **ლალი ლია //ლია გოგოა.** მოსწავლე ააწყობს სიტყვას: განალაგებს ასოებს შესაბამისი თანამიმდევრობით (სინთეზი) და წაიკითხავს სიტყვას/წინადადებას (დაწვრილებით იხ. მასწ. წ. სავ. №57).

9. **მოძრავი ანბანით აწყობილი სიტყვის/წინადადების შემოწმება** - მას მერე, რაც ერთ-ერთი მოსწავლე ააწყობს მითითებულ სიტყვას ან წინადადებას, მოსწავლეები ერთად ამოწმებენ ნამუშევარს შემდეგი პარამეტრებით: ა) არის თუ არა შუალედი სიტყვებს შორის; ბ) სწორად არის თუ არა







სიტყვაში ასოები ჩასმული; გ) სწორად არის თუ არა დასმული ქვედა, შუა და ზედა ასოები; დ) დასმულია თუ არა წერტილი (დეტალურად იხ. მასწ. წ. სავ. 58).

10. იგივე პროცედურა გაიმეორეთ ასოსთვის "რ" (ასოს პოვნა, ნახატის დაკავშირება წარწერასთან, ანბანში პოვნა). ამ მიზნით გამოიყენეთ შემდეგი მასალა:
    ა. *რეზო ზარი ორი ბურთი* (სიტყვის ხმოვანი ხატის დაშლა - აწყობისათვის);
    ბ. *რეზო ზარი //რეზო, აი ეზო* (მოძრავი ანბანით სიტყვის ასაწყობად).

**აქტივობა 5. გაშიფვრა, კითხვის მოქნილობა**

1. **1. სავარჯიშო ტექსტის (ლალი რეზო) ხმამაღლა კითხვა**: გამოიყენეთ შემდეგი სტრატეგიები: ა) <u>მოსწავლე-მასწავლე-ბლისკითხვა</u> (პირველად თქვენ კითხულობთ, შემდეგ კლასი **რამდენჯერმე** კითხულობს ტექსტს); ბ) <u>გუნდური კითხვა</u> (თქვენ და მოსწავლეები ერთად კითხულობთ ტექსტს **რამდენჯერმ**ე ხმამაღლა); გ) <u>წყვილში კითხვა</u> (ორი მოსწავლე კითხულობს ტექსტს ხმამაღლა ერთად ან რიგრიგობით; დ) <u>მოსწავლის მიერ მთლიანი ტექსტის თავიდან ბოლომდე წაკითხვა;</u> ე) <u>მითითებული ადგილის წაკითხვა</u> (დაწვრილებით იხ. მასწ. წ. სავ. №56).

**აქტივობა 6. ნატიფი მოტორიკა, ასოს მოხაზვა (ლ), კითხვა**

1. **1. ასოს ნაწილების ცნობა** - აჩვენებთ ასო

”ლ”-ს მოსწავლეებს; შემდეგ მიუთითებთ მათ კედელზე გაკრული ფორმატის ქაღალდზე გამოსახული ასოების კონკრეტულ ნაწილებზე და ამბობთ: *”ეს რკალი აქვს? ეს ხაზი აქვს? რომელ უჯრედშია? შუა/ქვედა/ზედა უჯრედში?* (თან უთითებთ შესაბამის უჯრედზე) და ა.შ. (დაწვრილებით იხ. მასწ. წ. სავ. №60).

2. **2. ჩვენება, როგორ იწერება ასო** - ა) მოსწავლეებს ხელ-მკლავით ჰაერში მოახაზინეთ დასაწერი ასო, ბ) დაფაზე, დიდ ფართობზე, აჩვენებთ, როგორ უნდა დაიწეროს ასო; უჩვენებთ ხელის მოძრაობას და თან სიტყვიერად აღწერთ ასოს ნაწილებს (დაწვრილებით იხ. მასწ. წ. სავ. №61).
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 55, №11. იპოვე და გააფერადე; № 12. დააკვირდი და შეაერთე;
4. 📖 სრულდება გვ. 56, №1. დააკვირდი და შეაერთე; №2. დააკვირდი და შეავსე.
5. 📖 სრულდება გვ. 56. №3. წაიკითხე და დააკავშირე, გოგოა თუ ბიჭი?; №4. მოძებნე გოგოს სამი სახელი (**სავარჯიშოს პასუხები**: ლალი, ლია, ია); №5. მოძებნე და გააფერადე.

---

**აქტივობა 7. ნატიფი მოტორიკა, ასოს მოხაზვა (რ); კითხვა**

1. **1. ასოს ნაწილების ცნობა** - აჩვენებთ ასო ”რ”-ს მოსწავლეებს; შემდეგ მიუთითებთ მათ კედელზე გაკრული ფორმატის ქაღალდზე გამოსახული ასოების კონკრეტულ ნაწილებზე და ამბობთ: *”ეს რკალი აქვს? ეს ხაზი აქვს? რომელ უჯრედშია? შუა/ქვედა/ზედა უჯრედში?”* (თან







უთითებთ შესაბამის უჯრედზე) და ა.შ. (დაწვრილებით იხ. მასწ. წ. სავ. №60).

2. **2. ჩვენება, როგორ იწერება ასო** - ა) მოსწავლეებს ხელ-მკლავით ჰაერში მოახაზინეთ დასაწერი ასო, ბ) დაფაზე, დიდ ფართობზე, აჩვენებთ, როგორ უნდა დაიწეროს ასო; უჩვენებთ ხელის მოძრაობას და თან სიტყვიერად აღწერთ ასოს ნაწილებს (დაწვრილებით იხ. მასწ. წ. სავ. №61).
3. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 55, №6. მოძებნე, გააფერადე და დაითვალე; №56. დააკვირდი და შეაერთე;
4. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 57, №№7, 8 დააკვირდი და შეაერთე; №9. აირჩიე და ჩაწერე; №10. მოძებნე და გააფერადე; №11. მოძებნე და გააფერადე; №12. წაიკითხე, დახატე და გააფერადე. გვ. 58. №1. წაიკითხე და დააკავშირე.
5. 5. დამატებითი აქტივობა: №2. შეავსე კროსვორდი.

**შენიშვნა 1**: *ამ აქტივობას ასრულებენ მხოლოდ ის მოსწავლეები, რომლებსაც კარგად აქვთ განვითარებული ნატიფი მოტორიკა.*

**შენიშვნა 2.** *განტვირთვის მიზნით, მოსწავლეებს შუალედებში გააკეთებინეთ მოძრავი აქტივობები (*იხ. მასწ. წ. სავ. №№18, 19, 20; აგრეთვე თამაშები: *”სკამები წრეზე”, ”დაიმახსოვრე შენი ადგილი”, ”დავდივარ, როგორც . .”*. შეიძლება მოსწავლეებს შეასრულებინოთ იმგვარი ინსტრუქციებიც, რომლებიც მოძრაობას მოითხოვს (იხ. მასწ. სავ №№ 14,15).

**მიზანი**: ინტერაქცია, მინიდოლიაგის მოსმენა-გაგება და გამეორება; სიტყვების, მოკლე წინადადებების გაშიფვრა-წაკითხვა. სიტყვის

გრაფიკული და ხმოვანი ხატის სინთეზი და ანალიზი, ასოების გამოხაზვა (ლ, რ), ფონოლოგიური უნარების განვითარება.

**ლექსიკა და კონსტრუქციები:** *ის არის, მას ჰქვია . . .*

## გვერდი 8. პროექტი

### აქტივობა. 1. პროექტი: გავიცნოთ ერთმანეთი

1. მოსწავლეები აკვირდებიან ნახატებს,წაუკითხეთ წარწერა: *მე ვარ ნინო.* და აუხსენით, რომ ნინომ დახატა ბიჭი და გოგო.
2. მოსწავლეები ირჩევენ რამდენიმე კლასელს (მაგ., ერთი გოგონა, ორი ბიჭი). ხატავენ მათ. ერთ ფურცელზე დააწებებს საკუთარ სურათს (ან დახატავს საკუთარ თავს), დახატავს სხვა შერჩეულ თანაკლასელებსაც, გააფორმებს ნახატს და ზეპირად წარადგენს კლასის წინაშე *(მე ვარ ბიჭი, მე მქვია ...; ეს არის გოგო/ბიჭი, მას ჰქვია ...)*. საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ მათ შეკითხვების დასმით.

### აქტივობა 3. ნატიფი მოტორიკა, ასოების გამოხაზვა, კითხვა

1. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 58, №3. მოძებნე და ჩაწერე; გვ. 59, №4. მოძებნე და შემოხაზე; №5. მოძებნე სიტყვა, რომელიც არ შეესაბამება ნახატს. №6. აირჩიე და ჩაწერე.
2. 📖 სრულდება რვ. სავ. გვ. 59, №7. წაიკითხე.